BIBLIOTHEK DES INSTITUTS FÜR GEORGISCHES,
DEUTSCHES UND INTERNATIONALES STRAFRECHT

Dr. BACHANA JISHKARIANI, LL.M. (München)

Assoziierter Professor

EUROPÄISCHES STRAFRECHT

IM RAHMEN DER EUROPÄISCHEN UNION

2. Auflage

TBILISI, 2018

Publishing House „World of Lawyers"

ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის
სამართლის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა

ბაჩანა ჯიშკარიანი, LL.M. (München)

სამართლის დოქტორი (მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის
სახელობის უნივერსიტეტი), ასოცირებული პროფესორი

ევროპული სისხლის სამართალი

ევროკავშირის ფარგლებში

მეორე გამოცემა

თბილისი, 2018
გამომცემლობა „ბორისტების სამყარო“

რედაქტორი: **გიორგი დგებუაძე**

სამართლის დოქტორი;
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი, სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ლექტორი

ყდის დიზაინი: **გვანცა მახათაძე**

დამკაბადონებელი: **თამარ ქიტუაშვილი**

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.·

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© ბაჩანა ჯიშკარიანი, 2018

გამომცემლობა „იურისტების სამყარო"

თბილისი, მ. კოსტავას №75; 0171

ტელ:. (+995 032) 238 35 99; (+995) 557 51 51 34

ვებ-გვერდი: www.law.ge

ელ-ფოსტა: info@law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978 – 9941-9585-2-6

წინათქმა

აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოცემიდან უკვე რამდენიმე წელი გავიდა, თუმცა, ამ ხნის განმავლობაში ქართული სისხლის სამართლისთვის ევროპულმა სისხლის სამართალმა კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა, ვინაიდან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით საქართველომ უფრო ინტენსიური ევროპეიზაციის გზა აირჩია. თვითონ ევროკავშირის ფარგლებშიც პროცესები დინამიურად ვითარდება. გამოვიდა რამდენიმე ახალი დირექტივა, რომლებმაც მანამდე მოქმედი ჩარჩო-გადაწყვეტილებები ჩაანაცვლა. სიახლეებია ინსტიტუციონალური თვალსაზრისითაც. ამის მაგალითია იგივე ევროპული პროკურატურის შექმნისთვის გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები, რაც აქამდე მხოლოდ იდეის სახით არსებობდა და ამჯერად გაძლიერებული თანამშრომლობის ფარგლებში უნდა ჩამოყალიბდეს.

მეორე გამოცემაში ასახულ იქნა სისხლის სამართლისათვის მნიშვნელოვანი ყველა ძირითადი სიახლე. ამასთანავე, ნაწილობრივ განახლდა ქართული თუ უცხოენოვანი წყაროები, დაემატა ახალი წყაროები, სასამართლო პრეცედენტები. აღსანიშნავია, პირველ გამოცემასთან შედარებით, კაზუსების მეტი რაოდენობა და თვალსაჩინოებისთვის ტექსტში მათი ცალკე გამოყოფა, რაც მკითხველს მასალის უკეთ გაგებაში შეუწყობს ხელს.

საწუხაროდ, მოცემული ნაშრომი კვლავ რჩება ერთადერთ ქართულენოვან სახელმძღვანელოდ ევროპული სისხლის სამართლის სფეროში, თუმცა, იმედია, ის კვლავ შეუწყობს ხელს მომავალი მკვლევარების დაინტერესებას. ამის მაგალითია, თუნდაც ფოლკსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული ქართულ-გერმანული პროექტი, რომელიც 2019 წლამდე გაგრძელდება და მთლიანად სისხლის სამართლის პროცესის ინტერნაციონალიზაციისა და ევროპეიზაციის საკითხებს დაეთმობა. პროექტის ფარგლებში ქართველი დოქტორანტები დაამუშავებენ სადოქტორო ნაშრომებს, რომლებშიც ევროკავშირის სამართალი წამყვან როლს შეასრულებს.

„ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში", მეორე გამოცემა, **ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის** (www.icl.ug.edu.ge) ფარგლებში მომზადდა. ინსტიტუტის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს სწორედ ევროკავშირის სამართლის ანალიზი წარმოადგენს, რათა ქართული სისხლის სამართალი მაქსიმალურად დაუახლოვდეს მას. მკითხველის მხრიდან

გამოხმაურებებს მზად ვართ ვუპასუხოთ ელექტრონულ მისამართზე bachanajishkariani@gmail.com. გამოყენებული საკანონმდებლო მასალა გათვალისწინებულია 2018 წლის იანვრის მდგომარეობით.

ბაჩანა ჯიშკარიანი, LL.M. (München)
სამართლის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს უნივერსიტეტის სისხლის
სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი
ქართული, გერმანული და
საერთაშორისო სისხლის სამართლის
ინსტიტუტის ხელმძღვანელი
თბილისი, იანვარი, 2018

VORWORT

Nachdem 2013 die erste Auflage dieses Lehrbuchs erschienen ist, ist das Europäische Strafrecht für das georgische Strafrecht noch relevanter geworden. Zwischen Georgien und EU wurde ein Assoziierungsabkommen unterzeichnet. Darüber hinaus wurden innerhalb der Union neue Richtlinien erlassen, die bisher geltende Rahmenbeschlüsse ersetzen. Hinzu kam die Gründungsidee der Europäischen Staatsanwaltschaft.

In dieser zweiten Auflage sind die wichtigsten Neuerungen erfasst. Wichtige Quellen wurden aktualisiert, inklusive neuer Rechtsprechung. Im Vergleich zur Erstausgabe beinhaltet das Buch mehr Fälle, um die bessere Wahrnehmung der Materie zu fördern.

Leider ist dieses Werk immer noch das einzige georgischsprachige Lehrbuch auf dem Gebiet des EU-Strafrechts, jedoch hoffe ich, es wird das Interesse junger WissenschaftlerInnen wecken, um neue Forschungsimpulse zu erwecken. Ein gutes Beispiel dafür ist das von der VW-Stiftung unterstützte (Laufzeit bis zum 2019) Projekt über die Internationalisierung und Europäisierung des georgischen Strafprozessrechts. Im Rahmen dieses Forschungsprojekts werden einige junge WissenschaftlerInnen gefördert, deren Arbeit größtenteils genau das EU-Recht betreffen wird.

Die zweite Auflage des Lehrbuchs wurde durch **das Institut für georgisches, deutsches und internationales Strafrecht** (www.icl.ug.edu.ge) vorbereitet. Die Erforschung des europäischen Strafrechts stellt einen der Schwerpunkte der Institutstätigkeit dar. Das Hauptziel besteht darin, den georgischen Lesern dieses Rechtsgebiet näherzubringen. Ich würde mich daher über Anmerkungen und Hinweise per elektronischer Post unter **bachanajishkariani@gmail.com** freuen.

Stand der zitierten Vorschriften ist Januar 2018.

Assoz. Prof. Dr. Bachana Jishkariani, LL.M. (München)
Leiter der Strafrechtsabteilung
der University of Georgia
Leiter des Instituts für georgisches, deutsches und
internationales Strafrecht
Tbilissi, Januar 2018

პირველი გამოცემის წინათქმა

სისხლის სამართლის ევროპეიზაცია ბოლო რამდენიმე წელია, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდგომ, ინტენსიურად მიმდინარეობს. ეს პროცესი გამოწვევების წინაშე აყენებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, ვინაიდან კლასიკური სისხლის სამართლისა და ევროკავშირის სამართლის თანაცხოვრება არცთუ მარტივია. სისხლის სამართლის ევროპეიზაციის პროცესი ამავდროულად მნიშვნელოვანია არამარტო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, არამედ მისი მეზობლებისთვისაც. საქართველო ევროპული სამეზობლო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია და შესაბამისად, ევროკავშირის ფარგლებში მიმდინარე პროცესები გარკვეულწილად მასზეც ახდენენ გავლენას. მოცემული ნაშრომის მიზანია სისხლის სამართლის ფარგლებში მიმდინარე ევროპეიზაციის პროცესების განხილვა, ანალიზი და არსებული პრობლემების ჩვენება, რათა საქართველო მომზადებული შეხვდეს ევროკავშირთან დაახლოების პროცესს.

ბუნებრივია, ევროპეიზაციის შედეგად წარმოშობილი ევროპული სისხლის სამართალი მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპულ ინტეგრაციასთან. ამიტომაც, აქ სისხლისსამართლებრივ თემებთან ერთად, როგორიცაა მაგ. ნაციონალური სისხლისსამართლებრივი ნორმების განმარტება, მათი განეიტრალება ევროკავშირის სამართალთან კოლიზიის დროს და ა.შ., განხილულ იქნება მოკლედ ევროკავშირის წარმოშობის ისტორია და საქართველოსთან მისი ურთიერთობების ქრონოლოგია.

ეს არის პირველი მცდელობა, სისტემატიზებული (სახელმძღვანელოს) სახით მიეწოდოს ქართველ მკითხველს წიგნი ევროპული სისხლის სამართლის შესახებ და იმედია, ის ქართველ იურისტებს გარკვეულ დახმარებას გაუწევს ამ მიმართულებით. ევროპული სისხლის სამართალი ახლა იკიდებს ფეხს ქართულ უნივერსიტეტებში, როგორც სასწავლო კურსი და ვინაიდან მოცემული მიმართულებით ჯერჯერობით ქართულ სამართლებრივ სივრცეში ღრმა კვლევის ტრადიცია არ არსებობს, გარკვეული ტერმინოლოგიური უზუსტობებისგან დაზღვეული არ ვართ. მოხარული ვიქნები, თუ მკითხველის მხრიდან რეკომენდაციები და შენიშვნები იქნება. შეგიძლიათ მომწეროთ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: **bachanajishkariani@gmail.com**.

ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა ჩემს დისერტაციას, რომელიც შესრულებულ იქნა მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის სახელობის უნი-

ვერსიტეტში პროფესორ ჰელმუტ ზატცგერის კათედრაზე და 2013 წელს გამოიცა გამომცემლობა Nomos-ში (ბადენ-ბადენი, გერმანია) – **„Die Bedeutung des Europäischen Strafrechts und sein Einfluss in Georgien" (ISBN 978-3-8487-0344-9)**. თანამშრომლობისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ამ გამომცემლობას.

განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანულ ფონდს (IRZ) და კერძოდ, მის კოორდინატორს საქართველოში, ბ-ნ სულხან გამყრელიძეს, რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც მოხდა ამ წიგნის გამოცემა.

გამოყენებული საკანონმდებლო მასალა გათვალისწინებულია 2013 წლის ივნისის მდგომარეობით.

ბაჩანა ჯიშკარიანი, LL.M. (München)
ასოცირებული პროფესორი
სამართლის დოქტორი
თბილისი, ივნისი, 2013

VORWORT ZUR ERSTAUSGABE

Seit dem Inkrafttreten des Lissabon-Vertrages findet die Europäisierung des Strafrechts noch intensiver als früher statt. Dieser Prozess stellt die Mitgliedstaaten der Europäischen Union (EU) vor eine bedeutende Herausforderung, weil die Koexistenz des klassischen nationalstaatlichen Strafrechts und des Europäischen Rechts nicht immer frei von Konflikten und Kollisionen ist. Die Europäisierung ist jedoch nicht nur für die Mitgliedstaaten, sondern auch für andere Länder wichtig. Georgien ist ein Teil der Europäischen Nachbarschaftspolitik und demensprechend unterliegt auch sein Rechtssystem teilweise dem europäischen Einfluss. Das Ziel der vorliegenden Arbeit ist die Analyse und Erörterung der Europäisierung des Strafrechts, vor allem im Hinblick auf den Annäherungsprozess Georgiens an die EU.

Das in den letzten Jahren geschaffene Europäische Strafrecht ist selbstverständlich eng mit der europäischen Integration verbunden. Daher werden in der vorliegenden Arbeit außer strafrechtlichen Themen, wie zum Beispiel der europarechtskonformen Auslegung nationaler Strafvorschriften oder deren Neutralisierung, auch die Geschichte der Europäischen Union und deren Beziehungen mit Georgien analysiert.

Dies ist der erste Versuch, georgischen Juristen ein systematisch strukturiertes (Lehr)Buch über Europäisches Strafrecht im Rahmen der Europäischen Union zur Verfügung zu stellen. Weil in Georgien auf diesem Gebiet bisher keine umfassende Forschung stattgefunden hat, können den Lesern einige neue Begriffe fremd erscheinen. Ich würde mich daher über alle Anmerkungen und Hinweise per elektronischer Post unter **bachanajishkariani@gmail.com** freuen.

Die vorliegende Arbeit basiert hauptsächlich auf meiner Dissertation, die ich an der Ludwig-Maximilians-Universität München - Lehrstuhl Prof. Dr. *Helmut Satzger* - verfasst habe. Sie ist im Jahr 2013 beim Nomos-Verlag erschienen (**„Die Bedeutung des Europäischen Strafrechts und sein Einfluss in Georgien", ISBN 978-3-8487-0344-9**). Für die gute Zusammenarbeit möchte ich mich bei dem Verlag bedanken.

Ein besonderer Dank gilt der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit (IRZ) und ihrem Vertreter in Georgien Herrn *Sulkhan Gamkrelidze*, die die Veröffentlichung dieses Buches finanziell ermöglicht haben.

Stand der zitierten Vorschriften ist Juni 2013.
Assoz. Prof. Dr. **Bachana Jishkariani,** LL.M. (München)
Tbilisi, im Juni 2013

სარჩევი

წინათქმა 5
VORWORT 7
პირველი გამოცემის წინათქმა 8
VORWORT ZUR ERSTAUSGABE 10
შემოკლებანი 15
შესავალი
ევროპული სისხლის სამართლის ცნებისათვის 19

თავი 1. საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები 20
§ 1. მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია 20
§ 2. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება 22
§ 3. საქართველოს პარლამენტის დადგენილება 24
§ 4. ევროპული სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო 25
§ 5. აღმოსავლეთის პარტნიორობა 26
§ 6. ასოცირების შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის 27
დასკვნა 28

თავი 2. ევროპული ინტეგრაციის ისტორია 30
§ 1. ერთიანი ევროპული იდეა 30
I. ერთიანი ევროპული იდეის დაბადება 30
II. ერთიანი ევროპული იდეა მეორე მსოფლიო ომამდე 31
§ 2. ერთიანი ევროპული იდეა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ 32
I. ევროპული გაერთიანების საფუძვლები 32
II. ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება 33
§ 3. რომის ხელშეკრულებები 34
§ 4. პერიოდი მაასტრიხტის ხელშეკრულებამდე 36
§ 5. მაასტრიხტის ხელშეკრულება და ევროკავშირის დაფუძნება 37
§ 6. ამსტერდამი და ნიცა 38
§ 7. ევროკონსტიტუცია 40
§ 8. ლისაბონის ხელშეკრულება 42
დასკვნა 44

თავი 3. ევროპული სისხლის სამართალი 46
§ 1. ევროპული სისხლის სამართლის ცნება 46
§ 2. ევროპული სისხლის სამართლის მიზნები 50
I. სისხლის სამართლის ამოცანები 50
II. ევროპული სისხლის სამართლის სპეციალური მიზნები 51
1) დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა 52
2)ევროკავშირის ორგანოები, ღირებულებები და მათი სისხლისსამართლებრივი დაცვა 54
3) ინდივიდუალური თავისუფლებების დაცვა 56
III. ქართული სისხლის სამართლის მიზნები და სამართლებრივი სიკეთეები 59
დასკვნა 63

თავი 4. ევროკავშირის სტრუქტურა და მისი განსხვავება ევროსაბჭოსგან 65
§ 1. ევროკავშირის ორგანოები 65
I. ევროპარლამენტი 65
II. ევროკავშირის საბჭო 67
III. ევროკომისია 68
IV. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო 69
§ 2. ევროსაბჭო და მისი არსი 72
I. ევროსაბჭოს ორგანოები 73
II. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 74
დასკვნა 76

თავი 5. ევროკავშირის სამართლის გავლენები ნაციონალურ სამართალზე 77
§ 1. ევროკავშირის სამართლისა და ნაციონალური სამართლის ურთიერთმიმართება 77
§ 2. ევროკავშირის სამართლის უშუალოდ მოქმედების ძალა 78
§ 3. ევროკავშირის მოქმედების ფორმები 79
I. დადგენილება 80
II. დირექტივა 82
1) დირექტივების იმპლემენტაცია 84
2) დირექტივების უშუალოდ მოქმედების ძალა 85
3) დირექტივების ვერტიკალური მოქმედება 87
4) დირექტივის შესაბამისი განმარტება 88
III. მოქმედების სხვა ფორმები 89
§ 4. ევროკავშირის სამართლის გავლენა ნაციონალურ სისხლის სამართალზე 90
I. ზოგადი მიმოხილვა 90
II. ევროპული სანქციები და ევროპული სისხლის სამართალი 90
§ 5. ევროკავშირის სამართლის შესაძლო გავლენები ქართულ სისხლის სამართალზე 93
I. ზოგადი მიმოხილვა 93
II. ლოიალურობის პრინციპი 95
1) დანაშაულის შემადგენლობები და ევროკავშირის სამართალი 96
2) სასჯელები და ევროკავშირის სამართალი 99
3) მინიმალური მოთხოვნები ევროკავშირის სამართლის დარღვევების წინააღმდეგ მიმართული სანქციებისთვის 108
ა) „Amsterdam Bulb"-ის შემთხვევა და პასუხი პირველ კითხვაზე 109
ბ) შემთხვევა „Colson & Kamann" — წევრი სახელმწიფოების არჩევანის თავისუფლების პირველი შეზღუდვა 110
გ) „ბერძნული სიმინდის შემთხვევა" — ევროპული სისხლის სამართლისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწვეტილება 112
4) გადაწყვეტილებების მნიშვნელობა ნაციონალური სამართლისთვის 113
ა) საპროცესო შეთანხმება და სანქციები 122
ბ) იურიდიული პირების დასჯადობა და ევროკავშირის

სამართალი 126
§ 6. სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაცია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის საფუძველზე 138
I. სისხლისსამართლებრივი მითითების გაკეთების ორიგინალური კომპეტენცია — 83-ე მუხლის პირველი აბზაცი 140
II. ევროკავშირის დამატებითი კომპეტენცია სისხლის სამართალში — 83-ე მუხლის მე-2 აბზაცი 143
III. „საავარიო მუხრუჭი" — 83-ე მუხლის მე-3 აბზაცი 153
დასკვნა 159

თავი 6. ასიმილირება 160
§ 1. ევროკავშირის სამართლის მითითება ნაციონალურ სამართალზე 160
§ 2. შიდასახელმწიფოებრივი ბლანკეტური ნორმები და მითითება ევროკავშირის სამართალზე 161
I. მითითებები დირექტივებსა და დადგენილებებზე 161
II. სტატიკური და დინამიკური მითითებები 162
III. მითითებები და განსაზღვრულობის პრინციპი 163
დასკვნა 169

თავი 7. ევროკავშირის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალა და ნაციონალური სისხლისსამართლებრივი ნორმების განეიტრალება 170
§ 1. უპირატესი იურიდიული ძალა 170
§ 2. ევროკავშირის სამართლის გამოყენების თუ მოქმედების უპირატესი იურიდიული ძალა 176
§ 3. ნაციონალური სისხლისსამართლებრივი ნორმების განეიტრალება 177
I. ნამდვილი კოლიზია დანაშაულის შემადგენლობიდან გამომდინარე 178
II. ირიბი კოლიზიები 189
III. სანქციიდან გამომდინარე ნამდვილი კოლიზია 191
IV. მოჩვენებითი კოლიზია 193
დასკვნა 195

თავი 8. ევროკავშირის სამართლის შესაბამისი განმარტება 196
§ 1. ევროკავშირის სამართლის შესაბამისი განმარტება, მისი მნიშვნელობა და ფარგლები 196
§ 2. განმარტების ცალკეული მაგალითები 200
I. სამოხელეო დანაშაულები 200
II. დოკუმენტებთან და ბეჭდებთან დაკავშირებული დელიქტები 204
III. ცრუ ჩვენების მიცემა 205
IV. ფულის გაყალბება 208
V. გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულები 209
დასკვნა 211

თავი 9. სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაციის მნიშვნელოვანი სფეროები 212

§ 1. ტერორიზმი 212
§ 2. ტრეფიკინგი 216
I. დირექტივა ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ 216
§ 3. ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და ბავშვთა პორნოგრაფია 218
I. დირექტივა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის ნინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 218
§ 4. ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა 220
§ 5. ფულის გათეთრება 222
§ 6. კორუფციასთან ბრძოლა 223
I. ჩარჩო-გადაწყვეტილება კერძო სექტორში კორუფციასთან ბრძოლის შესახებ 224
§ 7. გადახდის საშუალებების გაყალბება 226
I. ევროსა და სხვა ვალუტების სისხლისსამართლებრივი დაცვა 226
II. თაღლითობისა და გადახდის არაფულადი საშუალებების გაყალბებისგან დაცვა 227
§ 8. კიბერდანაშაულები 229
I. ჩარჩო-გადაწყვეტილება ინფორმაციულ სისტემებზე თავდასხმის შესახებ ... 229
§ 9. ორგანიზებული დამნაშავეობა 232
I. ჩარჩო-გადაწყვეტილება ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ 232
II. არალეგალური მიგრაცია 233
§ 10. რასიზმი და ქსენოფობია 235
I. ჩარჩო-გადაწყვეტილება რასიზმისა და ქსენოფობიის გამოხატულების ცალკეულ ფორმებთან ბრძოლის შესახებ 236
§ 11. გარემოს დაცვა 237
I. დირექტივა გარემოს სისხლისსამართლებრივი დაცვის შესახებ 239
II. ზღვების დაბინძურება 240
§ 12. ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვა 241
დასკვნა 243

თავი 10. სისხლისსამართლებრივი დევნა ევროკავშირის ფარგლებში 244
§ 1. ევროპოლი 244
§ 2. ევროიუსტი 251
§ 3. ევროპული პროკურატურა 253
§ 4. OLAF 256
§ 5. ორმხრივი აღიარების პრინციპი 259
I. ევროპული დაპატიმრების ბრძანება 259
II. ორმაგი დასჯის აკრძალვა 267
დასკვნა 274

გამოყენებული ლიტერატურა 275
ქართულენოვანი: 275
გერმანულენოვანი: 279
ავტორის შესახებ 297

შემოკლებანი

ქართული:

აბზ.	აბზაცი
ა.შ.	ასე შემდეგ
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
დანვრ.	დანვრილებით
ევროკ. საქმ. ნესის	ევროკავშირის საქმიანობის ნესის
შეს. ხელშ.	შესახებ ხელშეკრულება
ევროკ. შეს. ხელშ.	ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება
იხ.	იხილეთ
მაგ.	მაგალითად
მდგ.	მდგომარეობით
მუხ.	მუხლი
ნაწ.	ნაწილი
რედ.	რედაქტორი
შეს.	შესახებ
სსკ	სისხლის სამართლის კოდექსი
სსრ	საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
სსსკ	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
წ.	წელი
ძვ. რედ.	ძველი რედაქცია
შეად.	შეადარეთ

გერმანული:

ABL. (Amtsblatt der Europäischen Gemeinschaften/Europäischen Union)	ევროგაერთიანების/ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი
AEUV (Vertrag über die Arbeitsweise der Europäischen Union)	ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულება
Art. (Artikel)	მუხლი
AT (Allgemeiner Teil)	ზოგადი ნაწილი
Aufl. (Auflage)	გამოცემა
Bd. (Band)	ტომი
BGHSt (Sammlung der Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Strafsachen)	გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული სისხლის სამართლის საქმეებზე
BVerfG (Bundesverfassungsgericht)	გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო
BVerfGE (Sammlung der Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts)	გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული
EGV (Vertrag zur Gründung der Europäischen Gemeinschaft)	ხელშეკრულება ევროგაერთიანების დაფუძნების შესახებ

EMRK **(Europäische Menschenrechtskonvention)**	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
EU **(Europäische Union)**	ევროკავშირი
EuGH **(Europäischer Gerichtshof)**	ევროკავშირის/ევროგაერთიანების სასამართლო
EuGHE **(Sammlung der Entscheidungen des Europäischen Gerichtshofs)**	ევროკავშირის/ევროგაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული
EuGRZ **(Europäische Grundrechte Zeitschrift)**	ძირითადი უფლებების ევროპული ჟურნალი
EuR **(Europarecht)**	ჟურნალი ევროპული სამართალი
EUV **(Vertrag zur Gründung der Europäischen Union)**	ხელშეკრულება ევროკავშირის დაფუძნების შესახებ
EWG **(Europäische Wirtschaftsgemeinschaft)**	ევროპული ეკონომიკური გაერთიანება
ff. **(fortfolgende)**	შემდეგი
GA **(Goltdammer's Archiv für Strafrecht)**	ჟურნალი გოლტდამერის არქივი სისხლის სამართლისათვის
JURA **(Juristische Ausbildung)**	ჟურნალი იურიდიული განათლება

JuS (Juristische Schulung)	ჟურნალი იურიდიული სწავლება
JZ (Juristenzeitung)	ჟურნალი იურისტთა გაზეთი
NJW (Neue Juristische Wochenschrift)	ახალი იურიდიული ყოველკვირეული ჟურნალი
NStZ (Neue Zeitschrift für Strafrecht)	სისხლის სამართლის ახალი ჟურნალი
Rn. (Randnummer)	აბზაცი/გვერდითი ნომერი
StGB (Strafgesetzbuch)	სისხლის სამართლის კოდექსი
StPO (Strafprozessordnung)	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
u.a. (und andere)	და სხვა
wistra (Zeitschrift für Wirtschafts- und Steuerstrafrecht)	ეკონომიკური და საგადასახადო სისხლის სამართლის ჟურნალი
ZIS (Zeitschrift für internationale Strafrechtsdogmatik)	საერთაშორისო სისხლის სამართლის დოგმატიკის ჟურნალი
ZRP (Zeitschrift für Rechtspolitik)	სისხლის სამართლის პოლიტიკის ჟურნალი
ZStrR (Schweizerische Zeitschrift für Strafrecht)	შვეიცარიის სისხლის სამართლის ჟურნალი
ZStW (Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft)	სისხლის სამართლის მეცნიერებების ჟურნალი

შესავალი

ევროპული სისხლის სამართლის ცნებისათვის

ევროპული სისხლის სამართალი ზოგადად სისხლის სამართლის ერთ-ერთი ყველაზე დინამიური მიმართულებაა, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული ევროკავშირის ფარგლებში მიმდინარე პოლიტიკურ-სამართლებრივ პროცესებთან. კლასიკური სისხლის სამართლისგან განსხვავებით, სადაც მყარი შეხედულებები და ტრადიციებია ჩამოყალიბებული, ევროპული სისხლის სამართალი სწორედ ახლა იმყოფება აქტიური განვითარების ფაზაში.

ტერმინი **„ევროპული სისხლის სამართალი"** სამართლებრივ ლიტერატურაში სხვადასხვანაირი მნიშვნელობით შეიძლება იქნას გამოყენებული: (1) **ევროპული სისხლის სამართალი ევროსაბჭოს ფარგლებში,** სადაც კვლევა ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების გავლენებს ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივ სისტემებზე და (2) **ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში,** რომელიც მოიცავს ევროკავშირში მიმდინარე პროცესებს. მოცემულ წიგნში საუბარი იქნება სწორედ ევროპულ სისხლის სამართალზე ევროკავშირის ფარგლებში და განხილული იქნება დეტალურად მისი ცალკეული ინსტიტუტები.

თავი 1. საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები

§ 1. მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია

- 1992 – ევროგაერთიანებამ აღიარა საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. თანამშრომლობა ამ გაერთიანებასა და საქარ-თველოს შორის თავდაპირველად შემოიფარგლა ჰუმანიტარული, ტექნიკური და ფინანსური სფეროებით.

- 1996, 22 აპრილი – ხელი მოეწერა ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას.[1] ეს იყო პირველი საბაზისო დოკუმენტი, რომელზეც აგებულია მთელი შემდგომი ურთიერთობები. შეთანხმება ძალაში შევიდა 1999 წლის პირველ აპრილს.

- 1997, 2 სექტემბერი – საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება საკუთარი კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციის შესახებ.

- 1999, 12 ოქტომბერი – ლუქსემბურგში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის საბჭოს პირველი სხდომა.

- 2001, 23 აპრილი – შეიქმნა ევროკავშირთან თანამშრომლობის საკოორდინაციო საბჭო, რომლის ერთ-ერთი მიზანია საქართველოს კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობა.

- 2004, თებერვალი – საქართველოს მთავრობაში შეიქმნა ევროპული და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა. ამავე წლის 14 ივნისს საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ჩართულ იქნენ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში. ამით დაიწყო საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ახალი, კიდევ უფრო აქტიური ეტაპი.

- 2004, 22 ივლისი – საქართველოში დაიწყო ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია, რომელიც გრძელდებოდა 12 თვე. მისი მიზანი იყო სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიის შექმნა.[2]

- 2006, 14 ნოემბერი – ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარ-

1 ABl. L 205, 4.8.1999, 3.

2 სისხლის სამართლის რეფორმის შესახებ დანარ. იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდი www.justice.gov.ge.

გლებში ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმას.

- **2008**, აგვისტო – საქართველო-რუსეთის ომი. ევროკავშირმა სექ-ტემბერში საქართველოში გამოაგზავნა დამკვირვებელთა მისია. ნოემბერში დაიწყო მოლაპარაკებები სავიზო პროცედურების გამარტივების შესახებ.

- **2009**, 7 მაისი – ევროკავშირის ქვეყნებისა და საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთის, უკრაინისა და ბელორუსის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს აღმოსავლეთის პარტნიორობის დეკლარაციას.[3]

- **2010**, 17 ივნისი – ხელი მოეწერა სავიზო პროცედურების გამარტივების შესახებ შეთანხმებას (ძალაში შევიდა 2011 წლის პირველ მარტს).

- **2010**, 15 ივლისი – დაიწყო მოლაპარაკებები საქართველოს ევროკავშირის ასოცირებული წევრობის შესახებ.

- **2010**, 2 დეკემბერი – ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ.

- **2010**, 15 ივლისი – ქ. ბათუმში ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე.

- **2011**, 5 დეკემბერი – ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე. 2014 წლის 27 ივნისს ეს პროცესი შეთანხმების ხელმოწერით დასრულდა.

- **2012**, 4 ივნისი – გაიხსნა საქართველო-ევროკავშირის დიალოგი უვიზო მიმოსვლის შესახებ, რომელიც 2017 წლის 28 მარტს საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღებით დასრულდა.[4]

2016, 1 ივლისი – ძალაში შევიდა ასოცირების შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის.

---

3 ტექსტი იხ. ვებ-გვერდზე http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en/er/107589.pdf (ნანახია 4.7.2017).

4 საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების ქრონოლოგიისა და აქტუალური სიახლეების შესახებ უფრო დეტალურად იხ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი www.mfa.gov.ge. ასევე იხ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდი www.eu-nato.gov.ge.

§ 2. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება

1 საქართველოსა და ევროგაერთიანებას შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ხელი მოეწერა 1996 წლის 22 აპრილს.[5] ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი შეთანხმება მხარეებს შორის შემდგომი ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, რაც განხორციელდა კიდეც. საქართველოს მხრიდან ევროპული ინსტიტუტებისადმი დაახლოების სურვილი ჯერ კიდევ ამ შეთანხმებაში იქნა ასახული და დღესაც არ კარგავს აქტუალურობას.

2 შეთანხმების პირველ მუხლში შემდეგი მიზნები იქნა ჩადებული: საქართველოს მხარდაჭერა დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარების გზაზე; მხარეებს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება; ურთიერთთანამშრომლობის დაწყება კანონმდებლობის, სოციალური სფეროს, ფინანსების, ტექნიკისა და კულტურის მიმართულებით. გარდა ამ საკითხებისა, შეთანხმება სხვა თემებსაც შეეხო. მეხუთე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ დაწყებულმა პოლიტიკურმა დიალოგმა საქართველო კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დააახლოვოს ევროკავშირთან. შეთანხმებაში ასახულ იქნა ასევე ევროკავშირის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი, კერძოდ, საქონლის თავისუფალი გადაადგილების პრინციპი, მაგრამ ეს საქართველოსთან მიმართებაში გარკვეული შეზღუდვებით ვრცელდება (მუხ. 10).

3 საქართველომ და ევროგაერთიანებამ ასევე აიღეს ვალდებულება, რომ არანაირ დისკრიმინაციას არ ექნება ადგილი ლეგალურად დასაქმებული პირების მიმართ, იქნება ეს ანაზღაურებასთან, სამუშაო პირობებთან თუ გათავისუფლებასთან დაკავშირებით (მუხ. 20). თუმცა, საქმიანობასთან დაკავშირებული შეთანხმებები უფრო დეკლარატორულ ხასიათს ატარებენ ამ დოკუმენტში და მომავალი თანამშრომლობისკენ არიან მიმართულნი. იქ საქართველოს მოქალაქეების მიმართ დაშვებულ გამონაკლისებზე ან შეღავათებზე საუბარი არ არის.

4 პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში ცალკე არის გამოყოფილი საკანონმდებლო საქმიანობის სფერო. 43-ე მუხლის თანახმად, მხარეები მიუთითებენ, რომ საქართველოში მოქმედი და მომავალი კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაცია ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელოვანი წინა-

[5] ABl. L 205, 4.8.1999, 3.

პირობაა. ეს ჰარმონიზაცია განსაკუთრებით უნდა შეეხოს ინვესტიციების, საბაჟო, გადასახადების, ინტელექტუალური საკუთრების, მონოპოლიის, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროების შესახებ კანონმდებლობას. 45-ე მუხლის მე-2 ნაწილში, ეკონომიკური ურთიერთობების კონტექსტში განსაკუთრებით ხაზი აქვს გასმული სწორედ გარემოს დაცვის აუცილებლობას.

სისხლის სამართლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია 72-ე-75-ე მუხლები. მხარეებმა შეათანხმეს ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულება შემდეგი დანაშაულების თავიდან ასაცილებლად: ეკონომიკური ხასიათის დანაშაულები, კორუფცია, საქონლის არალეგალური მიმოქცევა, გაყალბება, ფულის გათეთრება და არალეგალური მიგრაცია. მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ გაატარებენ სათანადო ღონისძიებებს ფინანსური სისტემების უკანონო შემოსავლების გასათეთრებლად გამოყენების წინააღმდეგ. განსაკუთრებით ეს ეხება ნარკოტიკული დანაშაულების საფუძველზე მიღებულ შემოსავლებს. 73-ე მუხლში მითითებულია საქართველოს ვალდებულებაზე, ამ მიმართულებით საკუთარი კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ. 5

ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით ასევე საუბარია ორმხრივ ვალდებულებაზე, საქართველომ და ევროგაერთიანებამ მიიღონ სათანადო ზომები და შეიმუშავონ სტრატეგია ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების კანონსანინააღმდეგოდ დამზადების, შეძენის ან მიმოქცევაში გაშვების შესახებ. 6

რაც შეეხება არალეგალურ მიგრაციას, მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა იმ საკუთარი მოქალაქეების ზედმეტი ფორმალობების გარეშე უკან მიღების თაობაზე, რომლებიც მეორე მხარის ტერიტორიაზე არალეგალურად იმყოფებიან. 7

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება სხვა თემებსაც ეხება, თუმცა, აქ მათ დაწვრილებით არ შევეხებით. ის დღეისათვის უკვე ძალადაკარგულად ითვლება, ვინაიდან მას ჩაენაცვლა ასოცირების შესახებ შეთანხმება. 8

§ 3. საქართველოს პარლამენტის დადგენილება

9 პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერით საქართველოს სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება და აიღო ვალდებულება საკუთარი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის შესახებ. ამ ვალდებულების რეალური განხორციელების მიზნით 1997 წლის 2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ, რომელიც შემდეგი შინაარსით იქნა ჩამოყალიბებული:

(1) ევროპის საერთაშორისო სტრუქტურებთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესების განვითარების, სამართლებრივი სისტემების დაახლოებისა და ჰარმონიზაციის, ევროპის კავშირის მიერ აღიარებულ პრინციპებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს.

(2) საქართველოს პლენარული სხდომის განსახილველად წარმოდგენილი კანონპროექტის განმარტებით ბარათში, შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ასახული უნდა იყოს საერთაშორისო ნორმების მოთხოვნები და ამ მოთხოვნებთან კანონპროექტის შესაბამისობა.

10 მოგვიანებით, სხვადასხვა მიზეზების გამო, ამ თვითვალდებულების ძალაში შესვლის ვადა რამდენჯერმე გადაიწია, თუმცა მიუხედავად ამისა, ზოგადად თვითვალდებულების აღების ფაქტი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ევროპული ინტეგრაციის თვალსაზრისით. ეს იყო საქართველოს მხრიდან გადადგმული საკმაოდ თამამი ნაბიჯი. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ პარლამენტმა ჰარმონიზაციის ვალდებულება გაავრცელა არა რომელიმე კონკრეტულ სფეროზე, არამედ ყველა კანონზე და ნორმატიულ აქტზე. შესაბამისად, ეს დადგენილება მოიცავს იგივე სისხლის სამართალსაც. მართალია, მისი გამოცემის დროისათვის ევროკავშირის ფარგლებში სისხლის სამართალი უფრო წევრი სახელმწიფოების კომპეტენციას განეკუთვნებოდა და ევროკავშირი ამ სფეროში ჩარევისგან თავს იკავებდა, თუმცა

მოგვიანებით, განსაკუთრებით, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლით ეს სურათი შეიცვალა და ევროკავშირის კომპეტენციები გაიზარდა. ამიტომაც, დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს მხრიდან აღებული თვითვალდებულება სისხლის სამართალს არ გულისხმობს, რადგან მისი ტექსტი ღიად არის ფორმულირებული და მოქმედ ევროპულ სამართლებრივ რეალობასაც ერგება.

§ 4. ევროპული სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო

საქართველო-ევროკავშირის აქტიური თანამშრომლობის მნიშვნელოვანი დასტურია საქართველოს ჩართვა ე.წ. ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში 2004 წელს.[6] ევროპული სამეზობლო პოლიტიკა თანამშრომლობის შედარებით ახალი ფორმაა ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის. ის ემყარება ადამიანის უფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოს თუ სხვა საერთო ღირებულებებს. ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ვრცელდება ალჟირზე, სომხეთზე, აზერბაიჯანზე, ბელორუსზე, ეგვიპტეზე, საქართველოზე, ისრაელზე, იორდანიაზე, ლიბანზე, ლიბიაზე, მოლდავეთზე, მაროკოზე, პალესტინაზე, სირიაზე, ტუნისსა და უკრაინაზე. თითოეულ ამ სახელმწიფოსთან ევროკავშირი ათანხმებს სამოქმედო გეგმას, რომელშიც გაწერილია ურთიერთთანამშრომლობის მოკლე და საშუალოვადიანი პრიორიტეტები. საქართველოსთან ეს გეგმა შეთანხმებულ იქნა 2006 წლის ნოემბერში. 11

საქართველოს სამოქმედო გეგმაში ევროკავშირი მიესალმება მის სწრაფვას სამართლებრივი და ეკონომიკური ინტეგრაციისკენ. ეს გეგმა ამ გზაზე პირველი ნაბიჯი უნდა გახდეს ამ მიმართულებით, რომლის ერთ-ერთი გამოხატულებაც ქართული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია იქნება. 12

წინა ხელშეკრულებისგან განსხვავებით აღნიშნულ სამოქმედო გეგმაში კონკრეტული სფეროებია გამოყოფილი, რომლებსაც პრიორიტეტი ენიჭებათ. ესენია: იუსტიციის სფერო, ბიზნეს გარემო, გარე- 13

6 დანვრ. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის შეს. იხ. https://eeas.europa.eu/topics/european-neighbourhood-policy-enp_en(ნანახია 4.7.2017).

მოს დაცვა, სიღარიბის შემცირება, თანამშრომლობა თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის პრინციპების ფარგლებში, საზღვრების დაცვა, კონფლიქტების გადაწყვეტა და ა.შ.

14 სისხლის სამართლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი, 1996 წლის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული საკითხები სამოქმედო გეგმაშიც იქნა გადმოტანილი, თუმცა იქ არსებულ ჩამონათვალს დაემატა ბავშვთა პორნოგრაფიის შემადგენლობა. ასევე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფულის გათეთრებასთან ბრძოლას ტერორიზმის კონტექსტში. საქართველომ და ევროკავშირმა ამ მიმართულებით შეათანხმეს თანამშრომლობა პოლიციისა და იუსტიციის სფეროში. ეს შესაძლებელია თუნდაც ინფორმაციის გაცვლით ქართულ სამართალდამცავ უწყებებსა და ევროპულს შორის.

§ 5. აღმოსავლეთის პარტნიორობა

15 საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსის, მოლდავეთის, უკრაინისა და ევროკავშირის წარმომადგენლებმა 2009 წელს, პრაღაში, დააფუძნეს ე.წ. აღმოსავლეთის პარტნიორობა. 2009 წლის 7 ივნისს ხელი მოეწერა შესაბამის დეკლარაციას. ეს იყო დამატებით გადად-გმული ნაბიჯი ევროკავშირის აღმოსავლეთით მდებარე სახელმწიფოების მანამდე არსებული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში კიდევ უფრო დაახლოებისა. პარტნიორობის ამ ახლადდაფუძნებულ ფორმას არ ჩაუნაცვლებია ადრე მოქმედი შეთანხმებები, მან უბრალოდ უფრო განავრცო თანამშრომლობა. აღმოსავლეთის პარტნიორობის მნიშვნელოვანი მომენტი არის ის, რომ მის ფარგლებში ევროკავშირის მხრიდან გატარებული პოლიტიკა დამოკიდებულია თითოეული სახელმწიფოს მიერ მიღწეულ წარმატებებზე. ამიტომაც ყველას მიმართ კოოპერაცია სხვადასხვა მოცულობით ხორციელდება.

16 აღმოსავლური პოლიტიკის მიზანია მასში ჩართული სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია. ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურება შეგვიძლია თვითონ ევროგაერთიანების დამფუძნებელი სახელმწიფოების ისტორიას შევადაროთ. მათ შორის დაწყებულ ეკონომიკურ თანამშრომლობას მოჰყვა შემდგომში სამართლებრივი და პოლიტიკური ჰარმონიზაცია, რამაც ევროპა

ევროკავშირამდე მიიყვანა. აღმოსავლური პარტნიორობის შემთხვევაშიც უნდა მოხდეს სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურება, რომელიც შემდგომში ინტენსიურ სამართლებრივ ურთიერთობებში გადაიზრდება, რაც ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციას გულისხმობს.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში მიღწეული პროგრესის შედეგი იყო თუნდაც უვიზო რეჟიმის შემოღება საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომელზეც რეკომენდაცია თავის დროზე ევროკომისიამ, როგორც შეთანხმების შესრულების მაკონტროლებელმა ორგანომ გასცა.[7] 17

რაც შეეხება ზოგადად საქართველოს მხრიდან შესრულებულ ვალდებულებებს თუ არსებულ პრობლემებს, ამასთან დაკავშირებით ევროკომისია ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს. მასში ხდება თითოეული სფეროს ცალ-ცალკე გაანალიზება. 18

§ 6. ასოცირების შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის

2014 წელს საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების დადება გარდამტეხი ნაბიჯია გარდამავალი დემოკრატიის მქონე ქვეყნისათვის, რომელიც იმ პროცესების შედეგია, რაც მას წინ უძღვოდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ. ეს შეთანხმება არ არის მხოლოდ ზოგადი და დეკლარატორული ხასიათის, არამედ შეიცავს მთელ რიგ ვალდებულებებს, მათ შორის სისხლის სამართლის მიმართულებითაც.[8] აღნიშნული დოკუმენტის პრეამბულაშივე არის მითითება იმაზე, რომ შესაბამის სფეროებში საქართველო ვალდებულია დაუხლოვოს საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირის სტანდარტებს. ასევე საუბარია თავისუფლების, მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერებაზე (მუხ. 1, ნაწ. 2 ქვეპ. f), რომელიც სწორედ სისხლის სამარლის სფეროსათვის არის განსაკუთრებით რელევანტური. 1

7 დანერ. იხ. https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/419/eastern-partnership_en (ნანახია 4.7.2017).

8 შეთანხმების ტექსტი ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხ. http://eu-nato.gov.ge/ge/eu/association-agreement (ნანახია 4.7.2017).

20 შეთანხმება იმდენად მოცულობითია, რომ ის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსაც კი ეხება (რომელიც არ არის ევროკავშირის ორგანო) და აკისრებს მხარეებს ვალდებულებას, მჭიდროთ ითანამშრომლონ მასთან, რათა საერთაშორისო ხასიათის მძიმე დანაშაულების დასჯა ეფექტურად მოხდეს (მუხ. 6).

ცალკე მუხლი ეთმობა ტერორიზმთან (მუხ. 12) ბრძოლის მნიშვნელობას, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულ უნდა იქნას გაეროსა თუ ევროსაბჭოს სტანდარტები და მოხდეს მათი სრული იმპლემენტაცია.

21 ასოცირების შეთანხმების თანახმად მხარეები ითანამშრომლებენ ისეთ ხასიათის ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, როგორიცაა არალეგალური მიგრაცია, ტრეფიკინგი, იარაღით თუ ნარკოტიკებით უკანონო წაჭრობა, კონტრაბანდა, თაღლითობები, საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების თანხების გაფლანგვა, კორუფცია, დოკუმენტების გაყალბება და ა.შ. (მუხ. 17). საინტერესოა ასევე 394-ე მუხლი, რომელიც პირდაპირ ავალდებულებს საქართველოს სახელმწიფოს, რომ მოხდეს ევროკავშირის მიერ გამოყოფილი ფინანსების ხარჯვის თუ გამჭვირვალედ გაცემის კონტროლი. ზოგადად, საკუთარი ფინანსური ინტერესების დაცვას ევროკავშირის დიდ ყურადღებას უთმობს და ამასთან ბევრი კაზუსი არის დაკავშირებული (მათი განხილვა ნაშრომის შესაბამის თავებში დეტალურად მოხდება), რომლებმაც ევროპული სისხლის სამართლის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს, ამიტომ შესაბამისმა სტრუქტურებმა საქართველოში აღნიშნულ მიმართულებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ. ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი უფლებამოსილია საქართველოში სათანადო შემოწმებებიც განახორციელოს (მუხ. 398).

დასკვნა

22 ევროპულ-ქართული ურთიერთობების ეს მოკლე მიმოხილვა ნათლად უჩვენებს, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული პარტნიორობა მხოლოდ დეკლარატორულ ხასიათს არ ატარებს და ცალკეული ვიწრო სფეროებით არ შემოიფარგლება. საქართველომ ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ევროპული ინტეგრაციისკენ, თუმცა, რა თქმა უნდა, ბევრი საკითხი ღიად რჩება. ერთი რამ

ცხადია, სამართლებრივი ჰარმონიზაციის გზაზე ქართული სისხლის სამართლის გამორიცხვა დაუშვებელია და შესაბამისად, საჭიროა მისი ევროკავშირის სტანდარტებისადმი მაქსიმალური მორგება.

ევროკავშირის სამართლის ნაციონალურ სამართალზე გავლენის დეტალური მიმოხილვის დაწყებამდე მომდევნო თავში საუბარი იქნება ევროგაერთიანების/ევროკავშირის ისტორიაზე, რათა ვნახოთ თუ რა გზა განვლო ამ ორგანიზაციამ დღემდე.

თავი 2. ევროპული ინტეგრაციის ისტორია

§ 1. ერთიანი ევროპული იდეა

I. ერთიანი ევროპული იდეის დაბადება

24 ერთიანი ევროპული იდეა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში წარმოიშვა. მე-14 საუკუნეში, ფრანგმა იურისტმა პიერ დუბუამ წამოაყენა ერთიანი ევროპული იდეა „ყველაზე ქრისტიანული" საფრანგეთის მეფის მეთაურობით.[9] მოგვიანებით, 1483 წელს, კონსტანტინეპოლის სახით ევროპამ მნიშვნელოვანი კულტურული და სულიერი ცენტრი დაკარგა,[10] რამაც წარმოშვა თურქული აგრესიის წინააღმდეგ გაერთიანების აუცილებლობა.[11] კონსტანტინეპოლის დაკარგვის შემდგომ დასავლეთ ევროპა და აღმოსავლეთ ევროპის ნაწილი ქვეცნობიერად იდეოლოგიურად საერთო გზას მიჰყვებოდნენ. ამის გამოხატულება იყო რომაულ-ბერძნული სამართლის გამოყენება და უნივერსალური კათოლიკური ეკლესიის არსებობა.[12] ერთიანი ევროპის მნიშვნელოვანი მაგალითი იყო ასევე გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია. მართალია, ეს არ იყო კლასიკური გაგებით ცენტრალიზებული სახელმწიფო, თუმცა იმპერატორის ძალაუფლება ფორმალურად მაინც ვრცელდებოდა მის მთელ ტერიტორიაზე. იმპერატორის სიმბოლურ დატვირთვასთან შედარებით კათოლიკური ეკლესია აშკარად უფრო მეტი ავტორიტეტით სარგებლობდა. ის ევროპის ყველა სახელმწიფოში მყარად იყო ფეხმოკიდებული და მისი ავტორიტეტი ურყევი იყო.[13]

25 მოგვიანებით, მე-18-მე-19 საუკუნეებში ერთიანი ევროპული იდეა კიდევ უფრო გავრცელდა. სახელმწიფოთა დაახლოვება ძირითადად მშვიდობის შენარჩუნებას და კონფლიქტების თავიდან აცილების მიზანს ემსახურებოდა.[14] ამავე საკითხზე საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ თუნდაც კანტი და რუსო. კანტი ევროპული ფედერაციის იდეას ემხრობოდა რესპუბლიკური წყობილებით, ხოლო რუსო კი გაერთიანების გზას რევოლუციაში ხედავდა, რადგან მას ნებაყოფლობით დიდგვაროვნების მხრიდან გაერთიანებისა არ სჯეროდა.[15]

---

9 Haratsch/Koenig/Pechstein, Europarecht, Rn. 3.

10 Mickel, Handlexikon, XIII.

11 შეად. Bieber/Epiney/Haag, Die Europäische Union, § 1 Rn. 6.

12 Mickel, Handlexikon, XIII.

13 Mickel, Handlexikon, XIV.

14 Hobe, Europarecht, § 1 Rn. 5.

15 Haratsch/Koenig/Pechstein, Europarecht, Rn. 4; Bieber/Epiney/Haag, Die Europäische Union, § 1 Rn. 6.

მე-19 საუკუნეში ინდუსტრიის განვითარების ფონზე პოლიტიკურ საკითხებთან ერთად ეკონომიკამ გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა და ერთიანობის იდეა შედარებით სხვა მიმართულებით განვითარდა. სახელმწიფოებმა დაიწყეს პროფესიული გაერთიანებების მხარდაჭერა და დაიდო მრავალი ხელშეკრულება სატრანსპორტო, საფოსტო, ინტელექტუალური საკუთრების თუ საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ ხელშეკრულების მიზანი იყო არა ევროპის გაერთიანება, არამედ უბრალოდ ცალკეული საკითხების ეფექტურად გადაწყვეტა.[16] 26

მიუხედავად ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსივობისა, კონფლიქტის თავიდან აცილება მაინც შეუძლებელი გახდა. გერმანიასა და იტალიაში ნაციონალური სახელმწიფოების წარმოშობამ ბალანსი დაარღვია, რაც პირველ მსოფლიო ომში გამოიხატა.[17] 27

II. ერთიანი ევროპული იდეა მეორე მსოფლიო ომამდე

ადრე წარმოშობილმა ერთიანმა ევროპულმა იდეამ პირველი მსოფლიო ომის გამო არსებობა შეწყვიტა.[18] მონარქიებს შორის არსებული კავშირები დაირღვა და დაიწყო ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის განხორციელება, რაც ცენტრალიზებული ევროპის იდეას გამორიცხავდა.[19] მიუხედავად ამ პროცესებისა, ერთიანი ევროპის იდეას პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მაინც ბევრი მიმდევარი ჰყავდა. ამის, თუნდაც არაპირდაპირი, მნიშვნელოვანი გამოხატულება იყო ერთა ლიგის ჩამოყალიბება. ამასთანავე, ავსტრიელი გრაფის, კუდენჰოვ-კალერგის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა პანევროპულ მოძრაობას. „ევროპის შეერთებული სახელმწიფოები" ერთიანი სახით უნდა გამხდარიყვნენ ანგარიშგასაწევი ძალა. თუმცა პანევროპული მოძრაობის ეს იდეა მხოლოდ პოლიტიკურ ძალაუფლებას არ გულისხმობდა. მასში შედიოდა ეკონომიკური პოზიციების გაძლიერებაც, რაც პირველი მსოფლიო ომის გამო შესუსტებული იყო და ევროპა არ იყო იმდენად ანგარიშგასაწევი ძალა მსოფლიო ასპა- 28

[16] Bieber/Epiney/Haag, Die Europäische Union, § 1 Rn. 6 ff.
[17] Hobe, Europarecht, § 1 Rn. 5.
[18] Streinz, Europarecht, § 2 Rn. 11.
[19] Oppermann/Classen/Nettesheim, Europarecht, § 1 Rn. 12.

რეზზე.[20]

29 მართალია, პანევროპული იდეა რეალობაში ვერ განხორციელდა, მაგრამ მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც მე-20 საუკუნის ოციანი წლების, ასევე მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის პოლიტიკაზე.[21] 1925 წელს, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა კუდენჰოვ-კალერგის იდეას ოფიციალურად მხარი დაუჭირა. 1929 წელს კი მომხრეებს შეუერთდა ერთა ლიგის პრეზიდენტი, საფრანგეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი არისტიდი. მან თავის ოფიციალურ გამოსვლაში წამოაყენა ერთა ლიგის ფარგლებში ევროპული ფედერაციის შექმნის იდეა.[22] გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტრესემანმა ამ იდეის მიმართ დადებითი დამოკიდებულება გამოხატა. მისი მთავარი მიზანი იყო ამ გზით გერმანიასა და საფრანგეთს შორის დაძაბულობის შემცირება რურის მხარის დაკავების გამო. ინგლისმაც და იტალიამაც იდეას მხარი დაუჭირეს.[23] მიუხედავად ამისა, 1929 წელს შტრესემანის გარდაცვალებისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო ეს იდეა ვერ განხორციელდა. ამასთანავე, ერთა ლიგის როლიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომელშიც ბევრი არაევროპული სახელმწიფო შედიოდა და მათ მიზანს არ წარმოადგენდა დამატებით ახალი ევროპული ორგანიზაციის შექმნა.[24]

§ 2. ერთიანი ევროპული იდეა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ

I. ევროპული გაერთიანების საფუძვლები

30 ინტეგრაციის ჩაშლილი მცდელობები, გერმანიასა და იტალიაში ნაციონალისტური იდეების წარმოშობა მეორე მსოფლიო ომის მთავარი გამომწვევი მიზეზი იყო. ამ ომის შედეგები კატასტროფული იყო მთელი კონტინენტისთვის. ომის დასრულების შემდგომ გამოიკვეთა ცივი ომის კონტურები, რამაც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ახალი ფორმით დაახლოების აუცილებლობა წარმოშვა. ამის მიზანი იყო ახალი ომის თავიდან აცილება და მსოფლიო ასპარეზზე პოლიტიკური

[20] Mickel, Handlexikon, XIX; Streinz/Ohler/Hermann, Vertrag von Lissabon, 3.
[21] დაწვრ. იხ. Oppermann/Classen/Nettesheim, Europarecht, § 1 Rn. 12.
[22] Mickel, Handlexikon, XIX; Oppermann/Classen/Nettesheim, Europarecht, § 1 Rn. 13.
[23] Mickel, Handlexikon, XIX.
[24] Streinz, Europarecht, § 2 Rn. 11.

გავლენის დაბრუნება ერთიანი ძალებით.25 ნაციონალური პრობლემების გადაწყვეტა ცალკეული სახელმწიფოების დონეზე უკვე არაეფექტური იყო, ხოლო საერთო კულტურული და ისტორიული წარსული კი ერთიანი სივრცის შექმნის კარგ საფუძველს წარმოადგენდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი იმპულსი ერთიანი ევროპისთვის იყო ჩერ- 31
ჩილის გამოსვლა ციურიხში 1946 წლის 19 სექტემბერს, სადაც მან ახალი ევროპული ოჯახის შექმნაზე ისაუბრა.26 1947 წელს კი ჰააგაში შედგა კონგრესი, რომელიც ევროსაბჭოს დაფუძნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო.[27] ამას მოჰყვა ევროპულ სახელმწიფოებს შორის ინტენსიური თანამშრომლობა და ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნა, როგორებიცაა დასავლეთევროპული კავშირი, ნატო, ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ორგანიზაცია და ბოლოს ევროგაერთიანება/ევროკავშირი.

II. ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება

გრაფ კუდენჰოვ-კალერგისა და ჩერჩილის გამოსვლებმა ციურიხში 32
საფუძველი ჩაუყარეს ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების შექმნას.[28] ერთი მხრივ, ამის მიზეზი იყო მშვიდობის შენარჩუნების იდეა ეკონომიკური დაახლოების გზით, მეორე მხრივ კი გერმანიის ისევ ჩართვა საერთო ეკონომიკურ პროცესებში, რასაც ის მეორე მსოფლიო ომის გამო გამოთიშული იყო. გერმანიისა და საფრანგეთის ქვანახშირისა და ფოლადის ინდუსტრიების გაერთიანების იდეა 1950 წელს წამოაყენა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შუმანმა მის თანამშრომელ მონესთან ერთად. ეს გაერთიანება უნდა დაქვემდებარებოდა სუპრანაციონალურ ორგანოს.[29]

1951 წლის 18 აპრილს, გერმანიის, ბელგიის, საფრანგეთის, იტალიის, 33
ლუქსემბურგისა და ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრებმა პარიზში ხელი მოაწერეს ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერ-

25 Hobe, Europarecht, § 2 Rn. 13; Oppermann/Classen/Nettesheim, Europarecht, § 2 Rn. 2.
26 Bieber/Epiney/Haag, Die Europäische Union, § 1 Rn. 9.
27 Oppermann/Classen/Nettesheim, Europarecht, § 2 Rn. 4.
28 Herdegen, Europarecht, § 4 Rn. 1.
29 Borchardt, Grundlagen der Europäischen Union, § 1 Rn. 12; Streinz, Europarecht, § 2 Rn. 17.

თიანების შესახებ ხელშეკრულებას.[30] მისი ეკონომიკური მიზანი იყო საერთო ბაზრის შექმნა, თუმცა მასში პოლიტიკური სიახლეებიც იყო ჩადებული. კერძოდ, გაერთიანების ხელმძღვანელობის კომპეტენცია გადაეცა ცალკეული მთავრობებისგან დამოუკიდებელ ორგანოს, რაც ევროპის ისტორიაში „კოპერნიკანულ" გარდატეხას წარმოადგენდა.[31] ამ გაერთიანების შექმნით ევროპაში დაიწყო ინტეგრაციის შეუქცევადი პროცესი, რომელიც დღემდე გრძელდება.[32] ინტეგრაციის ეს მეთოდი კი, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ დაახლოებას გულისხმობს, „მონეს მეთოდად" მოიხსენება.[33]

34 1952 წელს ხელშეკრულება ძალაში შევიდა. მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 50 წლით.[34] მასში პირველად იქნა ნახსენები ტერმინი **„ერთიანი ბაზარი"**, რომელიც დღეს მოქმედ ხელშეკრულებებშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს.[35] დღეს არსებული ევროკავშირის ორგანოებიც მაშინ დაფუძნებული სტრუქტურის მემკვიდრეები არიან. ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების ფარგლებში შეიქმნა სასამართლო, საპარლამენტო ასამბლეა, წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისგან შემდგარი საბჭო და უმაღლესი ორგანო (დღეისათვის კომისია).[36]

35 ჯერ კიდევ ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე ფრანგულმა მხარემ წამოაყენა იდეა ევროპის თავდაცვის გაერთიანების შექმნის შესახებ. თუმცა, იმავე საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ მას მხარი არ დაუჭირა სუვერენიტეტის შეზღუდვის საფრთხის გამო. თავდაცვის გაერთიანების შექმნის შემთხვევაში წევრ სახელმწიფოებს საკუთარ არმიაზე უარი უნდა ეთქვათ, რაც ეროვნული კრებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.[37]

§ 3. რომის ხელშეკრულებები

36 თავდაცვის გაერთიანების იდეის ჩავარდნამ მხარეებს ნათლად დაანახა, რომ აუცილებელი იყო ინტეგრაციის პროცესის ეკონომიკის

30 Borchardt, Grundlagen der Europäischen Union, § 1 Rn. 13; Herdegen, Europarecht, § 4 Rn. 1.
31 Ungerer/Monar, krebulSI: Lenz, EG-Handbuch, 3.
32 Oppermann/Classen/Nettesheim, Europarecht, § 2 Rn. 9.
33 Herdegen, Europarecht, § 4 Rn. 1.
34 Herdegen, Europarecht, § 4 Rn. 4.
35 Röttinger/Weyringer, Integration, 26.
36 Herdegen, Europarecht, § 4 Rn. 2.
37 Borchardt, Grundlagen der Europäischen Union, § 1 Rn. 14.

მიმართულებით განვითარება.[38] ეკონომიკურ დაახლოებას შემდგომში პოლიტიკური დაახლოებაც უნდა გამოეწვია.[39] ამიტომ, 1955 წელს ბენილუქსის ქვეყნებმა წამოაყენეს ცალკეული სახელმწიფოების მთლიანი ეკონომიკის გაერთიანებისა და ერთიანი ბაზრის შექმნის იდეა. მოგვიანებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ევროპული ეკონომიკური და ევროპული ატომური გაერთიანების პროექტი.[40] საფრანგეთმა და გერმანიამაც ამ პროექტს მხარი დაუჭირეს და 1957 წელს, რომში ხელი მოეწერა შესაბამის ხელშეკრულებებს, რომლებიც 1958 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში (ე.წ. რომის ხელშეკრულებები).[41]

რომის ხელშეკრულებების მეშვეობით წარმოიშვა ახალი გაერთიანებები, რომლებიც მოქმედი ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების პარალელურად არსებობდნენ, თუმცა სამივე მათგანი საერთო ჯამში პოლიტიკურად ერთიან სტრუქტურას წარმოადგენდა და შესაბამისად, დაიბადა **„ევროპული გაერთიანება“**.[42] 37

ატომურ კავშირთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების ყველა პუნქტი საბოლოოდ მაინც ვერ განხორციელდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ ზოგმა სახელმწიფომ საერთოდ უარი განაცხადა ატომური პროგრამების შექმნაზე, ზოგმა კი არა. შესაბამისად, თითოეული მათგანი განსხვავებულ გზას დაადგა.[43] 38

ევროპული ეკონომიკური გაერთიანების იდეა კი უფრო შორს წავიდა. მისი მთავარი მიზანი იყო ერთიანი ბაზრის შექმნა, საერთო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება და შეზღუდვების მოხსნა პირების თუ საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებით.[44] თუ ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება და ატომური კავშირი მხოლოდ კონკრეტულ სფეროებზე იყო მიბმული, ეკონომიკური გაერთიანება საკითხთა ფართო სპექტრს ეხებოდა, დაწყებული საერთო ეკონომიკით და დამთავრებული მასთან დაკავშირებული პოლიტიკით.[45] 39

[38] Herdegen, Europarecht, § 4 Rn. 5.
[39] Geiger, EUV/EGV, Präambel EUV, Rn. 3.
[40] Bieber/Epiney/Haag, Die Europäische Union, § 1 Rn. 16.
[41] Herdegen, Europarecht, § 4 Rn. 5.
[42] Borchardt, Grundlagen der Europäischen Union, § 1 Rn. 15.
[43] Röttinger/Weyringer, Integration, 29.
[44] Pfetsch, Union, 39.
[45] Röttinger/Weyringer, Integration, 30.

§ 4. პერიოდი მაასტრიხტის ხელშეკრულებამდე

40 რომის ხელშეკრულებების ხელმოწერის მიუხედავად საჭირო გახდა უამრავი პრობლემის გადალახვა, რათა ევროპა დღევანდელ მდგომარეობამდე ანუ ევროკავშირამდე მისულიყო. თავდაპირველად დღის წესრიგში დადგა არსებული სამი ევროპული ორგანიზაციის სტრუქტურების გაერთიანება, რაც 1965 წელს განხორციელდა კიდეც. მართალია, ეს ორგანოები ისედაც საერთო იყო, მაგრამ ევროპული გაერთიანებები ერთმანეთისგან მაინც დამოუკიდებელნი იყვნენ. სიახლეები შეეხო პარლამენტს, სასამართლოს, საბჭოსა და კომისიას, რასაც 1977 წელს ევროპის საანგარიშო პალატაც დაემატა.[46]

41 მიუხედავად ამ წარმატებისა, ევროპულ ინტეგრაციას გარკვეული ჩავარდნებიც ჰქონდა. 1965 წელს საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა საბჭოდან გამოიწვია საფრანგეთის წარმომადგენელი, ვინაიდან ის არ ეთანხმებოდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღებისას უმრავლესობის პრინციპზე გადასვლას. მისი აზრით ამით საფრთხე ექმნებოდა საფრანგეთის ნაციონალურ ინტერესებს.[47]

42 საფრანგეთი ასევე არ ეთანხმებოდა ევროპის სხვა სახელმწიფოების პოზიციას ძლიერი გაერთიანების შექმნის შესახებ. დე გოლის მოსაზრებით ევროპა უნდა ყოფილიყო პოლიტიკური გაერთიანება, რომლის კოორდინაციასაც წევრი სახელმწიფოების მთავრობებს დაქვემდებარებული ორგანოები განახორციელებდნენ. სხვა წევრები კი პირიქით, ემხრობოდნენ დამოუკიდებელი, სპეციალური ევროპული სტრუქტურების შექმნას, რაც მოხდა კიდეც.[48]

43 კრიზისი განიმუხტა 1966 წელს ე.წ. ლუქსემბურგის კომპრომისით, რომლითაც საფრანგეთს და სხვა სახელმწიფოებსაც ვეტოს უფლება მიეცათ. თითოეულ მათგანს შეეძლო დაებლოკა საბჭოში უმრავლესობის პრინციპით მიღებული გადაწყვეტილება.[49]

44 ამ კრიზისის გადალახვის შემდეგ ინტეგრაციის პროცესი ნაბიჯ-ნაბიჯ წინ წავიდა. 1972 წელს სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს ოფიციალურად ნება ევროკავშირის

[46] Thiele, Europarecht, 33; Herdegen, Europarecht, § 4 Rn. 7.
[47] Wessels, Das politische System, 73; Thiele, Europarecht, 34 ff.
[48] Oppermann/Classen/Nettesheim, Europarecht, § 2 Rn. 17 ff.
[49] Wessels, Das politische System, 73; Thiele, Europarecht, 73 ff.

შექმნის შესახებ.[50] ამას მოჰყვა 1983 წელს შტუტგარტში **ევროკავშირის შესახებ დეკლარაციის** მიღება, თუმცა ის კონკრეტულ ვალდებულებებს არ შეიცავდა.[51] ერთი წლის შემდეგ კი ევროპარლამენტმა დიდი უმრავლესობით დაამტკიცა ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების პროექტი.[52]

თითოეულმა ზემოთნახსენებმა ნაბიჯმა ინტეგრაციის პროცესს ახალი იმპულსი შესძინა. 1987 წელს სამთაერობო კონფერენციის შედეგად ძალაში შევიდა ერთიანი ევროპული აქტები. ის ეხებოდა შიდა ბაზართან, საგარეო თუ გარემოს დაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ თემებს. გარდა ამისა, აქ პირველად იქნა სავალდებულო სახით გათვალისწინებული ევროკავშირის შექმნა.[53] **45**

§ 5. მაასტრიხტის ხელშეკრულება და ევროკავშირის დაფუძნება

1992 წლის 7 თებერვალს, ევროგაერთიანების თორმეტმა წევრმა სახელმწიფომ მაასტრიხტში ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ევროკავშირის შესახებ.[54] ის ძალაში შევიდა 1993 წლის პირველ ნოემბერს და მისი მეშვეობით შეიქმნა ახალი, დინამიური კავშირი, რომლის ჩამოყალიბების პროცესი, რა თქმა უნდა, ამით არ დასრულებულა.[55] **46**

მაასტრიხტის ხელშეკრულება მანამდე არსებულ ხელშეკრულებებს კი არ ჩანაცვლებია, არამედ შექმნა ერთგვარი სახურავი არსებული ევროპული ორგანიზაციებისთვის (ევროპის ეკონომიკური კავშირი, ფოლადისა და ქვანახშირის გაერთიანება, ევრატომი). ახლად ჩამოყალიბებულ სისტემას **„სამბოძიან"** სისტემასაც უწოდებდნენ, რადგან ევროკავშირის სახურავქვეშ აღმოჩნდა შემდეგი სამი მიმართულება: ევროპული გაერთიანებები (პირველი ბოძი), საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (მეორე ბოძი) და ბოლოს, თანამშრომლობა იუსტიციისა და პოლიციის სფეროში (მესამე ბოძი).[56] **47**

უნდა აღინიშნოს, რომ მაასტრიხტის ხელშეკრულებას რთული მოლა- **48**

---

50 Pechstein, კომენტარებში: Streinz: EUV/EGV, Art. 1 EUV, Rn. 1.
51 Wessels, Das politische System, 84.
52 Borchardt, Grundlagen der Europäischen Union, § 1 Rn. 21.
53 Pechstein, კომენტარებში: Streinz: EUV/EGV, Art. 1 EUV, Rn. 1.
54 Geiger, EUV/EGV, Präambel EUV, Rn. 8.
55 Hackenberg, Grundzüge, 2. Teil, Rn. 3.
56 Schweitzer/Hummer, Europarecht, § 3 Rn. 58 ff.

პარაკებების პროცესი უძლოდა წინ. თავიდან ბრიტანეთი გამოთქვამდა უკმაყოფილებას საერთო აგრარული პოლიტიკისა და მაღალი შენატანების გამო, თუმცა მოგვიანებით ეს პრობლემა შენატანების შემცირებით მოგვარდა.[57] შემდგომში უკვე საფრანგეთის პრეზიდენტმა მოითხოვა, რომ ახალი კავშირის შექმნის საკითხის გადასაწყვეტად, მოწვეული ყოფილიყო სამთავრობო კონფერენცია, რაც განხორციელდა კიდეც. ორი ასეთი სამთავრობო კონფერენციის შედეგი იყო მაასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერა, მაგრამ ხელმოწერას მოჰყვა რთული რატიფიკაციის პროცესი ცალკეულ ქვეყნებში. საფრანგეთში მას მხოლოდ მოსახლეობის 51%-მა დაუჭირა მხარი, ხოლო ბრიტანეთში კი ამას თვეები დასჭირდა. გერმანიაშიც ამ დოკუმენტმა საკმაო კრიტიკა დაიმსახურა. მიუხედავად ყველაფრისა, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ის 1993 წელს მაინც შევიდა ძალაში.[58]

49 ევროკავშირის დაფუძნებით დიდი მიზანი იქნა მიღწეული. თუმცა ეს არ გულისხმობდა იმას, რომ ეს კავშირი უკვე სრულყოფილი სახით ჩამოყალიბდა. პირიქით, არსებული სამი ბოძიდან მხოლოდ პირველი თუ იყო რეალური გაერთიანება, რომელიც დამოუკიდებელი ევროპული ორგანოების მიერ იმართებოდა. დანარჩენი ორი სფერო სახელმწიფოთა მთავრობებზე იყო დამოკიდებული. სწორედ აქედან გამომდინარე თავიდანვე იქნა დაგეგმილი 1996/97 წლისთვის მომდევნო სამთავრობო კონფერენციის მოწვევა.

§ 6. ამსტერდამი და ნიცა

50 მაასტრიხტის ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული კონფერენცია დაიწყო ტურინში 1996 წელს და დასრულდა ამსტერდამის ხელშეკრულების ხელმოწერით 1997 წლის 2 ოქტომბერს. ის ძალაში შევიდა 1999 წელს.[59]

51 ამსტერდამის ხელშეკრულება ევროპაში არსებულ ახალ რეალობაზე იქნა მორგებული, რაც გამოწვეული იყო ევროკავშირის გაფართოებით აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოების მიღებით და ასევე, მანამდე პარალელურ რეჟიმში მოქმედი სხვადასხვა ხელშეკრულე-

[57] Müller-Härlin, Nation und Europa, 322 ff.

[58] Müller-Härlin, Nation und Europa, 325 ff; Weber, კრებულში: Hrbek, Vertrag von Maastricht, 121.

[59] Streinz, Europarecht, § 2 Rn. 49.

ბების და კომპეტენციათა გამიჯვნის სირთულით.[60] ახალმა ხელშეკრულებამ გარკვეული მიმართულებები ახლებურად მოაწესრიგა. მაგალითად, იუსტიციისა და საშინაო პოლიტიკის (მესამე ბოძი), სავიზო და მიგრაციის ცალკეული საკითხები გადატანილ იქნა გაერთიანების კომპეტენციაში (პირველ ბოძი).[61] გაიზარდა ევროპარლამენტის როლი. მნიშვნელოვანი სიახლე იყო სახელმწიფოთა შორის გაძლიერებული თანამშრომლობის ინსტიტუტის შემოღება. ამან მისცა ცალკეულ წევრ სახელმწიფოებს შესაძლებლობა გარკვეული მიმართულებებით, ერთმანეთს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაეღრმავებინათ და ინტეგრაციის პროცესი დაეჩქარებინათ, თუმცა, ამას ის ნეგატიური ეფექტიც ჰქონდა, რომ წარმოიშვა ე.წ. **ორი სიჩქარით მოძრავი ევროპა,** ერთი მხრივ, სახელმწიფოები გაძლიერებული თანამშრომლობით და მეორე მხრივ, დანარჩენი წევრები.[62]

მიუხედავად ამ სიახლეებისა, გარკვეული პრობლემები მაინც გა- **52**
დაუწყვეტელი დარჩა. თუნდაც იგივე გაძლიერებული თანამშრომლობა არ იძლეოდა საერთო ორგანოების შექმნის საშუალებას. ასევე საჭირო გახდა ახალი წევრი სახელმწიფოების, ანუ მომდევნო გაფართოების, ფაქტორის გათვალისწინებაც.[63] აქედან გამომდინარე, 2010 წლის თებერვალ-დეკემბერში წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ ახალი ხელშეკრულების შესამუშავებლად. 2001 წლის თებერვალში კი საგარეო საქმეთა მინისტრებმა ნიცაში ხელი მოაწერეს ახალ ხელშეკრულებას (ძალაში შევიდა 2003 წ. პირველ თებერვალს). ეს იყო მეოთხე მნიშვნელოვანი ხელშეკრულება ერთიანი ევროპული აქტების, მაასტრიხტისა და ამსტერდამის შემდეგ.[64]

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ამ ხელშეკრულების ხელ- **53**
მოწერამდე, 2000 წლის 12 მაისს ბომბივით გასკდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ფიშერის, განცხადება **ევროპული ფედერაციის** შექმნის ხედვის შესახებ. საერთო ჯამში, ხელმოწერამდე ორი მიმართულება წარმოიშვა. ერთნი მხარს უჭერდნენ არსებული ხელშეკრულებების უბრალოდ მოდიფიცირებას, დანარჩენები კი საერთოდაც ევროპული კონსტიტუციის შემუშავებას.[65] აზრთა სხვადასხვაობამ ლამისაა კონფერენცია ჩაშლის პირამდე მიიყვანა, თუმცა ევროპული

[60] Bleber/Epiney/Haag, Die Europäische Union, § 1 Rn. 16.
[61] Winkler, კომენტარებში: Bergmann/Lenz, Der Amsterdamer Vertrag, Kapitel 2, Rn. 13 ff.
[62] Streinz, Europarecht, § 2 Rn. 50 ff.; Herz/Jetzlsperger, Union, 67 ff.
[63] Wiedmann, EuR 2001, 185; Herdegen, Europarecht, § 4 Rn. 23.
[64] Hobe, Europarecht, § 2 Rn. 36 ff.
[65] Wiedmann, EuR 2001, 185.

ფედერაციის დაფუძნება ჯერ კიდევ ძალიან ადრე იყო და საბოლოოდ, კომპრომისის სახით ნიცას ხელშეკრულება იქნა ხელმოწერილი.[66]

54 ნიცას ხელშეკრულება ძირითადად ინსტიტუციონალურ ცვლილებებს ითვალისწინებდა. მაგალითად, გაძლიერდა დიდი მოსახლეობის მქონე სახელმწიფოების პოზიციები ხმების გადანაწილებისას, რაც ასევე ევროპარლამენტში წარმომადგენლების რაოდენობაზეც აისახა.[67] სიახლეები შეეხო გაძლიერებულ თანამშრომლობასაც, სადაც ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან მისი დაბლოკვის შესაძლებლობა შეიზღუდა. გაძლიერებული თანამშრომლობის მექანიზმი განსხვავებულად ჩამოყალიბდა: წევრ სახელმწიფოებს ჯერ საბჭოს ფარგლებში რეგულარული პროცედურის გავლით უნდა მიეღწიათ კომპრომისამდე და თუ ეს მცდელობა ჩაიშლებოდა, მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლოთ მათ გაძლიერებული თანამშრომლობის გზისთვის მიემართათ.[68] გარდა ამისა, ნიცას ხელშეკრულების თანმხლები მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ძირითადი უფლებების ევროპული ქარტიის პროკლამირება, თუმცა ის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი არ გამხდარა.[69]

§7. ევროკონსტიტუცია

55 ნიცას ხელშეკრულების ხელმოწერისა და რატიფიკაციის მიუხედავად ცხადი გახდა, რომ საჭირო იყო სრულიად ახალი პროექტის შემუშავება. მხარეები 2004 წლისათვის შეთანხმდნენ ახალი კონფერენციის მოწვევის თაობაზე.[70] მანამდე კი ახალი პროექტის შესამუშავებლად შეიქმნა „კონვენტი ევროპის მომავლის" შესახებ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ჟისკარ დ'ესტენის თაოსნობით. სწორედ ამ კონვენტს უნდა მოემზადებინა სამთავრობო კონფერენციისათვის წარსადგენად ევროკონსტიტუციის პროექტი.[71]

56 კონვენტი დაკომპლექტებული იყო მთავრობების, პარლამენტე-

[66] Hatje, EuR 2001, 144.
[67] Herdegen, Europarecht, § 4 Rn. 23 ff.
[68] Hatje, კომენტარებში: Schwarze, EU-Kommentar, 1. Aufl., Art. 11 EGV, Rn. 4 ff.
[69] Streinz, Europarecht, § 2 Rn. 56.
[70] Herdegen, Europarecht, § 4 Rn. 26.
[71] Streinz/Ohler/Hermann, Die neue Verfassung, 13.

ბის, ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი სახელმწიფოების, ევროკომისიისა და ევროპარლამენტის 105 წარმომადგენლისაგან და ის საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე იდგა.[72] მას უნდა გაეერთიანებინა მანამდე არსებული ხელშეკრულებები ერთ დოკუმენტში და ამავდროულად, სახელმწიფოებს შორის ადრე მიღწეული კომპრომისებიც უნდა გაეთვალისწინებინა.[73] მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა შედეგის მიღწევა და 2003 წლის 18 ივლისს კონვენტმა ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტს გადასცა ევროკონსტიტუციის პროექტი.[74] ყველაზე საინტერესო მომენტი იყო ის, რომ კონვენტმა, მიუხედავად იმისა, რომ მას შეეძლო პროექტის რამდენიმე ვარიანტი შეემუშავებინა, საბოლოოდ მაინც მოახერხა ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება და ევროკავშირის საბჭოს ერთი პროექტი გადასცა განსახილველად.[75]

2003 წლის პირველი სამთავრობო კონფერენცია საბჭოში ხმების გა- **57**
დანაწილების საკითხის გამო ჩაიშალა. პოლონეთსა და ესპანეთს სურდათ მათი არაპროპორციული ხმების რაოდენობის შენარჩუნება, ამას კი საფრანგეთი და გერმანია არ დაეთანხმნენ.[76] მომდევნო წელს ესპანეთში მთავრობა შეიცვალა და კონსენსუსიც მიღწეულ იქნა. 2004 წლის 24 ოქტომბერს სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურებმა ხელი მოაწერეს ევროკონსტიტუციას.[77]

ახალ ევროპულ კონსტიტუციაზე პოლიტიკურ დონეზე ინტეგრაციის **58**
თვალსაზრისით დიდ იმედებს ამყარებდნენ, თუმცა, რეალობაში ის რატიფიკაციის სირთულეების გამო ჩავარდა. საფრანგეთსა და ნიდერლანდებში მოსახლეობამ მას მხარი არ დაუჭირა. მოსახლეობის მხრიდან გამოხატული ეს უნდობლობა სხვადასხვა რამით შეიძლება აიხსნას. თუნდაც იმავე სიტყვა „კონსტიტუციამ" შექმნა შთაბეჭდილება, რომ ის ეროვნული სუვერენიტეტის შეზღუდვას გამოიწვევდა.[78] მოსახლეობაში ასევე გარკვეულ უნდობლობას იწვევდა ახალი წევრი სახელმწიფოების მიღება.[79]

მიუხედავად კონსტიტუციის პროექტის ჩავარდნისა, ის მაინც უმნიშ- **59**
ვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ევროკავშირის განვითა-

---

72 Möstl, Verfassung, 22 ff.
73 Oppermann, კრებულში: Beckmann/Dieringer/Hufeld, Verfassung, 199.
74 Möstl, Verfassung, 23.
75 Oppermann, კრებულში: Schwarze, Verfassungsentwurf, 23.
76 Streinz/Ohler/Hermann, Die neue Verfassung, 17.
77 Vedder/Heintschel von Heinegg, კომენტარებში: Vedder/Heintschel von Heinegg (Hrsg.), Verfassungsvertrag, 37.
78 Streinz/Ohler/Hermann, Die neue Verfassung, 14.
79 Hackenberg, Europarecht, Rn. 32.

რების გზაზე. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღეისათვის მოქმედი ლისაბონის ხელშეკრულება რეალობაში შინაარსობრივად კონსტიტუციის ძალიან ბევრ ელემენტს შეიცავს და შესაბამისად, კონსტიტუციის პროექტი ირიბად მაინც განაგრძობს არსებობას.

60 ევროკონსტიტუციის მთავარი მიზანი იყო მანამადე არსებული სამართლებრივი რეალობის ერთიან ჩარჩოში მოქცევა ისე, რომ ის გასაგები გამხდარიყო როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის, ასევე პარტნიორებისათვის საერთაშორისო არენაზე. ევროკავშირი უნდა გამხდარიყო სრულყოფილი სამართალსუბიექტი. საერთო საგარეო და უსაფრთხოების (მეორე ბოძი) და პოლიციისა და იუსტიციის სფეროში თანამშრომლობის საკითხების ძირითადი ნაწილი უნდა გადასულიყო ევროკავშირის კომპეტენციაში (პირველი ბოძი).[80] გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებდა ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის შემოღებას. ამას ემატებოდა ევროპარლამენტის უფრო აქტიური ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ის ხდებოდა ევროკავშირის მოქალაქეების წარმომადგენელი ძლიერი ორგანო[81] და მანამდე სადავო მისი დემოკრატიული ლეგიტიმაციის თემაც ამოიწურებოდა. პარლამენტი ხდებოდა ევროკავშირის სხვა ორგანოების თანასწორი ორგანო.[82]

§ 8. ლისაბონის ხელშეკრულება

61 ევროკონსტიტუციის რატიფიკაციის რთულმა პროცესმა მხარეები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ამ პროექტის შენარჩუნება შეუძლებელი იყო.[83] 2007 წელს ევროკავშირის საბჭომ ოფიციალურად უარი განაცხადა ევროკონსტიტუციის პროექტზე. ამავდროულად მოშაობა დაიწყო ახალი პროექტის შემუშავებაზე. პოლიტიკური სიტუაცია ადრინდელთან შედარებით უფრო ხელსაყრელი იყო. საფრანგეთსა და ავსტრიაში გამართული არჩევნების შედეგად ახალი პრეზიდენტი და ახალი ფედერალური კანცლერი მოვიდა სათავეში და სხვა ქვეყნე-

[80] Rack/Fraiss, Eine Verfassung für Europa, 40.
[81] Kluth, კომენტარებში: Calliess/Ruffert, Verfassung, Art. I-20, Rn. 2.
[82] Kluth, კომენტარებში: Calliess/Ruffert, Verfassung, Art. I-20, Rn. 8.
[83] Hackenberg, Europarecht, Rn. 51.

ბიც მზად იყვნენ სიახლისათვის.[84]

2007 წლის ივნისში ევროკავშირის საბჭომ, ბრიუსელში, გადაწყვიტა ევროკონსტიტუციის პროექტის შესაბამისი ახალი ხელშეკრულების შემუშავება. მას ხელი მოეწერა იმავე წლის დეკემბერში ლისაბონის სამიტზე.[85] კონსტიტუციის მსგავსად, ლისაბონის ხელშეკრულებასაც რატიფიკაციის რთული პროცესის გავლა დასჭირდა. ირლანდიაში, მაგალითად, მოსახლეობას გაუჩნდა შიში, რომ ხელშეკრულება კათოლიკური ეკლესიის აკრძალვასა და აბორტის ლეგალიზაციას გამოიწვევდა და ამ აბსურდული ხმების გავრცელებას პოპულისტური პრესა უწყობდა ხელს. ამიტომაც, 2008 წელს იქ რეფერენდუმზე პროექტი ჩავარდა.[86] ჩეხეთში მის ხელმოწერაზე უარს აცხადებდა პრეზიდენტი კლაუსი, გერმანიაში კი საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი იქნა შეტანილი. საბოლოოდ, ეს ყველა პრობლემა მაინც გადალახულ იქნა და **2009 წლის 1 დეკემბერს** ლისაბონის ხელშეკრულება ძალაში შევიდა. 62

ახალ ხელშეკრულებაში კონსტიტუციის ძირითადი პუნქტები შენარჩუნებულ იქნა, თუმცა სტრუქტურულად მისგან განსხვავდება.[87] ის შედგება ორი დოკუმენტისგან: **ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება და ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულება** (ადრე ევროგაერთიანების შეს. ხელშ.). ორივე მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია (ევროკ. შეს. ხელშ. პირველი მუხ. მე-3 აბზ.) და აწესრიგებს ევროკავშირთან დაკავშირებულ საკითხებს, რადგან სწორედ ის გახდა ევროგაერთიანების სამართალმემკვიდრე. ევროკონსტიტუციის მსგავსად აქაც სამბოძიანი სისტემა გაუქმებულ იქნა, მაგრამ ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭა. ტერმინს „კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი" ჩაენაცვლა „კავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში". ეს წარმომადგენელი ამავდროულად არის ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი და საგარეო ურთიერთობათა საბჭოს თავმჯდომარე. 63

ევროკავშირი, ლისაბონის ხელშეკრულების თანახმად, მიუერთდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და ძირითად უფლებათა ევროპული ქარტია სცნო სავალდებულოდ. გამონაკლისს წარ- 64

[84] Streinz/Ohler/Hermann, Die neue Verfassung, 14; Fischer, Der Vertrag von Lissabon, 33 ff.
[85] Fischer, Vertrag von Lissabon, 33 ff.
[86] Hackenberg, Europarecht, Rn. 51.
[87] Hobe, Europarecht, § 3 Rn. 63.

მოადგენენ პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი და ჩრდილოეთ ირლანდია. აღსანიშნავია ისიც, რომ შეზღუდული უფლებამოსილების პრინციპი ადრინდელის მსგავსად ისევ მნიშვნელოვან პრინციპად დარჩა. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების პირველი მუხლი მას მოიხსენებს როგორც ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპს.[88]

65 კომპეტენციის თემაზე საუბრისას ერთმანეთისგან უნდა იქნას განსხვავებული **განსაკუთრებული და ე.წ. განაწილებული კომპეტენციები.** პირველ მათგანში შედის მაგალითად ვალუტა, საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და მათ ექსკლუზიურად ევროკავშირი არეგულირებს. განაწილებული კომპეტენციის შემთხვევაში კი წევრი სახელმწიფოები იღებენ გარკვეული მიმართულებების დარეგულირებას თავის თავზე, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირმა თვითონ არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.[89]

66 ლისაბონის ხელშეკრულების მიღებით ევროკავშირმა ხანგრძლივი განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და ახლავე ცხადია, რომ ის არ იქნება ბოლო მსგავსი დოკუმენტი ინტეგრაციის გზაზე. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან ცალკეულ წევრ სახელმწიფოებში სრულიად განსხვავებული მოსაზრებები არსებობს მომავალ განვითარებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ვერც იმას ვიტყვით, რომ ლისაბონის ხელშეკრულება რიგითი მოქალაქეებისთვის ადვილად გასაგებია და „სახალხო პედაგოგიური" მიზნებისთვის გამოდგება,[90] მაგრამ ეს დიდი ნაკლი არ არის და მას ეს არც მოეთხოვება. მთავარია, რომ მან ხელი შეუწყო ევროკონსტიტუციის პროექტის ჩავარდნით გამოწვეული კრიზისის გადალახვას.[91]

დასკვნა

67 ევროპული ინტეგრაციის ისტორია ნათლად უჩვენებს, რომ გაერთიანებისა და დაახლოების პროცესი ორ ძირითად მიმართულებაზე იყო აგებული. პირველი, ეს არის ეკონომიკა და მეორე, პოლიტიკური წონის შენარჩუნება მსოფლიო არენაზე. დაცალკევების შემთხ-

[88] Fischer, Der Vertrag von Lissabon, 94.
[89] Hobe, Europarecht, § 3 Rn. 63.
[90] Herdegen, Europarecht, § 4 Rn. 36.
[91] Hobe, Europarecht, § 3 Rn. 78; Mayer, JuS 2010, 195.

ვეჯაში ევროპულ სახელმწიფოებს გაუჭირდებოდათ მნიშვნელოვანი გამოწვევების მარტო გადაწყვეტა. საქართველოც სწორედ მსგავსი გამოწვევის წინაშე დგას. ის მოქცეულია დიდი სახელმწიფოების ინტერესების გასაყარზე და ევროპულ ინტეგრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში თითქმის წარმოუდგენელია მისი, როგორც სრულყოფილი დამოუკიდებელი სუბიექტის არსებობა.

მართალია, საინტერესო პრეცედენტი შეიქმნა ე.წ. ბრექსიტით, რომლითაც დიდი ბრიტანეთი 2019 წლისთვის გავა ევროკავშირის შემადგენლობიდან, მაგრამ ჯერჯერობით ევროკავშირში მოქმედ ძირითად ხელშეკრულებებზე ამას გავლენა არ მოუხდენია. 68

თავი 3. ევროპული სისხლის სამართალი

§ 1. ევროპული სისხლის სამართლის ცნება

69 კლასიკური ნაციონალური სისხლის სამართლის ცნებისგან განსხვავებით, რომელსაც თუნდაც ქართული სისხლის სამართლის მაგალითზე ვიცნობთ, ევროპული სისხლის სამართლის გაგებას უფრო კომპლექსური მიდგომა სჭირდება. ეს არ არის ევროკავშირის მიერ შემუშავებული სისხლისსამართლებრივი ნორმების კრებული კოდექსის სახით.[92] ტერმინოლოგიურად ერთმანეთისგან განასხვავებენ ევროპულ სისხლის სამართალს ფართო გაგებით, რომელშიც იგულისხმება სისხლის სამართალი ევროსაბჭოს ფარგლებში (განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გავლენები ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართალზე) და ევროპულ სისხლის სამართალს ვიწრო გაგებით, ანუ ევროკავშირის ფარგლებში.

70 ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში, ეს არის ყველა იმ სისხლისსამართლებრივი (როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო) ნორმისა და პრაქტიკის ერთიანობა, რომელიც ევროკავშირის სამართლიდან გამომდინარეობს და წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი სისტემების ჰარმონიზაციისკენ არის მიმართული.[93]

71 ევროპული სისხლის სამართლის ერთიანი კონცეფცია ჯერ კიდევ არ არსებობს,[94] თუმცა ლისაბონის ხელშეკრულება მისი ჩამოყალიბების ახალ საშუალებებს იძლევა და არც არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში ევროკავშირმა სისხლისსამართლებრივი შინაარსის მქონე ნორმები თვითონ გამოსცეს და კონკრეტული სისხლისსამართლებრივი შემადგენლობები დაადგინოს, რომლებიც წევრ სახელწიფოებში შესასრულებლად სავალდებულო იქნება.[95]

72 აქამდე არსებული სამართლებრივი რეალობა, სადაც ევროკავშირის როლი სისხლის სამართლის სფეროში შეზღუდული იყო, გარკვეული ისტორიული თუ სხვა წინაპირობებით იყო გამოწვეული. მაგალითისთვის შეგვიძლია ავიღოთ მე-19 საუკუნეში დაფუძნებული რაინის

[92] Satzger, Europäislerung, 58; Ambos, Int. Strafrecht, § 9 Rn. 4; Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 7 Rn. 2.

[93] Ambos: კომენტარებში: Joecks/Miebach, Münchener Kommentar, Bd. 4, §§ 3-7 Rn. 7; Safferling, Int. Strafrecht, § 9 Rn. 6.

[94] Sieber, ZStW 121 (2009), 1.

[95] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 7 Rn. 2; Safferling, Int. Strafrecht, § 9 Rn. 7.

სანაოსნო გაერთიანება. ამ გაერთიანების ფარგლებში შესაძლებელი იყო სისხლისსამართლებრივი დარღვევების დროს მისთვის მიემართათ როგორც დამატებითი ინსტანციისთვის. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ მოცემულ შემთხვევაში იმ სახელმწიფოს სამართალი გამოიყენებოდა, რომლის სანაპიროს ტერიტორიაზეც დარღვევა იყო ჩადენილი. გაერთიანების დონეზე ცალკეული დამოუკიდებელი სისხლისსამართლებრივი ნორმები არ არსებობდა. ეს მაგალითი კარგად უჩვენებს ევროპული სახელმწიფოების პოზიციას, რომ სისხლის სამართალი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი სპეციფიკიდან გამომდინარე სხვის, თუნდაც, იგივე საერთაშორისო ორგანიზაციების ხელში.[96] მოგვიანებით, სხვა რეალობა დადგა და ევროპული სახელმწიფოები წინ წავიდნენ ინტეგრაციის გზაზე, რისი შედეგიც იყო თავდაპირველად ევროგაერთიანების, შემდგომ კი – ევროკავშირის შექმნა. მიუხედავად ამისა, მაინც არ არის მარტივი ევროკავშირის სამართლისა და ნაციონალური სისხლის სამართლის ერთიან ჩარჩოებში მოქცევა. ამას განაპირობებს ის, რომ ევროკავშირის სამართალი და წევრი სახელმწიფოს სამართალი ერთმანეთის პარალელურად არსებობენ როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემები და ჰარმონიზაციის პროცესი ხშირად მათ შორის კოლიზიას იწვევს.[97]

სისხლის სამართალს ევროგაერთიანების ფარგლებში თავიდან მეო- **73**
რეხარისხოვანი ადგილი ეკავა. დაახლოება და ინტეგრაცია სხვა სფეროებში უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამის მიზეზად ისევ და ისევ მისი ნაციონალური სპეციფიკა სახელდებოდა და მოქმედი ხელშეკრულებებიც მას ნაკლებად ეხებოდნენ.[98] მოგვიანებით, განვითარების ტემპებიდან გამომდინარე, უკვე ამის ასე დატოვება შეუძლებელი გახდა. სისხლის სამართალი ახალი სამართლებრივი რეალობის ფონზე აღარ იყო ნაციონალური სუვერენიტეტის ბასტიონი და აუცილებელი გახდა მისი ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოება.[99]

ადრინდელ დისკუსიებში სისხლის სამართალთან დაკავშირებით მი- **74**
სი ევროპეიზაციის მოწინააღმდეგეებს ხშირად სწორედ ისტორიული არგუმენტები მოჰყავდათ და აცხადებდნენ, რომ ევროპულ ხელშეკრულებებში თავიდანვე მასზე თითქმის არ იყო საუბარი და აქედან გამომდინარე, ის ისევ წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაში უნდა

[96] Jescheck, ZStW 65 (1953), 498 ff.
[97] Jescheck, ZStW 65 (1953), 501.
[98] Vormbaum, Rechtsgüter, 48; Knaut, Umweltstrafrecht, 305.
[99] Gärditz, wistra 1999, 294; Dannecker, JURA 2006, 95.

დარჩენილიყო.[100] ამ მოსაზრების მოწინააღმდეგეები კი აცხადებდნენ, რომ ისტორიული განმარტების მეთოდს ამხელა მნიშვნელობა არ უნდა მინიჭებოდა.

75 ორივე ამ მოსაზრებას შეგვიძლია დავეთანხმოთ, მაგრამ დღეს მოქმედი ლისაბონის ხელშეკრულება სულ სხვა რეალობას ქმნის. ევროკავშირის კომპეტენცია ცალკეულ სისხლისსამართლებრივ საკითხებთან მიმართებაში მასში ცალსახად იქნა ჩადებული, ანუ ხელშემკვრელი მხარეების ნება შეიცვალა. თუნდაც, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლი უშვებს ევროკავშირის დონეზე, დირექტივების გამოცემის მეშვეობით სისხლისსამართლებრივი შინაარსის მინიმალური სტანდარტების დადგენას. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ დირექტივის გამოცემის შემდგომ საკუთარი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა უნდა მოარგოს მასში გათვალისწინებულ მინიმალურ სტანდარტებს, ეხება ეს სასჯელებს თუ კონკრეტულად შემადგენლობებს.

76 სიახლეები შეეხო თაღლითობებთან ბრძოლასაც. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 325-ე მუხლი ჩაენაცვლა ევროგაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 280-ე მუხლს. 280-ე მუხლი, მართალია, წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებდა გაეტარებინათ საჭირო ღონისძიებები თაღლითობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ამავე მუხლის მე-4 აბზაცში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ამ ღონისძიებებში სისხლის სამართალი არ მოიაზრებოდა.[101] მიუხედავად ამ ფორმულირებისა, ზოგი ავტორი ცდილობდა მაინც მოეხდინა ამ მუხლის ისეთი ინტერპრეტაცია, რომ თითქოს ის სისხლისსამართლებრივ ქმედებებსაც უშვებდა, თუმცა, ეს მიდგომა ზედმეტად ხელოვნური იყო და აშკარად სცდებოდა ნორმის შინაარსს.[102] ახალმა, 325-ე მუხლმა ამ საკითხს ნათელი მოჰფინა და დისკუსიების საფუძველიც გაქრა. მასში გადმოტანილ იქნა იგივე ვალდებულებები, რაც 280-ე მუხლში ეწერა, მაგრამ მე-4 აბზაცი ამოღებულ იქნა. 325-ე მუხლი დღეის მდგომარეობით არ კრძალავს თაღლითობასთან საბრძოლველად ანუ ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დასაცავად სისხლისსამართლებრივი შინაარსის ევროპული ნორმების გამოცემას. თუ 83-ე მუხლი საუბრობს მხოლოდ დირექტივების გამოცემაზე, რომელსაც არ გააჩნია პირდაპირი მოქმედების ძალა,

[100] Satzger, Europäisierung, 136.
[101] Tiegs, Betrugsbekämpfung, 1.
[102] Ambos, Int. Strafrecht, 2. Aufl., § 11 Rn. 4 ff.

325-ე მუხლი პირდაპირი მოქმედების აქტებისთვისაც (დადგენილებები) გზას ხსნის.[103]

77 ცალკეული სახელმწიფოების სისხლის სამართალზე ევროპული კანონმდებლობის გავლენის გაზრდის, ანუ ევროპეიზაციის შედეგად, ლოგიკურია, რომ სისხლის სამართლის დოგმატიკაშიც შესაბამისი ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული. სისხლის სამართლის დოგმატიკა, როგორც წესი, საკუთარ კანონმდებლობაზე აკეთებს ორიენტირს და ითვალისწინებს ქვეყნის სამართლებრივ წარსულს. ეს თვალსაჩინოა განსაკუთრებით სხვადასხვა ნორმების განმარტების დროს. დღეს მიმდინარე ევროპეიზაციის პროცესში კი უკვე ახლებური მიდგომები არის საჭირო. შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ ნორმებთან ერთად აუცილებელია ევროპული კანონმდებლობის გათვალისწინებაც. ეს მომენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული სისხლისსამართლებრივი დოგმატიკისთვის. ევროპული სისხლის სამართლის კონტექსტში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ერთი მხრივ, ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან საქართველოს თითქმის მთელი მე-20 საუკუნის გატარება მოუწია საბჭოთა სამართლის ფარგლებში,[104] მეორე მხრივ კი, მოგვიანებით, 90-იან წლებში ის ჯერ კიდევ არ იყო ისე ახლოს ევროკავშირთან, რომ ევროპული გავლენების სრული ანალიზი მომხდარიყო. თუმცა, უკვე დადგა დრო, რომ ეს სურათი შეიცვალოს და საქართველომ რეალურად დაიწყოს იმ ვალდებულების შესრულება, რაც მან ჯერ კიდევ 1997 წლის პარლამენტის დადგენილებით აიღო თავზე. მხოლოდ პოლიტიკურ დონეზე ევროპასთან დაახლოების ხაზგასმა არ არის საკმარისი, რათა საქართველო გახდეს ერთიანი ევროპული ოჯახის თუნდაც ასოცირებული წევრი. ქართულმა სისხლისსამართლებრივმა დოგმატიკამ უნდა დაიწყოს იმის გააზრება, თუ რას გულისხმობს ევროპული სამართლის გავლენა ნაციონალურ სისხლის სამართალზე და რისი გათვალისწინება მოგვიწევს მომავალში.

[103] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 8 Rn. 24 ff.

[104] დანვერ. ქართული სისხლის სამართლის მეცნიერების ისტორიის შესახებ იხ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, 1 და შემდეგი; ასევე გამყრელიძე, ზოგადი ნაწილის განმარტება, 9 და შემდეგი;

§ 2. ევროპული სისხლის სამართლის მიზნები

I. სისხლის სამართლის ამოცანები

78 სისხლის სამართლის უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს მოქალაქეების თავისუფალი და მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფაში, ყველა კონსტიტუციურ-სამართლებრივი უფლების გათვალისწინებით.[105] ამით ის არ განსხვავდება სამართლის სხვა დარგებისგან, რადგან მათი ამოცანაც სწორედ ადამიანების თანაცხოვრების რეგულირებაში გამოიხატება. განსხვავება მდგომარეობს სანქციებში, რომლებითაც სისხლის სამართალი ცდილობს საზოგადოებაში სულ მცირე მინიმალური სტანდარტების დაცვას.[106] მოწესრიგებული საზოგადოებრივი ცხოვრება სისხლისსამართლებრივი სანქციების გარეშე წარმოუდგენელია და ისინი პრევენციულ ხასიათს ატარებენ.[107] ამავდროულად არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სისხლისსამართლებრივი ჩარევა ამა თუ იმ სფეროში აუცილებლობით უნდა იყოს გამოწვეული. ზოგადად, ნებისმიერი რეგულაცია გულისხმობს იმას, რომ ის უკეთ ანესრიგებს სოციალურ ცხოვრებას, ვიდრე ეს აქამდე იყო. ეს მოთხოვნა სისხლის სამართალზეც ვრცელდება.[108]

79 სამართლის სხვა დარგებისგან განსხვავებით სისხლის სამართალი იცავს საზოგადოებას და ცალკეულ პირებს დანაშაულებისგან. სხვა დარგები კი მხოლოდ რეგულაციაზე არიან ორიენტირებულნი. სხვანაირად შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლისათვის დაცვის ფუნქცია არის პირველადი ამოცანა, ხოლო რეგულირება კი მეორადი.[109]

80 კონკრეტულად სისხლისსამართლებრივი დაცვის ფუნქცია გამოიხატება სამართლებრივი სიკეთეების დაცვაში. სამართლებრივი სიკეთე არის საზოგადოების თუ ცალკეული პირების სოციალური თუ სამართლებრივად აღიარებული სხვა ინტერესი, რომელიც მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე სისხლისსამართლებრივ დაცვას ექვემდებარება.[110] სამართლებრივი სიკეთის ორი სახე არსებობს, **ინდივიდუალური** (სიცოცხლე, ჯანმრთელობა...) და **უნი-**

105 Roxin, Strafrecht AT, Bd. 1, § 2 Rn. 7.
106 Baumann/Weber/Mitsch, Strafrecht AT, § 3 Rn. 4.
107 Schmidt, Strafrecht AT, Rn. 2.
108 Baumann/Weber/Mitsch, Strafrecht AT, § 3 Rn. 6 ff.
109 გამყრელიძე, ზოგადი ნაწილის განმარტება, 49; შეად. Schmidt, Strafrecht AT, Rn. 2.
110 Wessels/Beulke, § 1 Rn. 7.

ვერსალური/ზეინდივიდუალური (სახელმწიფოს კონსტიტუციური წეს-წყობილება, გარემო...).

უნდა ითქვას, რომ სამართლებრივი სიკეთეების დაცვაზე ორიენტირებული სისხლის სამართალი გარკვეულ საფრთხეებსაც შეიცავს. ყოველთვის არსებობს იმის ალბათობა, რომ პოლიტიკური თუ სხვა მიზეზიდან გამომდინარე კანონმდებელი ახალ უნივერსალურ სიკეთეებს „აღმოაჩენს", რომლის დასაცავად სისხლისსამართლებრივ სანქციებს შემოიღებს.[111] მსგავსი სიახლეებისადმი განსაკუთრებით ფრთხილი მიდგომა არის საჭირო რეფორმების ეტაპზე მყოფი ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, მაგრამ ეს არც დიდი სამართლებრივი ტრადიციების მქონე ქვეყნებისთვის არის უცხო მოვლენა.[112] **81**

II. ევროპული სისხლის სამართლის სპეციალური მიზნები

ევროპული სისხლის სამართლის მიზნები, მართალია, ზოგადად სრულად შეესაბამება ზემოაღწერილ სისხლის სამართლის მიზნებს, იქნება ეს უსაფრთხოების უზრუნველყოფა თუ თავისუფლების დაცვა, მაგრამ მას თავისი სპეციფიკაც გააჩნია.[113] **82**

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლი შემდეგი შინაარსით არის ჩამოყალიბებული: **83**

> კავშირი სთავაზობს თავის მოქალაქეებს თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცეს შიდა საზღვრების გარეშე, სადაც – იმ შესაბამის ღონისძიებებთან კავშირში, რომლებიც დაკავშირებულია საზღვრების კონტროლთან, თავშესაფართან, მიგრაციასთან, ასევე დამნაშავეობის თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლასთან – უზრუნველყოფილია პირების თავისუფალი გადაადგილება.

[111] Baumann/Weber/Mitsch, Strafrecht AT, § 3 Rn. 14.

[112] შეად. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც მან კანაფის შეძენის (საკუთარი მოხმარებისთვის) და ფლობის სისხლისსამართლებრივი დასჯადობა „სახალხო ჯანმრთელობის" დაცვის მიზნებით კონსტიტუციურად ცნო – BVerfGE 90, 145 ff.

[113] Sieber, ZStW 121 (2009), 2.

84 მაშასადამე, ევროპული სისხლის სამართლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა არის იმ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ერთი ქვეყნის ფარგლებს სცილდება. ამას ემატება ევროკავშირის ინსტიტუციებისა და ღირებულებების დაცვა.[114]

1) დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა

85 ადრე თუ საუბარი იყო მხოლოდ იტალიაზე, აშშ-სა თუ იაპონიაზე, ორგანიზებული დამნაშავეობის თემა დღეს ყველგან აქტუალურია.[115] გლობალიზაცია და გადაადგილების გააქტიურება კრიმინალსაც შეეხო. ორგანიზებული დამნაშავეობა საზღვრებს არ ცნობს და შესაბამისად, ევროკავშირმაც სათანდო ზომები უნდა მიიღოს.[116] დამნაშავეობის გლობალიზაციას ხელი შეუწყო ერთი მხრივ ტექნიკურმა პროგრესმა, მეორე მხრივ კი ეკონომიკურმა ფაქტორებმა და ევროპის შიგნით საზღვრების გახსნამ.[117]

86 ამავე კონტექსტში აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამაც გამოიწვია ორგანიზებული დანაშაულების ახალი ფორმების წარმოშობა. ეს ეხება იგივე რუსულ დანაშაულებრივ გაერთიანებებს, რომლებიც ტრეფიკინგისა და ნარკოტიკებით არალეგალურად ვაჭრობის სფეროებში აქტიურობენ. ამას ემატება ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა მოქალაქეების, მათ შორის ქართველების, დანაშაულებრივი ჯგუფებიც. მართალია, ქართული დაჯგუფებები არ გამოირჩევიან ისეთი ორგანიზებული ნიშნებითა და ტრადიციებით, როგორც ეს მაფიისთვის არის დამახასიათებელი, თუმცა, მას საშიში მასშტაბების მიღწევა მაინც შეუძლია. ამაზე მეტყველებს 2010 წელს, ავსტრიის ფედერალური კრიმინალური პოლიციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში. მასში საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა გარკვეული ჯგუფი ქართულ მაფიად არის მოხსენიებული, რომელიც 2009 წელს ცდილობა საქართველოში მიმდინარე დემონსტრაციები თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. დასკვნისთვის საჭირო ინფორმაციები ავსტრიელმა გამომძიებლებმა ევროკავშირის ფარგლებში ჩატარებული სპეცოპე-

114 Sieber, ZStW 121 (2009), 3.
115 Fijnaut, კრებულში: Sieber, Int. org. Kriminalität, 4.
116 Gropp, კრებულში: Gropp/Huber, Initiativen, 936; Hecker, Europ. Strafrecht, § 1 Rn. 34.
117 Sieber, ZStW 121 (2009), 3.

რაციების საფუძველზე მოიპოვეს. 2010 წლის მარტში, გერმანიაში, ავსტრიაში, ესპანეთსა და შვეიცარიაში 75 პირი იქნა დაკავებული.[118]

ეს მაგალითი ნათლად უჩვენებს იმას, რომ ადრე უმნიშვნელო, პატარა ქვეყნებიდან წამოსული დაჯგუფებებიც კი შესაძლოა არა მხოლოდ მათი წარმომავლობის ქვეყნებისთვის, არამედ ევროკავშირისთვისაც კი საშიში იყოს, რადგან ისინი მის ტერიტორიაზე ეწევიან არალეგალურ საქმიანობას და ამით იფინანსებენ თავს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მსგავს დანაშაულობასთან ბრძოლის კიდევ უფრო მეტი ინტერნაციონალიზაცია. დღეისთვის არსებული მექანიზმები ბევრ ბიუროკრატიას შეიცავენ და შესაბამისი უწყებებიც სხვა ქვეყნებში ეფექტურად ვერ მოქმედებენ. ერთი მხრივ, კრიმინალური სამყარო უკვე სცდება ერთი ქვეყნის ფარგლებს, ხოლო მეორე მხრივ მას უპირისპირდებიან ცალკეული სახელმწიფოების ჩარჩოებში მოქცეული სამართალდამცავი ორგანოები, რაც საბოლოო ჯამში, გარკვეული პროგრესის მიუხედავად, არ იძლევა სათანადო ეფექტს.[119] 87

ევროკავშირმა ორი მიმართულებით უნდა გააქტიუროს მუშაობა, პირველი – თვითონ მის ფარგლებში წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობისთვის უფრო ეფექტური სამართლებრივი საფუძვლების შექმნა უნდა მოხდეს და მეორე – გააქტიურდეს კონტაქტები არაწევრ სახელმწიფოებთან. რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყველა არაწევრ სახელმწიფოსთან თანაბარ დონეზე კოოპერაცია, მაგრამ შესაძლებელია გარკვეული პრიორიტეტების გამოყოფა, მაგალითად, კონცენტრირება ე.წ. „სამეზობლო პოლიტიკის“ წევრ სახელმწიფოებზე (მასში შედის საქართველოც). ამასთანავე, ეს სახელმწიფოებიც თავის მხრივ მზად უნდა იყვნენ საკუთარი კანონმდებლობის კოოპერაციისათვის გასახსნელად.[120] 88

ერთი რამ ცხადია, რომ ევროგაერთიანების ფარგლებში ევროპეიზაციის პროცესი სხვა სფეროებში ბევრად უფრო წინ არის წასული, ვიდრე ეს სისხლის სამართალშია. ამიტომ აუცილებელია ამ დანაკლისის შევსება.[121] 89

---

118 დაწვრ. იხ.http://www.fr-online.de/in_und_ausland/politik/aktuell/2773073_Wiener-Ermittler-Georgiens-Mafia-plante-Umsturz.html; ასევე The Wall Street Journal -http://online.wsj.com/article/SB10001424052748704699604575343000053285786.html?KEYWORDS=saakashvili (ნანახია 1.12.2011).

119 Sieber, კრებულში: Delmas-Marty, Corpus Juris, 2.

120 Sieber, ZStW 121 (2009), 4.

121 Tiedemann, კრებულში: Kreuzer/Scheuing/Sieber, Europäisierung der Rechtsordnungen, 134.

2) ევროკავშირის ორგანოები, ღირებულებები და მათი სისხლისსამართლებრივი დაცვა

90 გლობალიზაციის შედეგად წარმოშობილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა და ევროპეიზაციის პროცესმა საფუძველი დაუდო ახალი, „ევროპული" სამართლებრივი სიკეთეების წარმოშობას.[122] ევროკავშირი არის დამოუკიდებელი საერთაშორისო სამართლის სუბიექტი sui generis, რომელიც ეტაპობრივად სახელმწიფოებრივ ფორმებს იღებს, მაგრამ მთლიანი მისი უფლებამოსილება წევრი სახელმწიფოებისგან მომდინარეობს (მათგან აქვს მიღებული).[123] შესაბამისად, აუცილებელია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი სამართლებრივი სისტემებით არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ევროკავშირის სამართლებრივი სიკეთეებიც უნდა დაიცვან.

91 ევროკავშირს არ გააჩნია სისხლის სამართლის სფეროში კლასიკური გაგებით საქმიანობის საკუთარი კომპეტენცია (გარდა გარკვეული გამონაკლისებისა). სწორედ წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ მისი სამართლებრივი სიკეთეების სისხლისსამართლებრივი მექანიზმებით დაცვა, იქნება ეს ევროკავშირის პოლიტიკური წყობილება, მისი ცალკეული ორგანოები თუ სხვა.[124]

92 ევროპული სისხლის სამართლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ასევე ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვა. ამას ყურადღება უნდა მიექცეს განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ ზოგადად, კლასიკური ნაციონალური სისხლის სამართალი უცხო სახელწიფოების თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ორგანოების ინტერესების დაცვაზე არ აკეთებს აქცენტს.[125] ევროკავშირის ფინანსური ინტერესების ერთობლივი დაცვის საჭიროება ძალიან დიდია. სხვადასხვა შეფასებებით, საერთო ბიუჯეტის 20%-მდე ოდენობა ხდება თაღლითობების მსხვერპლი, იქნება ეს კრედიტების არასწორად გაცემა, გადასახადების გადამალვა და ა.შ.[126] აღნიშნულ პრობლემასთან ეფექტურად საბრძოლველად, ევროპარლამენტის ინიციატივით შემუშავებულ იქნა

[122] Sieber, ZStW 121 (2009), 5.

[123] Bitzilekis/Kaiafa-Gbandi/Simeonidou-Kastanidou, კრებულში: Schünemann, Gesamtkonzept, 222 ff.

[124] Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 1; Bitzilekis/Kaiafa-Gbandi/Simeonidou-Kastanidou, კრებულში: Schünemann, Gesamtkonzept, 223 ff.

[125] Sieber, ZStW 121 (2009), 5.

[126] Sieber, კრებულში: Delmas-Marty, Corpus Juris, 4.

*„Corpus Juris"*ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დასაცავად. ეს კოდექსის მსგავსი დოკუმენტი სხვადასხვა დანაშაულებრივ შემადგენლობას შეიცავს და სანქციებსაც ითვალისწინებს (მოსყიდვა, ფულის გათეთრება, ქრთამის აღება და ა.შ.).[127] უნდა აღინიშნოს, რომ Corpus Juris არ არის სავალდებულო ხასიათის დოკუმენტი. ის მხოლოდ პროექტია, სადაც პირველად იქნა ჩამოყალიბებული და დეფინირებული ის ევროპული ინტერესები, რომელთა სისხლისსამართებრივი დაცვაც აუცილებელია. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპული სისხლის სამართლის განვითარების შესახებ მიმდინარე დისკუსიებში.[128]

ზემოთნახსენებ პროექტში მოცემული სფეროების გარდა, მეცნიერები მიუთითებენ ეკონომიკის სხვა მიმართულებებში გააქტიურების აუცილებლობისკენ, იქნება ეს საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე სპეკულაციები თუ წევრი სახელმწიფოების მხრიდან არასწორი მონაცემების მიწოდება ევროკავშირისთვის. ამის კარგი მაგალითია საბერძნეთი, რომლის მიერ მიწოდებულმა ცრუ ეკონომიკურმა მონაცემებმა მთელი ევროკავშირი რთულ სიტუაციაში ჩააყენა. ევროპულმა სისხლის სამართალმა მთელი საფინანსო სფერო უნდა მოიცვას. ამ მიმართულებით კანონმდებლობის ჰარმონიზაციის განუხორციელებლობა დაუშვებელია, ვინაიდან საფინანსო სფეროში ჩავარდნები მთელ საბაზრო ეკონომიკაზე ახდენს ნეგატიურ გავლენას.[129] **93**

2003 წელს ევროპარლამენტისა და საბჭოს მიერ გამოცემულ იქნა დირექტივა ბაზარზე მანიპულაციების შესახებ,[130] მაგრამ იქ გათვალისწინებული იყო პასუხისმგებელი პირების მიმართ მხოლოდ ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარების ვალდებულება. რაც შეეხებოდა სისხლისსამართლებრივ სანქციებს, დირექტივა მის გამოყენებას არ კრძალავდა, თუმცა, ეს თითოეული სახელმწიფოს ნებაზე იყო დამოკიდებული და არა სავალდებულო.[131] რამდენიმეხნიანი დაკვირვების შედეგად ევროკომისიამ დაასკვნა, რომ აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმი არ აღმოჩნდა ეფექტური ფინანსური ბაზრების დასაცავად და წარმოდგენილ იქნა ერთის მხრივ დადგენილების,[132] **94**

[127] დაწვრ. იხ. Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 8 Rn. 32 ff.
[128] Hecker, Europ. Strafrecht, § 14 Rn. 34 ff.
[129] Foffani, კრებულში: Tiedemann, Wirtschaftsstrafrecht, 341.
[130] ABl. L 96 vom 12.4.2003, 16.
[131] დაწვრ. იხ. Böse/T.Koch, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 17, Rn. 1 ff.
[132] ABl. L 173 vom 12.6.2014, 1.

მეორე მხრივ კი სისხლისსამართლებრივი დირექტივის პროექტი,[133] რომლებიც 2014 წელს იქნა მიღებული.[134]

3) ინდივიდუალური თავისუფლებების დაცვა

95 ევროპული სამართლით გარანტირებული ინდივიდუალური თავისუფლების გათვალისწინება ევროპული სისხლის სამართლისთვისაც უმნიშვნელოვანესი მომენტია. ამის გაუთვალისწინებლობა ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის ჩამოყალიბების პროცესში შექმნიდა საფრთხეებს როგორც ცალკეული უფლებების, ასევე მთლიანი ევროპული სისხლის სამართლის დემოკრატიული ლეგიტიმაციის თუ წევრ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის მიმართულებით.[135]

96 ადამიანის უფლებების დაცვის კომპლექსურობის კარგი მაგალითია ე.წ. ევროპული დაპატიმრების ბრძანების ინსტიტუტი. ის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის მოქმედი ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. ამ პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ რომელიმე ერთ წევრ სახელმწიფოში კანონიერად მიღებული გადაწყვეტილება სხვა სახელმწიფოებშიც უნდა იქნას აღიარებული და ცნობილი.[136] ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპი თავის დროზე ერთიანი ევროპული შიდა ბაზრის ხელშესაწყობად იქნა შემოღებული და მისი გადატანა სისხლის სამართლის სფეროში არცთუ ადვილია. ამან შესაძლოა დაცვის უფლებები შელახოს და სამართლიანი სასამართლოს პრინციპიც დააზარალოს.[137] მოცემული საფრთხეებიდან გამომდინარე, სახელმწიფოთა თანამშრომლობის ამ ფორმას ხშირად აკრიტიკებენ. კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული პრინციპის სისხლის სამართალზე გადატანა საერთო ჯამში „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის“ ევროპულ ცნებას საფრთხის ქვეშ აყენებს. ეს შეიძლება გამოიწვიოს იმან, რომ ერთ სახელმწი-

[133] ABL. L 173 vom 12.6.2014, 179.
[134] დაწვრ. იხ. Waßmer, კრებულში: Jlshkarlani/Waßmer, Die Europäisierung des georgischen Wirtschaftsstrafrechts, 210 და შემდეგი.
[135] Sieber, ZStW 121 (2009), 9.
[136] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 10 Rn. 24; შეად. ასევე Schünemann, ZRP 2003, 186 ff.
[137] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 10 Rn. 25.

ფოში გამოცემული დაპატიმრების ბრძანება, რომელიც თავის მხრივ შეიძლება იქ მკაცრ კონტროლს არ ექვემდებარებოდეს, საჭიროების შემთხვევაში უნდა აღსრულდეს სხვა სახელმწიფოებში, სადაც უფრო მაღალი სამართლებრივი სტანდარტები მოქმედებს.[138] ამან შესაძლოა ინდივიდუალური უფლებების, განსაკუთრებით თავისუფლების უფლების, დაცვის უფრო დაბალ საფეხურზე გადასვლა გამოიწვიოს. მაღალი სტანდარტების მქონე ქვეყნები იძულებული ხდებიან აღიარონ და აღასრულონ ის ბრძანება, რომელიც მათთან შესაძლოა არც კი გაცემულიყო. კრიტიკოსები ევროპული დაპატიმრების ბრძანებაში სასამართლო ხელისუფლების შესუსტების საფრთხესაც ხედავენ. მათი მოსაზრებით, სასამართლოს უფლებები სხვა სახელმწიფოს მიერ გაცემული დაპატიმრების ბრძანების გადამოწმებასთან მიმართებაში შეზღუდულია და ეს მთლიანი ევროპული სისხლის სამართლის დემოკრატიულ ლეგიტიმაციას ეჭვქვეშ აყენებს.[139]

კრიტიკოსთა ამ მოსაზრებებს მთლიანად ვერ დავეთანხმებით, განსაკუთრებით დემოკრატიულ ლეგიტიმაციასა და ძირითადი უფლებების დაცვასთან მიმართებაში. ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლით ევროპარლამენტს დღეისათვის მეტი კომპეტენცია გააჩნია მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში. გარდა ამისა, ძირითად უფლებათა ევროპული ქარტია ლისაბონის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი გახდა და ის შესასრულებლად სავალდებულოა. მიუხედავად ამისა, მართლმსაჯულების სფეროში ურთიერთთანამშრომლობისას სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. **97**

ევროკავშირის სამართლის თუ ევროპული სისხლის სამართლის განვითარების პროცესში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას სუბსიდიარულობისა და სუვერენიტეტის პრინციპები.[140] **98**

სუბსიდიარულობის პრინციპის თანახმად, ევროკავშირი, იმ სფეროებში, რომლებიც მის განსაკუთრებულ კომპეტენციას არ განეკუთვნება, საქმიანობს მხოლოდ მაშინ, როცა დასახული ღონისძიებების მიზნების საკმარისად განხორციელება წევრი სახელმწიფოების მიერ არც ცენტრალურ, არც რეგიონალურ ან ადგილობრივ დონეზე არ არის შესაძლებელი და მათი მოცულობის და შედეგების გათვალისწინებით, კავშირის დონეზე უკეთესად განხორციელებადია. **99**

[138] Schünemann, ZRP 2003, 187.
[139] Albrecht, ZRP 2004, 3 ff.
[140] Sieber, ZStW 121 (2009), 15.

100 სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ევროკავშირის მიერ სათანადო ზომების გატარება უფრო სრულყოფილ შედეგებს გამოიწვევს (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 5, აბზ. 3).[141] კითხვის დასმა ასეც შეიძლება: იქნებოდა თუ არა უფრო ღირებული ნორმების გამოცემა ევროკავშირის მიერ?[142]

101 მაშასადამე, სუბსიდიარულობის პრინციპი განსაზღვრავს, თუ როდის შეუძლია ევროკავშირს იმოქმედოს. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას მეორე მნიშვნელოვანი პრინციპიც, კერძოდ, **თანაზომიერების პრინციპი.**[143]

102 ის, გულისხმობს, რომ კავშირის მიერ გატარებული ღონისძიებები არც შინაარსობრივად და არც ფორმალურად არ უნდა სცდებოდნენ ხელშეკრულებით დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო ფარგლებს (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 5, აბზ. 4).[144]

103 თანაზომიერების პრინციპი ერთგვარად იცავს წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივ სისტემებს ზედმეტი ჩარევისგან. თუნდაც რომ იყოს სუბსიდიარულობის პრინციპი დაცული და არსებობდეს ევროკავშირის მხრიდან სათანდო ზომების გატარების აუცილებლობა, მან მაინც უნდა აარიდოს თავი ძალიან დეტალურ ფორმულირებებს, მაგალითად, წინასწარ დაწვრილებით ჩამოყალიბებულ დანაშაულებრივ შემადგენლობებს. წევრ სახელმწიფოებს უნდა რჩებოდეთ იმის შესაძლებლობა, რომ თავიანთი კანონმდებლობის თავისებურებების გათვალისწინებით მოახდინონ ევროკავშირის ნორმების იმპლემენტაცია, რაც წინასწარ დეტალურად გაწერილი მოთხოვნების შემთხვევაში რთულია, ვინაიდან ყველა სახელმწიფოს ამა თუ იმ სისხლისსამართლებრივი საკითხისადმი თავისებური მიდგომა და ტრადიცია გააჩნია.[145] აღნიშნულს ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 აბზაცით გათვალისწინებული ლოიალური ურთიერთთანამშრომლობის პრინციპიც ავალდებულებს. ამ ნორმიდან გამომდინარე, ორივე მხარე, როგორც კავშირი, ასევე მისი წევრი სახელმწიფო, ვალდებულია გაითვალისწინოს მეორე მხარის თავისებურებანი.[146] წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე შეექმნება ევროპული ინტეგრაციის მთელ პროცესს.

---

141 Safferling, Int. Strafrecht, § 9 Rn. 58 ff.
142 Walter, ZStW 117 (2005), 920.
143 შეად. Kubiciel, NStZ 2007, 138.
144 Safferling, Int. Strafrecht, § 9 Rn. 64.
145 Kubiciel, NStZ 2007, 139.
146 Satzger, Europäisierung, 166 ff., 172.

სუბსიდიარულობისა და დემოკრატიის თემები პირდაპირ არის დაკავ- 104
შირებული სახელმწიფოთა **სუვერენიტეტის პრინციპთან**. სუვერენიტეტი წევრი სახელმწიფოებისთვის მთავარი ამოსავალი წერტილია[147] და სისხლის სამართალი მისი მყარი შემადგენელი ნაწილია.[148] სწორედ სუვერენიტეტის მომენტი აქცევს გარკვეულ ჩარჩოებში ევროპული სისხლის სამართლის განვითარებას.[149] სუვერენიტეტის ცნება ერთგვარად გადაულახავ ფსიქოლოგიურ მომენტად იქცა ამ მიმართულებით, მაგრამ ამავდროულად სახელმწიფოები გვერდს ვერ უვლიან იმას, რომ თანამედროვე პირობებში აუცილებელია უფრო აქტიური თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან.[150] ამასთანავე, ისიც უნდა გავითავისოთ, რომ დღეისთვის, ინტეგრაციის პროცესების გაღმავების ფონზე სუვერენიტეტის ადრინდელ გაგებას ვერ დავეყრდნობით. გამოსავალი მდგომარეობს არა დემოკრატიული ლეგიტიმაციის ძველი გაგების შენარჩუნებაში, რაც სისხლისსამართლებრივი ინტეგრაციის პროცესს მნიშვნელოვნად შეაფერხებს, არამედ იმაში, რომ სახელმწიფოებმა თავიანთი ნების საფუძველზე უნდა დათმონ გარკვეულ საკითხებში საკუთარი კომპეტენციები.[151] ლისაბონის ხელშეკრულების ხელმოწერით სწორედ ამ მიმართულებით გადაიდგა ნაბიჯები და ევროკავშირის კომპეტენცია სისხლის სამართალში ნაწილობრივ გაიზარდა.

III. ქართული სისხლის სამართლის მიზნები და სამართლებრივი სიკეთეები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა განვითარების საკ- 105
მაოდ ხანგრძლივი იდეოლოგიური გზა გამოირა. ეს პროცესი დაიწყო 1922 და 1928 წლებში საბჭოთა იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მიღებული სისხლის სამართლის კოდექსების გამოცემით. მოცემული პერიოდისთვის ზოგადად დამახასიათებელი იყო სამართლებრივი ნიჰილიზმი. იდეოლოგია იმდენად შორს მიდიოდა, რომ უახლოეს მომავალში სახელმწიფოსა და სამართლის არსებობა საერთოდ ზედმეტი უნდა გამხდარიყო. ამ მიდგომიდან გამომდინარე, ცხადია, თუ რა ხარისხით

147 Meyer, Demokratieprinzip, 46.
148 Ambos, Int. Strafrecht, 2. Aufl., § 11 Rn. 4 ff.
149 Jung/Schroth, GA 1983, 253; Meyer, Demokratieprinzip, 47; შეად. Heger, JZ 2006, 310 ff.
150 Jung/Schroth, GA 1983, 253.
151 Ambos, Int. Strafrecht, 2. Aufl., § 11 Rn. 5; Satzger, Europäislerung, 136 ff.

დაეთმობოდა ადამიანის უფლებების დაცვას ყურადღება. ბრალის პრინციპი საერთოდ იგნორირებულ იქნა, ხოლო ანალოგია სისხლის სამართალში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და ყოველივე ამის გამართლება ხდებოდა კლასებს შორის ბრძოლის აუცილებლობით. სამწუხაროდ, მე-20 საუკუნის 20-იანი და 30-იანი წლების საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსებმა და მათ შორის ქართულმაც, ლეგალური საფუძველი შექმნეს ასეულათასობით ადამიანის რეპრესირებისთვის.

106 საბჭოთა სამართლებრივი სისტემის ექსკლუზიური ნიშანი იყო სოციალისტური სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე აქცენტის გაკეთება.[152] ეს პრიორიტეტი უნდა ასახულიყო საბჭოთა კავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს სისხლის სამართლის კოდექსში. სისხლის სამართლის კოდექსის პირდაპირი მიზანი იყო არსებული იდეოლოგიის დაცვა. მაგალითად, საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლი დასჯადად აცხადებდა ანტისაბჭოთა პროპაგანდას და იურიდიულ ლიტერატურაშიც ეს ქმედება ერთ-ერთ ყველაზე საშიშ დელიქტად მიიჩნეოდა.[153] მთავრობის წინააღმდეგ არასწორი და ძირგამომთხრელი ინფორმაციის გავრცელებაც ამ მუხლის შემადგენლობაში იყო გათვალისწინებული.[154] ბელორუსის სისხლის სამართლის კოდექსის 103-ე მუხლი კი ისე შორს მიდიოდა, რომ ის, ვინც გადასახადების არგადახდას უწევდა პროპაგანდას, დაისჯებოდა.[155] საბჭოთა პერიოდში ყველა დელიქტი განიხილებოდა იდეოლოგიურ ჩარჩოში. პარკში ხმამაღალი გინება და ყვირილიც კი საბჭოთა სისტემის მიმართ უპატივცემლობის გამოხატულებად მიიჩნეოდა და მკაცრად უნდა ყოფილიყო დასჯილი. მსგავს ქმედებებს მთავარი იდეოლოგი, ლენინი, კაპიტალისტური საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს მიაკუთვნებდა და მათ წინააღმდეგ საჭირო ზომების გატარებას მოითხოვდა.[156]

107 მაშინდელი წყობილებისთვის ეკლესიაც აბსოლუტური ტაბუ იყო. იურიდიულ ლიტერატურაში ეკლესიას რეაქციულ ძალად მოიხსენიებდნენ.[157] სტალინისტური კონსტიტუციის 124-ე მუხლი უზრუნველყოფდა რელიგიისგან თავისუფალი ნებისმიერი საქმიანობის გარანტიას.

---

152 შეად. ნერეთელი/ტყეშელიაძე, ზოგადი ნაწილის კომენტარები, 5.

153 ასე თვლიდა მაგ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, 52 და შემდეგი.

154 დაწვრ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, 52 და შემდეგი.

155 მენშაგინი, სისხლის სამართალი, მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაული, 10 და შემდეგი.

156 მენშაგინი, სისხლის სამართალი, მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაული, 83 და შემდეგი; ასევე ისაევი, ქონებრივი დანაშაული, 8 და შემდეგი.

157 მენშაგინი, სისხლის სამართალი, მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაული, 133.

რელიგიის სწავლება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში აკრძალული იყო და სისხლისსამართლებრივად ისჯებოდა (იხ. მაგ. საბჭოთა რუსეთის სსკ-ის მუხ. 122).[158]

მესამე და ბოლო ქართული საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი ძალაში შევიდა 1961 წელს და მოგვიანებით, მან საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოქმედების ძალა შეინარჩუნა. ეს კოდექსი წინამორბედებთან შედარებით უფრო ლიბერალური იყო, რადგან სტალინი უკვე გარდაცვლილი იყო. მასში ანალოგია აკრძალულ იქნა და ბრალის პრინციპსაც მეტი ყურადღება მიექცა.[159] 108

დამოუკიდებელი საქართველის სისხლის სამართლის კოდექსი ხელმოწერილ იქნა 1999 წელს და 2000 წელს ის ძალაში შევიდა. მასში სამართლებრივი სიკეთეების სტრუქტურა ახლებურად იქნა ჩამოყალიბებული. 109

სამართლებრივი სიკეთეების თანმიმდევრობა სისხლის სამართლის კოდექსში თითოეული სახელმწიფოს პრიორიტეტებზე თუ ისტორიულ წარსულზე არის დამოკიდებული. თუ ადრე სახელმწიფოს, მონარქისა და რელიგიის დაცვა იყო წინა პლანზე წამოწეული, მოგვიანებით ეს მიდგომა შეიცვალა.[160] დღეისთვის მოქმედი ქართული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი საქართველოს კონსტიტუციით დაცულ ღირებულებათა თანმიმდევრობას ეყრდნობა: პიროვნება, საზოგადოება, სახელმწიფო.[161] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებით იწყება: ამით კანონმდებელმა ხაზი გაუსვა ძველი იდეოლოგიისგან გათავისუფლებას და სახელმწიფოს ინტერესების დაცვა სიმბოლურად კოდექსში ბოლო ადგილზე გადაიტანა. 110

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიერ დაცულ სამართლებრივ სიკეთეებს თუ შევადარებთ სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან, ვნახავთ, რომ ის არ გამოირჩევა მათგან რაიმე განსაკუთრებული თავისებურებებით და საერთო ევროპულ სტანდარტებს შეესატყვისება. მაგალითად, ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსში სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და საკუთრების დაცვა კო- 111

[158] მენშაგინი, სისხლის სამართალი, მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაული, 134 და შემდეგი.
[159] გამყრელიძე, ზოგადი ნაწილის განმარტება, 9 და შემდეგი.
[160] ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი I, 32 და შემდეგი.
[161] ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი I, 34.

დექსის პირველ ნაწილშია მოქცეული, სახელმწიფო ინტერესებისა კი მეორეში.[162] დაახლოებით ამის მსგავსად არის შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსიც აგებული. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი კი მათგან გამოირჩევა, რაც მისი ისტორიით არის განპირობებული. კოდექსის კერძო ნაწილის დასაწყისშივე მშვიდობის დაცვასა და აგრესიული ომის მომზადების აკრძალვაზე არის საუბარი. აგრესიული ომის მომზადების შემადგენლობა (§ 80) ე.წ. „სიმბოლურ სისხლის სამართალს" განეკუთვნება და პრევენციის მიზანს ემსახურება.[163] ამას მოსდევს ისეთი სამართლებრივი სიკეთეები, როგორებიცაა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო, საგარეო უსაფრთხოება და სახელმწიფო ორგანოები. მიუხედავად ამ თანმიმდევრობისა, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, რა თქმა უნდა, ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთეების დაცვას მაღალ დონეზე უზრუნველყოფს. როგორც უკვე აღინიშნა, კოდექსში გაკეთებული ეს თანმიმდევრობა გერმანიის წარსულიდან გამომდინარეობს.

112 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სიახლე იყო ახალი თავის შემოღება: დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ (მუხ. 404-413). ეს სიახლე ლოგიკურად დაკავშირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილთან, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. იგივე ვალდებულება იქნა სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილში გადატანილი. საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის ერთ-ერთი წევრია და შესაბამისად, მისი კანონმდებლობა იძლევა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების იმპლემენტაციის საშუალებას. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს მხრიდან მრავალი ასეთი აქტი იქნა რატიფიცირებული და სხვადასხვა ვალდებულებები აღებული.[164]

113 სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნა შემდეგი შემადგენლობები: აგრესიული ომის მომზადება ან წარმოება, გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ეკოციდი და ა.შ.[165] ეს სიახლეები შეესაბამებოდა იმ პროცესებს, რაც იმ დროს გაეროს

[162] დანერ იხ. Bachner-Foregger, Strafgesetzbuch, § 75 ff.
[163] Güntge, კომენტარებში: Satzger/Schluckebier/Widmaier, Strafgesetzbuch, § 80 Rn. 1 ff.
[164] ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, 18.
[165] დანერ. იხ. აეტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი II, 592 და შემდეგი.

ფარგლებში მიმდინარეობდა აღნიშნული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. 2002 წელს რომის სტატუტის საფუძველზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოც ამუშავდა,[166] რასაც 2003 წელს საქართველოს პარლამენტის მხრიდან სტატუტის რატიფიცირება და შემდგომში სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი სიახლეების შეტანა მოჰყვა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ასევე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მიმართულებითაც გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო გამოცდილება. შესაბამისი ნორმების დაცვის ობიექტია საჯარო უსაფრთხოება და სახელმწიფოს პოლიტიკური, სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესები.[167] **114**

დასკვნა

მესამე თავში გაკეთებული მოკლე ანალიზი გვიჩვენებს, რომ ევროპული სისხლის სამართალი წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივ სისტემებში ჩადებული მიზნებით არ შემოიფარგლება. მისი უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს სპეციფიკური, ევროპული ამოცანების გადაწყვეტაში. **115**

ევროკავშირის სისხლის სამართალს, მისი სპეციფიკური მიზნების მიუხედავად, ბევრი რამ აქვს საერთო ნაციონალურ სისხლის სამართალთან. ინდივიდუალური სამართლებრივი ინტერესების დაცვა მისთვისაც მნიშვნელოვანია. ამასთანავე, ევროპულ სისხლის სამართალზე საუბრისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, გამოცემული ნორმების დემოკრატიული ლეგიტიმაციისა და სუბსიდიარულობის პრინციპები. **116**

საერთო ჯამში, ქართული სისხლის სამართალი მისი მიზნებითა და დაცული სამართლებრივი სიკეთეებით საერთაშორისო თუ ევროპულ **117**

[166] დაწვრ. იხ. Werle, Völkerstrafrecht, Rn. 56 ff.; დაწვრ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შეს. იხ. დგებუაძე, კრებულში: ტურავა, სისხლის სამართლის მეცნიერება, 325 და შემდეგი.

[167] დაწვრ. იხ. ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი II, 272.

გამოცდილებასთან არ მოდის წინააღმდეგობაში და განსაკუთრებულ თავისებურებებს არ შეიცავს. თუმცა, ამასთანავე, გასარკვევია ის საკითხი, თუ რა ხარისხით არის შესაძლებელი მისი საშუალებით ევროპული ინტერესების დაცვა.

თავი 4. ევროკავშირის სტრუქტურა და მისი განსხვავება ევროსაბჭოსგან

§ 1. ევროკავშირის ორგანოები

აღნიშნულ თავში მოკლედ იქნება განხილული ევროკავშირის იმ ორ- 118
განოების ფუნქციები და შექმნის წესი, რომლებიც გავლენას ახდენენ სისხლისსამართლებრივ პროცესებზე.

I. ევროპარლამენტი

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-14 მუხლი ევროპარლა- 119
მენტს ევროკავშირის (მინისტრთა) საბჭოსთან ერთად საკანონმდებლო ორგანოდ მიხსენიებს, რომელიც ევროკავშირის მოქალაქეების მიერ აირჩევა 5 წლის ვადით წევრ სახელმწიფოებში. მას საკანონმდებლოსთან ერთად მაკონტროლებელი ფუნქციაც გააჩნია, მათ შორის მასში იგულისხმება ევროკომისიის პრეზიდენტის არჩევა (მუხ. 14 ნაწ. 1).

საინტერესოა ის, რომ ევროპარლამენტი არ წარმოადგენს ცალკეუ- 120
ლი წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს, არამედ ევროკავშირის მოქალაქეებს.[168] ეს მკვეთრად ჩანს ლისაბონის ხელშეკრულებაში, კერძოდ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მეორე ნაწილში, სადაც ხაზგასმულია, რომ პარლამენტი შედგება ევროკავშირის მოქალაქეების წარმომადგენლებისგან.[169] ეს არ არის მხოლოდ სიმბოლური დატვირთვის მატარებელი ტექსტი, არამედ მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად ევროკავშირის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს არარსებობისა, გარკვეული ფედერალიზაციის ნიშნები შეინიშნება.[170] ასევე, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ევროპარლამენტარები გადაწყვეტილებების მიღებისას არა ვიწრო ნაციონალური ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდნენ, არამედ საერთო ევროპულით.

განსხვავებით ნაციონალური პარლამენტებისგან, ევროპარლამენ- 121
ტი არ არის ერთადერთი საკანონმდებლო ორგანო. მასთან ერთად ამ ფუნქციას ითავსებს ევროკავშირის (მინისტრთა) საბჭო (ევროკავშ.

168 Oppermann/Classen/Nettesheim, Europarecht, § 5 Rn. 24.
169 Oppermann/Classen/Nettesheim, Europarecht, § 5 Rn. 24.
170 Oppermann/Classen/Nettesheim, Europarecht, § 5 Rn. 24.

საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 294). გარდა ამისა, მას არც საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს, ეს ევროკომისიის კომპეტენციაში შედის (ევროკავშ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 294, აბზ. 2). მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, ევროპარლამენტი ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ბევრად უფრო გაძლიერდა.[171] მანამდე მისი საკანონმდებლო ფუნქციები აზრის დაფიქსირებით თუ შემოიფარგლებოდა.

122 დღეისათვის ევროპარლამენტთან მიმართებაში სამი ფაქტორის ხაზგასმა შეიძლება: პირველი – ის არის მკვეთრად დამოუკიდებელი ევროკომისიისა და ევროკავშირის საბჭოსაგან, რაც გამოიხატება თუნდაც იმაში, რომ შეიძლება სულაც არ გაიზიაროს მათი პოზიცია; მეორე – ძირითადი დისკუსიების და გადასაწყვეტ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების (წინასწარი) ტვირთის გადატანა ქვეკომიტეტებზე, სადაც ფაქტიურად წინასწარ ხდება პოზიციების ჩამოყალიბება-შეჯერება და არა პლენარულ სხდომებზე და მესამე – მაკონტროლებელი ფუნქცია.[172]

123 რაში გამოიხატება კონკრეტულად მაკონტროლებელი ფუნქციები? ეს გამოხატება იმაში, რომ ევროკომოსია ვალდებულია ევროპარლამენტის წინაშე წარადგინოს ანგარიშები. უკიდურეს შემთხვევაში კომისიის წინააღმდეგ ნდობის საკითხის დაყენებაც შეიძლება. ამასთანავე ევროპარლამენტს შეუძლია მიმართოს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს რომელიმე აქტის ბათილად ცნობის ან სხვა ორგანოს უმოქმედობის გამო.[173]

124 მართალია, უმეტეს შემთხვევაში საკანონმდებლო პროცესი ევროკავშირის ფარგლებში პარლამენტის ჩართულობით ხორციელდება, თუმცა, არსებობს ზოგიერთი გამონაკლისიც, მაგრამ ამ დროსაც პარლამენტს გააჩნია შესაძლებლობა, დააფიქსიროს საკუთარი აზრი და თავისი ავტორიტეტით გავლენა მოახდინოს პროცესებზე.[174]

---

171 Oppermann/Classen/Nettesheim, Europarecht, § 5 Rn. 42.

172 Kluth, კომენტარებში: Calliess/Ruffert, EUV/AEUV, Art. 14 EUV, Rn. 45.

173 Kluth, კომენტარებში: Calliess/Ruffert, EUV/AEUV, Art. 14 EUV, Rn. 14 ff.

174 Kluth, კომენტარებში: Calliess/Ruffert, EUV/AEUV, Art. 14 EUV, Rn. 19.

ევროკავშირთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მის ფარგლებში მოქმედებს ორი საბჭო – სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო და (მინისტრთა) საბჭო. მათი ევროსაბჭოში აღრევა არ უნდა მოხდეს, ვინაიდან ევროსაბჭო სულ სხვა ორგანიზაცია და ევროპული გაერთიანებაა და ევროკავშირის საბჭოებთან კავშირი არ აქვს. 125

ევროკავშირის საბჭო შედგება წევრი სახელმწიფოების მეთაურებისგან და ის არ იღებს გადაწყვეტილებებს ყოველდღიურ საკითხებზე. ის ევროკავშირის ფარგლებში ზოგად პრიორიტეტებს ადგენს და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს იღებს (ევროკ. შეს. ხელშ. მუხ. 15, აბზ. 1). აღნიშნული საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევენ თვითონ წევრები ორწლინახევრის ვადით, რომლის გაგრძელება ერთხელ შეიძლება. ის წარმართავს საბჭოს შეხვედრებს, ხელს უწყობს კონსენსუსის მიღწევას და ა.შ. (ევროკ. შეს. ხელშ. მუხ. 15, აბზ. 5). ევროკავშირის საბჭოს შემადგენლობაში სახელმწიფოს მეთაურებისა და უშუალოდ საბჭოს თავმჯდომარის გარდა შედის ევროკომისიის თავმჯდომარე და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში (ევროკ. შეს. ხელშ. მუხ. 15, აბზ. 2). 126

მართალია, ევროკავშირის საბჭო, ერთი შეხედვით, ზოგადი კომპეტენციებით გამოირჩევა, მაგრამ პრაქტიკაში მისი გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანი იმპულსების მიმცემი იყო ევროკავშირისთვის, მაგ. თუნდაც ფინანსური კრიზისის დაძლევის თუ ახალი წევრი სახელმწიფოების მიღების დროს, როდესაც, ხშირად, მინისტრებისგან შემდგარ საბჭოებში კომპრომისის მიღწევა შეუძლებელი იყო.[175] 127

საბჭო, იგივე მინისტრთა საბჭო, განსხვავებით სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოსაგან, ევროპარლამენტთან ერთად (თანა)საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას ასრულებს და ასე ვთქვათ, ყოველდღიურ პროცესებში არის ჩართული (ევროკ. შეს. ხელშ. მუხ. 16, აბზ. 1). ის შედგება წევრი სახელმწიფოების წარმომადგენელი მინისტრებისგან, რომლებსაც მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება, ისარგებლონ ხმის უფლებით შესაბამისი სახელმწიფოს სახელით (ევროკ. შეს. ხელშ. მუხ. 16, აბზ. 2). 128

სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით ჩვენთვის საბჭო, როგორც 129

[175] Bergmann, Handlexikon der Europäischen Union, E, Europäischer Rat, IV.

(თანა)კანონმდებელი, იმ კონტექსტში არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ სისხლისსამართლებრივი შინაარსის დირექტივების გამოცემის პროცესში (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 83) მის ნებისმიერ წევრს აქვს უფლება დაბლოკოს დირექტივის გამოცემის პროცესი, ვინაიდან ის შიდა სამართლის ძირითად ასპექტებს შეიძლება შეეხოს.

III. ევროკომისია

130 ევროკომისია, გასხვავებით ევროკავშირის სხვა ორგანოებისგან, მთავრობას შეგვიძლია შევადაროთ, რომელიც პასუხისმგებელია აღმასრულებელი ფუნქციების განხორციელებაზე. მისი კომპეტენციები მოცემულია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-17 მუხლში, რომლის თანახმადაც მას საკანონმდებლო ინიციატივების უფლებაც გააჩნია, კერძოდ, როგორც წესი, გარკვეული გამონაკლისების გარდა, ინიციატივებს სწორედ ეს ორგანო აყენებს (მუხ. 17, აბზ. 2). მას, გარკვეულწილად, საკანონმდებლო ინიციატივების მონოპოლია აქვს მინიჭებული.[176] ევროკომისია პასუხისმგებელია სახელმწიფოების მხრიდან ლისაბონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე. მართალია, ის უშუალოდ არ ახორციელებს სასამართლო ფუნქციებს, თუმცა, ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსადმი მიმართვებით გააკონტროლოს ხელშეკრულებების დაცვა.[177]

131 ევროკომისია ასევე უფლებამოსილია მიმართოს სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე წევრ სახელმწიფოში ევროკავშირის სამართლით გარანტირებული ძირითადი პრონციპებიდან მნიშვნელოვან გადახვევას აქვს ადგილი, რაც შემდეგ, ამ წევრი სახელმწიფოს გარკვეული უფლებების შეზღუდვამდე შეიძლება მივიდეს, მაგ. ხმის უფლების შეჩერებამდე საბჭოში (ევროკ. შეს. ხელშ. მუხ. 7).

[176] Martenczuk, კომენტარებში: Grabitz/Hilf/Nettesheim, Das Recht der Europäischen Union, Art. 17 EUV, Rn. 29.

[177] Martenczuk, კომენტარებში: Grabitz/Hilf/Nettesheim, Das Recht der Europäischen Union, Art. 17 EUV, Rn. 9.

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-17 მუხლი მისი არჩევისა და შემადგენლობის საკითხებსაც აწესრიგებს. ევროკომისია შედგება ევროკომისრებისა და კომისიის პრეზიდენტისგან/თავმჯდომარისგან. მათი უფლებამოსილება განისაზღვრება 5 წლის ვადით. ევროკომისიის თავმჯდომარის კანდიდატურას სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო წარუდგენს ევროპარლამენტს, რომელიც უმრავლების პრინციპით ნდობას უცხადებს მას. ამაში იგულისხმება ევროკომისიის მთლიანი შემადგენლობა. საინტერესოა ის, რომ საბჭომ უნდა გაითვალისწინოს საპარლამენტო არჩევნებში დამდგარი შედეგები, ანუ, მაგ. თუ კონსერვატორები პირველ ადგილზე გავიდნენ, თავმჯდომარის კანდიდატურაც მათი რიგებიდან შეირჩევა. ევროკომისიის პრეზიდენტს, თავის მხრივ, უფლება აქვს რომელიმე ევროკომისარი გაათავისუფლოს თანამდებობიდან. რაც შეეხება უშუალოდ ევროკომისრების კანდიდატურებს, მათი შერჩევა ხდება როტაციის პრინციპით, რათა წარმოდგენილი იყოს ევროკავშირის ყველა სახელმწიფო.

IV. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო

ევროკავშირის ორგანოების ჩამონათვალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, რომელსაც ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-19 მუხლი ეთმობა. სწორედ აღნიშნული სასამართლოა კომპეტენტური ევროკავშირის სამართლის განმარტებაზე თუ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლზე. კონკრეტულად ამაში იგულისხმება: ევროკავშირის პრიმერული სამართალი (ხელშეკრულებები), ევროკავშირის სეკუნდარული სამართალი (ხელშეკრულებების საფუძველზე გამოცემული აქტები), კავშირის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები ან წევრი სახელმწიფოების მიერ დადებული ის საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც ევროკავშირის კომპეტენციაში ექცევა, ევროკავშირის ჩვეულებითი სამართალი.[178] **132**

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართალო შედგება სამი ნაწილისგან: სპეციალური პალატები, სასამართლო (ყოფილი პირვე- **133**

[178] Gaitanides, კომენტარებში: von der Groeben/Schwarze/Hatje, Europäisches Unionsrecht, Art. 19 EUV, Rn. 12.

ლი ინსტანცია) და მეორე ინსტანცია, ანუ რეალურად ორი ინსტანცია მოქმედებს.[179] სასამართლოზე საუბრისას ტერმინოლოგიური გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, როგორც წესი, გამოიყენება ზოგადი დასახელება – ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო,[180] რასაც აღნიშნული სახელმძღვანელოც მიყვება.

134 ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო შედგება იმდენი მოსამართლისგან, რამდენი წევრი სახელმწიფოც შედის კავშირში, ანუ, ამჯერად 28 (ევროკ. შეს. ხელშ. მუხ. 19, აბზ. 2). მოსამართლეებს თავიანთ საქმინაობაში ეხმარება რვა ე.წ. გენერალური ადვოკატი, რომლებიც საქმესთან დაკავშირებით საკუთარ შეფასებას წარადგენენ ხოლმე. ისინი საქმის გარშემო სამართლებრივ ექსპერტიზას ახდენენ ევროკავშირის სამართლიდან გამომდინარე და არცერთ მხარეს არ წარმოადგენენ, თუმცა, მოსამართლის მსგავსი უფლებამოსილებებით სარგებლობენ (მაგ. შეკითხვების დასმის უფლება).[181]

135 მოსამართლეებისა და ადვოკატების შერჩევა ხდება სახელმწიფოს მთავრობების შეთანხმების საფუძველზე, თუმცა, გადაწყვეტილების მიღებამდე კანდიდატების მოსმენა ხდება სპეციალური კომიტეტის წინაშე.[182] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წესდების თანახმად მოსამართლეები სარგებლობენ იმუნიტეტით; მათ აკრძალული აქვთ სასამართლოს მიღმა ნებისმიერი ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა საბჭოს მიერ მიცემული საგამონაკლისო ნებართვის არსებობისა (წესდების მე-3-4 მუხლები).

136 კონკრეტულ სარჩელებს რაც შეეხება, სასამართლო განიხილავს საქმეებს შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- **წინასწარი წარმოება** – ამ დროს წევრი სახელმწიფოს ნებისმიერ სასამართლოს შეუძლია მიმართოს საქმის განხილვისას ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, თუ ჩათვლის, რომ ესა თუ ის ევროპული ნორმა განმარტებას საჭიროებს.[183] კონსტრუქცია შეიძლება შემდეგნაირად გამოიყურებოდეს: მაგ. ესპანეთის რომელიმე რეგიონის პირველი ინსტანციის სასამართლო განიხილავს საქმეს, რომლის გადასაწყვეტადაც სჭირდება ერთ-ერთი ევროკავში-

[179] Streinz/Ohler/Herrmann, Der Vertrag von Lissabon zur Reform der EU, 3. Auflage 2010, § 5, VIII.

[180] Wegener, კომენტარებში: Calliess/Ruffert, EUV/AEUV, Art. 19 EUV, Rn. 6.

[181] Rengeling/Kotzur, კომენტარებში: Rengeling/Middeke/Gellermann, Handbuch des Rechtsschutzes, § 3, Rn. 12.

[182] Rengeling/Kotzur, კომენტარებში: Rengeling/Middeke/Gellermann, Handbuch des Rechtsschutzes, § 3, Rn. 10.

[183] Huber, კომენტარებში: Streinz, EUV/AEUV, 2. Auflage 2012, Art. 19 EUV, Rn. 40 ff.

რის აქტი (მაგ. დირექტივა), თუმცა, მის შენაარსსა და განმარტებაზე კითხვები გაუჩნდა. ასეთ დროს მას შეუძლია მიმართოს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს და შემდეგ მისი გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღოს ადგილზე თავისი გადაწყვეტილება (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 267). არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო არ გვევლინება როგორც ზემდგომი ინსტანცია. ის მხოლოდ განმარტებას ახდენს დასმული შეკითხვების მიხედვით. თუ ადგილობრივი სასამართლო ბოლო ინსტანციის სასამართლოა, მაშინ ის ვალდებულია მიმართოს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს. ევროკავშირის მართლმსჯულების სასამართლო დაჩქარებული წესით იღებს გადაწყვეტილებას, თუ საქმე დაკავებულ პირს ეხება.

- **წარმოება ხელშეკრულების დარღვევის შესახებ** – ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულება (მუხ. 258-259) ევროკომისიასა და წევრ სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას, მიმართონ სასამართლოს, თუ ჩათვლიან, რომ რომელიმე წევრი სახელმწიფო არ ასრულებს ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს (მაგ. არ ხდება დირექტივის იმპლემენტაცია). თუმცა, სანამ სასამართლოსადმი მიმართვა მოხდება, მანამდე მათ ეძლევათ გარკვეული ვადა საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად. რეალურად ამ პროცესებს ევროკომისია წარმართავს, რომელიც თავისი ინიციატივით, სახელმწიფოს მიმართვის ან მოქალაქეები საჩივრების საფუძველზე ახორციელებს[184]. დავების უმეტესობა სასამართლომდე არც მიდის, ვინაიდან ევროკომისიის მიერ მიცემული ვადის ფარგლებში (როგორც წესი 2 თვე), სახელმწიფოები ახდენენ რეაგირებას. უკიდურეს შემთხვევაში სასამართლოს მიერ ხდება სახელმწიფოებისათვის ფინანსური სანქციების დაკისრება.[185]

- **წარმოება ბათილად ცნობის შესახებ** – ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 263-ე მუხლი ევროკავშირის ორგანოებს, წევრ სახელმწიფოებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აძლევს საშუალებას, მიმართონ სასამართლოს ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე. წარმოების ეს ფორმა გარკვეულწილად შეგვიძლია საკონსტიტუციო სასამართლოებში მიმდინარე ორგანოთა შორის კომპეტენციების განაწი-

[184] Burgi, კომენტარებში: Rengeling/Middeke/Gellermann, Handbuch des Rechtsschutzes, § 6, Rn. 2.

[185] დაწვრ. იხ. https://ec.europa.eu/info/law/law-making-process/overview-law-making-process/applying-eu-law/monitoring-implementation-eu-directives/infringement-procedure_de#formal-procedure (ნანახია 10.7.2017).

ლებაზე მიმდინარე დავებს შევადაროთ.[186] თუმცა, ამავდროულად, ფიზიკური და იურიდიული პირების ჭრილში, რომლებსაც უშუალო შემხებლობის შემთხვევაში შეუძლიათ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართონ, ეს ინდივიდუალურ კონსტიტუციურ სარჩელს ემსგავსება.[187]

- **წარმოება უმოქმედობის შესახებ** – ეს ფორმა ხელშეკრულების დარღვევის გამო წარმოების ერთ-ერთი ქვეფორმაა, ვინაიდან ევროკავშირის პრიმერული სამართლის დარღვევა როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით არის შესაძლებელი, კერძოდ, თუ რომელიმე ორგანო არ განახორციელებს სავალდებულო ქმედებას, მაგ. არ გამოსცემს სამართლებრივ აქტს.[188] სარჩელი შეიძლება მიმართული იყოს ევროკავშირის ნებისმიერი ორგანოს მიმართ, ხოლო სარჩელის შეტანის უფლება აქვთ, როგორც უშუალოდ ორგანოებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ასევე წევრ სახელმწიფოებს (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 267).

§ 2. ევროსაბჭო და მისი არსი

137 ევროკავშირთან შედარებით ევროსაბჭო უფრო მეტ სახელმწიფოს აერთიანებს (47), მათ შორის საქართველოს და ის განსხვავებულ პრინციპებზე არის დაფუძნებული. ევროგაერთიანებების შექმნის დროს ძირითადი ამოსავალი წერტილი იყო ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა, რომელსაც თავისთავად დაუკავშირდა სამართალი და სხვა საკითხები, ევროსაბჭო კი თავიდანვე ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით შეიქმნა 1949 წელს.[189] ევროსაბჭოს გავლენები სისხლის სამართალზე მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც ისეთ საკითხებს ეხება, როგორიცაა წამების აკრძალვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, სიცოცხლის უფლება,

[186] Dörr, კომენტარებში: Grabitz/Hilf/Nettesheim, Das Recht der Europäischen Union, Art. 263 AEUV, Rn. 2.

[187] Dörr, კომენტარებში: Grabitz/Hilf/Nettesheim, Das Recht der Europäischen Union, Art. 263 AEUV, Rn. 2.

[188] Dervisopoulos, კომენტარებში: Rengeling/Middeke/Gellermann, Handbuch des Rechtsschutzes, Art., § 8 Rn. 2.

[189] Bergmann, Handlexikon der Europäischen Union, E, Europarat.

ორმაგი დასჯის აკრძალვა და ა.შ. ევროსაბჭოს სტანდარტები პირდაპირ აისახება ქართულ სამართლებრივ თუ პრაქტიკულ რეალობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვა.

I. ევროსაბჭოს ორგანოები

ევროსაბჭოს სტრუქტურაში შედის რამდენიმე ორგანო, რომლებსაც მოკლედ შევეხებით. **მინისტრთა კომიტეტი** შედგება წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებისა და მათი მოადგილეებისგან, რომელიც საკუთარი ან საპარლამენტო ასამბლეის ინიციატივით დგამს ევროსაბჭოს მიზნების მისაღწევად საჭირო ნაბიჯებს (მათ შორის კონვენციების მიღება, ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა სახელმწიფოებში).[190] რაც შეეხება **საპარლამენტო ასამბლეას,** ის შედგება წევრი სახელმწიფოების საპარლამენტო დელეგაციებისგან და მას სათათბირო ფუნქცია გააჩნია, ანუ გასცემს მხოლოდ რეკომენდაციებს, თუმცა, ეს რეკომენდაციები მინისტრთა კომიტეტისთვის შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ მან თავის მხრივ მიმართოს რეკომენდაციებით წევრ სახელმწიფოებს.[191] 138

როგორც ვხედავთ, კომიტეტიც და საპარლამენტო ასამბლეაც რადიკალურად განსხვავდება თავისი ფუნქციებით და სტრუქტურით ევროკავშირის ორგანოებისგან. ევროკავშირის ორგანოებს უფრო მეტი კომპეტენციები და წევრ სახელმწიფოებზე ზემოქმედების ეფექტური საშუალებები გააჩნიათ. თუნდაც იგივე ევროკავშირის პარლამენტი, განსხვავებით ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისგან, მუდმივმოქმედი ორგანოა, რომელსაც საკანონმდებლო ფუნქციები გააჩნია და არჩევნების წესით კომპლექტდება; ის არ არის დამოკიდებული წევრი სახელმწიფოების პარლამენტებზე. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა კი წევრი სახელმწიფოებიდან დროებით წარგზავნილი საპარლამენტო დელეგაციებისგან შედგება. 139

ადამიანის უფლებათა კომისარი – ეს თანამდებობა ევროსაბჭო- 140

[190] http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/001?_coeconventions_WAR_coeconventionsportlet_languageId=de_DE (ნანახია 11.7.2017).

[191] Bergmann, Handlexikon der Europäischen Union, E, Europarat.

ში 1999 წლიდან იქნა შემოღებული; კომისარს 6 წლის ვადით ირჩევს საპარლამენტო ასამბლეა და მისი ფუნქციაა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე შეფასებების გაკეთება და საზოგადოების ყურადღების მიქცევა; წევრ სახელმწიფოებში მონიტორინგის განხორციელება;[192] მასვე შეუძლია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სხდომებში მიიღოს მონაწილეობა ან წარადგინოს წერილობითი კომენტარების წარდგენა.[193]

II. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

141 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც სტრასბურგშია განთავსებული, თავისი გადაწყვეტილებებით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქართულ (სისხლის) სამართალზე. მართალია, ისიც არ წარმოადგენს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მსგავსად, ზემდგომ ინსტანციას, თუმცა, მისი გადაწყვეტილებების შესრულება ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებში შესასრულებლად სავალდებულოა.

142 სასამართლო 1959 წელს შეიქმნა და მისი პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას ცოცხალ ორგანიზმად აქცევს, რის შესაბამისადაც მთავრობები ვალდებულნი ხდებიან შეცვალონ კანონმდებლობა ან პრაქტიკა მრავალ სფეროში.[194] ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი არის ის, რომ მოქალაქეებს ინდივიდუალურად, შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არადამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, შეუძლიათ პირდაპირ აღნიშნულ სასამართლოს მიმართონ კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვაზე აპელირებით და ასე ვთქვათ, გარედან აიძულონ შიდასახელმწიფოებრივი სტრუქტურები, შეცვალონ არსებული პრაქტიკა.[195]

143 სარჩელებთან დაკავშირებით სასამართლოს კომპეტენცია მოცემულია ადამინის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის 33-ე და შემდეგ მუხლებში. მას შეუძლია მიმართონ რო-

[192] http://www.coe.int/ru/web/commissioner/mandate(ნანახია 12.7.2017).
[193] Bergmann, Handlexikon der Europäischen Union, E, Europarat.
[194] http://www.coe.int/ka/web/tbilisi/europeancourtofhumanrights(ნანახია 12.7.2017).
[195] Meyer-Ladewig/Petzold, NJW 2009, 3749.

გორც წევრმა სახელმწიფოებმა, ასევე ფიზიკურმა პირებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ცალკეულ პირთა ჯგუფებმა, თუ ისინი თვლიან, რომ დარღვეულია კონვენციით ან მისი ოქმებით გარანტირებული უფლებები.[196]

საჩივრის წარდგენა სასამართლოში ხდება წერილობითი ფორმით, სასამართლოს მიერ შემუშავებული ოფიციალური ფორმის შევსების გზით, რომელიც ქართულ ენაზეც არის ხელმისაწვდომი.[197] უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელების დაახლოებით 90% დაუშვებლობის გამო საერთოდ არ მიიღება წარმოებაში.[198] საქმის მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ადგენს კონვენციის დარღვევის ფაქტს, რის საფუძველზეც დაზარალებულის სასარგებლოდ მოპასუხეს შესაძლოა კომპენსაციის გადახდა დაეკისროს.[199] ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია პირდაპირ გააუქმოს გასაჩივრებული შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები, თუმცა, კონვენციის 46-ე მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გამოასწორონ კონვენციის დარღვევის ფაქტი. აღსრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს მინისტრთა კომიტეტი. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში პირდაპირ წერია შემდეგი: განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება(განჩინება), რომელმაც დაადგინა კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება.[200] **144**

მოკლედ რომ შევეხოთ სასამართლოს დაკომპლექტების წესს, უნდა აღინიშნოს, რომ ის არის კონვენციის და არა ევროსაბჭოს ორგანო პირდაპირი გაგებით (კონვენციის მუხ. 19). თითო წევრი სახელმწიფოდან თითო მოსამართლეა მასში წარმოდგენილი (მუხ. 20), რომელსაც სახელმწიფოდან წარგზავნილი სამი კანდიდატიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევს საპარლამენტო ასამბლეა ექვსი წლის ვადით (მუხ. **145**

[196] სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მოძიება, მათ შორის ქართულ ენაზე, შესაძლებელია ოფიციალურ საძიებო სისტემაში http://hudoc.echr.coe.int.

[197] http://www.echr.coe.int/sites/search_eng/pages/search.aspx#{„sort“:[„title Ascending“],“contentlanguage“:[„GEO“]} (ნანახია 12.7.2017); ამავე საიტზე იხ. პრაქტიკული სახელმძღვანელო დასაშვებობის კრიტერიუმების შესახებ (2011).

[198] Meyer-Ladewig/Petzold, NJW 2009, 3751.

[199] Meyer-Ladewig/Petzold, NJW 2009, 3751.

[200] მსგავსი მიდგომაა გერმანიაშიც (§ 359 Nr. 6 StPO).

22). კანდიდატები უნდა ხასიათდებოდნენ მაღალი ზნეობრივი თვისებებით, უნდა ფლობდნენ მაღალი სამოსამართლო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ კვალიფიკაციას, ან იყვნენ აღიარებული კომპეტენტურობის მქონე სამართალმცოდნეები (მუხ. 21). როგორც ვხედავთ, დადგენილი კრიტერიუმები საკმაოდ ზოგადია და კანდიდატების წარდგენა თვითონ წევრ სახელმწიფოზეა დამოკიდებული. საქართველოს შემთხვევაში ჰქონდა უკვე ადგილი პრეცედენტს, როდესაც 2017 წელს წარდგენილი სამივე კანდიდატი დაწუნებულ იქნა საპარლამენტო ასამბლეის მოსამართლეთა შერჩევის კომიტეტის მიერ, ვინაიდან ისინი არ იყვნენ საკმარისად კვალიფიციური და ახალი კანდიდატების წარდგენა გახდა აუცილებელი.[201] ანუ, წევრ სახელმწიფოში შესაძლებელია შერჩეულ იქნას კანდიდატები და ისინი ჩაითვალოს შესაბამისად კვალიფიციურებად (თუნდაც პოლიტიკური გავლენების დამსახურებით), თუმცა, ევროსაბჭოს დონზე მერე მათი კანდიდატურები მაინც არ იქნას მხარდაჭერილი.

დასკვნა

146 ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მცირე სტრუქტურული მიმოხილვა თვალნათლივ გვიჩვენებს მათ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ბუნებას. მართალია, ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო ამავდროულად ევროსაბჭოს წევრიც არის, თუმცა, ამ გაერთიანების მხრიდან გავლენები შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე სხვადასხვა სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება. ევროკავშირი კვაზი-ფედერალურად არის მოწყობილი, სადაც საკითხების გარკვეული ნაწილი ადგილობრივი დონიდან ევროკავშირის ორგანოებზე არის დელეგირებული, ხოლო ევროსაბჭო მსგავსი „ცენტრალიზაციით" არ გამოირჩევა. შესაბამისად, ევროსაბჭოს მხრიდან დარღვევებზე რეაგირების მექანიზმებიც უფრო ნაკლებად მკვეთრი და ქმედითია, ვიდრე ეს ევროკავშირის შემთხვევაშია.

[201] http://civil.ge/geo/article.php?id=30981&search= (ნანახია 12.7.2017).

თავი 5. ევროკავშირის სამართლის გავლენები ნაციონალურ სამართალზე

§ 1. ევროკავშირის სამართლისა და ნაციონალური სამართლის ურთიერთმიმართება

ევროკავშირის სამართალსა და ცალკეული სახელმწიფოების სამარ- 147
თალს შორის ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევას სისხლის სამართლისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობა გააჩნია.[202] ამ კონტექსტში უპირატესობის თემასთან დაკავშირებით ევროგაერთიანების დაფუძნებიდან მოყოლებული უამრავი დისკუსია გამართულა.[203] ამავდროულად, დისკუსიებში ისიც გამოჩნდა, რომ ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი.[204]

ევროკავშირის სამართალი წარმოადგენს **ავტონომიურ მართლწეს-** 148
რიგს. ის არც საერთაშორისო სამართალია და არც ნაციონალური. ევროკავშირის სამართალი დგას მისი წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემების გვერდით.[205] ავტონომიურობის სტატუსთან მიმართებაში ჯერ კიდევ 1964 წელს ევროგაერთიანების სასამართლომ **Costa/ENEL**-ის[206] საქმეზე გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ (მაშინ მოქმედი) ხელშეკრულების საფუძველზე ავტონომიური წყაროდან გამომდინარე სამართალი შეიქმნა და წევრ სახელმწიფოებს არ ჰქონდათ უფლება, ევროგაერთიანების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისა. მართალია, ევროკავშირის სამართლის წარმოშობა და განვითარება წევრი სახელმწიფოების ნებაზეა დამოკიდებული, თუმცა, ის მაინც დამოუკიდებელ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. წევრმა სახელმწიფოებმა დათმეს გარკვეული უფლებამოსილებები და ევროგაერთიანებას გადასცეს.[207] გაერთიანების სამართალს დღეისთვის პირდაპირი მოქმედების ძალა გააჩნია და ევროკავშირის მოქალაქეებს, წევრ სახელმწიფოებში არსებული რეგულაციების მიუხედავად, შეუძლიათ ადგილობრივი სასამართლოების წინაშე დააყენონ მათი უფლებების დაცვის საკითხი – მაგალითად, საქონლის

202 Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 1.
203 Streinz, Europarecht, § 3 Rn. 193.
204 Streinz, Europarecht, § 3 Rn. 193.
205 Satzger, ZStrR 2001, 96; Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 1.
206 EuGHE 1964, 1270 ff. (Costa/ENEL).
207 Herdegen, Europarecht, § 6 Rn. 1 ff.

თავისუფალ მიმოსვლასთან დაკავშირებით.[208]

149 ევროკავშირის სამართალზე საუბრისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ პირდაპირი/უშუალოდ და არაპირდაპირ მოქმედების ძალის მქონე სამართალი. პირველი პირდაპირ გამომდინარეობს ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებებიდან (მაგ. დადგენილება) და მას წევრ სახელმწიფოებში პირდაპირი მოქმედების ძალა გააჩნია. მსგავს ნორმებსა და წევრი სახელმწიფოების ცალკეულ ნორმებს შორის კოლიზიის წარმოშობის შემთხვევაში გასათვალისწინებელია როგორც ევროკავშირისა და ზოგადად ინტეგრაციის ინტერესები, ასევე მეორე მხარის ნაციონალური იდენტურობაც. აქედან გამომდინარე, კოლიზიის დროს ხდება ნაციონალური ნორმის არა ძალადაკარგულად გამოცხადება, არამედ უბრალოდ არ მოხდება მოცემულ კონკრეტულ საქმეზე მისი გამოყენება და ევროპული ნორმა ისარგებლებს უპირატესი გამოყენების უფლებით.[209]

§ 2. ევროკავშირის სამართლის უშუალოდ მოქმედების ძალა

150 ევროკავშირის სამართლის უშუალოდ მოქმედების ძალის პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამართლის ამ სფეროში. ეს გულისხმობს არამხოლოდ ევროპული ნორმების ნაციონალური სამართლის მიმართ უპირატესი გამოყენების უფლებას, არამედ იმასაც, რომ ისინი ყოველგვარი იმპლემენტაციის გარეშე იძენენ მოქმედების ძალას წევრ სახელმწიფოებში.[210] ეს შესაძლებლობა ევროგაერთიანების სასამართლომ გაერთიანების სამართლის მოქმედების ერთიანი სივრცის შექმნის აუცილებლობით დაასაბუთა.[211] მისი განმარტებით, უშუალოდ მოქმედების ძალა გულისხმობს ევროკავშირის ნორმების თანაბარი ძალით მოქმედებას ყველა წევრ სახელმწიფოში მათი ძალაში შესვლიდან მოქმედების ვადის ამოწურვამდე.[212] სწორედ უშუალოდ მოქმედების ძალა არის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა ნაციონალური სისხლისსამართლებრივი სისტემების ევროპეიზაციის-

208 Satzger, ZStrR 2001, 96.

209 Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 2; Satzger, ZStrR 2001, 97; Satzger, Europäisierung, 169.

210 Satzger, Europäisierung, 38 ff.; შეად. Schröder კომენტარებში: Streinz, EUV/EGV, Art. 249 EGV, Rn. 37.

211 EuGHE 1964, 1251 (Costa/ENEL); Schröder, Europäische Richtlinien, 58.

212 EuGHE 1978, 643 ff („Simmenthal II").

თვის.[213]

ზოგადად, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ევროკავშირის შესახებ 151
არსებული ხელშეკრულებები და კავშირის ორგანოების მიერ გამოცემული ნორმები მიმართულია წევრი სახელმწიფოებისკენ, რათა მათ ესა თუ ის ამოცანა შეასრულონ, ან მიიღონ უფლება გარკვეული საკითხების გადასაწყვეტად. ამის შესაბამისად, ხდება ადგილობრივ დონეზე ნაციონალური ნორმების გამოცემა, ანუ ევროპული სამართლის იმპლემენტაცია და მოქალაქეები საკუთარი უფლებების დაცვისას სწორედ ამ ადგილობრივ ნორმებს ეყრდნობიან. სახელმწიფო მოხელეებიც მათზე არიან დამოკიდებულნი. სიტუაცია სრულიად იცვლება, როდესაც საქმე ეხება უშუალოდ მოქმედ ევროპულ სამართალს. ისინი ძალაში შესვლისთანავე იძენენ პირდაპირი მოქმედების ძალას და არ საჭიროებენ არავითარ დამატებით აქტებს ცალკეული ქვეყნების მხრიდან.[214]

§ 3. ევროკავშირის მოქმედების ფორმები

ლისაბონის ხელშეკრულების მიღებით ერთიანი კავშირი შეიქმნა. გან- 152
სხვავებები ევროგაერთიანებასა და ევროკავშირს შორის წარსულს ჩაბარდა, ხოლო სამართლის დაყოფა პრიმერულ (უშუალოდ მოქმედ) და სეკუნდარულ (პრიმერულიდან გამომდინარე) ნორმებად შენარჩუნებულ იქნა. ევროკავშირის **პრიმერული სამართალი** ეფუძნება ხელშეკრულებას ევროკავშირის შესახებ და ხელშეკრულებას ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ. ორივე მათგანს თანაბარი რანგი გააჩნია. ამას ემატება ხელშეკრულებებზე თანდართული ოქმები და დანართები.[215]ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 51-ე მუხლი პირდაპირ გვეუბნება, რომ ოქმები და დანართები ხელშეკრულებების შემადგენელი ნაწილები არიან. პრიმერული სამართალი ევროკავშირის სამართლის იერარქიაში ყველაზე მაღლა დგას და სეკუნდარული სამართლისათვის მასშტაბად გამოიყენება.[216] ხელშეკრულებების დაცვაზე კონტროლს ევროკავშირის სასამართლო ახორციელებს. მას შეუძლია გადაამოწმოს, შეესაბამებიან თუ არა ევროკავშირის სხვა

[213] Satzger, Europäislerung, 39.
[214] Jens, Strafrechtsanwender, 29; იხ. ასევე EuGHE 1963, 6 („Van Gend & Loos").
[215] Streinz/Ohler/Hermann, Vertrag von Lissabon, 92 ff.
[216] Huber, Integration, § 8 Rn. 18.

სამართლებრივი აქტები პრიმერულ სამართალს. წევრ სახელმწიფოებს, ევროპარლამენტს, საბჭოს თუ კომისიას შეუძლიათ მიმართონ მას სარჩელით ხელშეკრულების დარღვევის გამო (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 263, აბზ. 2).

153 **სეკუნდარული სამართალი** მოიცავს ევროკავშირის იმ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც გამოიცემა ხელშეკრულებების ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების საფუძველზე.[217] ის ევროკავშირისთვის მოქმედების უმნიშვნელოვანესი ფორმაა და მოიცავს შემდეგ აქტებს: დადგენილება, დირექტივა, გადაწყვეტილება, რეკომენდაცია და დასკვნა (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 288, აბზ. 1).[218]

I. დადგენილება

154 დადგენილებას საყოველთაო მოქმედების ძალა გააჩნია და წევრ სახელმწიფოებში პირდაპირ მოქმედებს (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 288, აბზ. 2). მოქმედების ამ ძალის გამო მას შიდასახელმწიფოებრივ კანონსაც ადარებენ.[219] ის ძალაში შესვლისთანავე განსაზღვრავს სახელმწიფოსა და ცალკეული პირების უფლება-მოვალეობებს.[220]

155 დადგენილება მისი უშუალოდ, პირდაპირი მოქმედების ძალის გამო *a prioiri* წევრი სახელმწიფოების სამართლისშემადგენელი ნაწილია. გამოქვეყნებისთანავე ის პირდაპირ იწყებს მოქმედებას და საჭირო არ არის იმპელემენტაციის პროცედურების გავლა.[221] იმპლემენტაცია ამ დროს სრულიად ზედმეტია და უფრო მეტიც, დაუშვებელიც კია, მაგრამ სახელმწიფო მაინც ვალდებულია, გარკვეული სხვა ფორმებით იმოქმედოს, თუ ეს დადგენილებაში ჩადებული მიზნის მისაღწევად

---

217 Hecker, Europ. Strafrecht, § 4 Rn. 50; Herdegen, Europarecht, § 8 Rn. 34.

218 ევროგაერთიანების შესახებ ადრე მოქმედი ხელშეკრულების 249-ე მუხლში გათვალისწინებული „გადაწყვეტილებისგან" განსხვავებით ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ.-ის 288-ე მუხლის მე-4 აბზაცი არ შეიცავს იმის ვალდებულებას, რომ გადაწყვეტილება კონკრეტულ ადრესატს უნდა ეხებოდეს. შესრულების ვალდებულება კი უცვლელი დარჩა.

219 Safferling, Int. Strafrecht, § 9 Rn. 83; Herdegen, Europarecht, § 8 Rn. 35.

220 Calliess/Ruffert, EUV/EGV, Art. 249 EGV, Rn. 42; Schroeder, კომენტარებში: Streinz, EUV/EGV, Art. 249 EGV, Rn. 57; EuGHE, 1971, 1049 („Politi/Italien").

221 Oppermann/Classen/Nettesheim, Europarecht, § 9 Rn. 78.

გახდება აუცილებელი.[222]

დადგენილებების ნევრ სახელმწიფოებში უშულოდ მოქმედების ძალა გარკვეულია, თუმცა, ეს გულისხმობს თუ არა უშუალოდ გამოყენების ძალას, ცალკე საკითხია. გასარკვევია, შესაძლებელია თუ არა კონკრეტული საქმეების პირდაპირ მათ საფუძველზე გადაწყვეტა.[223] ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, არის თუ არა ევროკავშირის დადგენილება სუბსუმციაუნარიანი და შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოებისა და სხვა ორგანოებისთვის გამოსადეგი.[224] 156

გაბატონებული მოსაზრება ლისაბონის ხელშეკრულების მიღებამდე უარყოფდა დადგენილებების მეშვეობით სისხლისსამართლებრივი რეგულაციების გამოშვების შესაძლებლობას. განსაკუთრებულ დავას ინვევდა ადრე მოქმედი ევროგაერთიანების შესახებ ხელშეკრულების (ამსტერდამის ხელშეკრულება) 280-ე მუხლის მე-4 აბზაცი. ეს მუხლი ეხებოდა ევროგაერთიანების წინააღმდეგ ჩადენილ თაღლითობებთან ბრძოლას. ამ მუხლის მე-2 აბზაცი შემდეგი შინაარსით იყო ჩამოყალიბებული: 157

გაერთიანების ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ თაღლითობებთან საბრძოლველად წევრი სახელმწიფოები მიმართავენ იმავე ღონისძიებებს, რომლებსაც ისინი იყენებენ საკუთარი ფინანსური ინტერესების დასაცავად.

მე-4 აბზაცში კი შემდეგი რამ ეწერა: 158

ღონისძიებებში არ იგულისხმება წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის გამოყენება.

დისკუსიებში სისხლისსამართლებრივი კომპეტენციის მომხრეები სიტყვა „ღონისძიებებს“ უსვამდნენ ხაზს და მასში სისხლისსამართლებრივ საშუალებებსაც მოიაზრებდნენ. მოწინააღმდეგეები კი მე-4 აბზაცზე მიუთითებდნენ.[225] საბოლოოდ, ამ კომპეტენციის მოწინააღმდეგეთა მოსაზრება გაბატონდა.[226] 159

ლისაბონის ხელშეკრულებამ ეს საკითხი განსხვავებულად გადაწყვიტა. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 160

[222] Schroeder, კომენტარებში: Streinz, EUV/EGV, Art. 249 EGV, Rn. 58; Hetmeier, komentarebSI: Lenz/Borchardt, EU-Verträge, Art. 288 AEUV, Rn. 8.
[223] Schroeder, კომენტარებში: Streinz, EUV/EGV, Art. 249 EGV, Rn. 48.
[224] Schroeder, კომენტარებში: Streinz, EUV/EGV, Art. 249 EGV, Rn. 48.
[225] დაწვრ. nb. Satzger, Europäislerung, 138 ff.; Hecker, Europ. Strafrecht, § 4 Rn. 97 ff.
[226] Safferling, Int. Strafrecht, § 10 Rn. 22.

325-ე მუხლიდან (შეესაბამება ამსტერდამის ხელშ. 280-ე მუხლს) მე-4 აბზაცი და დათქმა სისხლის სამართალზე საერთოდ ამოღებულ იქნა. შესაბამისად, თაღლითობებთან ბრძოლის სფეროში უკვე დასაშვებია სისხლისსამართლებრივი შინაარსის მქონე დადგენილებების გამოცემა.[227] რთული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ნევრ სახელმწიფოებს ლისაბონის ხელშეკრულების ხელმოწერისას შემთხვევით გამორჩათ ეს პუნქტი, პირიქით, სავარაუდოდ, ეს საკითხი გამიზნულად იქნა ასე გადაწყვეტილი. ამავდროულად, სუბსიდიარულობისა და სუვერენიტეტის პრინციპებიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომლებიც გასათვალისწინებელია დადგენილებების გამოცემამდე.

161 მაშასადამე, ლისაბონის ხელშეკრულებით უკვე დასაშვებია ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართულ თაღლითობებთან საბრძოლველად სისხლისსამართლებრივი შინაარსის დადგენილებების გამოცემა. გარდა ამისა, დადგენილებას შეუძლია სხვა გზითაც მოახდინოს გავლენა შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართალზე.[228] მაგალითად, გერმანიის კანონმდებელმა ევროგაერთიანების Nr. 961/2010 დადგენილებით[229] გათვალისწინებული ემბარგო ირანთან ვაჭრობის აკრძალვის შესახებ გაითვალისწინა შიდასახელმწიფოებრივ კანონში საგარეო ვაჭრობის შესახებ და სისხლისსამართლებრივი სანქციები შემოიღო. ევროპელი კანონმდებელი საერთოდ არ ითხოვდა სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გატარებას, მაგრამ გერმანელმა კანონმდებელმა ეს გზა აირჩია დადგენილების შესასრულებლად და მას ამის თავისუფლება გააჩნია. მსგავსი კომბინაციები არ არის მომავალში ქართულ კანონმდებლობაშიც გამორიცხული. ქართული კანონის მეშვეობით ევროპული დადგენილება უშუალოდ სისხლისსამართლებრივი მოქმედების ძალას შეიძენს ცალკეული პირების მიმართ.[230]

II. დირექტივა

162 დირექტივა ევროკავშირის სამართლის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მას შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ანალოგი არ გააჩნია. დირექტივა პირდაპირი, უშუალოდ მოქმედების ძალით არ არის

[227] Safferling, Int. Strafrecht, § 10 Rn. 41.
[228] Safferling, Int. Strafrecht, § 9 Rn. 83.
[229] ABl. L 281 vom 27.10.2010, 1.
[230] შეად. Safferling, Int. Strafrecht, § 9 Rn. 83.

აღჭურვილი და მხოლოდ მასში ჩადებული მიზნის ფარგლებში არის სავალდებულო.[231] დირექტივის არსი ლისაბონის ხელშეკრულების მიღების შემდეგაც ისეთივე დარჩა, როგორც ეს მანამდე იყო. მასში დასახული მიზანი შესასრულებლად სავალდებულოა, მაგრამ მისი მიღწევის ფორმისა და საშუალების შერჩევა თითოეული სახელმწიფოს პრეროგატივაა (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 288, აბზ. 3). სწორედ ამ თავისებურებიდან გამომდინარე დირექტივის მეშვეობით დასახული მიზნის მიღწევას ორი საფეხურის გავლა სჭირდება.[232] თავდაპირველად ხდება უშუალოდ დირექტივის გამოცემა **(პირველი საფეხური)**, ხოლო შემდგომ მისი იმპლემენტაცია წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაში **(მეორე საფეხური)**.[233] იმპლემენტაცია სხვადასხვა ფორმით შეიძლება მოხდეს, მაგ. ახალი კანონის გამოცემით ან უკვე არსებული კანონების დირექტივის შესაბამისი განმარტების გზით.[234]

163 დირექტივა დადგენილებისგან მისი მოქმედების ძალით განსხვავდება. დადგენილებას არანაირი იმპლემენტაცია არ სჭირდება და პირდაპირ იწყებს მოქმედებას. მისი მთავარი მიზანია ევროკავშირის ფარგლებში მაქსიმალურად საერთო სამართლებრივი რეგულაციების შექმნა, ხოლო დირექტივა სამართლებრივი სისტემების ერთმანეთთან დაახლოებას უწყობს ხელს.[235]

164 მიუხედავად ამისა, ზოგჯერ მათ შორის განსხვავების დანახვა ძნელია, ვინაიდან ზოგიერთი დირექტივა დეტალურ მითითებებს შეიცავს და სახელმწიფოც ვალდებულია მისი შესაბამისი იმპლემენტაცია განახორციელოს. ზოგიერთ შემთხვევაში კი, მათ პირდაპირი მოქმედების ძალაც კი აქვთ.[236] ეს საბოლოო ჯამში სუპრანაციონალური სისხლის სამართლის შექმნის საშუალებას იძლევა.[237]

---

231 Hetmeier, კომენტარებში: Lenz/Borchardt, EU-Verträge, Art. 288 AEUV, Rn. 10.
232 Biervert, კომენტარებში: Schwarze, EU-Kommentar, Art. 249 EGV, Rn. 22.
233 Herdegen, Europarecht, § 8 Rn. 36; Safferling, Int. Strafrecht, § 9 Rn. 85.
234 Hecker, Europ. Strafrecht, § 4 Rn. 52.
235 Walzel/Becker, JURA 2007, 654.
236 Streinz, Europarecht, § 5 Rn. 436.
237 Dannecker, JURA 2006, 98; Safferling, Int. Strafrecht, § 9 Rn. 86.

1) დირექტივების იმპლემენტაცია

165 ევროკავშირის სასამართლო საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს აყენებს დირექტივების იმპლემენტაციის მიმართ. განსაკუთრებულ აქცენტს ის პრაქტიკული ეფექტურობის უზრუნველყოფაზე **(effet utile)** აკეთებს.[238] ეფექტურობის მოთხოვნა სახელმწიფოებს მოქმედების გზებს საკმაოდ უზღუდავს.[239] დირექტივების იმპლემენტაცია შიდა კანონმდებლობაში უნდა მოხდეს ისე რომ, მან ცალკეული პირებისა და სახელმწიფო ორგანოებისთვის სავალდებულო ძალა შეიძინოს. ყველაზე ეფექტური გზა ამისათვის არის შესაბამისი კანონის გამოცემა. მართალია, იმპლემენტაცია შეიძლება განხორციელდეს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის გზითაც, მაგრამ ეს შედარებით პრობლემატურია, ვინაიდან ის ყოველთვის არ არის სავალდებულო სასამართლოებისა და კერძო პირებისათვის.[240] ევროგაერთიანების სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში აღნიშნავს, რომ მხოლოდ ადმინისტრაციული გზებით დირექტივების შიდა კანონმდებლობაში გადატანა არ არის საკმარისი, რადგან გამოცემული აქტების შეცვლა ადმინისტრაციას მარტივად შეუძლია და ეს გზა არასტაბილურია.[241] სასამართლო იმპლემენტაციისთვის შემდეგ ზოგად მოთხოვნებს აყენებს: ევროკავშირის დირექტივაში ჩადებული მოთხოვნების შიდა კანონმდებლობაში გადატანის შემდგომ, თითოეულ პირს უნდა შეეძლოს დირექტივიდან გამომდინარე უფლებების ნაციონალური სასამართლოების წინაშე გამოყენება და მათი დაცვის მოთხოვნა.[242] სახელმწიფოს სტრუქტურებმაც დირექტივების სრული გამოყენება უნდა უზრუნველყონ.

166 ეფექტური იმპლემენტაციის ფარგლები ნაწილობრივ თვითონ დირექტივებშიც არის ჩადებული. მაგალითად, ინსაიდერული ინფორმაციების შესახებ დირექტივაში ეწერა, რომ სახელმწიფოებმა ის სანქციები უნდა გამოიყენონ, რომლებიც საკმარისია დირექტივაში ჩადებული მიზნების მისაღწევად.[243] მოგვიანებით ეს დირექტივა შეიცვალა და შედარებით უფრო გამკაცრდა სანქციების თვალსაზრისით, კერძოდ, დღეისათვის მოქმედ დირექტივაში პირდაპირ წერია, რომ მძიმე შემთხვევებში სახელმწიფოებმა სისხლისსამართლებრივი სანქციები

---

238 Epiney/Rieder/Danckelmann, Europarecht I, 99; Walzel/Becker, JURA 2007, 654.

239 Hetmeier, კომენტარებში: Lenz/Borchardt, EU-Verträge, Art. 288 AEUV, Rn. 11.

240 Herdegen, Europarecht, § 8 Rn. 39.

241 EuGHE 1986, 2961 („Kommission/Italien").

242 EuGHE 1991, 2616 („Kommission/Deutschland").

243 Tiedemann, NJW 1993, 26.

უნდა გამოიყენონ, თუმცა, თუ რომელია მიეკუთვნება ასეთ შემთხვევას, თვითონ სახელმწიფოს დასადგენია.[244] ანუ, მიზნად დასახულია საბაზრო მანიპულაციების თავიდან აცილება ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით, მაგრამ დეტალები თვითონ სახელმწიფოებზეა დამოკიდებული.

167 დამატებითი კრიტერიუმები ევროკავშირის სასამართლოს პრაქტიკაშიც არის მყარად ჩამოყალიბებული: სანქცია უნდა იყოს **ქმედითი, თანაზომიერი, დამაშინებელი** და სახელმწიფოებმა ისეთივე ზომები უნდა გაატარონ ევროპული ნორმების დარღვევის მიმართ, რომლებსაც ისინი მიმართავდნენ მსგავსი, საკუთარი ნორმების დარღვევის შემთხვევაში.[245] გარდა ამისა, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 აბზაციდან გამომდინარე, წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად (ლოიალურობის პრინციპი). სახელმწიფო თავისუფალია იმპლემენტაციის ფორმისა და საშუალების შერჩევაში, მაგრამ მან მისაღწევი მიზნის ფარგლებში უნდა იმოქმედოს და ეს მიზანი ზღუდავს მისი არჩევანის თავისუფლებას.[246]

168 დირექტივების იმპლემენტაციის დროს მნიშვნელოვანია **ვადების დაცვა**.[247] ეს ვადა პირდაპირ დირექტივაშია ჩაწერილი და სახელმწიფოებს არა აქვთ უფლება მოიმიზეზონ, რომ ვადა ძალიან მოკლეა ან მათ შიდასახელმწიფოებრივ რეგულაციებს ეწინააღმდეგება.[248] სახელმწიფოს იმპლემანტაციის ვადის გასვლამდეც კი არ შეუძლია ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის დირექტივის მიზნების განხორციელებას.[249]

2) დირექტივების უშუალოდ მოქმედების ძალა

169 დირექტივას დადგენილებისგან განსხვავებით პირდაპირი, უშუალოდ მოქმედების ძალა არ გააჩნია, მაგრამ გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ეს დასაშვებია. ეს მიდგომა ევროკავშირის

---

244 Waßmer, კრებულში: Jishkariani/Waßmer, Die Europäislerung des georgischen Wirtschaftsstrafrechts, 220.

245 EuGHE 1994, 2494 (Kommission/Vereinigtes Königreich).

246 Biervert, კომენტარებში: Schwarze, EU-Kommentar, Art. 249 EGV Rn. 27.

247 Epiney/Rieder/Danckelmann, Europarecht I, 100.

248 Walzel/Becker, JURA 2007, 654.

249 Hetmeier, კრებულში: Lenz/Borchardt, EU-Verträge, Art. 288 AEUV, Rn. 12.

სასამართლოს მიერ იქნა განვითარებული იმპლემენტაციის პროცესში არსებული დეფიციტების აღმოსაფხვრელად.[250] ამით თითოეულ პირს შეუძლია, მიუხედავად შიდა კანონმდებლობაში დირექტივის არგადატანისა, პირდაპირ ის მოიშველიოს. ასეთ შემთხვევაში საკითხი დირექტივის და არა ნაციონალური ნორმების საფუძველზე გადაწყდება.[251]

170 ამ საკითხთან მიმართებაში ევროგაერთიანების სასამართლომ მეოცე საუკუნის 70-იან წლებში თავისი მიდგომა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

> მართალია მხოლოდ დადგენილებები მოქმედებენ უშუალოდ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა კატეგორიის სამართლებრივ აქტებს არასდროს არ უნდა ჰქონდეთ მოქმედების მსგავსი ძალა. მიუტევებელი იქნებოდა ცალკეული პირებისთვის დირექტივებში გათვალისწინებულ ვალდებულებებზე მითითების უფლების აკრძალვა. თუ პირი სასამართლოს წინაშე ვერ მოიშველიებდა დირექტივის ნორმებს, ეფექტურობის პრინციპი (effet utile) სარგებელს ვერ მოიტანდა.[252]
>
> დირექტივის უშუალოდ მოქმედებისთვის საჭიროა შემდეგი წინაპირობების დადგომა:
>
> იმპლემენტაციის ვადა გასულია შიდა კანონმდებლობაში სრულყოფილად გადატანის გარეშე,
>
> დირექტივა საკმარისად ზუსტია და შინაარსით შესასრულებლად სავალდებულოა.

171 პირველი წინაპირობა შესრულებულია, თუ დირექტივა საერთოდ არ იქნა იმპლემენტირებული ან ეს არასრულყოფილად მოხდა. იგივე ვრცელდება სახელმწიფო ადმინისტრაციის მხრიდან თუნდაც სრულად იმპლემენტირებული დირექტივის არასრულყოფილად გამოყენებისას.[253] დირექტივის დებულებები ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ მასში საკმარისი სიზუსტით იკითხებოდეს წევრი სახელმწიფოს კონკრეტული მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულება.[254]

250 შეად. Schroeder, Grundkurs Europarecht, § 6 Rn. 48 ff.
251 Walzel/Becker, JURA 2007, 656.
252 EuGHE 1974, 1348 („Van Duyn/Home Office"); Hermann, Richtlinienumsetzung, 42.
253 EuGHE 2002, 6336 („Marks & Spencer").
254 König, კრებულში: Schulze/Zuleeg, Europarecht, § 2 Rn. 47.

3) დირექტივების ვერტიკალური მოქმედება

დირექტივების ვერტიკალური მოქმედება ეხება **მოქალაქეებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობას**. მოქალაქე იყენებს მისთვის ხელსაყრელ, მაგრამ ჯერ კიდევ არაიმპლემენტირებულ, დირექტივას. ამ საშუალებას ევროკავშირის სასამართლო როგორც სანქციონირების ახალ მეთოდს ისე იყენებს წევრი სახელმწიფოების მიმართ.[255] სასამართლო სწორედ იმიტომ დაადგა ამ გზას, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლოს იმპლემენტაციის არგანხორციელების თავის სასარგებლოდ გამოყენება. ფაქტობრივად, ამ გზით ევროკავშირის მოქალაქეებიც ჩართულნი არიან დირექტივების უშუალოდ მოქმედების პროცესში.[256] 172

სრულიად სხვა სიტუაციაა, როდესაც თვითონ სახელმწიფო თავის მიერ არაიმპლემენტირებულ დირექტივას მოქალაქის საწინააღმდეგოდ იყენებს (შებრუნებული ვერტიკალური მოქმედება). ევროგაერთიანების სასამართლო ამის კატეგორიული წინააღმდეგია.[257] ამის დაშვება სახელმწიფოებს კიდევ უფრო წაახალისებდა იმპლემენტაციის შეფერხების პროცესში.[258] მოქალაქისთვის დირექტივით დაკისრებული ვალდებულებები მისთვის სავალდებულო უნდა ხდებოდეს მხოლოდ დირექტივის შიდა კანონმდებლობაში სათანადოდ გადატანის შემდეგ. სხვა გზით მას არა აქვს საშუალება მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია.[259] 173

დირექტივების უშუალოდ მოქმედების ძალა არ ვრცელდება კერძო პირებს შორის ურთიერთობებზე (ჰორიზონტალური მოქმედება). კერძო პირებისთვის პასუხის მოთხოვნა სახელმწიფოს მიერ არაიმპლემენტირებული დირექტივის საფუძველზე უსამართლობა იქნებოდა.[260] 174

[255] Haratsch/Koenig/Pechstein, Europarecht, Rn. 391.
[256] Walzel/Becker, JURA 2007, 658.
[257] EuGHE 1987, 3969 („Kolpinghuis Nijmegen").
[258] Haratsch/Koenig/Pechstein, Europarecht, Rn. 392.
[259] König, კრებულში: Schulze/Zuleeg, Europarecht, § 2 Rn. 52.
[260] Haratsch/Koenig/Pechstein, Europarecht, Rn. 393.

4) დირექტივის შესაბამისი განმარტება

175 ნაციონალური სამართლის განმარტება უნდა მოხდეს მაქსიმალურად დირექტივის შინაარსისა და მიზნის შესაბამისად. ინტერპრეტაციის სხვადასხვა ალტერნატივების არსებობისას უპირატესობა ენიჭება იმას, რომელიც ყველაზე უფრო ახლოს დგას შინაარსთან და მიზანთან.[261] განმარტების ეს გზა ევროგაერთიანების სასამართლოს პრაქტიკიდან წამოვიდა[262] და ამ ვალდებულებას მოგვიანებით გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოც დაეთანხმა ლოიალურობის პრინციპის საფუძველზე.[263]

176 დირექტივის შესაბამისად განმარტების მეთოდი უპრობლემოდ გამოიყენება მოქალაქეების სასარგებლოდ სახელმწიფოს წინააღმდეგ დავების შემთხვევაში. ხოლო თუ პირიქით, სახელმწიფოს სურს განმარტების ამ გზით მოქალაქის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნება, მაშინ ეს დაუშვებელია. დირექტივას არ შეუძლია მისი იმპლემენტაციის, ანუ ნაციონალური ნორმების გარეშე დააფუძნოს ან გაამკაცროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დირექტივის დამრღვევთათვის.[264]

177 კერძო პირებს შორის ურთიერთობისას დირექტივის შესაბამისი განმარტების მეთოდის გამოყენება შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, ეს საუარესოდ ხდება თუ არა. დირექტივის უშუალოდ მოქმედებისგან განსხვავებით, სადაც მსგავსი რამ დაუშვებელია, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს უკვე არსებულ შიდასახელმწიფოებრივ ნორმებთან, რომლის უბრალოდ ინტერპრეტირება ხდება.[265]

178 დირექტივების შესაბამისი განმარტების ვალდებულება არ გულისხმობს ამის გაკეთებას, მაგალითად, შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების მიერ იმპლემენტაციის ვადის დასრულებამდე. სახელმწიფოებს სწორედ იმისათვის ეძლევათ გარკვეული ვადა, რომ ის გამოიყენონ იმპლემენტაციისთვის საჭირო პროცედურებისთვის და ყველა ვალდებულების მათთვის მაშინათვე დაკისრება ამ ვადას საერთოდ აზრს დაუკარგავდა. ერთადერთ შემთხვევაშია ვადის გასვლამდე

261 Arndt/Fischer/Pechstein, Europarecht, Rn. 181.
262 EuGHE 1984, 1891 („von Colson und Kamann").
263 დანვრ. იხ. Arndt/Fischer/Pechstein, Europarecht, Rn. 182.
264 EuGHE 1987, 3986 („Kolpinghuis Nijemegen").
265 Arndt/Fischer/Pechstein, Europarecht, Rn. 183.

განმარტების ამ მეთოდის გამოყენება სავალდებულო, თუ წინააღმდეგ შემთხვევაში დირექტივაში დასახულ მიზანს საერთოდ აზრი ეკარგება. ამიტომ, ვადის გასვლამდე მოცდა არაფრის მომტანია. ნაციონალური ნორმების ინტერპრეტაციის დროს ასევე გასათვალისწინებელია მათი სიტყვასიტყვითი შინაარსი.

179 რაც შეეხება უშუალოდ მოქმედებისა და შესაბამისი განმარტების ურთიერთმიმართებას, მათ ორივეს საერთო მიზანი აერთიანებს – დასახული მიზნების მაქსიმალურად პრაქტიკული და ეფექტური განხორციელება. თუმცა, განმარტების მეთოდს უშუალოდ მოქმედებასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება. თუ შიდასახელმწიფოებრივი ნორმის დირექტივის შესაბამისად განმარტება არის შესაძლებელი, მაშინ უშუალოდ მოქმედების ძალის გამოყენება არ არის საჭირო, ხოლო თუ განმარტება შეუძლებელია, მაშინ შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ჩაირთვება დირექტივის უშუალოდ მოქმედების ძალა.[266]

III. მოქმედების სხვა ფორმები

180 ევროკავშირს, გარდა ზემოაღნიშნული ინსტრუმენტებისა, მოქმედების სხვა მექანიზმებიც გააჩნია. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 288-ე მუხლი დირექტივებთან და დადგენილებებთან ერთად ასახელებს **გადაწყვეტილებებს, რეკომენდაციებსა და შეხედულებებს**. რეკომენდაციებსა და გადაწვეტილებებს არა აქვთ სავალდებულო ძალა, მაგრამ ნაციონალურმა სასამართლოებმა ისინი უნდა გაითვალისწინონ ევროკავშირის სამართლის განმარტების პროცესში.[267] რაც შეეხება გადაწყვეტილებას, ის სავალდებულო აქტია და შეიძლება მიმართული იყოს როგორც კონკრეტული ადრესატის მიმართ, ისე ზოგადი სავალდებულო ძალა ჰქონდეს. კონკრეტული ადრესატის არსებობის შემთხვევაში ის სავალდებულოა უშუალოდ ამ ადრესატისათვის.[268] დასახელებულ საშუალებებთან ერთად ევროკავშირის ორგანოები, მაგ. საბჭო და კომისია იღებენ სხვა აქტებსაც, რომელთა განხილვას აქ დაწვრილებით არ შევუდგებით.[269]

---

266 Walzel/Becker, JURA 2007, 660.

267 Safferling, Int. Strafrecht, § 9 Rn. 89.

268 გაბრიჩიძე, ევროპული კავშირის სამართალი, აბზ. 328.

269 შეად. გაბრიჩიძე, ევროპული კავშირის სამართალი, აბზ. 337; ევროკ. საქმ. წესის შეს.

§ 4. ევროკავშირის სამართლის გავლენა ნაციონალურ სისხლის სამართალზე

I. ზოგადი მიმოხილვა

181 სისხლის სამართალი აღარ არის წმინდა ნაციონალური დარგი და ის ევროპულ განზომილებაში უნდა იქნას განხილული.[270] მიუხედავად ამისა, აქამდე გაბატონებული მოსაზრება სახელმწიფოების სუვერენიტეტის პრინციპიდან გამომდინარე უარყოფდა ევროგაერთიანების/კავშირის სისხლისსამართლებრივ კომპეტენციას. გაერთიანების სამართალი და ნაციონალური სისხლის სამართალი ერთმანეთისადმი ინტერესით არ იყო გამსჭვალული.[271] ევროპული ინტეგრაციის პროცესის გააქტიურებამ და ევროკავშირის მოქმედებების უფრო მეტი საშუალებებით აღჭურვამ ვითარება შეცვალა და მეცნიერული თუ პრაქტიკული პასიურობის დრო წარსულს ჩაბარდა. ევროპული კანონმდებლობის გათავისების პროცესი არ არის მარტივი საქმე და ისეთ ერთ-ერთ დამფუძნებელ წევრსაც კი, როგორიცაა გერმანია, მრავალი პრობლემის გადალახვა უწევს. ამ ფონზე არანაკლები სახელწიფოსთვის კიდევ უფრო აუცილებელია დროულად სხვისი გამოცდილების შესწავლა და ანალიზი, რათა მომავალში მოსალოდნელი გავლენები შეძლებისდაგვარად წინასწარ განიჭვრიტოს.[272]

II. ევროპული სანქციები და ევროპული სისხლის სამართალი

182 ევროკავშირს მოქმედების სხვადასხვა მექანიზმები გააჩნია, რომლებიც პირდაპირ არ არიან სისხლისსამართლებრივი ხასიათის, მაგრამ ისინი გარკვეულ შემთხვევებში შეგვიძლია სისხლისსამართლებრივ სანქციებს გავუთანაბროთ.

183 პირველ რიგში ეს ეხება **ფულად ჯარიმებს**. ევროკავშირის სამართ-

---

ხელშ. მუხ. 291.

270 Zieschang, კრებულში: Strafrecht und Wirtschaftsstrafrecht, 1303.

271 Tiedemann, NJW 1993, 23.

272 შეად. Zieschang, კრებულში: Sieber/Dannecker/Kindhäuser/Vogel/Walter, Strafrecht und Wirtschaftsstrafrecht, 1304.

ლის დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია მათი გარკვეული ოდენობით დაკისრება.[273] ჯარიმების მიზანია ერთიანი შიდა ბაზრისა და კონკურენციის ხელშეწყობა (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 103, აბზ. 2, პუნქტი ა).[274] ევროკავშირის პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირის დაწესებულებების, წევრი სახელმწიფოების, მეწარმეებისა და მომხმარებლების ინტერესების გაწონასწორება ხდება.[275] ფულადი ჯარიმების დაკისრების საშუალებას ჯერ კიდევ ევროპის ატომური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულება და ევროპის ფოლადისა და ქვანახშირის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულება შეიცავდა. ევროკომისიამ გზადაგზა ფულადი ჯარიმები სხვადასხვა სფეროებზე განავრცო.[276]

ფულადი ჯარიმის ცნებაზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ მისი ინტერპრეტირება ხდება ევროკავშირის სამართლის და არა ნაციონალური სამართლის მიხედვით. ნაციონალურ-სამართლებრივი გაგების შემთხვევაში სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო სურათს მივიღებდით ყოველი წევრი ქვეყნის შიდა სამართლის თავისებურებების გამო. **184**

მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, ფულადი ჯარიმების გარდა, სხვა სახის სანქციებიც გამოიყენება. ეს ეხება სოფლის მეურნეობასა და თევზის მრეწველობას. ხდებოდა კრედიტების მიცემაზე უარის თქმა ან უკვე გაცემულის უკან დაბრუნება. ამის წინაპირობა იყო დაკრედიტების წინაპირობებისთვის საჭირო ინფორმაციის არასწორად მიწოდება. უკან დაბრუნების მოთხოვნა ზოგჯერ ძირითად გაცემულ თანხას 40%-ითაც კი აჭარბებდა,[277] ანუ სანქციები საკმაოდ სოლიდური იყო. მართალია, ისინი სისხლისსამართლებრივ ფულად ჯარიმას არ წარმოადგენდა, მაგრამ, ზოგადად, გადამხდელის ქონების შემცირებას იწვევდა.[278] **185**

ევროკომისია დღეისთვის აღნიშნულ სანქციებს, განსაკუთრებით მონოპოლიასთან ბრძოლის სფეროში, აქტიურად იყენებს. ფულადი ჯარიმების ოდენობა მილიარდებს აღწევს და ისინი ბევრად უფრო აღემატება ცალკეული სახელმწიფოების მიერ დაკისრებულ ჯარიმებს. მათი გამოთვლა ხდება დამრღვევი საწარმოს ბოლო წლის საერთო **186**

[273] Heitzer, Punitive Sanktionen, 19.
[274] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 8 Rn. 2.
[275] Braum, Strafgesetzlichkeit, 232.
[276] Sieber, ZStW 1991, 966 ff.
[277] Heitzer, Punitive Sanktionen, 27.
[278] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 8 Rn. 3.

შემოსავლის საფუძველზე.[279]

187 საკითხავია, შეიძლება თუ არა ამ სანქციების სისხლის სამართლისთვის მიკუთვნება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპული (სტრასბურგის) სასამართლოს პრაქტიკას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებაში. სასამართლოს მოსაზრებით, სისხლის სამართლის გაგება უნდა ხდებოდეს კონვენციის და არა თითოეული სახელმწიფოს კანონმდებლობის ფარგლებში. სხვა შემთხვევაში ბრალდებულის უფლებები მნიშვნელოვნად შეიზღუდებოდა და საქმის სისხლის სამართლისთვის მიკუთვნება, ანუ შესაბამისად კონვენციის მე-6 მუხლით დაცვა, დამოკიდებული გახდებოდა ადგილობრივ კანონმდებლობაზე. მთავარია, კონვენციით დაცული უფლებები და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ამა თუ იმ სფეროსთვის მიკუთვნება ხდებოდეს კონვენციით გათვალისწინებული ორგანოების მიერ და ამას აკონტროლებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.[280]

188 საქმის სისხლის სამართლისთვის მიკუთვნების კრიტერიუმები სტრასბურგის სასამართლომ 1976 წელს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ჩამოაყალიბა.[281] პირველ რიგში, თვითონ სანქცია უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი, მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელია დარღვევის ხასიათიც.[282] გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს სანქციის სიმძიმეს, რომელიც დამრღვევს ემუქრება. მას უნდა მოჰყვებოდეს დამრღვევისთვის მძიმე შედეგი.[283]

189 სტრასბურგის სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული ეს წინაპირობები ცდებიან წმინდა სისხლისსამართლებრივ ფარგლებს და თეორიულად სისხლისსამართლებრივი სანქციებისთვის შეიძლება მიკუთვნებულ იქნას ის სხვა სანქციებიც, რომლებიც უშუალოდ სისხლის სამართლის კოდექსში მითითებული არ არის (მაგ. ადმინისტრაციული).[284] აქედან გამომდინარე, ევროკავშირის ფარგლებში დაკისრებული ჯარიმებიც შეგვიძლია მივაკუთვნოთ ფართო გაგებით სისხლისსამართლებრივ სასჯელებს.[285]

279 Dannecker, კრებულში: Schünemann/González, Bausteine, 332; Vogel, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 5 Rn. 10 ff.

280 Frowein/Peukert, Menschenrechtskonvention, Art. 6 Rn. 25.

281 Engel u.a., EuGRZ 1976, 221 ff.

282 Engel u.a., EuGRZ 1976, 232, Rn. 82.

283 Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 11 Rn. 59.

284 Schädler, კომენტარებში: Hannich, Karlsruher Kommentar, Art. 6 EMRK, Rn. 8 ff.

285 Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 8 Rn. 6 ff.

§ 5. ევროკავშირის სამართლის შესაძლო გავლენები ქართულ სისხლის სამართალზე

I. ზოგადი მიმოხილვა

ევროკავშირის სამართალი გავლენას ახდენს ერთი მხრივ, შიდა- 190
სახელმწიფოებრივ საკანონმდებლო პროცესზე და მეორე მხრივ, მოქმედი ნორმების გამოყენებაზე.[286] ზოგადად, ნებისმიერი კანონმდებელი დამოუკიდებლად მოქმედებს და პასუხს აგებს მის მიერ გამოცემულ კანონებზე, მაგრამ ის შეზღუდულია კონსტიტუციაში ჩადებული ძირითადი უფლებებით.[287] ძირითადი უფლებები უზრუნველყოფენ ინდივიდის ან ჯგუფების თანასწორობასა და თავისუფლებას სახელმწიფოსა და მისგან გამომდინარე უზენაესი ხელისუფლების წინაშე.[288] ისინი იცავენ არა მხოლოდ საკუთარ მოქალაქეებს (სამოქალაქო უფლებები), არამედ მოქმედებენ ყველასთვის განურჩევლად მოქალაქეობისა (ადამიანის უფლებები).[289] ამ მხრივ საქართველო არ არის გამონაკლისი. სახელმწიფო მისი ძალაუფლების განხორციელებისას კონსტიტუციიდან გამომდინარე ვალდებულია გაითვალისწინოს ძირითადი უფლებების ფუნდამენტური მნიშვნელობა.

სისხლის სამართლის მიმართულებით საკანონმდებლო საქმიანობი- 191
სას კანონმდებელი ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცეს. სისხლის სამართალი, ეს არის უკიდურესი საშუალება ***ultima ratio***-ს პრინციპიდან გამომდინარე სამართლებრივი სიკეთეების დასაცავად და გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივი სიკეთის ეფექტური დაცვა სხვა საშუალებებით შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართალი არის ყველაზე ინტენსიური ჩარევა პირის თავისუფლებაში.[290]

შესაბამისად, თანაზომიერების პრინციპს განსაკუთრებული ყურად- 192
ღება უნდა მიექცეს. ეს გულისხმობს წინასწარ შემდეგი წინაპირობების გაანალიზებას: არის თუ არა ნორმის გამოცემით ლეგიტიმური მიზანი დასახული; არის თუ არა გამოსაცემ ნორმაში ჩადებული საშუა-

---

[286] Zieschang, კრებულში: Sieber/Dannecker/Kindhäuser/Vogel/Walter, Strafrecht und Wirtschaftsstrafrecht, 1309.

[287] Satzger, Europäisierung, 291.

[288] Hufen, Staatsrecht II, § 1 Rn. 6; Pache, კრებულში: Heselhaus/Nowak, Grundrechte, § 4 Rn. 9.

[289] Hufen, Staatsrecht II, § 1 Rn. 6.

[290] Hassemer/Neumann, კომენტარებში: Kindhäuser/Neumann/Paeffgen, Strafgesetzbuch, Vorbemerkungen zu § 1 Rn. 72.

ლებები მიზნის მისაღწევად გამოსადეგი და აუცილებელი, ანუ არ უნდა არსებობდეს სხვა უფრო ნაკლებად მძიმე საშუალება იგივე შედეგის მისაღწევად.[291] ბოლოს უნდა მოხდეს ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინება და აწონ-დაწონვა.[292]

193 საკითხავია ასევე, ვალდებულია თუ არა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებელი გამოსცეს სისხლისსამართლებრივი ნორმები. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად თავდაპირველად თვითონ სისხლის სამართლის ადგილსა და ფუნქციებზე უნდა შევთანხმდეთ სახელმწიფოსამართლებრივ სისტემაში. თუ ჩვენ მას მივიჩნევთ თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს აუცილებლ შემადგენელ ნაწილად, რომელიც წესრიგის დაცვას და ამავდროულად (პოტენციური) მსხვერპლის ინტერესების დაცვას ემსახურება,[293] მაშინ ამ კითხვის დასმა ლეგიტიმურია. შედარებისთვის გერმანიის კონსტიტუციას თუ ავიღებთ, იქ მსგავსი ნორმების გამოცემის ზოგადი ვალდებულება არ არის ჩადებული, გარდა ერთი გამონაკლისისა - კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი აბზაცი მოითხოვს ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის ხელის შეშლის დასჯადობას.[294] სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოცემის ვალდებულება გამომდინარეობს ასევე სამართლებრივი სიკეთეების, სამოქალაქო და ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციური პრინციპებიდან[295] და მასზე კონკრეტული მითითება ქვეყნის ძირითად კანონში არ არის აუცილებელი. საქართველოს კონსტიტუციაც არ ავალდებულებს საქართველოს პარლამენტს მიიღოს სისხლისსამართლებრივი კანონები, მაგრამ ის ანესებს ადამიანის ღირსების, თავისუფალი განვითარებისა და სხვა გარანტიებს, რაც საჭიროების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებასაც გულისხმობს. კონკრეტული საკითხის მოწესრიგებისას კანონმდებელს რჩება თავისუფლება, თვითონ გადაწყვიტოს, თუ რომელი მიზნების მისაღწევად არის სისხლის სამართალი აუცილებელი. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ მომავალში, საქართველოს პარლამენტს ერთიანი ევროპული სამართლებრივი სივრცისადმი მიერთების შემთხვევაში კონსტიტუციის პარალელურად ევროკავშირის სამართლის მოთხოვნების გათვალისწინება მოუწევს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნე-

[291] Manssen, Staatsrecht II, § 8 Rn. 163 ff.
[292] Manssen, Staatsrecht II, § 8 Rn. 170 ff.
[293] Rössner, კომენტარებში: Dölling/Duttge/Rössner, Gesamtes Strafrecht, Vorbemerkungen zu § 1 Rn. 1.
[294] შეად. Roxin, Strafrecht AT, Bd. I, § 2 Rn. 95.
[295] Satzger, Europäisierung, 294.

ლოვანია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 აბზაცში ჩადებული ლოიალურობის პრინციპი.

II. ლოიალურობის პრინციპი

194 ევროკავშირის მხრიდან სრული სისხლისსამართლებრივი კომპეტენციის არქონა და საკუთარი სამართლებრივი სიკეთეების დაცვისას წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართალსა და მათ ორგანოებზე დამოკიდებულება არ ნიშნავს იმას, რომ ამ სახელმწიფოებს საკუთარი ნება-სურვილით შეუძლიათ გადაწყვიტონ, როდის იმოქმედონ და როდის არა.[296] სახელმწიფოების მიმართ მოქმედების ვალდებულებას შეიცავს ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 აბზაცი (ყოფილი ევროგაერთ. შესახებ ხელშ. მე-10 მუხ.). ეს მუხლი წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს ევროკავშირის მხარდაჭერას და ეს მხარდაჭერა არ ეხება რომელიმე კონკრეტულ მიმართულებას. ფორმულირება შემდეგნაირია: **„ნებისმიერი შესაბამისი ღონისძიება, რომელიც აუცილებელია ვალდებულებების შესასრულებლად"**.[297] ამ ვალდებულებას ლისაბონის ხელშეკრულება ლოიალური თანამშრომლობის პრინციპს უწოდებს და ადრე ლიტერატურასა და პრაქტიკაში არსებული ტერმინოლოგიური განსხვავებები (გაერთიანების ერთგულების პრინციპი, სოლიდარობის ვალდებულება და ა.შ.) საბოლოოდ ოფიციალურად აღმოიფხვრა.

195 შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლებისთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 აბზაცი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.[298] ის ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების მრავალ ასპექტს მოიცავს.[299] იგივე ეხება ევროკავშირის პარტნიორ სახელმწიფოებსაც, თუნდაც საქართველოს. საქართველო, ერთი მხრივ, ვალდებულია აქტიურად დაუჭიროს მხარი კავშირს და მეორე მხრივ, თავი შეიკავოს ისეთი ღონისძიებებისგან, რომლებიც ავნებს ევროკავშირის ინტერესებს. ამ დროს საუბა-

[296] Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 2.
[297] Streinz, კომენტარებში: Streinz, EUV/EGV, Art. 10 EGV, Rn. 1.
[298] Zieschang, კრებულში: Sieber/Dannecker/Kindhäuser/Vogel/Walter, Strafrecht und Wirtschaftsstrafrecht, 1309.
[299] Safferling, Int. Strafrecht, § 9 Rn. 74.

რია არა უბრალოდ საერთაშორისო სამართალში მოქმედი pacta sunt servanda პრინციპის არდარღვევაზე, არამედ საქართველოსთვის პირდაპირი ვალდებულებების წარმოშობაზე.[300] ქართველი კანონმდებლის თავისუფლება ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე გარკვეული ხარისხით შეზღუდულია და ის ვალდებულია გაითვალისწინოს ევროკავშირის სამართლის მოთხოვნები დანაშაულის შემადგენლობების ჩამოყალიბებისას ან სასჯელების დაწესებისას.

1) დანაშაულის შემადგენლობები და ევროკავშირის სამართალი

196 ევროკავშირის სამართლებრივ სივრცესთან მიერთების შემთხვევაში ქართველი კანონმდებელი ვალდებული იქნება არ გამოსცეს ევროკავშირის სამართალთან შეუსაბამო ნორმები. ნორმის დისპოზიცია/დანაშაულის შემადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს ყველა წევრი სახელმწიფოსთვის სავალდებულო ძალის მქონე ევროკავშირის ნორმებთან და ეს ეხება ნაციონალურ სამართლებრივ სისტემას მთლიანობაში.[301]

197 კანონმდებელს არა აქვს უფლება დასჯადად გამოაცხადოს ევროკავშირის სამართლით დაშვებული ქმედება.[302] მაგალითად, დაუშვებელი იქნება ევროკავშირის მოქალაქისგან საქართველოში ცხოვრების ნებართვის მოთხოვნა. ეს პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვიდოდა თავისუფალი გადაადგილების პრინციპთან, კერძოდ ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 45-ე მუხლთან. დაუშვებელი იქნება ასევე წევრი სახელმწიფოებიდან შემოსული მუშახელის ნებისმიერი დისკრიმინაცია და ქართველი მუშახელის უპირატესი დასაქმება მათთან შედარებით. ევროკავშირის სამართალი გავლენას სასამართლო პრაქტიკაზეც მოახდენს. საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოს არა აქვს უფლება, გამოიყენოს ევროკავშირის სამართალთან შეუსაბამო ნორმები. იგივე ეხება სხვა ორგანოებსაც. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის შემთხვევაში – საზღვრის უკანონო გადაკვეთა – დანაშაულის სუბიექტებიდან ამოღებულ უნდა იქნას ევროკავშირის მოქალაქე. ქართულ სასამართლოებს ასევე არ ექნებათ უფლება ვინმეს დააკისრონ პასუ-

[300] Streinz, კომენტარებში: Streinz, EUV/EGV, Art. 10 EGV, Rn. 13.
[301] შეად. Satzger, Europäisierung, 298.
[302] Cuerda, კრებულში: Schünemann/González, Bausteine, 371.

ხისმგებლობა ეროვნულ სტანდარტებთან შეუსაბამო სურსათის წარმოების გამო. დასჯადობისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ ადგილობრივი სტანდარტების დარღვევა. თუ პროდუქცია ევროკავშირის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მაშინ მისი წარმოების სანქციონირება დაუშვებელია.[303]

ევროკავშირის სამართლის მსგავსი მოქმედების ძალის გათვალისწინებით კანონმდებელმა მომავალში ახალი ნორმების გამოცემისას ეს რეალობა უნდა გაითვალისწინოს. ხოლო, რაც შეეხება უკვე არსებულ ნორმებს, მათ შემთხვევაში სამართლებრივი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად გამოიყენება განმარტების ან სხვა მეთოდები, რომლებსაც მოგვიანებით დაწვრილებით განვიხილავთ. **198**

თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ შემდეგი კაზუსი, რომელზეც გადაწყვეტილება აქვს გამოტანილი ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს: **199**

> ბრიტანელი ბიზნესმენები ა და ბ 1974-75 წლებში ვაჭრობდნენ ძველი ბრიტანული მონეტებით, რომლებიც 1947 წლამდე იყო იქ გამოშვებული. ამ მონეტების საზღვარგარეთ გატანისათვის საჭირო იყო ბრიტანული სპეციალური ლიცენზია, რომელიც მათ არ გააჩნდათ. შესაბამისად, მათ მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. ა და ბ თავიანთ არგუმენტად ევროგაერთიანების ფარგლებში მოქმედ საქონლის თავისუფალი გადაადგილების პრინციპზე მიუთითებდნენ, მოწინააღმდეგე მხარე კი თვლიდა, რომ მოქმედი შეზღუდვები გამართლებული იყო იმით, რომ ბრიტანეთს ქონდა უფლება, თვითონ მიეღო მოგება და არა კერძო პირებს. გარდა ამისა, თავიდან უნდა ყოფილიყო აცილებული ბრიტანეთის საზღვრებს მიღმა მონეტების განადგურება, რაც ბრიტანეთის შიგნით დანაშაულს წარმოადგენდა. ბრიტანულმა სასამართლომ ა და ბ პასუხისგებაში მისცა. მართებული იყო თუ არა აღნიშული ქმედება?[304]

ევროგაერთიანების სასამართლომ ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილება მართებულად ჩათვალა, ვინაიდან, მართალია, მოქმედებდა საქონლის თავისუფალი გადაადგილების პრინციპი, თუმცა, ამავდროულად, სახელმწიფო უფლებამოსილი იყო გარკვეულ საგამონაკლისო შემთხვევებში, თუ საკითხი შეეხებოდა საჯარო წესრი- **200**

[303] Cuerda, კრებულში: Schünemann/González, Bausteine, 372.

[304] კაზუსი მოყვანილია სახელმძღვანელოდან Esser, Europäisches und Internationales Strafrecht, § 2 Rn. 15.

გის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის და მსგავსი სიკეთეების დაცვას, მოეხდინა აღნიშნული პრინციპის შეზღუდვა (იხ. დღეისათვის მოქმედი ევროკ. საქმ. ნესის შეს. ხელშ. მუხ. 36).[305] მოცემულ შემთხვევაში ბრიტანეთს სრული უფლება ჰქონდა, ჯერ გამოეშვა და მერე დაეცვა საკუთარი მონეტები, ვინაიდან ეს მისთვის არსებით კულტურულ ინტერესებში შედიოდა[306].

201 როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ არსებობს მნიშვნელოვანი ევროპული პრინციპები, რომლის დარღვევის შემთხვევაში შიდასახელმწიფოებრივი სისხლისსამართლებრივი შემადგენლობა ვერ იქნება გამოყენებული (განეიტრალდება – დაწვრ. ამ ინსტიტუტზე ვისაუბრებთ შესაბამის თავში), ვინაიდან ის წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის სამართალთან, მაგრამ ლისაბონის ხელშეკრულებაშივეა ჩადებული ის საგამონაკლისო შემთხვევები, რომლითაც შესაძლებელია საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა.

202 საინტერესოა შემდეგი კაზუსიც, რომელიც საქართველოსთვისაც რელევანტური შეიძლება გახდეს:

> 1985 წელს ფრანგმა გლეხებმა დაიწყეს საპროტესტო გამოსვლები ევროგაერთიანების სხვა სახელმწიფოებიდან შემოსული პროდუქციის წინააღმდეგ, ვინაიდან შიშობდნენ, რომ საკუთარ საქონელს ვერ გაყიდდნენ. მათ სატვირთო მანქანებსა და მძღოლებზე თავდასხმებიც კი განახორციელეს პროდუქციის განადგურების ჩათვლით. საფრანგეთის მთავრობას არ მიუღია ზომები ევროკომისიის მოთხოვნის მიუხედავად. ამის გამო 1995 წელს კომისიამ ევროგაერთიანების სასამართლოში საფრანგეთის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა საქონლის თავისუფალი გადაადგილებისა და ლოალურობის პრინციპის დარღვევის გამო.[307]

203 ევროგაერთიანების სასამართლომ საფრანგეთის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო და დაადგინა შემდეგი:[308] ათ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში მეორდებოდა თავდასხმები სხვა სახელმწიფოებიდან შემოტანილ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, იქნებოდა ეს მძღოლებზე თუ გამყიდველებზე ზეწოლის ფორმით, რამაც მთლიანობაში შექმნა არასტაბილური გარემო საქონლის თავისუფალ

305 Esser, Europäisches und Internationales Strafrecht, § 2 Rn. 24.
306 Esser, Europäisches und Internationales Strafrecht, § 2 Rn. 24.
307 EuGHE 1997, 6969.
308 იხ. სასამართლოს პრეს-რელიზი: https://curia.europa.eu/de/actu/communiques/cp97/cp9776de.htm (ნანახია 23.8.2017).

გადაადგილებასთან მიმართებაში, საფრანგეთის სახელმწიფოს კი არ მიუღია ეფექტური ზომები ყოველივე ამის აღსაკვეთად. სასამართლომ ისიც დაადგინა, რომ სამართალდამცავი ორგანოები ხშირად არც კი იმყოფებოდნენ თავდასხმების ადგილას, მიუხედავად ინფორმაციის მიღებისა. მათ 1993 წელს განხორციელებული უამრავი თავდასხმიდან მხოლოდ ერთზე განახორციელეს სისხლისსამართლებრივი დევნა იდენტიფიცირებული თავდამსხმელების მიუხედავად.

საფრანგეთის მთავრობამ ყოველივე ამის გასამართლებლად განაცხადა, რომ ჩარევის შემთხვევაში სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდებოდა, ვინაიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზარზე ისედაც დაძაბული სიტუაცია იყო. სასამართლომ აღნიშნული არგუმენტი არ გაიზიარა შემდეგი დასაბუთებით: დაუშვებელია, სახელმწიფომ ევროკავშირის სამართლის განხორციელება საკუთარ ტერიტორიაზე მხოლოდ სავარაუდო გართულებების გამო შეაჩეროს. სოფლის მეურნეობა და კერძოდ, აგროპოლიტიკა ეფუძნება ერთიანი ევროპული ბაზრის პრინციპს და შესაბამისად, თვითონ ევროგაერთიანება იყო უფლებამოსილი, მიეღო გადაწყვეტილება არსებული პრობლემების გადასაწყვეტად და არ უნდა მომხდარიყო ისე, რომ სახელმწიფომ უბრალოდ თვითონ შეწყვიტა ევროგაერთიანების მთავარი პრინციპის, საქონლის თავისუფალი გადაადგილების, ეფექტური დაცვა. საბოლოო ჯამში დადგინდა საქონლის თავისუფალი გადაადგილებისა და გაერთიანების ერთგულების პრინციპების დარღვევა. **204**

2) სასჯელები და ევროკავშირის სამართალი

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებელი სასჯელების განსაზღვრისას დამოკიდებულია ევროკავშირის სამართალზე. ზოგადად, ევროგაერთიანების სასამართლომ სანქციის შერჩევის თავისუფლება საქმეში ***„Amsterdam Bulb"***[309] ნევრ სახელმწიფოებს დაუტოვა. სასამართლოს აზრით, თუ ევროგაერთიანების ნორმა მისი დარღვევისთვის კონკრეტულ სანქციებს არ შეიცავს, სახელმწიფოებს შეუძლიათ თვითონ შეარჩიონ ის სანქცია, რომელიც მათ მიაჩნიათ მოცემული შემთხვევისთვის მართებულად.[310] მთავარი არგუმენტი ამისა იყო ის, რომ ნაციონალური კანონმდებლის მიერ სანქციონირება არ იწვევდა **205**

[309] EuGHE 1977, 137 („Amsterdam Bulb").
[310] EuGHE 1977, 150 („Amsterdam Bulb").

ევროპული ნორმის შინაარსის შეცვლას. ამ დათქმას თუ შევატრიალებთ, გამოდის რომ დაუშვებელია ევროკავშირის ნორმის აღსასრულებლად შიდასახელმწიფოებრივი სასჯელების დაწესება, თუ ეს ნორმა უკვე დასრულებული და სრულყოფილი სახით არის ჩამოყალიბებული.[311] არის თუ არა ევროპული ნორმა სრულყოფილი, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასების საკითხია. სრულყოფილებაში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც მაგ. ნორმა თვითონ შეიცავს სანქციებს და მისი დამატებით სრულყოფა ნაციონალური სანქციებით არ არის საჭირო.

206 სანქციების შერჩევისას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მათთვის მინიჭებული თავისუფლების მიუხედავად ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ ევროკავშირის სამართლის საერთო ფარგლები. ამის კონკრეტული მოთხოვნები არსად არ არის გაწერილი, მაგრამ ევროკავშირის სასამართლომ თავის პრაქტიკაში ევროკავშირის სამართლიდან გამომდინარე საყოველთაო პრინციპები მაინც განავითარა. ესენია: **თავისუფლება, თანაზომიერება/პროპორციულობა და დისკრიმინაციის აკრძალვა.**[312]

207 ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოხატულება თავისუფლების პრინციპისა არის ევროკავშირის ტერიტორიაზე **თავისუფალი გადაადგილების უფლება**. დაუშვებელია დარღვევების ჩადენისთვის ისეთი სანქციები დაწესდეს, რომ რეალურად ხელი შეეშალოს თავისუფალი გადაადგილების პრინციპის განხორციელებას. ევროგაერთიანების სასამართლომ საქმეში ***„Watson"***[313] თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვად დააკვალიფიცირა იტალიის კანონმდებლის მოთხოვნა, თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით დასჯილიყო ის პირი, ვინც იტალიაში შემოსვლიდან 3 დღის განმავლობაში არ წარდგებოდა შესაბამისი საბუთებით პოლიციის წინაშე. ეს სანქცია არ იყო დარღვევის პროპორციული. იგივე დადასტურდა საქმეში ***„Sagulo"***: მართალია სახელმწიფოები უფლებამოსილნი არიან გონივრულ ფარგლებში დარღვევებისთვის დააწესონ სანქციები, მაგრამ ეს სანქციები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ისეთი მძიმე, რომ საბოლოო ჯამში ქვეყანაში თავისუფლად შემოსვლისა და იქ ცხოვრების ხელისშემშლელ ფაქტორად იქცეს.[314]

---

311 Gröblinghoff, Verpflichtung, 20 ff.

312 Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 41; Satzger, Europäisierung, 305; Jens, Strafrechtsanwender, 99 ff.

313 EuGHE 1976, 1185 („Watson").

314 EuGHE 1977, 1506 („Sagulo").

ეს მოთხოვნები უპირველეს ყოვლისა ეხება კანონმდებელს, რათა მან თავიდანვე თავი შეიკავოს თავისუფალი გადაადგილებისთვის ხელისშემშლელი ნორმების გამოცემისგან. თუ, მაგალითად, ევროკავშირს ახალი წევრი შეემატება, მაშინ ლოგიკურია, რომ სწრაფად შეუძლებელია არსებული კანონების შეცვლა და სანამ ეს მოხდება, მანამდე სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ არსებული ნორმების ევროკავშირის სამართლის შესაბამისი გამოყენება. მათ თავიანთი მოქმედების თავისუფლება იქითკენ უნდა მიმართონ, რომ შეარჩიონ ისეთი სანქცია, რაც ყველაზე მეტად შეესაბამება დასაცავი ევროპული ნორმის მიზანს.[315] 208

ევროკავშირის სამართლის შესაბამისი სანქციის შერჩევის ვალდებულების დაკისრების შემთხვევაში სასამართლოს მოქმედების თავისუფლების შესაბამისი ხარისხიც უნდა ჰქონდეს. ეს ეხება განსაკუთრებით **სასჯელების ზედა და ქვედა ზღვარს**. თუ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას მოსამართლეს ერთმანეთთან ახლოს მდგომ ზედა და ქვედა ზღვარს უწესებს, ეს თავისთავად ზღუდავს მას გადაწყვეტილების მიღებისას. სასჯელების უკეთ ინდივიდუალიზაციისთვის სასურველი იქნებოდა ან შუალედის გაზრდა ან საერთოდ უმეტესად შემდეგი ფორმულირებების შემოღება – „თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე". ის არგუმენტი, რომ მოსამართლისთვის ნაკლები თავისუფლების დატოვება უზრუნველყოფს სამართლიანობის უკეთეს ხარისხს და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, არ არის დამაჯერებელი. პირიქით, ხშირ შემთხვევაში ეს სასამართლოს თავისუფლების ხარისხზე აისახება და ერთი შეხედვით დაცული სამართლიანობა სხვა მხრივ უკუეფექტებს იწვევს. 209

იგივე პრობლემებია ე.წ. **გაიდლაინებთან** მიმართებაშიც.[316] წინასწარ ხშირად დეტალურად გაწერილი სანქციები სასამართლოს უბრალოდ ამსრულებლის როლს უტოვებს. სახელმძღვანელო პრინციპებში წინასწარ არის დადგენილი თავისუფლების აღკვეთის ვადები თვეების ან ფულადი ჯარიმების ოდენობის ჩათვლით. 210

ანგლოამერიკულ სისტემაში მიღებული გაიდლაინების, ანუ სახელმძღვანელო პრინციპების შემოღების იდეა საქართველოში 2007 წელს უზენაესი სასამართლოს მხრიდან წამოვიდა. სპეციალურად ამისა- 211

[315] EuGHE 1977, 1507 („Sagulo").

[316] იხ. უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/reko.pdf (ნანახია 29.7.2017).

თვის შექმნილმა კომისიამ სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული მუხლებისთვის რეკომენდაციები შეიმუშავა. მისი მიზანი იყო ერთიანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფა მსგავსი შინაარსის მქონე საქმეების შემთხვევაში და ამ გზით სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების მიღწევა.[317] სახელმძღვანელო პრინციპების მომხრეები მიუთითებენ მათ არასავალდებულო ხასიათზე. მომზადებულ ცხრილებში გაწერილი სასჯელები უნდა ასრულებდნენ მხოლოდ დამხმარე ფუნქციას მოსამართლეებისთვის სტანდარტულ შემთხვევებში.[318]

212 მიუხედავად ფორმალურად გაიდლაინების არასავალდებულო შინაარსისა, მან პრაქტიკაში ერთი პერიოდი ფაქტიურად მაინც სავალდებულო ხასიათი შეიძინა. მართალია, სასამართლოს ქვედა ინსტანციაში შეეძლო მიეღო განსხვავებული გადაწყვეტილება და გადაეხვია წინასწარ შეთავაზებული რეკომენდაციისგან, თუმცა ამავდროულად იმის ალბათობა მაღალი იყო, რომ ბოლო ინსტანციაში საქმის გადასვლის შემთხვევაში მის გადაწყვეტილებას შეცვლიდნენ, ვინაიდან რეკომენდაციების ავტორი და ინიციატორი ისევ და ისევ უზენაესი სასამართლო იყო. ეს კი ზრდიდა ქვედა ინსტანციებში გადაწყვეტილებების გაიდლაინების მიხედვით მიღების „სტიმულს". საბოლოოდ, ქვედა ინსტანციის მოსამართლე განაჩენის გამოტანისას არაპირდაპირ იძულებული ხდებოდა გაითვალისწინებინა რეკომენდაციები.

213 სხვა სამართლებრივი ტრადიციების მქონე ქვეყნებისგან განსხვავებით, მაგალითად, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ქართულ რეალობაში რეკომენდაციებმა ისედაც მყიფე სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი კიდევ უფრო შეზღუდა. ამასთანავე, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველო საერთო სამართლის სისტემების მქონე ქვეყნების რიცხვს არ განეკუთვნება, სადაც რეკომენდაციების არსებობა აუცილებელია კლასიკური გაგებით კანონების არარსებობის გამო. ჩვენთან კი გაიდლაინები კონკურენციას უწევდნენ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებს.

214 ის შენიშვნა, რაც სახელმძღვანელო პრინციპების არარსებობის შემთხვევაში მსგავსი დანაშაულების სრულიად განსხვავებულად სანქციონირების საფრთხეს ეხება, ერთი მხრივ სამართლიანია. ერთიანი სასჯელის შეფარდების სისტემა არ არსებობს და ეს სამართლებრივი სისტემისადმი ნდობის გამყარებას ნამდვილად არ უწყობს ხელს. ამ

[317] თუმანიშვილი, მართლმსაჯულება და კანონი, 3/2010, 66.
[318] თუმანიშვილი, მართლმსაჯულება და კანონი, 3/2010, 72.

ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად გაიდლაინების შემოღება ერთი შეხედვით გამართლებულია, თუმცა, ის ქართულ სამართლებრივ რეალობასთან კოლიზიაში მოდის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს შემდეგს: სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს... დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ და ა.შ. აქედან გამომდინარე, მოსამართლე ვალდებულია გაითვალისწინოს დანაშაულის შეფასებისას ობიექტურთან ერთად სუბიექტური მომენტებიც. ყველა ამ წინაპირობის აწონ-დაწონვის შემდეგ ის იღებს მისი გადმოსახედიდან სამართლიან გადაწყვეტილებას. გაიდლაინების სისტემამ ამ მიდგომას გადაუხვია და ძირითადი აქცენტი გაკეთდა ობიექტურ კრიტერიუმებზე: ადრე ჩადენილი დანაშაული, გამოძიებასთან თანამშრომლობა, დანაშაულის სიმძიმე და ა.შ. სწორედ ამ მიდგომებშია განსხვავება კლასიკურ და გაიდლაინების მიმდევარ სისტემებს შორის. კლასიკური სისტემა მოსამართლეს უტოვებს თავისუფლებას თვითონ შეაფასოს ყველა შემთხვევა და პასუხი გასცეს პრობლემატურ კითხვებს, ხოლო მეორეში კი ამ ფუნქციას მეტწილად რეკომენდაციის ავტორი ითავსებს. **215**

მართალია, კლასიკური სისტემის იმ ნაკლს ვერსად ვერ გაექცევით, რაც ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ნაკლებად უზრუნველყოფაა, მაგრამ სახელმძღვანელო პრინციპების საქართველოში შემოღებას სულ მცირე სამი უარყოფითი გვერდითი მოვლენა ახლდა თან: მოსამართლეების თავისუფლების შეზღუდვა, დამნაშავის პიროვნების სუბიექტური ფაქტორების გაუთვალისწინებლობა და ბოლოს, ყველა მსგავსი შემთხვევის წინასწარვე ერთ ქვაბში ჩაყრა. **216**

სასამართლო სისტემაში მსგავსი ინტენსიური ჩარევა საბოლოოდ ამ სისტემისადმი ნდობის შესუსტებას იწვევს. მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც ლამისაა წინასწარ უკვე ცხადია, თუ ვის რა სასჯელი მოელის, რადგან ეს უკვე რეკომენდაციებშია გაწერილი. დღეისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სასამართლო რეალობაში ადრე შემუშავებული რეკომენდაციების როლი უმნიშვნელოა და პრაქტიკაში არ გამოიყენება, თუმცა, სახელმძღვანელო რეკომენდაციები ისევ არსებობს და უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზეც არის განთავსებული. **217**

218 დავუბრუნდეთ ისევ თანაზომიერებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს. სად გადის მათ შორის ზღვარი და რა მასშტაბების აღება არის საჭირო? ამოსავალი წერტილი არის ისევ და ისევ შიდასახელმწიფოებრივი სასჯელთა სისტემა, რადგან სწორედ მათი საშუალებით ხდება ევროკავშირის სამართლის პრინციპების დაცვა. თანაზომიერი დასჯადობის დადგენა ხდება შიდა სამართალში შედარების გაკეთების საფუძველზე. დაუშვებელია ერთი და იმავე დარღვევისთვის საკუთარი მოქალაქე დასაჯო უფრო მსუბუქად და ევროკავშირის წევრი სხვა სახელმწიფოს მოქალაქე კი უფრო მკაცრად. თუ ნაციონალური სამართალი არ იძლევა შედარების საშუალებას, მაშინ სანქციის ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობა დგინდება თვითონ ამ კავშირის სამართლის მოთხოვნების მიხედვით.[319]

219 თანაზომიერების დაცვისა და დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ევროგაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *„Drexl"*.[320] საქმე ეხებოდა გერმანიის მოქალაქე რაინერ დრექსლის იტალიაში პასუხისგებაში მიცემას იქ ავტომანქანის უნებართვოდ გადაყვანის გამო. მან გერმანიიდან გადაიყვანა მანქანა იტალიაში ნებართვის გარეშე, ისე რომ იტალიაში დადგენილ წესებს ყურადღება არ მიაქცია. სასამართლომ ის დამნაშავედ სცნო გადასახადებისგან თავის არიდებაში – მას არ გადაუხდია იტალიაში დამატებითი ღირებულების გადასახადი – და ჯარიმა დააკისრა. დრექსლს მანქანაც ჩამოართვეს. ეს იმ ფონზე, რომ მას დამატებითი ღირებულების გადასახადი გერმანიაში უკვე გადახდილი ჰქონდა.

220 ევროგაერთიანების სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იტალია ზოგადად არ იყო ვალდებული ერთი და იგივე სანქციები დაეწესებინა საზღვარგარეთიდან შემოტანილი პროდუქციისთვის გადასახადების გადაუხდელობისა და ქვეყნის შიგნით მიმოქცევაში მყოფი პროდუქციისთვის გადასახადების გადაუხდელობის გამო. სასამართლოს სწორი პოზიციით, ეს ორი შემთხვევა სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან და შედარებისთვის არ გამოდგება, რათა მერე დისკრიმინაციის ფაქტი დადგინდეს.[321] მიუხედავად ამისა, ევროგაერთიანების სასამართლომ იტალიის კანონმდებლობაში მაინც დაინახა სასჯელის არაპროპორციულობა. საქონლის საზღვარგარეთიდან წესების დარღვევით შემოტანისთვის, ანუ დამატე-

[319] Satzger, Europäisierung, 305 ff.
[320] EuGHE 1988, 1213 („Drexl").
[321] EuGHE 1988, 1234 („Drexl").

ბითი ღირებულების გადასახადის გადაუხდელობისთვის, იტალიაში სანქციის სახით უმეტესად გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა და კონფისკაცია, ხოლო იმავე დარღვევისთვის ქვეყნის შიგნით მსგავსი სანქციები ან საერთოდ არ იყო გათვალისწინებული ან მათ არ იყენებდნენ, რაც საბოლოო ჯამში ევროგაერთიანების ფარგლებში საქონლის თავისუფალ გადაადგილებას უშლიდა ხელს.[322]

მეორე მხრივ, დაუშვებელია კანონმდებლის მიერ ობიექტურად ერთ- 221
მანეთისგან განსხვავებული საკითხების ერთნაირად გადაწყვეტა. მსგავსი რეგულაცია დისკრიმინაციას გამოიწვევს. იგივე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ასეთ მიდგომას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს:

> თანასწორობის პრინციპი უკრძალავს კანონმდებელს, არსებითად ერთნაირი საკითხები თვითნებურად განსხვავებულად და არსებითად განსხვავებული საკითხები თვითნებურად ერთნაირად მოაწესრიგოს. თუმცა იმ კრიტერიუმებს, რომლებითაც ხდება საკითხების ერთმანეთისგან განსხვავება, ადგენს პარლამენტი.[323]

საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებელს დეტალურ წინაპირო- 222
ბებს არ უყენებს და მას შეუძლია ობიექტური წინაპირობების გათვალისწინებით საკითხების დიფერენცირება მოახდინოს. თუ საკითხის დასარეგულირებლად რამდენიმე სხვადასხვა გზა არსებობს და ყველა მათგანი თანასწორობის ჩარჩოებში ჯდება, მაშინ კანონმდებელი თვითონ არჩევს მისი მოსაზრებით ყველაზე ეფექტურ გზას. მაგრამ ამ დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს თვითნებობას. კანონმდებელს კონკრეტული რეგულაციის შერჩევისას სულ მცირე ერთი საქმიანი არგუმენტი მაინც უნდა ჰქონდეს და ეს მოწმდება არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტული, დასარეგულირებელი საქმის კონტექსტში.[324]

ევროკავშირის მოქალაქეებისადმი თანასწორად მიდგომის პრინცი- 223
პი მათი ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეობის მიუხედავად მთელი ევროპული სამართლის მთავარი პრინციპია.[325] ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების მე-18 მუხლი პირდაპირ კრძალავს (გარდა ხელშეკრულებითვე გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა) მოქალაქეობაზე დაფუძნებულ ყოველგვარ დისკრი-

322 EuGHE 1988, 1235 („Drexl").
323 BVerfGE 49, 165.
324 BVerfGE 19, 8.
325 Hufen, Staatsrecht II, § 39 Rn. 22.

მინაციას. ევროკავშირის სასამართლოს პრაქტიკაშიც უამრავი მაგალითის პოვნა შეიძლება, სადაც მკაცრი მიდგომაა ამგვარი დარღვევების მიმართ. საკუთარი მოქალაქეებისთვის პრივილიგიების მინიჭება დაუშვებელია.[326] დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი ეხება არამხოლოდ ამის აშკარად გამოხატულ ფორმებს, არამედ ნებისმიერ სხვა ფორმასაც, რომელიც საბოლოო ჯამში იმავე შედეგს იწვევს.[327] საქონლის, პირებისა და მომსახურების ნებისმიერი შეზღუდვა – თუნდაც დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის ფარგლებს მიღმა – ევროკავშირის სასამართლოსთვის მიუღებელია.[328]

224 ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების მე-18 მუხლი დისკრიმინაციის ამკრძალავი ზოგადი ნორმაა, მაგრამ მოქმედი ხელშეკრულებები კონკრეტულ სფეროებსაც ასახელებენ. ესენია, მაგალითად, მუშახელის თავისუფალი გადაადგილება (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 45)[329] ან დაფუძნების თავისუფლება (მუხ. 49).[330] მაშასადამე, მე-18 მუხლს აქვს ზოგადი მასშტაბის ფუნქცია ყველა სხვა დანარჩენი მუხლისთვის.[331] ერთობლიობაში კი ეს ზოგადი და სხვა სპეციალური ნორმები დისკრიმინაციის აკრძალვის ერთიან ცნებას ქმნიან.[332]

225 გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოსა და ევროკავშირის სასამართლოს მიდგომებს შორის პარალელები და მსგავსებები შეიმჩნევა. გერმანული სასამართლოს მსგავსად ევროკავშირის სასამართლოც თვითნებობის ცნებას იყენებს, ანუ როდესაც საკითხის გადაწყვეტა ობიექტურ საფუძვლებს არ ემყარება.[333] საუბარია ასევე ობიექტურად გამართლებულ ეკონომიკურ საფუძვლებზე.[334] ორივე სასამართლოსთვის საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია მისი შინაარსი და არცერთი მათგანი არ იყენებს წინასწარ გამზადებულ შაბლონებს.

226 ყოველივე ზემოთ ნათქვამი სისხლის სამართალზეც, კონკრეტულად კი სასჯელებზე ვრცელდება. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების მე-18 მუხლი ყველა სფეროს მოიცავს. შიდა-

326 Hufen, Staatsrecht II, § 39 Rn. 22.
327 EuGH, NJW 2005, 2057, Rn. 51.
328 Kewenig, JZ 1990, 21.
329 დანურ. იხ. გაბრიჩიძე, ევროპული კავშირის სამართალი, აბზ. 597 და შემდეგი.
330 დანურ. იხ. გაბრიჩიძე, ევროპული კავშირის სამართალი, აბზ. 646 და შემდეგი.
331 შეად. Kischel, EuGRZ 1997, 1.
332 შეად. Kischel, EuGRZ 1997, 4.
333 EuGHE 1982, 2921 („Kind/EWG").
334 EuGHE 1986, 1628 („Bilka/Weber von Hartz").

სახელმწიფოებრივი კანონმდებლის მიერ დადგენილი ნებისმიერი უფრო მკაცრი სასჯელი უცხოეთის მოქალაქეებისთვის (იგულისხმება წევრი სახელმწიფოს მოქალაქეები), ვიდრე ეს საკუთარი მოქალაქის შემთხვევაშია, პოტენციურად დისკრიმინაციულია და ევროკავშირის სამართალს ეწინააღმდეგება.

ცნობილი მაგალითია იგივე "***Skanavi***"-ს შემთხვევა.[335] საქმე ეხებოდა საბერძნეთის მოქალაქე ქალბატონ სკანავის. ის გადასახლდა გერმანიაში და ერთი წლის განმავლობაში არ მოახდინა ბერძნული მართვის მოწმობის გერმანულზე გადაცვლა, რითაც გერმანული კანონმდებლობა დაარღვია. გერმანიის კანონმდებლობით მართვის მოწმობის გარეშე მანქანის ტარებისთვის გათვალისწინებული იყო ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმა და მას ბრალი სწორედ ამაში წაუყენეს. საქმის განმხილველ გერმანიის პირველი ინსტანციის სასამართლოს მართებულად გაუჩნდა კითხვა, ხომ არ მოდიოდა ადგილობრივი კანონმდებლობა ევროპულთან წინააღმდეგობაში. სასამართლოს მოსაზრებით, ავტომანქანის ტარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან და მართვის მოწმობის უბრალოდ გადაცვლის ვალდებულების დარღვევისთვის მსგავსი მკაცრი სანქციების დაწესება მნიშვნელოვნად ხელს უშლიდა სხვა ქვეყნის მოქალაქეების გერმანიაში თავისუფლად დაფუძნებას და ეს მათი დისკრიმინაცია იყო. სასამართლომ ასევე არ ჩათვალა მართებულად, რომ კანონმდებელმა ერთმანეთს გაუთანაბრა ისინი ვისაც საერთოდ არ ჰქონდა მართვის მოწმობა, ან ჩამორთმეული ჰქონდა და ისინი, რომლებმაც უბრალოდ სხვა ქვეყნის დოკუმენტი არ გადაცვალეს გერმანულზე. თუნდაც გადაცვლის აუცილებლობის ობიექტური გარემოებებით დასაბუთების შემთხვევაში სანქცია დარღვევის სიმძიმესთან მიმართებაში არაპროპორციული იყო.[336] ამ მიზეზებიდან გამომდინარე, გერმანიის სასამართლომ პროცესი შეაჩერა და საქმე წარუდგინა ევროგაერთიანების სასამართლოს. **227**

ევროგაერთიანების სასამართლომ მთლიანობაში ეს მოსაზრება გაიზიარა. მის გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ ინდივიდუალური სატრანსპორტო საშუალების ტარების უფლება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თვითდასაქმებულების თუ სხვების საქმიანობაზე და მისი შეზღუდვა საბოლოო ჯამში თავისუფალი გადაადგილების პრინ- **228**

[335] EuGHE 1996, 943 („Skanavi").
[336] EuGHE 1996, 949 („Skanavi").

ციპს დაარღვევდა.[337] სასამართლომ ამავდროულად აღიარა წევრი სახელმწიფოების უფლება, მათი სამართლის თავისებურებების გათვალისწინებით შემოიღონ დოკუმენტების გადაცვლის ვალდებულება.[338] მაგრამ მან ამასთანავე აღნიშნა, რომ გადაცვლა მხოლოდ ადმინისტრაციული საკითხია და მისი არგაკეთებისთვის დაწესებული სანქცია თავისუფალ გადაადგილებას ხელს შეუშლიდა.[339]გადაცვლის ვალდებულების დამრღვევი პირის მართვის მოწმობის საერთოდ არმქონე პირისთვის გათანაბრება ევროგაერთიანების სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად უარყო.[340]

229 ***„Skanavi"***-ს შემთხვევა კარგად უჩვენებს იმას, რომ სახელმწიფოებს აქვთ უფლება განახორციელონ მაკონტროლებელი ფუნქციები, მაგრამ ამავდროულად ყურადღება უნდა მიაქციონ თანაზომიერებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს. ამის გათვალისწინება მომავალში ქართველ კანონმდებელსაც მოუწევს. დისკრიმინაციის აკრძალვა საქართველოს კონსტიტუციაშიც არის ჩადებული და მისი ფართოდ განმარტებით არავითარი წინააღმდეგობა არ წარმოიშობა ქართულ და ევროკავშირის კანონმდებლობას შორის. ამიტომ, ქართული კანონმდებლობის რამე საფუძვლიანი შეცვლა კონსტიტუციის დონეზე ამ თვალსაზრისით არ იქნება აუცილებელი.

3) მინიმალური მოთხოვნები ევროკავშირის სამართლის დარღვევების წინააღმდეგ მიმართული სანქციებისთვის

230 აქამდე თუ საუბარი იყო წევრი სახელმწიფოების მხრიდან დადგენილი სანქციების ზედა ზღვარზე, ახლა შევეხებით სახელმწიფოების ვალდებულებებს მინიმალურ მოთხოვნებზე, ანუ იმაზე, თუ მათ მინიმუმ რა სახის სასჯელები უნდა დააწესონ ევროკავშირის ინტერესების დასაცავად.

---

[337] EuGHE 1996, 952 („Skanavi").

[338] დღეისთვის ეს პრობლემა უკვე გადაწყვეტილია. 1996 წლის პირველი იულისიდან ძალაშია დირექტივა 91/439 EWG, რომლითაც ნევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან პირდაპირ აღიარონ სხვა წევრ სახელმწიფოებში გაცემული მართვის მოწმობები ყოველგვარი გადაცვლის გარეშე.

[339] EuGHE 1996, 954 („Skanavi").

[340] EuGHE 1996, 957 („Skanavi").

მთავარი ამოსავალი პრინციპი მინიმალურ მოთხოვნებთან მიმართებაში არის ისევ და ისევ ლოიალურობის ვალდებულება, ანუ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 აბზაცი. ევროკავშირის სასამართლო სახელმწიფოებისგან მოელის არამხოლოდ ზოგად აღიარებას ლოიალურობის პრინციპისა, არამედ ევროკავშირის ინტერესების უზრუნველსაყოფად საჭირო აუცილებელი და შესაბამისი ზომების მიღებას.[341]

ევროგაერთიანების სასამართლომ თავის დროზე იმსჯელა საკითხზე, თუ რა ფარგლებში არიან წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი გაატარონ სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები.[342] მართლმსაჯულების წინაშე წამოჭრილი კითხვები შემდეგი თანმიმდევრობით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: 231

აქვს თუ არა წევრ სახელმწიფოს უფლება გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი სანქციები კავშირის ინტერესების დასაცავად?

არის თუ არა წევრი სახელმწიფო ვალდებული გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი სანქციები და

თუ კი, მაშინ რა მინიმალური მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ მათ?

ა) „Amsterdam Bulb"-ის შემთხვევა[343] და პასუხი პირველ კითხვაზე

მინიმალურ მოთხოვნებთან დაკავშირებით ***„Amsterdam Bulb"***-ის შემთხვევა პირველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო ევროგაერთიანების სასამართლოს პრაქტიკაში.[344] საქმე ეხებოდა ნიდერლანდების მიერ გამოცემულ ნორმას, რომლითაც წესდებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ევროგაერთიანების ერთ-ერთი დადგენილების დარღვევისთვის. სასამართლოს წინაშე დადგა საკითხი, ჰქონდა თუ არა წევრ სახელმწიფოს ამის უფლება იმ ფონზე, როდესაც ამაზე არანაირ მითითებას არ შეიცავდა თვითონ დადგენილება. ევროგაერთიანების სასამართლომ კითხვას შემდეგი პასუხი გასცა: 332

[341] შეად. Böse, Strafen und Sanktionen, 409; Hellmann, კრებულში: Nierhaus, Europäische Union, 42.
[342] Hugger, Strafrechtliche Anweisungen, 30.
[343] EuGHE 1977, 137 („Amsterdam Bulb").
[344] Gröblinghoff, Verpflichtung, 9; Satzger, Europäisierung, 331.

ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლი (დღეს მოქმედი ევროპ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 4, ნაწ. 3) ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს ზოგადი თუ სპეციალური სახის ღონისძიებების მიღებას გაერთიანების წინაშე აღებული ვალდებულებების შესასრულებლად და სახელმწიფო უფლებამოსილია თვითონ გადაწყვიტოს, თუ რა სახის ღონისძიებას მიმართავს ის კონკრეტულად.[345] მაშასადამე, თუ ევროპული ნორმა თვითონ არ შეიცავს კონკრეტულ სანქციას, მაშინ სახელმწიფო თავისი შეხედულებისამებრ წყვეტს სანქციის შერჩევის საკითხს.[346]

233 ამ გადაწყვეტილებაში ევროგაერთიანების სასამართლომ დადებითად გასცა ჩვენს მიერ დასმულ პირველ კითხვას პასუხი და გაირკვა, საერთოდ იყო თუ არა სახელმწიფო უფლებამოსილი, თავისი ინიციატივით მიემართა სისხლისსამართლებრივი გზისთვის გაერთიანების ინტერესების დასაცავად.[347] ანუ, მას არჩევანის სრული თავისუფლება მიეცა, თუმცა ხაზი გაესვა, ზოგადად, გაერთიანების ინტერესების დაცვის ვალდებულებას.

ბ) შემთხვევა „Colson & Kamann" – წევრი სახელმწიფოების არჩევანის თავისუფლების პირველი შეზღუდვა

234 წინა გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, მოცემული საქმით ევროგაერთიანების სასამართლომ წევრი სახელმწიფოების არჩევანის თავისუფლება სანქციებთან დაკავშირებით შეზღუდა.[348] მართალია, ეს საქმე არ იყო სისხლისსამართლებრივი შინაარსის, თუმცა სამოქალაქო სანქციებთან მიმართებაში სასამართლომ ჩამოაყალიბა გარკვეული მოთხოვნები, რაც შემდეგ სისხლის სამართალზეც იქნა გადატანილი.

235 1982 წელს, ორ ქალბატონს, კოლსონს და კამანს გერმანიაში უარი ეთქვა მათი სქესის გამო დასაქმებაზე სასჯელაღსრულების დაწესებულების სოციალურ სამსახურში. მათ ადგილას მამაკაცები დანიშნეს. ქალბატონებმა ამის გამო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და ზიანის ანაზღაურება მოითხოვეს ევროპულ დირექტივაზე მითითე-

[345] EuGHE 1977, 150 („Amsterdam Bulb").
[346] EuGHE 1977, 150 („Amsterdam Bulb").
[347] Satzger, Europäisierung, 331 ff.; Safferling, Int. Strafrecht, § 10 Rn. 26.
[348] შეად. Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 20; Gröblinghoff, Verpflichtung, 10.

ბით, რომელიც დასაქმებისას ქალებისა და მამაკაცების თანასწორობას უზრუნველყოფდა.[349] გერმანიის უფლებამოსილმა სასამართლომ პროცესი შეაჩერა და მიმართა ევროგაერთიანების სასამართლოს შემდეგი კითხვით: საკმარისი იყო თუ არა იმ დროისთვის გერმანიის სამოქალაქო კოდექსში არსებული მსგავსი შემთხვევებისთვის გათვალისწინებული მგზავრობისა და კონკურსში მონაწილეობის ხარჯების ანაზღაურება დირექტივის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (§ 611 a II BGB) თუ საჭირო იყო უფრო მკაცრი სანქციების დადგენა კანონმდებლის მხრიდან?

ევროგაერთიანების სასამართლომ დაადგინა, რომ სქესთა შორის **236**
ნამდვილი თანასწორობის მიღწევა შეუძლებელია შესაბამისი სანქციების დაწესების გარეშე.[350] ამ ფრაზაში უკვე ჩანს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლისადმი პირველი მოწოდება გარკვეული ქმედებების განსახორციელებლად. მიუხედავად იმისა, რომ დირექტივის სრულყოფილად შესასრულებლად რომელიმე კონკრეტული სახის სანქციის დადგენა არ არის საჭირო, მაინც აუცილებელია, რომ შერჩეულმა სანქციამ რეალური და ქმედითი გავლენა მოახდინოს დამრღვევზე. მან ასევე პრევენციას უნდა შეუწყოს ხელი დამსაქმებლის მიმართ. სახელმწიფომ თუ არჩევანი სამოქალაქო-სამართლებრივ მექანიზმზე, კერძოდ, ზიანის ანაზღაურებაზე შეაჩერა, მაშინ ანაზღაურების მოცულობა დამდგარი ზიანის ხარისხს უნდა შეესაბამებოდეს.[351] კონკურსში მონაწილეობისთვის საჭირო ხარჯებისა და მგზავრობის თანხის ანაზღაურება არ ჩაითვალა დამდგარი ზიანისთვის შესაბამის საკმარის სანქციად და ის მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს თუ ატარებდა.[352] მოცემულ შემთხვევაში დირექტივა მსგავსი დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად გერმანიას არჩევანის თავისუფლებას უტოვებდა, მაგრამ ამ არჩევანის ფარგლებში ის ვალდებული იყო რეალურად ქმედითი და პრევენტიული სანქცია დაედგინა.[353]

„Amsterdam Bulb"-ის საქმის ***„Colson & Kamann"***-თან შედარებისას შემ- **237**
დეგ დასკვნამდე მივდივართ: მეორე შემთხვევაშიც სასამართლომ ნევრ სახელმწიფოებს არჩევანის თავისუფლება დაუტოვა, თუმცა, ამავდროულად ეს არჩევანი გარკვეული წინაპირობებით შეზღუდა.[354]

---

349 ABl. L 39, 14.2.1976, 40.

350 EuGHE 1984, 1908 („von Colson und Kamann").

351 EuGHE 1984, 1908 („von Colson und Kamann").

352 EuGHE 1984, 1908 („von Colson und Kamann").

353 EuGHE 1984, 1909 („von Colson und Kamann").

354 შეად. Gröblinghoff, Verpflichtung, 10; Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 22.

სახელმწიფოს მიერ შერჩეული სანქცია უნდა იყოს ქმედითი, დამაშინებელი/პრევენციული და დარღვევის სიმძიმის შესაბამისი. მათი ცალ-ცალკე დაშლა და განხილვა არ არის აუცილებელი. სანქციის შეფასება ერთიანად ხდება.[355]

238 მეორე კითხვასაც ამით პასუხი გაეცა. სახელმწიფო ვალდებულია ევროკავშირის ინტერესები სამართლებრივი მექანიზმებით დაიცვას (თუმცა ჯერ კიდევ არ არის საუბარი სისხლისსამართლებრივ გზაზე).

გ) „ბერძნული სიმინდის შემთხვევა" – ევროპული სისხლის სამართლისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწვეტილება

239 „ბერძნული სიმინდის შემთხვევა"[356] არის ევროპული სისხლის სამართლისთვის leading case.[357] 1986 წელს ევროკომისიამ მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საბერძნეთიდან ბელგიაში გაგზავნილ 2 გემზე იმყოფებოდა არა ბერძნული სიმინდი, როგორც ეს ოფიციალურ, საბერძნეთში გაცემულ დოკუმენტაციაში იყო აღნიშნული, არამედ ეს სიმინდი სინამდვილეში იუგოსლავიიდან იყო შემოტანილი, ანუ გადასახადებისგან თავის ასაცილებლად ჯერ გადაიტანეს საბერძნეთში და შემდგომ გაიცა ყალბი ცნობები იმის შესახებ, რომ ეს იყო ბერძნული პროდუქცია და გადაიგზავნა ბელგიაში. კომისიამ ინფორმაციის საფუძველზე ჩაატარა გამოძიება და მართლაც დაადგინა, რომ ეს არ იყო ბერძნული სიმინდი. შესაბამისად, მან დაუთქვა საბერძნეთის მთავრობას ვადა, გადაეხადა ევროგაერთიანების სასარგებლოდ მოსაკრებლები დამატებითი პროცენტის ჩათვლით, ვინაიდან იუგოსლავია არ იყო ამ კავშირის წევრი ქვეყანა. გარდა ამისა, საბერძნეთის მთავრობას უნდა მიეღო ზომები იმ დამნაშავეების დასასჯელად, რომლებმაც გასცეს ყალბი ცნობები გადასახადებისგან თავის ასარიდებლად. საბერძნეთმა ვალდებულებების შესასრულებლად არანაირი ზომები არ მიიღო, რის გამოც კომისიამ ევროგაერთიანების სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ამის ერთ-ერთ მოტივად კომისიამ მიუთითა, რომ საბერძნეთმა გაერთიანების ერთგულების პრინციპი დაარღვია (მაშინ მოქმედი ევროპის ეკონომიკური გაერთ.

[355] Jens, Strafrechtsanwender, 175.
[356] EuGHE 1989, 2965 („Kommission/Griechische Republik").
[357] Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 22; Safferling, Int. Strafrecht, § 10 Rn. 27.

შესახებ ხელშ. მუხლი 5/ლოიალურობის პრინციპი).[358]

240 ევროგაერთიანების სასამართლომ კომისიის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა. სასამართლომ ადრინდელ გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებული პოზიცია სახელმწიფოს მიერ სანქციის შერჩევის თავისუფლებასთან დაკავშირებით კვლავ გაიმეორა, თუმცა, იმ მნიშვნელოვანი მოთხოვნით განავრცო, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ყველა საჭირო ზომა მიიღონ გაერთიანების ინტერესების დასაცავად. ამასთანავე, სახელმწიფოებმა **ისეთივე ზომები** უნდა მიიღონ, რომლებსაც ისინი საკუთარი ინტერესების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენებდნენ და ეს სანქციები უნდა იყოს ქმედითი, თანაზომიერი/შესაბამისი და დამაშინებელი.[359]

241 ყველა წინა შემთხვევისგან განსხვავებით, ევროგაერთიანების სასამართლომ „ბერძნული სიმინდის" სკანდალის შემთხვევაში მკაფიოდ დააფიქსირა საჭიროებისას არა მხოლოდ ზოგადად სანქციების, არამედ კონკრეტულად სისხლისსამართლებრივი სასჯელების გამოყენების ვალდებულება.[360] მართალია, **Colson & Kamann**-ის საქმეშიც სასამართლომ სანქციონიერების ვალდებულებას ხაზი გაუსვა, მაგრამ კონკრეტულად სისხლისსამართლებრივი სასჯელების დაკისრების ვალდებულება „ბერძნული სიმინდის შემთხვევაში" დაფიქსირდა. ევროკომისიამ ამ გადადაწყვეტილებით მიიღო მნიშვნელოვანი მექანიზმი ხელშეკრულების დამრღვევი წევრი სახელმწიფოების მიმართ მათი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის სრულყოფისთვის.[361] შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება ევროკავშირის სისხლის სამართლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

4) გადაწყვეტილებების მნიშვნელობა ნაციონალური სამართლისთვის

242 ევროგაერთიანების სასამართლომ სულ მცირე თავისი მხრიდან პასუხი გასცა ევროგაერთიანების კომპეტენციებზე არსებულ კითხვებს სისხლისსამართლებრივ სანქციებთან დაკავშირებით. მანამდე დისკუსიებში ხშირად გამოითქმებოდა მოსაზრება, რომ სისხლის სამარ-

[358] EuGHE 1989, 2966 ff. („Kommission/Griechische Republik").
[359] EuGHE 1989, 2984 ff. („Kommission/Griechische Republik").
[360] Safferling, Int. Strafrecht, § 10 Rn. 27.
[361] Tiedemann, NJW 1990; Zuleeg, JZ 1992, 767.

თალი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო და ევროგაერთიანების მხრიდან მასში ჩარევა არ იყო მარტივი.[362] ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოებს თავის დროზე არ გადაუციათ ამ გაერთიანებისთვის სისხლისსამართლებრივი კომპეტენციები.[363] იმას, რომ სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი პრინციპში შიდასახელმწიფოებრივი საქმე იყო, ადრე ევროგაერთიანების სასამართლოც აღიარებდა.[364]

243 ამ სამი გადაწყვეტილებით კი სასამართლომ მანამდე არსებული პრაქტიკა და მიდგომა შეარყია.[365] თუ თავიდან საუბარი იყო მხოლოდ მოქმედების თავისუფლებაზე, შემდგომში სასამართლომ წევრი სახელმწიფოებისგან უკვე აქტიური ნაბიჯების გადადგმა მოითხოვა. მიუხედავად ამისა, ამის განზოგადება მთელს სისხლის სამართალზე და კერძოდ, ევროგაერთიანებისთვის ამ სფეროში კომპეტენციების მინიჭებაზე ჯერ კიდევ ნაადრევი იყო.

244 ევროგაერთიანების სასამართლომ წევრი სახელმწიფოების მოქმედების ვალდებულება ერთმნიშვნელოვნად დაუკავშირა ლოიალურობისა და მასზე მიბმულ ეფექტურობის პრინციპებს.[366] ის, რომ გადაწყვეტილებები ძირითადად ფინანსურ საკითხებს ეხებოდა, არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მიდგომები მხოლოდ ამ სფეროზე ვრცელდება. სახელმწიფო ვალდებულია ევროკავშირის სხვა ინტერესებიც ეფექტურად დაიცვას.[367] სასამართლოს ეს პრაქტიკა მონონებას იმსახურებს, ვინაიდან ერთიანი სამართლებრივი და ეკონომიკური სივრცის შესაქმნელად აუცილებელი იყო სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სანქციების სისტემების ერთმანეთთან დაახლოება და გათანაბრება.[368] სხვა შემთხვევაში ისე მოხდებოდა, რომ ერთ ქვეყანაში დასჯად ქმედებას, რომელიც მეორე ქვეყანაში არ ისჯებოდა, დამნაშავეები მთლიანად მეორე ქვეყანაში განახორციელებდნენ და „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის" ერთიანი სივრცე დაირღვეოდა.

245 ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მოქმედი ერთიანი სტანდარ-

362 Reiling/Reschke, wistra 2010, 47; Diehm, wistra 2006, 366, Bleckmann, კრებულში: Küper/Welp, Beiträge zur Rechtswissenschaft, 111.
363 Reiling/Reschke, wistra 2010, 47.
364 EuGH, NJW 1982, 504; Diehm, wistra 2006, 369.
365 Bleckmann, კრებულში: Küper/Welp, Beiträge zur Rechtswissenschaft, 111.
366 Bleckmann, კრებულში: Küper/Welp, Beiträge zur Rechtswissenschaft, 111.
367 Bleckmann, კრებულში: Küper/Welp, Beiträge zur Rechtswissenschaft, 110.
368 Schröder, Europäische Richtlinien, 181.

ტების მსგავსად, მისი პოტენციური წევრებიც თავიანთი სამართლებრივი სისტემების ჩათვლით მზად უნდა იყვნენ ამ გავლენებისთვის.[369] განსხვავებული სისხლისსამართლებრივი სტანდარტების არსებობა ერთი გაერთიანების ფარგლებში თავისუფალ კონკურენციას შეუშლის ხელს.[370]

246 აქ განხილული სამი გადაწყვეტილების საფუძველზე **სანქციებისადმი სამი მინიმალური მოთხოვნა** ჩამოყალიბდა: კავშირის ინტერესების დასაცავად ისინი უნდა იყვნენ **ქმედითი, თანაზომიერი და დამაშინებელი.** შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლისადმი წაყენებული ეს მოთხოვნა მკაფიოდ გვიჩვენებს ევროკავშირსა და მის წევრებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას. ევროკავშირი დამოკიდებულია თავის მხრივ წევრ სახელმწიფოებზე და ამავდროულად წევრი სახელმწიფოები ვერ სცდებიან მის მიერ დადგენილ ფარგლებს. ამით ფაქტობრივად წარმოშობილია „კვაზი-ფედერალური" სისტემა.[371]

247 რისი გათვალისწინება მოუწევს მომავალში ქართველ კანონმდებელს? უნდა გაითვალისწინოს თუ არა მან მხოლოდ ეს სამი წინაპირობა თუ სხვა კრიტერიუმებიც არსებობს?

248 ევროკავშირის სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში სანქციის შესაბამისობას გამოყოფს. შესაბამისობაში იგულისხმება ის, არის თუ არა გატარებული ღონისძიება კავშირის მიზნების რეალურად გასატარებლად გამოსადეგი.[372] თუმცა, სასამართლო ამ ტერმინს მაინც უფრო ზოგადად, დაკონკრეტების გარეშე იყენებს და ის გზას უხსნის სხვა დანარჩენ კრიტერიუმებს.[373]

249 ცენტრალური მოთხოვნა, რასაც სასამართლო აყენებს, არის **საკითხისადმი ერთნაირად მიდგომის მოთხოვნა.**[374] ეს კრიტერიუმი თავიდანვე უნდა შემოწმდეს. ევროკავშირის ინტერესებისა და საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად სახელმწიფომ ერთნაირი მიდგომა უნდა გამოიჩინოს, ხოლო ამის შესამოწმებლად კი აუცილებელია დადგინდეს, გვაქვს თუ არა საქმე თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ისეთი ევროპული ინტერესის დარღვევასთან, რისი ანალოგიც შიდა კანონმდებლობაში მოიპოვება. თუ ჩვენ ერთმანეთთან

[369] Jung/Schroth, GA 1983, 251 ff.
[370] Sieber, JZ 1997, 374 ff.
[371] Jens, Strafrechtsanwender, 180.
[372] EuGHE 1989, 2984 („Kommission/Griechische Republik").
[373] Gröblinghoff, Verpflichtung, 22; Satzger, Europäisierung, 363.
[374] Satzger, Europäisierung, 365.

შესადარებლად შიდასახელმწიფოებრივ სამართალში საერთოდ არ გვაქვს იგივე დასაცავი ინტერესი, რაც ევროკავშირს გააჩნია, მაშინ ერთნაირად მიდგომის მოთხოვნა აზრს კარგავს და სხვა კრიტერიუმებზე უნდა გადავიდეთ. მისი შემოწმება საერთოდ არ არის საჭირო.[375]

250 როგორ უნდა შევადაროთ მომავალში ერთმანეთს ქართული და ევროპული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დარღვევები? თავდაპირველად უნდა გაირკვეს, შეესაბამება თუ არა ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული დარღვევა თავისი შინაარსითა და სიმძიმით ქართული ინტერესების დარღვევას. საუბარია იგივე ან ფუნქციონალურად თანაბარი ღირებულების სამართლებრივი სიკეთის დაცვაზე.[376] ამის კარგი მაგალითია ფულად-საკრედიტო სისტემის დაცვა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 208-ე მუხლი ეხება კრედიტის უკანონო მიღებას და მისი მიზანია ქვეყნის საფინანსო სისტემისა და ეკონომიკური ბრუნვის მონაწილეთა კანონიერი ინტერესების დაცვა.[377] მასში ჩადებული დანაშაული ორი გზით შეიძლება განხორციელდეს: 1) ბანკის ან სხვა კრედიტორისთვის ყალბი ცნობის მიწოდება სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ კრედიტის მიღების, ან მისი ოდენობის გაზრდის, ან შეღავათიანი კრედიტის მიღების მიზნით და 2) მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.[378] ქართული სახელმწიფოს მსგავსი ინტერესი, დაიცვას საკუთარი ფინანსური სისტემა, ევროკავშირსაც გააჩნია. ის მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაიცავს თავის ფინანსურ ინტერესებს მოტყუებისგან მილიარდობით მოცულობით კრედიტების გაცემისას. თაღლითობებთან ბრძოლა ყოველთვის ევროპული ხელშეკრულებების პრიორიტეტი იყო და დღესაც რჩება.[379]

251 მაშასადამე, საქართველოსაც და ევროკავშირსაც ამ მიმართულებით მსგავსი ინტერესები ამოძრავებს: საკუთარი ფინანსების დაცვა. ამიტომ ამ საკითხს ქართული სახელმწიფო ისევე უნდა მიუდგეს, როგორც ამას საკუთარი ინტერესების შემთხვევაში აკეთებს, ანუ უნდა უზრუნველყოს თანაბარი დაცვა. ეს ვალდებულება ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 325-ე მუხლის მე-2 აბ-

---

375 Gröblinghoff, Verpflichtung, 22; Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 60.

376 Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 57.

377 ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი I, 547.

378 ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი I, 547.

379 Satzger, კრებულში: Jishkariani/Waßmer, Die Europäisierung des georgischen Wirtschaftsstrafrechts, 112 ff.

ზაცში პირდაპირ არის გათვალისწინებული.[380]

იგივე შეიძლება ითქვას გარემოს დაცვაზეც, რაშიც ევროკავშირი აქ- 252
ტიურად არის ჩართული. თუ გარემოს დამცავი ნორმა იქნება გამოცემული ევროკავშირის ან ცალკეული სახელმწიფოს მიერ, მაშინ ისინი ერთიანობაში ერთსა და იმავე სამართლებრივ სიკეთეს დაიცავენ.[381] განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ევროკავშირი ამას დირექტივის ფორმით აკეთებს და წევრი სახელმწიფო კი შიდასახელმწიფოებრივი ნორმის სახით.

ერთნაირად მიდგომის პრინციპის ფარგლებში გასარკვევია ასევე, თუ 253
როგორი სახის დელიქტებს სჯის წევრი სახელმწიფო. განსხვავებულ მიდგომას აქვს ადგილი, თუ ის სჯის შიდასახელმწიფოებრივი ნორმის დარღვევას მცდელობის ან მომზადების სტადიიდან, ხოლო ევროპული ნორმის დარღვევას კი მხოლოდ დამთავრების შემთხვევაში.[382] ამის თვალსაჩინო მაგალითი იქნებოდა ის შემთხვევა, თუ ქართველი მოხელისთვის ქრთამის მიცემის მცდელობა დაისჯებოდა, ხოლო ევროკავშირის მოხელისთვის ქრთამის მიმცემი მხოლოდ ამ დანაშაულის დამთავრების შემდგომ მიეცემოდა პასუხისგებაში.[383] თანაბრად მიდგომის პრინციპს არღვევს შიდასახელმწიფოებრივი ინტერესების სისხლისსამართლებრივი დაცვა უკვე საფრთხის შექმნის მომენტიდან, თუ ამავდროულად მსგავსი ევროპული ინტერესის დაცვა მხოლოდ მისი დაზიანების შემთხვევაში ხდება.[384]

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ვალდებულება, კავშირის სი- 254
კეთეები თავისი სიკეთეების თანაბრად დაიცვას, კარგავს აზრს, თუ ერთმანეთისთვის შესადარებლად შეუძლებელია მსგავსი ინტერესების პოვნა. ეს განსაკუთრებით საქართველოსთვის, როგორც ევროკავშირის ასოცირებული წევრისთვის, აქტუალური პრობლემა იქნება. არ არის გამორიცხული, რომ ხშირად დადგება შემთხვევები, როდესაც ქართულ კანონმდებლობაში არ იქნება ევროკავშირის ანალოგიური ინტერესები გათვალისწინებული. ასეთ დროს ჩვენ არ გვექნება შედარების ობიექტი ქართული მხრიდან და თანაბრად დაცვის პრინციპი საერთოდ არ გამოგვადგება. ევროკავშირის ინტერესების დასაცავად ამ დროს დაგვჭირდება ადრე ნახსენები სანქციებისთვის დადგენილი

[380] Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 57.
[381] Gröblinghoff, Verpflichtung, 23; Hecker, ZStW 115 (2003), 895 ff.
[382] Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 58.
[383] Satzger, Europäisierung, 366 ff.
[384] Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 59.

სამი წინაპირობის – ქმედითი, თანაზომიერი და დამაშინებელი – მოშველიება.[385] სანქციებისთვის დადგენილი ამ მინიმალური მოთხოვნების ასეთ შემთხვევებში გამოყენება არ გულისხმობს იმას, რომ მათი შემოწმება სხვა დროს არ ხდება. შიდასახელმწიფოებრივი ნორმა ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს მათ.[386]

255 მართალია, ევროკავშირის სასამართლო მინიმალურ მოთხოვნებს ყოველთვის შემდეგი თანმიმდევრობით – ქმედითი, თანაზომიერი და დამაშინებელი – იყენებს, მაგრამ მათი ერთმანეთისგან მკაფიო გამოყოფა მაინც შეუძლებელია. სანქცია მაშინ არის ქმედითი, თუ ის დაცვის ფუნქციას რეალურად ასრულებს.[387] ხოლო რეალურად მიზანი ვერ მიიღწევა, თუ მას ამავდროულად პრევენციული დატვირთვა არა აქვს და პოტენციურ დამნაშავეს არ შეაკავებს. სასჯელის გამო დამნაშავე თვითონ შეიკავებს თავს დანაშაულის განმეორებისგან (სპეციალური გენერალური პრევენცია) ან ეს გავლენას მოახდენს საზოგადოების ქცევაზე. ამას ემატება საზოგადოებაში სამართლებრივი თვითშეგნების ზრდის ეფექტი (პოზიტიური გენერალური პრევენცია).[388] სასჯელის მიზანი ხომ სწორედ ელემენტარული თავისუფალი სოციალური ინტეგრაციის უზრუნველყოფაა.[389] სწორედ სანქცია ასრულებს ლოიალურობის პრინციპიდან გამომდინარე ევროკავშირის სამართლებრივი სიკეთეების დაცვის გარანტის ფუნქციას.[390]

256 თუ რომელი სანქცია არის ქმედითი და დამაშინებელი, ადგენენ ადგილობრივი ორგანოები. ეს პრეროგატივა მათ ხელშია და სისხლის სამართლის სპეციფიკიდან გამომდინარე მასში უხეში ჩარევა გარედან დაუშვებელია. ესეც რომ არ იყოს, არ არსებობს ზუსტი მეთოდი, რომლითაც ამის გაზომვა იქნებოდა შესაძლებელი.[391] მხოლოდ ნორმის დისპოზიცია და დადგენილი სანქცია არ არის გადამწყვეტი, არამედ მის ეფექტურ შესრულებასაც უნდა მიექცეს ყურადღება.[392] ამასთანავე ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ პრევენციის ფარგლებში ეფექტურობის დადგენა რთულია. ამის გარკვევა თვითონ სახელმწიფოებსაც უჭირთ და კრიმინოლოგიას არ აქვს კონკრეტული რეცეპტი, თუ

[385] Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 60.
[386] Gröblinghoff, Verpflichtung, 25; Satzger, Europäisierung, 368.
[387] Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 62.
[388] დანერ. იხ. Schmidt, Strafrecht AT, Rn. 15 ff.; Kindhäuser, Strafrecht AT, § 2 Rn. 12 ff.
[389] Kindhäuser, Strafrecht AT, § 2 Rn. 14.
[390] Jens, Strafrechtsanwender, 180; შეად. Jescheck, კრებულში: Schröder/Zipf, Festschrift für Maurach, 594.
[391] Tiedemann, NJW 1993, 26.
[392] Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 63.

რომელი სანქცია სად არის თანაბრად ქმედითი.[393] მიუხედავად ამისა, შემდეგი მოთხოვნა ყოველთვის გასათვალისწინებელია: სასჯელი ბრალს უნდა შეესაბამებოდეს, რათა მოსახლეობის ნდობა სამართლის მიმართ არ შეირყეს.[394]

ქართული სისხლის სამართალი სასჯელის მიზნებთან დაკავშირებით არ განსხვავდება ევროპული ქვეყნების სამართლისგან. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი გერმანიაში გაბატონებულ მოსაზრებას მისდევს და სასჯელის მიზნებში აერთიანებს სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას (სსკ მუხ. 39, ნაწ. 1).[395] მასში გაერთიანებულია რელატიური და აბსოლუტური თეორიების ელემენტები.[396] ქართული სისხლის სამართლის კოდექსი სცდება დამნაშავის პიროვნების ფარგლებს და სხვა პირებზე, ანუ საზოგადოებაზე ზემოქმედების მომენტზე გადადის. ისინი უნდა განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით (სსკ მუხ. 39, ნაწ. 2).[397] 257

თეორიულ დონეზე ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში მოქმედი სანქციები ევროკავშირის სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ მოთხოვნებს პასუხობენ. თუმცა, პრაქტიკაში სხვა შედეგი შეიძლება დადგეს. თითოეული წევრი სახელმწიფო მოქმედების თავისუფლებით სარგებლობს, მაგრამ ეს არ გულისხმობს მის სრულ თავისუფლებას. ევროკავშირის სასამართლო, როგორც უკვე აღინიშნა, ყურადღებას თეორიულ საკითხებთან ერთად ნორმების პრაქტიკაში რეალურად გამოყენებასაც აქცევს და აანალიზებს (მაგალითად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ან დამთავრება).[398] საქართველოს შემთხვევაში პრობლემები შეიძლება წარმოიშვას ფულადი ჯარიმების დაკისრების დროს. ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაზიანებისთვის ქართული სასამართლო ბუნებრივია ჯარიმას დამნაშავეს ლარებში დააკისრებს. ეს ჯარიმა კი დამდგარ ზიანს უნდა შეესატყვისებოდეს და დაუშვებელია, რომ ევროებში მიყენებული ზიანისთვის დამნაშავე ლარებში დააჯარიმო, იმ ფონზე როცა ქართული ვალუტა დაახლოებით სამჯერ უფრო ნაკლები ღირებულებისაა. ასეთი სანქცია ვერ იქნება დამაშინებელი და პრევენციული. ამიტომაც მომავალ- 258

[393] შეად. Kaiser, Kriminologie, § 3 Rn. 1; Jens, Strafrechtsanwender, 184.
[394] Schmidt, Strafrecht AT, Rn. 15b.
[395] Kindhäuser, Strafrecht AT, § 2 Rn. 16; Benda, კრებულში: Garels/Wiesnet, Strafe, 27 ff.
[396] შეად. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, აბზ. 68.
[397] დანერ. იხ. დვალიძე, სასჯელი, 14 და შემდეგ; ტურავა, ზოგადი ნაწილი, 354.
[398] Satzger, Europäisierung, 369.

ში კანონმდებელმაც და სასამართლომაც ეს მომენტი უნდა გაითვალისწინონ, რათა სასჯელი სიმბოლურ ფარგლებს გასცდეს.[399]

259 ეფექტურობის, ქმედითობის უზრუნველსაყოფად წევრმა სახელმწიფოებმა **ეროპული ტერიტორიულობის პრინციპი** უნდა გაითვალისწინონ. ეს გულისხმობს შემდეგს:

> შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს იურისდიქცია უნდა გავრცელდეს კავშირის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე ყველგან, მიუხედავად იმისა, თუ სად იქნა ის ჩადენილი. მთავარია, ის ჩადენილია წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. დამნაშავის მოქალაქეობას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.[400]

260 ეს მიდგომა პასუხობს ევროპული ინტეგრაციის პროცესს. ცალკეული სახელმწიფოების სამართალი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ისინი ერთიან სივრცეს ქმნიან.[401] ამით შიდასახელმწიფოებრივი სამართლისთვის ცნობილი ტერიტორიულობის პრინციპი ევროპული ტერიტორიულობის პრინციპად გადაიქცა.[402]

261 გერმანელმა კანონმდებელმა ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა. ევროკავშირისგან კრედიტის უკანონო მიღება (§ 264 StGB) დასჯადია გერმანული სისხლის სამართლის წესით საზღვარგარეთ ჩადენის შემთხვევაშიც (§6 Nr. 8 StGB). ქართული კანონმდებლობა კი ამ მხრივ სრულყოფას საჭიროებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლი აღიარებს ტერიტორიულობის პრინციპს. პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოში მოქმედი ტერიტორიულობის პრინციპი ვერ უზრუნველყოფს ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხისგებაში მიცემას. პრობლემას ვერც სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლი გადაჭრის. იქ აქცენტი კეთდება საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე (დაცვის პრინციპი). ესე იგი, გადამწყვეტია საქართველოს ინტერესები და მე-5 მუხლს უცხო ინტერესების დასაცავად ვერ გამოვიყენებთ.[403] ქართველ კანონმდებელს ასევე მოუწევს კოდექსის კერძო

---

399 შეად. Satzger, Europäisierung, 369; Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 63.

400 Satzger, Europäisierung, 370; Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 64.

401 Bleckmann, კრებულში: Küper/Welp, Beiträge zur Rechtswissenschaft, 114.

402 Satzger, Europäisierung, 370; მაგალითები იხ. Eser, კომენტარებში: Schönke/Schröder, StGB, Vorbemerkungen zu den §§ 3-9, Rn. 11 ff.

403 დაწერ. იხ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, აბზ. 266 და შემდეგი.

ნაწილში სპეციალური შემადგენლობების შემოღება ან უკვე არსებულის ისე განვრცობა, რომ მან ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული დარღვევებიც მოიცვას.

გამოსავალი შეიძლება მოინახოს სისხლის სამართლის კოდექსის მე- 262
5 მუხლის მე-3 ნაწილში. ამ უკანასკნელის თანახმად, საქართველოს შეუძლია სისხლისსამართლებრივი დევნა განახორციელოს საზღვარგარეთ დანაშაულის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ, თუ ამ დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ არის დამნაშავე, სად იქნა ეს დანაშაული ჩადენილი, ვინ არის მსხვერპლი ან შეილახა თუ არა საქართველოს ინტერესები (უნივერსალურობის პრინციპი).[404] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრინციპი ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში თავის დროზე სხვა მიზნით იქნა შემოღებული. კერძოდ, საქართველომ მოახდინა რომის სტატუტის რატიფიცირება და შემოიღო განსაკუთრებული სიმძიმის ახალი დანაშაულები (გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და ა.შ), რომელთა დევნაც საერთაშორისო დონეზე ხორციელდება.[405] თუ საქართველოს ევროკავშირთან სრული სისხლისსამართლებრივი ინტეგრაცია სურს, მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მასზე განვრცობაც შეიძლებოდა, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი. საჭირო გახდება საერთაშორისო დანაშაულების ანალოგიურად, როგორც ადრე იქნა ეს გაკეთებული რომის სტატუტის შემთხვევაში, კავშირის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ქართულ კოდექსში ასახვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ზოგადი ნაწილის ნორმა ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნება.

ტერიტორიულობის პრინციპის მსგავსი გაფართოება ხომ არ გამოიწ- 263
ვევს კოლიზიებს სხვადასხვა წევრი სახელმწიფოების ნორმებს შორის? მაგალითად, ეს შეიძლება შემდეგნაირად გამოიყურებოდეს: იტალიაში განხორციელდა კრედიტის უკანონო მიღება ევროკავშირის წინააღმდეგ და დამნაშავე გადავიდა საფრანგეთში. მისი პასუხისგებაში მიცემა თეორიულად შეუძლია ევროკავშირის წევრ ნებისმიერ სახელმწიფოს. ამ პიროვნების ორმაგად დასჯის თავიდან ასაცილებლად ჩაირთვება ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი ორმაგი დასჯის

[404] დაწვრ. იხ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, აბზ. 269 და შემდეგი.
[405] გამყრელიძე, ზოგადი ნაწილის განმარტება, 70 და შემდეგი.

აკრძალვის პრინციპი (ne bis in idem) და პრობლემაც მოიხსნება.[406] მთავარია, ევროკავშირის სამართლებრივი სიკეთე მის ფარგლებში სადმე დაუცველი არ დარჩეს. თითოეული სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს დაცვის ეფექტურობა.[407]

ა) საპროცესო შეთანხმება და სანქციები

264 საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესში საყოველთაოდ აღიარებული ინსტიტუტია, რომელმაც სანქციებთან და კერძოდ, მათ ეფექტურობასთან დაკავშირებით პრობლემები შეიძლება წარმოშვას.[408] საპროცესო შეთანხმების გამოყენება ხშირად მხარეების მიერ პროცესის დაჩქარების მიზნით ხდება სანქციების შემსუბუქების ხარჯზე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სასამართლოს აძლევს უფლებას, დანიშნოს მინიმუმზე ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთა, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება (სსკ მუხ. 50 ნაწ. 2[1]). მაგალითად, თუ საქმე გვექნება ყალბი ცნობების მიწოდების საფუძველზე კრედიტის უკანონო მიღებასთან (სსკ მუხ. 208), ამისთვის გათვალისწინებული სანქცია თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში მერყეობს ორიდან რვა წლამდე. საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში კი დასაშვებია, რომ სასჯელი ორ წელს ჩამოსცდეს.

265 სანამ უშუალოდ ევროკავშირის სამართლებრივი სიკეთეების დაცვისთვის საპროცესო შეთანხმების მხრიდან პოტენციურ საფრთხეებზე ვისაუბრებთ, განვიხილავთ ამ ინსტიტუტის ზოგიერთ ნიშანს. საპროცესო შეთანხმება მთელ მსოფლიოში დაახლოებით ერთნაირად მუშაობს. აღიარებისა და გამოძიებასთან თანამშრომლობის გზით ხდება პროცესის დაჩქარება და ამის საპასუხოდ პირს ეკისრება უფრო მსუბუქი სასჯელი.[409] ამ გზით ხდება განსაკუთრებით რთულ დანაშაულებთან დაკავშირებული პროცესების შემოკლება.[410]

266 საპროცესო შეთანხმება გერმანიაში პრაქტიკაში დიდი ხანია გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ ის თავიდან საკანონმდებლო დონეზე

406 Satzger, Europäisierung, 371.
407 Satzger, Europäisierung, 371.
408 Schünemann, Rechtskultur, 7 ff.
409 Niemöller/Schlothauer/Weider, Verständigung, Allgemeine Einführung, Rn. 2.
410 Volk, Grundkurs StPO, § 30 Rn. 3, Hartmann/Schmidt, Strafprozessrecht, Rn. 1156.

დარეგულირებული არ იყო. დაახლოებით 30 წლის წინ კანონმდებელმა შემოიღო გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ფულის გადახდის გზით პროცესის შეწყვეტის საშუალება.[411] გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ შეთანხმება პროცესის მონაწილეებს შორის დასაშვებად სცნო, მაგრამ ამავდროულად სასამართლოს და პროკურატურას აუკრძალა „სამართლიანობის სახელით ვაჭრობა".[412] მოგვიანებით, გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ საპროცესო შეთანხმების მთავარი სამოქმედო პრინციპები ჩამოაყალიბა.[413] ესენი იყო: სამართლიანი სასამართლო, უფრო მკაცი სასჯელით დამუქრების აკრძალვა და სასჯელის კონკრეტული ზომის შეთანხმების აკრძალვა.[414]

2009 წლის 29 ივლისს გერმანიაში მიღებულ იქნა კანონი საპროცესო შეთანხმების შესახებ და მანამდე არსებული ეს ინსტიტუტი საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდა.[415] კანონის საფუძველზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექში შევიდა ცვლილებები და დამატებები.[416] შესაბამის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დადოს შეთანხმება პროცესის მონაწილეებთან მისი გაგრძელებისა და შედეგების შესახებ(§ 257c Abs. 1 StPO). თუ როდის დგება ეს „შესაბამისი შემთხვევა", კოდექსში არ ჩანს, ანუ ფორმულირება ღიაა და უშვებს ნებისმიერ დროს შეთანხმების დადების საშუალებას.[417] მოსამართლე თვითონ წყვეტს, როდის შესთავაზოს მხარეებს შეთანხმება, რაც ხშირ შემთხვევაში მისი მხრიდან თვითნებობის საფრთხეს ქმნის.[418] 267

საპროცესო შეთანხმების დასადებად შეთავაზებაზე აუცილებელია მხარეების თანხმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეთანხმება ვერ შედგება (§ 257c Abs. 4 StPO). თვითონ თანხმობას რაც შეეხება, საჭიროა მხოლოდ მისი გაცხადება და არა დასაბუთება. ის უბრალოდ საპროცესო მოქმედებაა.[419] საპროცესო შეთანხმების წინაპირობა არ არის 268

411 Schünemann, Rechtskultur, 10.
412 BVerfG NJW 1987, 2663.
413 BGHSt 43, 195 ff.
414 დაწერ. იხ. Schmitt GA 2001, 413 ff.
415 Niemöller/Schlothauer/Weider, Verständigung, Allgemeine Einführung, Rn. 1.
416 Meyer-Goßner, StPO, § 257c Rn. 1; Eschelbach, კომენტარებში: Graf, Strafprozessordnung, § 257c Rn. 1.
417 Meyer-Goßner, StPO, § 257c Rn. 1 ff; Eschelbach, კომენტარებში: Graf, Strafprozessordnung, § 257c Rn. 6.
418 Eschelbach, კომენტარებში: Graf, Strafprozessordnung, § 257c Rn. 7; კრიტიკულადაა განწყობილი ასევე Gössel, კრებულში: Schöch/Helgerth/Dölling/König, Festschrift für Böttcher, 81 ff.; შედარებით ნაკლებად კრიტიკულია Püschel, კომენტარებში: Krekeler/Löffelmann/Sommer, StPO, § 257c Rn. 17.
419 Niemöller/Schlothauer/Weider, Verständigung, § 257c Rn. 28.

დანაშაულის აღიარება. მის ნაცვლად შეთანხმება შეიძლება მოხდეს, მაგალითად, ზიანის ანაზღაურებაზე ან გამოძიებაში დახმარებაზე.[420] არ შეიძლება საპროცესო შეთანხმების საფუძველი იყოს ბრალზე შეთანხმება. კანონმდებელმა აქცენტი სასჯელზე გააკეთა და ბრალის საკითხი ხელუხლებლად დატოვა.[421]

269 საპროცესო შეთანხმების გადამწყვეტი საფუძველია შეთანხმება სასჯელზე. ბრალდებული ამით თავიდან იცილებს მისთვის მოულოდნელად მაღალ სანქციას განაჩენში.[422] სასამართლოს მხარეებთან შეუძლია შეათანხმოს სასჯელის ზედა და ქვედა ზღვარი. კონკრეტული დათქმის გაკეთება დაუშვებელია და ეს უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოს მოქმედების თავისუფლებას ზედა და ქვედა ზღვარის ფარგლებში.[423]

270 სასჯელის ზღვარის საკითხი გერმანიაში სადავოა. სასამართლო ზოგჯერ შეიძლება იძულებული გახდეს დაეთანხმოს პროკურატურის მხრიდან მოთხოვნილ სასურველ ფარგლებს, რათა შეთანხმება საერთოდ შედგეს.[424] საკითხავია ისიც, ასრულებს თუ არა რეალურად თავის ფუნქციას სასჯელის კონკრეტული ზომის დათქმის აკრძალვა. ხშირად ხდება ისე, რომ სასამართლო განაჩენში უმეტესად ზედა ზღვარს იყენებს ხოლმე და თუ პრაქტიკაში ეს გავრცელებულია, მაშინ გამოდის, რომ ქვედა ზღვარი აზრს კარგავს.[425]

271 მიუხედავად საკანონმდებლო დონეზე საპროცესო შეთანხმების მსგავსი სახით მოწესრიგებისა და იქ ცალკეული აკრძალვების ჩადებისა, თითქმის შეუძლებელია თავიდან იქნას აცილებული დახურულ კარებს მიღმა არაფორმალურ საუბრებში ბრალდებულისკენ მიმართული მინიშნებები უფრო მაღალ სასჯელზე, თუ ის არ წამოვა შეთანხმებაზე.[426] საბოლოო ჯამში, გერმანელი კანონმდებლის მცდელობა, მოეგვარებინა ეს საკითხი, მაინც ღიად ტოვებს სადავო საკითხებს.

272 საქართველოში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს დიდი ხნის ტრადიცია არა აქვს. მის შემოღებას მრავალი პოლიტიკური და სამართლებრივი დისკუსია ახლდა თან.[427] ის ე.წ. „ვარდების რევოლუციას“

---

[420] Püschel, კომენტარებში: Krekeler/Löffelmann/Sommer, StPO, § 257c Rn. 17.
[421] Meyer-Goßner, StPO, § 257c Rn. 8 ff.
[422] შეად. Volk, Grundkurs StPO, § 30 Rn. 3.
[423] Niemöller/Schlothauer/Weider, Verständigung, § 257c Rn. 46.
[424] Meyer-Goßner, ZRP 2009, 109.
[425] Altenhain/Hagemeier/Haimerl, NStZ 2007, 73.
[426] Meyer-Goßner, კრებულში: Hefendehl, Symposium, 240.
[427] მანაგაძე, მართლმსაჯულება და კანონი, 1/2010, 35.

მოჰყვა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2004 წელს იქნა შეტანილი.[428] საპროცესო შეთანხმებამ თავიდანვე საზოგადოებაში გარკვეული ნეგატიური რეაქციები გამოიწვია. ის მართლმსაჯულებით ვაჭრობად შეფასდა, რაც ამ ინსტიტუტს დღემდე მოჰყვება.[429] 2004 წელს განხორციელებული რეფორმის მიზანი იყო მანამდე მოქმედი საპროცესო სამართლის მოდერნიზება. ფორმალიზებული და ხანგრძლივი მართლმსაჯულება საპროცესო შეთანხმების შემოღებით უნდა შემცირებულიყო.[430] ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, სასამართლოებისადმი არსებული ნდობის დაბალი ხარისხის გამო ეს მიზანი სრულად მაინც ვერ განხორციელდა.[431] მართლმსაჯულება დაჩქარდა, მაგრამ საპროცესო შეთანხმების მიმართ ნდობა მაინც დაბალია.

საპროცესო შეთანხმებამ საქართველოში მისი დამკვიდრების დღიდან უამრავი ცვლილება განიცადა და ეს განსაკუთრებით პირველ ეტაპზე ხშირ ხასიათს ატარებდა, რაც კანონმდებლის ზერელე დამოკიდებულებაზე მიუთითებს.[432] **273**

გერმანულ მოდელთან შედარებით ქართულ საპროცესო სამართალში სასამართლოს როლი უფრო პასიურია. ძირითადი წამყვანი როლი პროკურატურას უკავია და ის თვითონ წყვეტს დათანხმდება თუ არა საპროცესო შეთანხმებას. პროკურატურას არა აქვს კონკრეტული მოთხოვნები წაყენებული, თუ რა შემთხვევაში უნდა დადოს ან არ უნდა დადოს მან საპროცესო შეთანხმება.[433] ქართულ რეალობაში სასამართლო უმეტესად მაკონტროლებელი ფუნქციებით შემოიფარგლება და ამოწმებს შემდეგს: საპროცესო შეთანხმება დადებულია ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე და ა.შ. (სსსკ მუხ. 212, ნაწ. 2). ერთი შეხედვით, სასამართლო საკმარისი რაოდენობის მექანიზმებით არის აღჭურვილი, მაგრამ პრაქტიკაში რეალურად შეუძლებელია იმის შემოწმება, ჰქონდა თუ არა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიღმა თუნდაც ირიბ მუქარას ადგილი.[434] **274**

---

[428] მანაგაძე, მართლმსაჯულება და კანონი, 1/2010, 35; საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, საპროცესო შეთანხმება, 4.

[429] საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, საპროცესო შეთანხმება, 4.

[430] შეად. ჭანტურიძე, საპროცესო შეთანხმება, 42.

[431] შეად. პატარაია/დანელია/საყევარიშვილი, სამეზობლო პოლიტიკა, 36.

[432] შეად. ჭანტურიძე, საპროცესო შეთანხმება, 44.

[433] შეად. მანაგაძე, მართლმსაჯულება და კანონი, 1/2010, 36; საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, საპროცესო შეთანხმება, 8.

[434] ანალოგიური პრობლემა დგას ესპანეთშიც. დაწერ. იხ. Navarro, ZStW 123 (2011), 177.

275 ყველაზე გავრცელებული სასჯელი, რომელზეც მხარეები საპროცესო შეთანხმების ფარგლებში თანხმდებიან, არის ფულადი ჯარიმა. ფულადი ჯარიმები სახელმწიფო ბიუჯეტის არცთუ უმნიშვნელო ნაწილს ქმნიან.[435] ჯარიმის მაქსიმუმი თავიდანვე საპროცესო შეთანხმების დროს კანონმდებლობაში გაწერილი არ იყო და პროკურატურის ნებაზე იყო დამოკიდებული.

276 საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი გარკვეულ ეჭვებს ბადებს ევროკავშირის სამართლებრივი სიკეთეების ეფექტურ დაცვასთან დაკავშირებით. ვინაიდან წამყვანი მოთამაშე პროკურატურაა, პროკურორებმა მომავალში ევროკავშირთან დაახლოების შემთხვევაში უნდა გაითვალისწინონ, რომ შესათანხმებელი სასჯელი უნდა აკმაყოფილებდეს სამ კრიტერიუმს: ქმედითი, თანაზომიერი და დამაშინებელი. დაუშვებულია, რომ სასჯელი არაპროპორციულად მაღალი ან დაბალი იყოს. მაგალითად, თუ პროკურორი ევროკავშირის ინტერესების წინააღმდეგ ჩადენილი ფინანსური დანაშაულისთვის ბრალდებულს შეუთანხმდება დამდგარ ზიანთან შედარებით მცირე ოდენობის ფულად ჯარიმაზე, მაშინ ადგილი ექნება ამ ინტერესების არაეფექტურ დაცვას. უფრო ნათელი სურათის შესაქმნელად სასურველია კანონმდებელმა საპროცესო შეთანხმების დადების ერთიანი დირექტივები შეიმუშავოს ან კიდევ უფრო გააძლიეროს სასამართლოს როლი სასჯელთან მიმართებაში.

ბ) იურიდიული პირების დასჯადობა და ევროკავშირის სამართალი

277 ერთ-ერთი ყველაზე სადავო თემა სისხლის სამართალში არის იურიდიული პირების დასჯადობის საკითხი.[436] ამ თემის აქტუალურობას ხელს უწყობს გაერთიანებების ფარგლებში ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულების ზრდა.[437] იურიდიული პირი შედგება ფიზიკური პირებისგან და მათი სისხლისსამართლებრივად პასუხისგებაში მიცემა არ არის პრობლემა, მაგრამ ორგანიზაციის ფარგლებში თითოეული მათგანის ჩანაცვლება შესაძლებელია, ხოლო ორგანიზაციის დასჯა

[435] Navarro, ZStW 123 (2011), 178.
[436] ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, ა§ზ. 1194 და შემდეგი.
[437] შეად. Dannecker, GA 2001, 102 ff.

კი რთული.[438] ამ რეალობას იურიდიულ ლიტერატურაში არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ. ერთი მხრივ, ორგანიზაცია დანაშაულისგან იღებს სარგებელს და მეორე მხრივ, მისი სისხლისსამართლებრივად სანქციონირება შეუძლებელია.[439]

გერმანიაში იურიდიული პირების დასჯადობა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გერმანულ დოგმატიკასთან შეუსაბამობის გამო იქნა უარყოფილი.[440] იურიდიული პირები ბრალუუნაროდ ან ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ ქმედუუნაროდ ცნეს.[441] გაერთიანებების არდასჯადობას გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოც ემხრობა და ასაბუთებს, რომ იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი დასჯადობა არ შეესაბამება გერმანულ სამართლებრივ აზროვნებას და არ პასუხობს ბრალისა და სასჯელის სოციალურ-ეთიკურ ცნებას.[442] იურიდიული პირები მოქმედებენ მათი ორგანოების მეშვეობით და შესაბამისად, მათი დასჯა შეუძლებელია. გაერთიანების წინააღმდეგ ბრალის საკითხის დაყენებას აზრი არა აქვს, რადგან მასში ჩადებული სოციალურ-ეთიკური გასაკიცხაობა მიმართულია ცალკეული პირების წინააღმდეგ და მას ქონების მასის წინააღმდეგ ვერ გამოვიყენებთ.[443] დასჯადობის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები ძირითადად სწორედ მსგავსი შინაარსისაა და აქტუალურობას გერმანულ სისხლის სამართალში დღესაც არ კარგავს.[444] მიუხედავად ამისა, ნაწილობრივ უკვე შეიმჩნევა დე ლეგე ფერენდა ზრდადი ტენდენცია იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი დასჯადობის აღიარებისა.[445] **278**

ევროკავშირის ფარგლებში ამასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა არ არსებობს. დასჯადობას აღიარებს მაგალითად, საფრანგეთი (1994 წლიდან), პორტუგალია (1983 წლიდან), ფინეთი (1995 წლიდან), დანია (1996 წლიდან) და პოლონეთი (2003 წლიდან). ავსტრია, ესპანეთი და საბერძნეთი კი მხოლოდ ადმინისტრაციულ ან სამოქალაქო ხასიათის სანქციებს იყენებენ.[446] **279**

[438] შეად. Hetzer, wistra 1999, 361.
[439] Alberring, Strafbarkeit von Verbänden, 1.
[440] შეად. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, აბზ. 1198.
[441] Kirch-Heim, Sanktionen gegen Unternehmen, 127.
[442] BGHSt 5, 32.
[443] Jescheck/Weigend, Strafrecht AT, 227.
[444] Alberring, Strafbarkeit von Verbänden, 1; Kirch-Heim, Sanktionen gegen Unternehmen, 129 ff.; Jescheck/Weigend, Strafrecht AT, 227; Hirsch, ZStW 107 (1995), 285.
[445] Hirsch, ZStW 107 (1995), 322.
[446] დაწერ. იხ. Dannecker, GA 2001, 101; aseve Kirch-Heim, Sanktionen gegen Unternehmen, 129 ff.; ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, აბზ. 1201.

280 ქართული სისხლის სამართლის კოდექსის ავტორებმა იურიდიული პირის დასჯადობა თავდაპირველად უარყვეს. ქართული დოქტრინა კოლექტიურ პასუხისმგებლობას არ ცნობდა და აქცენტს ბრალის პრინციპზე აკეთებდა.[447] მოგვიანებით ეს მიდგომა შეიცვალა და 2006 წელს კანონმდებლის მიერ სისხლის სამართლის კოდექსში შემოღებულ იქნა იურიდიული პირის პასუხისმგებლობა. სიახლის ინიციატორები ამას ქართული კანონმდებლობის საერთაშორისო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობით ასაბუთებდნენ. ამაში იგულისხმებოდა ევროპული ინტეგრაციაც.[448]

281 იურიდიული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ევროპულ ინტეგრაციას დასაბუთებისთვის არასწორად იყენებენ. გაეროს, ევროკავშირის თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში გამოცემული სამართლებრივი აქტები არ შეიცავენ იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი დასჯადობის აუცილებელ და სავალდებულო მოთხოვნას. პირიქით, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები ითვალისწინებენ ნაციონალური სამართლებრივი სისტემების თავისებურებებს და ამ საკითხთან დაკავშირებით მაქსიმალურად ნეიტრალურები არიან. მათი მთავარი ამოცანაა კონკრეტული დასახული მიზნის მიღწევა და სულაც არ არის გადამწყვეტი, მოხდება ეს სისხლის, ადმინისტრაციული სამართლის თუ სხვა გზით.[449]

282 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 107[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულისთვის, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ პასუხისმგებელი პირის მიერ. პასუხისმგებელ პირში იგულისხმება ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე, გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ან/და იურიდიული პირის სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ორგანოს წევრი (ნაწ. 3). იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს იმავე დანაშაულისთვის ფიზიკური პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (ნაწ. 6). მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა ევროკავ-

---

447 ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი I, 22.

448 ოხანაშვილი, სამართლის ჟურნალი, 2/2009, 183; ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი I, 26; გაბისონია, ცხოვრება და კანონი 2/2007, 13.

449 შეად. გაბისონია, ცხოვრება და კანონი, 2/2007, 13; გაბისონია, პროფესია ადვოკატი, 2/2007, 71.

შირის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებშიც.[450] გაერთიანების დასჯისთვის ქართული სამართლით არა აქვს მნიშვნელობა, დადგენილია თუ არა დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი. მთავარია, დანაშაული ჩადენილია გაერთიანების სახელით ან მისი მეშვეობით ან/და მის სასარგებლოდ.

იურიდიული პირები შეიძლება დაისაჯონ შემდეგი დანაშაულებისთვის: ადამიანებით ვაჭრობა, ნარკოტიკული დანაშაულები, ტერორიზმი, ქრთამის მიცემა, არალეგალური მიგრაცია, ბავშვთა პორნოგრაფია და სხვა (შეად. სსკ მუხ. 107[2]). ეს ჩამონათვალი შეესაბამება იმ დანაშაულებს, რომელთა წინააღმდეგაც აქტიური ბრძოლა მიმდინარეობს საერთაშორისო არენაზე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იურიდიული პირისთვის სასჯელის შემდეგ სახეებს ითვალისწინებს: ლიკვიდაცია, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა, ქონების ჩამორთმევა (სსკ მუხ. 107[3]). 283

როგორ უდგება ევროკავშირი იურიდიული პირის დასჯადობის საკითხს? ავალდებულებს თუ არა ის წევრ სახელმწიფოებს დასჯადობის შემოღებას? ევროკავშირი ამ თემასთან დაკავშირებით თავშეკავებას იჩენს და ცდილობს კონფლიქტში არ შევიდეს სხვადასხვა სამართლებრივ ტრადიციებთან. ევროგაერთიანების სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე ***„Vandevenne"*** იურიდიული პირების დასჯადობის საყოველთაო ვალდებულება უარყო.[451] ეს გადაწყვეტილება ეხებოდა სატვირთო ავტომანქანის მძღოლის მიერ ევროგაერთიანების დადგენილებით (საბჭოს დადგენილება Nr 3820/85(EWG), 20.12.1985) განსაზღვრული შესვენების პერიოდების არდაცვას. 284

ამ დადგენილების მე-15 მუხლის თანახმად, საწარმო ვალდებულია, მისი მძღოლის მუშაობა დაგეგმოს ისე, რომ მან დადგენილების მოთხოვნების დაკმაყოფილება მოახერხოს. საწარმომ ასევე რეგულარულად უნდა შეამოწმოს მძღოლის მიერ დადგენილების დაცვა. დარღვევების შემთხვევაში მან უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები მათი განმეორებით თავიდან ასაცილებლად. სწორედ ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით, ბელგიის სასამართლომ ევროგაერთიანების სასამართლოს შემდეგი შეკითხვით მიმართა: დადგენილების მე-15 მუხლის მიზანი ხომ არ იყო წევრ სახელმწიფოებში საწარმოების სისხლისსამართლებრივი დასჯადობის ინსტიტუტის შემოღება?[452] იმ დროისთვის ბელგია აღია- 285

[450] შეად. ოხანაშვილი, სამართლის ჟურნალი, 2/2009, 194.
[451] EuGHE 1991, 4371 („Vandevenne").
[452] EuGHE 1991, 4373 („Vandevenne").

რებდა მხოლოდ ფიზიკური პირების დასჯადობას.[453]

286 ევროგაერთიანების სასამართლომ მისი ადრინდელი მიდგომა გაიმეორა[454] და მოცემულ შემთხვევაშიც დაადგინა, რომ როდესაც დადგენილებაში მისი დარღვევისთვის კონკრეტული სანქცია არ არის გათვალისწინებული, მაშინ სასჯელს თვითონ წევრი სახელმწიფო ირჩევს. ეს სასჯელი, რა თქმა უნდა, უნდა იყოს ქმედითი, თანაზომიერი და დამაშინებელი.[455] ევროგაერთიანების სასამართლომ მიუთითა, რომ არც გაერთიანების ერთგულების/ლოიალურობის პრინციპი და არც დადგენილება არ შეიცავდა იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი დასჯადობის ვალდებულებას ნაციონალურ სამართალში. ევროგაერთიანების დადგენილების ნორმების დასაცავად წევრი სახელმწიფო საწარმოს მიმართ სისხლისსამართლებრივ თუ სხვა სანქციებს გამოიყენებდა, მისი გადასაწყვეტი იყო.[456]

287 მსგავსი სიტუაცია იყო ***„Hansen"***-ის შემთხვევაშიც.[457] წინა საქმისგან განსხვავებით აქ დადგა საკითხი, დასაშვები იყო თუ არა ისეთი დამსაქმებლის დასჯა, რომელსაც დადგენილების დარღვევის არც განზრახვა და არც გაუფრთხილებლობა არ ერაცხებოდა. ეს კითხვა დანიის სასამართლომ დასვა. დანიის შრომის სამინისტრომ ევროგაერთიანების დადგენილების შესასრულებლად გამოსცა ადგილობრივი დადგენილება და დააწესა დამსაქმებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ფულადი ჯარიმის სახით, თუ მძღოლი სატვირთო მანქანას დამსაქმებლის ინტერესის ფარგლებში მართავდა და ამ დროს გადააჭარბებდა ტარების დროის იმ ფარგლებს, რასაც ევროკავშირის დადგენილება ითვალისწინებდა. ჰქონდა თუ არა დამსაქმებლის მხრიდან განზრახვას თუ გაუფრთხილებლობას ადგილი, არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. ანუ, ის ნებისმიერ შემთხვევაში აგებდა პასუხს, გაუფრთხილებლობის არარსებობის შემთხვევაშიც კი.[458]

288 ამასთან დაკავშირებით, კომპანიამ Hansen & Son გამოთქვა მოსაზრება, რომ დანიაში დაფუძნებულ კომპანიებს იქ არსებული რეგულაცი-

---

[453] 1999 წელს იურიდიული პირების დასჯადობა ბელგიაშიც აღიარეს; ამასთან დაკავშირებით იხ. Heine, კომენტარებში: Schönke/Schröder, StGB, Vorbemerkungen zu den §§ 25 ff. Rn. 122.

[454] შეად. EuGHE 1990, 2911 („Hansen").

[455] EuGHE 1991, 4384 („Vandevenne").

[456] EuGHE 1991, 4389 („Vandevenne").

[457] EuGHE 1990, 2911 („Hansen").

[458] EuGHE 1990, 2932 („Hansen").

ის გამო სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით სისხლისსამართლებრივი სასჯელები ემუქრებოდა და ეს საბოლოო ჯამში ერთიანი ბაზრის ფარგლებში მოქმედ კონკურენციის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა.[459] ევროგაერთიანების სასამართლომ ეს პოზიცია არ გაიზიარა და ისევ მიუთითა სახელმწიფოს მხრიდან სანქციის არჩევის თავისუფლებაზე.[460] დანიაში მოქმედი წესი არც ევროგაერთიანების დადგენილების ნორმებსა და არც ზოგადევროპულ პრინციპებთან მოდიოდა წინააღმდეგობაში. მთავარია, სანქცია დარღვევის სიმძიმეს შეესაბამებოდა და კანონმდებელი თანაბრად უდგებოდა ნაციონალური და ევროპული ინტერესების დარღვევას.[461]

ორივე გადაწყვეტილების ანალიზი გვიჩვენებს ევროგაერთიანების სასამართლოს ფრთხილ დამოკიდებულებას იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხისადმი. ის პირდაპირ მიუთითებს ამ სფეროში სახელმწიფოების მოქმედების თავისუფლებაზე.[462] ევროკავშირის წევრი სახელმწიფო არ არის ვალდებული, შემოიღოს გაერთიანებების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ან პირიქით, მას შეუძლია ევროკავშირის ინტერესების დასაცავად პასუხისგებაში მისცეს იურიდიული პირი.[463] 289

გაერთიანებების სისხლისსამართლებრივი დასჯადობის საკითხს ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილებებიც ღიად ტოვებს.[464] ამის მაგალითია, 2003 წლის 22 ივლისის ჩარჩო-გადაწყვეტილება კერძო სექტორში მოსყიდვასთან ბრძოლის შესახებ.[465] ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-6 მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან მოსყიდვის შემთხვევაში იურიდიული პირების წინააღმდეგ გამოიყენონ საჭირო ღონისძიებები, რომლებიც არის ქმედითი, თანაზომიერი და დამაშინებელი. ჩარჩო-გადაწყვეტილება კერძო სექტორში ქრთამის მიცემასა და ქრთამის აღებას პირდაპირ დანაშაულებად აცხადებს (მუხ. 2) და სახელმწიფოებისგან მათ წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვს, მაგრამ ეს მოთხოვნა არ ნიშნავს იურიდიული პირების წინააღმდეგ აუცილებლად სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გატარებას. თვით ტერორიზმთან ბრძოლის დროსაც 290

[459] EuGHE 1990, 2934 („Hansen").
[460] EuGHE 1990, 2934 („Hansen").
[461] EuGHE 1990, 2936 ff („Hansen").
[462] შეად. Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 40.
[463] Gröblinghoff, Verpflichtung, 19.
[464] შეად. Manifest zur Europäischen Kriminalpolitik, ZIS 12/2009, 702.
[465] ABl. L 192, 31. 7. 2003, 54.

კი ევროკავშირი თავშეკავებას იჩენს და სახელმწიფოს არჩევანის საშუალებას უტოვებს.[466]

291 ყოველივე ამის მიუხედავად, ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად გამოითქმის მოსაზრებები იურიდიული პირების უფრო მკაცრი დასჯის მოთხოვნით.[467] ეს მოთხოვნა საერთაშორისო დონეზეც გაისმა. 1997 წელს სისხლის სამართლის სფეროში მოღვაწე ცნობილი ევროპელი მეცნიერების ჯგუფის მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტი ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ – **„*Corpus Juris*"**,[468] რომელიც შეფასდა როგორც ევროპული სისხლის სამართლის მომავლის პროექტი.[469] ეს დოკუმენტი ევროპული სისხლის სამართლის განვითარებისთვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია და ის შეიქმნა ევროკომისიის, ევროპარლამენტისა და სისხლის სამართლის მეცნიერების კოოპერაციის საფუძველზე.[470] Corpus Juris –ის შექმნის მთავარი მიზანი იყო ფინანსურ სფეროში ერთიანი ევროპული სანქციების სისტემის შექმნა.[471] ის შედგება ზოგადი და კერძო ნაწილებისგან და შეიცავს შემდეგ დანაშაულებს: თაღლითობა,[472] ფულის გათეთრება, კორუფცია, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და ა.შ.[473] ზოგადი ნაწილი კი ანესრიგებს შეცდომის, მცდელობის, სასჯელებისა და სხვა საკითხებს.

292 Corpus Juris-ის მე-13 მუხლი ეხება გაერთიანებათა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას:

1-8-ე მუხლებში გათვალისწინებული დანაშაულებისთვის შესაძლებელია პასუხისმგებლობას დაექვემდებარონ გაერთიანებები, თუ ისინი არიან იურიდიული პირები ან აქვთ უფლებაუნარიანობა და გააჩნიათ ქონება, დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია გაერთიანების სასარგებლოდ მისი ორგანოს, წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით, რომელიც ამ გაერთიანების სახელით მოქმედებდა ან სამართლებრივი ან ფაქტობრივი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება

[466] ABl. L 164, 22. 6. 2002, 3.

[467] დანერ. იხ. Heine, კომენტარებში Schönke/Schröder, StGB, Vorbemerkung zu den §§ 25 ff. Rn. 124 ff.

[468] მოგვიანებით ეს პროექტი გადამუშავებულ იქნა და დღეისათვის მას მოიხსენიებენ როგორც „Corpus Juris 2000" ან „Corpus Juris ფლორენცია". ქართული თარგმანი იხ. კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 490 და შემდეგი.

[469] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 8 Rn. 32 ff.; Hecker, Europ. Strafrecht, § 14 Rn. 28 ff.

[470] Sieber, კრებულში: Huber, Europäisches Kolloquium, 17.

[471] Delmas-Marty, Corpus Juris, 28; Rasner, Corpus Juris Florenz, 70.

[472] დანერ. იხ. Rasner, Corpus Juris Florenz, 114 ff.

[473] დანერ. იხ. Bacigalupo, კრებულში: Huber, Europäisches Kolloquium, 129 ff.; ასევე Otto, კრებულში: Huber, Europäisches Kolloquium, 141 ff.

ჰქონდა.

გაერთიანებების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გა- 293
მორიცხავს ფიზიკური პირების, როგორც ამსრულებლების, წამქეზებლების ან დამხმარეების პასუხისმგებლობას იმავე ქმედებებისთვის.

მოცემული ფორმულირებით Corpus Juris-ის ავტორები აშკარად იხრე- 294
ბიან იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღებისკენ მთელი ევროკავშირის მასშტაბით,[474] მაგრამ ეს საკითხი კოლიზიაში მოდის ბრალის გაგებისა და სასჯელის ფუნქციის ტრადიციულ სტანდარტებთან.[475] მე-13 მუხლის პირველი აბზაცი არ გულისხმობს პასუხისმგებლობას სხვისი ქმედებისთვის. როგორც სწორად აღინიშნა, იურიდიული პირი პასუხს აგებს საკუთარი ქმედებისთვის. გაერთიანების ორგანო, მისი წარმომადგენელი ან სხვა პირი სწორედ მისი სახელით მოქმედებს, ხოლო მუხლის მე-2 ნაწილი ფიზიკურ პირებსაც ეხება და ეს განცალკევება გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ გაერთიანებები და ცალკეული ფიზიკური პირები საკუთარი ქმედებისთვის ცალ-ცალკე აგებენ პასუხს.[476]

Corpus Juris-ში გაერთიანებების სისხლისსამართლებრივი პასუხის- 295
მგებლობის შემოღებამ გასაგები მიზეზების გამო განსხვავებული რეაქციები გამოიწვია. ერთნი ამას ეთანხმებოდნენ,[477] ხოლო სხვები კი მასში სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების ფინანსური ინტერესებისთვის გაწირვას ხედავდნენ.[478]

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მომავალში მოსალოდნელია, 296
რომ ევროკავშირის დონეზე იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შემოიღებენ. ეს განსაკუთრებით აუცილებელი გახდება ისეთ რთულ დანაშაულებთან საბრძოლველად, როგორებიცაა ნარკოტიკული დანაშაულები, ტრეფიკინგი ან გარემოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. მათთან საბრძოლველად მხოლოდ ცალკეული პირების დასჯა საკმარის შედეგს ვერ მოგვცემს. პასუხისმგებლობის აღნიშნული ფორმით შემოღება შესაძლოა ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის საფუძველზე მოხდეს. ის ევროკავშირის პარლამენტსა და საბჭოს აძლევს უფლებას განსაკუთრებით მძიმე კრიმინალის სფერო-

474 შეად. Delmas-Marty, Corpus Juris, 1998, 44.
475 Neumann, კრებულში: Huber, Europäisches Kolloquium, 76.
476 Neumann, კრებულში: Huber, Europäisches Kolloquium, 79 ff.
477 ემხრობოდა მაგ. Höpfel, კრებულში: Huber, Europäisches Kolloquium, 86 ff.
478 აკრიტიკებდა მაგ. Kaiafa-Gbandi, კრებულში: Huber, Europäisches Kolloquium, 102 ff.

ში დირექტივების გამოცემის გზით დაადგინონ შემადგენლობისა და სასჯელების მინიმალური სტანდარტები. საინტერესოა ისიც, რომ არა მხოლოდ Corpus Juris, არამედ ევროპელ მეცნიერთა სამუშაო ჯგუფიც ***„European Criminal Policy Initiative"*** იურიდიული პირის დასჯადობის შემოღების საკითხს ღიად ტოვებს, ანუ ირიბად უშვებს მას. ეს სამუშაო ჯგუფი 2008 წელს დაარსდა და ის შედგება სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე 14 მეცნიერისგან ევროკავშირის წევრი 10 სახელმწიფოდან. მან შეიმუშავა „ევროპული კრიმინალური პოლიტიკის მანიფესტი".[479] მანიფესტში ბრალის პრინციპი ჩადებულია, როგორც ევროპული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასშტაბი.[480] ეს პრინციპი განმარტებულია შემდეგნაირად:

> ევროკავშირის მიერ წევრი სახელმწიფოებისადმი მიმართული ვალდებულება, რომელიც გულისხმობს გარკვეული ქმედებებისთვის მათ მიერ სისხლისსამართლებრივი სანქციების გათვალისწინებას, აუცილებლად მოითხოვს ინკრიმინირებული ქცევის პერსონალური გასაკიცხაობის შესაძლებლობას. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს არა მხოლოდ სისხლის სამართლის გამოყენების შეზღუდვიდან მხოლოდ განსაკუთრებით სოციალურად საზიანო ქმედებებზე, არამედ ემსახურება ადამიანის ღირსების ყოვლისმომცველ დაცვას, შეესაბამება ევროგაერთიანების ფარგლებში არსებულ ადმინისტრაციულ სანქციებთან მიმართებაში აღიარებულ ბრალის მოთხოვნას და ასევე ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის 48-ე მუხლის I აბზაცით გარანტირებულ უდანაშაულობის პრეზუმფციას.[481]

297 მანიფესტში განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი მონაკვეთი. ის განაგრძობს წინა მოსაზრებას და შემდეგნაირად ჟღერს:

> ყოველივე ეს არ იძლევა პასუხს კითხვაზე, შესაძლებელი არის თუ არა იურიდიული პირების ბრალეული გაკიცხვის საკითხის დაყენება: ერთმანეთისგან განსხვავებულ უნდა იქნას ფიზიკური პირის პერსონალური ბრალისა და იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი. ამისთვის საჭიროა წევრ სახელმწიფოებში მოქმედი ნორმებიდან გამომდინარე შერაცხვის ცალკე რეგულირების შემუშავება.[482]

---

[479] დანვრ. ამ ინიციატივასთან დაკავშირებით იხ. ზატცგერი, კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 517 და შემდეგი.

[480] ზატცგერი, კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 522.

[481] ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 525.

[482] ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 525.

მაშასადამე, მანიფესტიდან გამომდინარე, იურიდიულ პირებზე პირდაპირ იმ კრიტერიუმების გადატანა, რასაც ფიზიკური პირების მიმართ ვიყენებთ, არ უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიშობა დოგმატური კონფლიქტი და ამ კონფლიქტს იურიდიული პირების დასჯადობის კრიტიკოსები მუდმივად უსვამენ ხაზს. 298

გერმანულ სამართლებრივ ტრადიციაში ინდივიდუალურ-ეთიკური გასაკიცხაობა სასჯელის შეფარდების დროს გადამწყვეტ როლს ასრულებს. სასჯელის წინაპირობაა ბრალი. ბრალი კი გულისხმობს გასაკიცხაობას. დამნაშავის ქმედება იმიტომ არის გასაკიცხი, რომ ის სამართლის შესაბამისად არ იქცევა და რომ მან უმართლობის გზა აირჩია იმ ფონზე, როდესაც მას სამართლის გზის არჩევა შეეძლო. ბრალისა და გასაკიცხაობის საფუძველია ის, რომ ადამიანი არის თავისუფლებითა და პასუხისმგებლობით აღჭურვილი და მას თვითონ შეუძლია გადაწყვიტოს, იყოს სამართლის მხარეს თუ არა (ასე დაადგინა გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ).[483] ამ კრიტერიუმებიდან გამომდინარე გაერთიანების ინდივიდუალური გაკიცხვა შეუძლებელია. ის არ არის ფიზიკური ცხოვრებით აღჭურვილი არსება. ის არის პირი მხოლოდ სოციალურ-ეთიკური თვალსაზრისით.[484] მასზე ვრცელდება სოციალური და არა ინდივიდუალური ეთიკა.[485] მაგრამ მოცემულ კრიტერიუმს თუ ჩავუღრმავდებით, იურიდიული პირებიც ეთიკურ ჩარჩოებში არიან მოქცეული და თუ მათი საქმიანობა არ შეესაბამება ამ ჩარჩოებს, შესაძლებელია მათი საქციელის სოციალურ-ეთიკურად ნეგატიურად შეფასება.[486] კანონმდებლის მიერ შემოღებული იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სწორედ ამ ნეგატიურ შეფასებას გამოხატავს და დასაბუთებისთვის არაფერში არ სჭირდება ინდივიდუალური გასაკიცხაობა.[487] ამისთვის სოციალურ-ეთიკური გაკიცხვაც საკმარისია. 299

იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება **არ ნიშნავს ინდივიდუალური ბრალის პრინციპის უარყოფას**. ფიზიკური პირის მიერ საწარმოს შიგნით ჩადენილი დანაშაული ჩვეულებრივ დასჯადი რჩება. Corpus Juris თუ სხვა დოკუმენტები მას ხელუხლებლად ტოვებენ. ამავდროულად, საკმაოდ მიამიტური იქ- 300

[483] BGHSt 2, 200.
[484] Vadillo, კრებულში: Schünemann/González, Bausteine, 298.
[485] Dannecker, GA 2001, 112 ff.
[486] Dannecker, GA 2001, 113.
[487] Dannecker, GA 2001, 113; შეად. Schünemann, კრებულში: Schünemann/González, Bausteine, 273 ff.

ნება მხოლოდ ცალკეული პირების დასჯის გზით საწარმოების რთულ იერარქიაში არსებული დანაშაულების დამარცხება.[488] ზოგჯერ პირიქით, იურიდიული პირის რთული სტრუქტურა საერთოდ შეუძლებელს ხდის ინდივიდების გამოვლენას და ბოლოს დანაშაული საერთოდ დაუსჯელი რჩება.[489] ამ სიტუაციიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საერთაშორისო დანაშაულებთან მიმართებაში, მომავალში სასურველი იქნებოდა ერთიანი ევროპული რეგულაციის შემოღება, რაც ხელს შეუწყობდა სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში არსებული განსხვავებების აღმოფხვრას. მართალია, ევროკავშირის სასამართლოს თავშეკავებული პოზიცია მისასალმებელია და სწორია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მომავალში სიტუაცია არ უნდა შეიცვალოს.

301 ევროკავშირის ფარგლებში იურიდიული პირების დასჯადობის შემოღების შემთხვევაში ქართველ კანონმდებელს არ მოუწევს შიდა კანონმდებლობის შეცვლა. საქართველოში ეს წესი ისედაც უკვე მოქმედებს, ხოლო თუ პირიქით მოხდება და ევროკავშირი თავშეკავების პოლიტიკას შეინარჩუნებს, ქართული სისხლის სამართალი ამ კუთხით მაინც იქნება ევროპულთან შესაბამისობაში. როგორც უკვე ითქვა, ეს თვითონ სახელმწიფოს კომპეტენციაა. მთავარია, მან ევროკავშირის სამართლებრივი სიკეთეები ეფექტურად დაიცვას.

302 ქართული კანონმდებლობის ევროპულთან შესაბამისობა მხოლოდ იურიდიული პირების დასჯადობა/არდასჯადობით არ ამოიწურება. ამაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, სჯის თუ არა ადგილობრივი კანონმდებლობა იმ დანაშაულებს, რომელთაც ევროკავშირი ებრძვის. განვიხილოთ ეს 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილების მაგალითზე ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ.[490] ჩარჩო-გადაწყვეტილების პირველი მუხლის პირველ აბზაცში ჩამოთვლილი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითაც ისჯება. იქ ჩამოთვლილი. ქმედებები ითვლება ტერორისტულ დანაშაულებად, თუკი ისინი ჩადენილია იმ მიზნით, რათა

მოხდეს მძიმე ფორმებით მოსახლეობის დაშინება,

ან მოხდეს საჯარო დაწესებულებების ან საერთაშორისო ორგანიზაციების იძულება, რათა მართლსაწინააღმდეგოდ განახორციელონ მოქმედება ან თავი შეიკავონ მოქმედებისგან,

---

[488] Schünemann, კრებულში: Schünemann/González, Bausteine, 270.

[489] Schünemann, კრებულში: Schünemann/González, Bausteine, 272.

[490] ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 436 და შემდეგი; გერმანულად იხ. ABl. L 164, 22. 6. 2002, 3.

ან მოხდეს სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის პოლიტიკური, კონსტიტუციურ-სამართლებრივი, ეკონომიკური ან სოციალური ძირითადი სტრუქტურების სერიოზული დესტაბილიზაცია ან განადგურება.[491]

ტერორიზმის ქართული გაგება ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. მას მთლიანად ეთმობა სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე თავი. სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლი შეიცავს მსგავს წინაპირობებს, რაც უკვე ვახსენეთ (მოსახლეობის დაშინება, ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედება და ა. შ.).[492] რაც შეეხება საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირის ან ორგანიზაციის დაცვას, ამას უზრუნველყოფს სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე მუხლი. ტერორიზმის დანაშაულებისათვის იურიდიული პირების პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია როგორც ევროპულ ჩარჩო-გადაწყვეტილებაში (მაგრამ არა მაინცდამაინც სისხლისსამართლებრივი), ასევე ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში. ანუ, პასუხისმგებლობის თვალსაზრისით ქართული კანონმდებლობა ზოგადად ევროპულს შეესაბამება. **303**

ქართული კანონმდებლობა ევროკავშირის სტანდარტებს აკმაყოფილებს სასჯელების კუთხითაც. ჩარჩო-გადაწყვეტილება იურიდიული პირების მიმართ მოითხოვს ქმედითი, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების გამოყენებას, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე არასისხლისსამართლებრივი სახის, მაგალითად ლიკვიდაცია, საქმიანობის განხორციელების დროებითი ან მუდმივი აკრძალვა, სასამართლოს ზედამხედველობა და სხვა (მუხ. 8).[493] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კი ითვალისწინებს ლიკვიდაციას, ჯარიმას ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას. ამით ის ჩარჩო-გადაწყვეტილების წინაპირობებს შეესაბამება. **304**

იგივე შეიძლება ითქვას სხვა ჩარჩო-გადაწყვეტილებებზეც. 2003 წლის 22 ივლისს საბჭოს მიერ მიღებული ჩარჩო-გადაწყვეტილება ეძღვნება კერძო სექტორში მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლას.[494] კერძო სექტორში ქრთამის მიცემასა და ქრთამის აღებას ეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლი – კომერციული მოსყიდვა. იურიდიული პირები ამ დანაშაულისთვისაც ისჯებიან.[495] **305**

[491] ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 437.
[492] შეად. ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 65.
[493] ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 440.
[494] ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 409 და შემდეგი.
[495] შეად. ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 77.

306 ქართული და ევროპული კანონმდებლობისთვის ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციასთან ბრძოლა, მათ შორის პორნოგრაფიული ნაწარმოების უკანონო დამზადებასთან ან გასაღებასთან.[496] სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე და 255[1]-ე მუხლები შესაბამისად ითვალისწინებენ იურიდიული პირების დასჯადობას ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით.

307 საერთო ჯამში, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა იურიდიული პირების დასჯადობის თვალსაზრისით ევროკავშირის სტანდარტებს შეესაბამება.

§ 6. სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაცია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის საფუძველზე

308 ევროპული სისხლის სამართლისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლე იყო ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის შემოღება.[497] მისი მეშვეობით ევროკავშირი გახდა უფლებამოსილი, წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივ სისტემებზე მოახდინოს გავლენა გარკვეული დათქმების მეშვეობით.[498] მართალია, მას არ შეუძლია პირდაპირ შექმნას სისხლისსამართლებრივი ნორმები, მაგრამ აქვს კომპეტენცია მოახდინოს სხვადასხვა სისტემების დაახლოება და ჰარმონიზაცია.[499] 83-ე მუხლის პირველი აბზაცი შემდეგი შინაარსით არის ჩამოყალიბებული:

> ევროკავშირის პარლამენტსა და საბჭოს შეუძლიათ, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად, დირექტივების მეშვეობით დაადგინონ მინიმალური სტანდარტები დანაშაულებისა და სასჯელების შესახებ, განსაკუთრებით იმ დანაშაულების სფეროებში, რომლებ-

[496] იხ. საბჭოს 2003 წლის 22 დეკემბრის ჩარჩო-გადაწყვეტილება ბავშვთა პორნოგრაფიისა და სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 453 და შემდეგი.

[497] ჯიშკარიანი, მართლმსაჯულება და კანონი, 3/2011, 102.

[498] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 31; Safferling, Int. Strafrecht, § 10 Rn. 47.

[499] Safferling, Int. Strafrecht, § 10 Rn. 47.

თანაც ერთიან საფუძვლებზე ბრძოლა მათი სიმძიმიდან და შედეგებიდან გამომდინარე აუცილებელია და ტრანსნაციონალური ხასიათი აქვთ.

ასეთი სფეროებია: ტერორიზმი, ადამიანებით ვაჭრობა – განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ექსპლუატაცია, ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა, იარაღით არალეგალური ვაჭრობა, ფულის გათეთრება, კორუფცია, გადახდის საშუალებების გაყალბება, კომპიუტერული დამნაშავეობა და ორგანიზებული დამნაშავეობა.

დამნაშავეობის განვითარების მიხედვით, საბჭოს შეუძლია გამოსცეს გადაწყვეტილება, რომლითაც განისაზღვრება დამნაშავეობის სხვა სფეროები, რომლებიც ამ აბზაცის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. იგი გადაწყვეტილებას იღებს ერთხმად, ევროკავშირის პარლამენტის თანხმობის შემდეგ. 309

83-ე მუხლის მეშვეობით ევროკავშირმა შეიძინა მოქმედების მეტი კომპეტენცია, რათა მოახდინოს ცალკეული სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი სისტემების ერთმანეთთან ჰარმონიზაცია. სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაცია, ზოგადად, განსაკუთრებულ სიახლეს არ წარმოადგენს. ამას ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი ძველი ხელშეკრულებაც ითვალისწინებდა. თუმცა, ეს ხდებოდა არა დირექტივების, არამედ ჩარჩო-გადაწყვეტილებების მიღების საშუალებით პოლიციისა და იუსტიციის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში (ევროკ. შესახებ ხელშ. მუხ. 29, აბზ. 2, მუხ. 31, აბზ. 1 ძვ. რედ.).[500] 310

ადრე მოქმედი ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს ჰქონდა უფლება, წამოეყენებინა ჩარჩო-გადაწყვეტილების გამოცემის ინიციატივა, რომლისთვისაც შემდგომში ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობა იყო საჭირო (მუხ. 34, აბზ. 2 ძვ. რედ.). წევრ სახელმწიფოებთან შედარებით ევროკავშირის პარლამენტი ამ პროცესში ფორმალურად მონაწილეობდა და მხოლოდ ინფორმაციას ისმენდა (მუხ. 39, აბზ. 1 ძვ. რედ).[501] ეს სურათი ლისაბონის ხელშეკრულების მიღების შემდგომ შეიცვალა. ინიციატივის წამოსაყენებლად ერთი სახელმწიფოს ნაცვლად საჭიროა წევრ სახელმწიფოთა სულ მცირე ერთი მეოთხედი რაოდენობა (ევროკ. 311

[500] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 31 ff.; Zimmermann, JURA 2009, 846; Dannecker, JURA 2006, 99; Streinz/Ohler/Herrmann, Vertrag von Lissabon, 163.

[501] Vogel, GA 2003, 321; Zimmermann, JURA 2009, 844.

საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 76, პუნქტი ბ),[502] ხოლო ამ ინიციატივის საფუძველზე სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჭიროა არა ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობა, არამედ საკმარისია ხმების კვალიფიციური რაოდენობა (ევროკ. შეს. ხელშ. მუხ. 16, აბზ. 3).[503] ევროკავშირის პარლამენტის ფუნქციებიც გაიზარდა და გასცდა უბრალოდ ინფორმაციის მოსმენის ფარგლებს. ის დირექტივის გამოცემასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას საბჭოსთან ერთად იღებს. საკანონმდებლო პროცესში პარლამენტის როლის მსგავსმა გაძლიერებამ ევროკავშირს მეტი დემოკრატიული ლეგიტიმაცია შესძინა.[504] სწორედ სუსტი დემოკრატიული ლეგიტიმაცია იყო მნიშვნელოვანი კრიტიკის საფუძველი ევროკავშირის სისხლისსამართლებრივი კომპეტენციის მიმართ, ვინაიდან ევროპული აქტების გამოცემის დროს პარლამენტი ამ პროცესში შეზღუდული მონაწილეობის უფლებით სარგებლობდა. ზოგიერთი კრიტიკოსი ამ რეალობას „აუტანელსა" და „გუბერნატიულ მმართველობას" ადარებდა, ვინაიდან დომინანტ როლს საბჭო და არა პარლამენტი ასრულებდა.[505]

I. სისხლისსამართლებრივი მითითების გაკეთების ორიგინალური კომპეტენცია – 83-ე მუხლის პირველი აბზაცი

312 ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს ისეთ ფორმულირებებს, რომლებითაც უფრო ნათლად არის გასაგები ევროკავშირის სისხლისსამართლებრივი კომპეტენცია, განსხვავებით მანამდე მოქმედი ხელშეკრულებებისგან.[506] ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების ადრინდელ რედაქციაში საუბარი იყო ნარკოტიკებით ვაჭრობაზე, ტერორიზმსა და ორგანიზებულ დანაშაულობაზე. წევრ სახელმწიფოებს ეკისრებოდათ ამ სფეროებში გარკვეული ვალდებულებები ჩარჩო-გადაწყვე-

502 Zimmermann, JURA 2009, 844. Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 32.

503 Streinz/Ohler/Herrmann, Vertrag von Lissabon, 65.

504 Sieber, ZStW 121 (2009), 57 ff.; Streinz/Ohler/Herrmann, Vertrag von Lissabon, 63; Dannecker, JURA 2006, 177.

505 ასე აფასებდა მაგ. Schünemann, GA 2004, 200; Vormbaum, Rechtsgüter, 70 ff.; თუმცა იყვნენ მომხრეებიც, იხ. მიმოხილვა Vormbaum, Rechtsgüter, 75 ff.

506 შეად. Heger, ZIS 8/2009, 411. სტატიის ქართული თარგმანი იხ. კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 140.

ტილებების საფუძველზე (მუხ. 31), თუმცა ეს ჩამონათვალი არასრულ ხასიათს ატარებდა და ნორმის ტექსტიც ბუნდოვანი იყო.[507] შესაბამისად, ადვილი არ იყო იმის გარკვევა, თუ სად გადიოდა ევროკავშირის სისხლისსამართლებრივი კომპეტენციის ზღვარი.[508] 83-ე მუხლში გაკეთებული ჩამონათვალი, ტექნიკურად თუ შევხედავთ, უფრო ვრცელია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირის კომპეტენცია სისხლის სამართლის სფეროში ერთბაშად გაიზარდა. მხოლოდ ის შეიცვალა, რომ ახალი ნორმით უფრო გასაგები გახდა კომპეტენციის ფარგლები. ევროკავშირის ხელშეკრულების (ძვ.რედ.) 29-ე და 31-ე მუხლები ისედაც უშვებდნენ სხვადასხვა სფეროებში სისხლისსამართლებრივ ჰარმონიზაციას და ევროკავშირის მხრიდან ჩარევას.[509]

იმისათვის, რომ ევროკავშირმა ლისაბონის ხელშეკრულებით გათვა- 313
ლისწინებული უფლებამოსილება განახორციელოს და სისხლისსამართლებრივი შინაარსის დირექტივები გამოსცეს, საჭიროა შემდეგი წინაპირობების არსებობა: საქმე უნდა ეხებოდეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, რომლის წინააღმდეგ ერთობლივად ბრძოლის განსაკუთრებული საჭიროება დგას და ის ერთი ქვეყნის ფარგლებს სცდება.[510] ეს წინაპირობები ჩადებულია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველ ნაწილში. იქვე ჩამოთვლილია ის დანაშაულები, რომლებიც ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ: ტერორიზმი, ადამიანებით ვაჭრობა, კორუფცია და ა.შ.[511] ჩამონათვალის არსებობა ამავდროულად არ გულისხმობს წინასწარ განსაზღვრულ დისპოზიციებს. ეს არავითარ შედეგს არ მოიტანდა, ვინაიდან თითოეულ სახელმწიფოს ეს დანაშაულები თავისებურად აქვს ჩამოყალიბებული.[512] აქ მოცემული „დანაშაულის“ ცნება ზოგადად ჰარმონიზაციის კონტექსტში უნდა განვიხილოთ და არა როგორც კონკრეტული დისპოზიცია.[513]

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ 83-ე მუხლის პირველი ნაწილით 314
ევროკავშირის კომპეტენციის საკითხი ბევრად უფრო ნათელი გახ-

[507] Schünemann, GA 2004,196.
[508] Schünemann, GA 2004, 196; Satzger, კომენტარებში: Streinz, EUV/EGV, Art. 31 EUV, Rn. 12; Heger, ZIS 8/2009, 411.
[509] Satzger, Int. und Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 34; Satzger, კომენტარებში: Streinz, EUV/EGV, Art. 31 EUV, Rn. 12; Heger, ZIS 8/2009, 411.
[510] Kubiciel, GA 2010, 101; Zimmermann, JURA 2009, 846.
[511] შეად. ჰეგერი, კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 151 და შემდეგი.
[512] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 34.
[513] Heger, ZIS 8/2009, 412.

და,[514] მასში გათვალისწინებული დანაშაულების კატალოგის გაფართოების შესაძლებლობა კრიტიკულად ფასდება.[515] კრიტიკოსების მოსაზრებით, ისეთი ტერმინები, როგორიცაა მაგალითად „... სცდება ერთი ქვეყნის ფარგლებს..." არ წარმოადგენენ სერიოზულ ბარიერს ევროპული სისხლის სამართლის დამატებითი გაფართოების დასამუხრუჭებლად, რაც უფრო მეტ შეჭრას გამოიწვევს წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივ სისტემებში.[516] აქედან გამომდინარე, 83-ე მუხლი „ექსპანსიის პოტენციალის" მატარებელია, რადგან უშვებს დირექტივების გამოცემის შესაძლებლობას იმ ნებისმიერი დანაშაულის მიმართ, რომელიც თუნდაც რამენაირ ახლო კავშირში იქნება არსებულ კატალოგთან.[517] კრიტიკოსები იმასაც ამატებენ, რომ საბჭოს მიეცა სისხლის სამართლის ყველა სფეროში ჩარევის შესაძლებლობა.[518]

315 კრიტიკის ეს არგუმენტაცია შესაძლებელია მისაღები იყოს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 83-ე მუხლის პირველ აბზაცს მთელი მუხლის კონტექსტიდან ამოვიღებთ და განცალკევებით განვიხილავთ.[519] მართალია, პირველი აბზაცი ჩამონათვალის გაფართოების შესაძლებლობას უშვებს, თუმცა ეს მექანიზმი თავის მხრივ გარკვეულ ჩარჩოებში არის მოქცეული. შეუძლებელია ისე მოხდეს, რომ საბჭო უბრალოდ რომელიმე დირექტივის პროექტს შეიმუშავებს და ყველა წევრი სახელმწიფო მის გამოცემას დაეთანხმება. იმისთვის, რომ დირექტივის პროექტმა გამოცემის სტადიამდე მიაღწიოს, საჭიროა სხვადასხვა ინსტანციის გავლა: ხალხის მიერ არჩეული ევროკავშირის პარლამენტი, რომლის თანხმობაც აუცილებელია; ნაციონალური საკანონმდებლო ორგანოები, რომლებიც ასევე იღებენ მონაწილეობას ევროკავშირის საკანონმდებლო პროცესში; საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია წევრი სახელმწიფოების მთავრობების წარმომადგენლებისგან და ბოლოს, ადგილობრივი პარლამენტი, რომელიც დირექტივის შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაციის პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს.[520] თუ ყველა ეს ბარიერი გადალახული იქნა და მაინც იქმნება „საფრთხე" იმისა, რომ დირექტივის პროექტი უმრავლესობის მხარდაჭერით გავა, მაშინ ცალკეულ სახელმწი-

514 შეად. Kubiciel, GA 2010, 101; Reiling/Reschke, wistra 2010, 48.
515 Safferling, Int. Strafrecht, § 10 Rn. 49.
516 Weigend, ZStW 2004, 283.
517 Kubiciel, GA 2010, 101.
518 Weigend, ZStW 2004, 283.
519 შეად. Satzger, Int. und Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 34 ff.
520 შეად. Sieber, ZStW 2009, 53.

ფოს შეუძლია გამოიყენოს 83-ე მუხლის მე-3 აბზაცში ჩადებული ე. ნ. საავარიო მუხრუჭი და ეს პროცესი შეაჩეროს. დანარჩენი, მომხრე სახელმწიფოები კი გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის გზას მიმართავენ, რომელსაც მოგვიანებით შევეხებით.

316 ყოველივე ამის გათვალისწინებით, გამოთქმული კრიტიკა უსამართლოა. შეუძლებელია ასეთი სახის ხელშეკრულების მუხლებისგან ისეთივე ნათელი და დეტალური რეგულაციები მოვითხოვოთ, როგორც ეს შიდა კანონმდებლობის შემთხვევაში ხდება. თუ 83-ე მუხლიდან კატალოგის გაფართოვების შესაძლებლობას ამოვიღებდით, მაშინ ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის საჭირო გახდებოდა ლისაბონის ხელშეკრულებაში დამატების შეტანა, რაც პრაქტიკულად რთული განსახორციელებლია ევროპული საკანონმდებლო პროცესის თავისებურებიდან გამომდინარე. ამიტომაც უმჯობესია, თავიდანვე დაშვებულ იქნას აუცილებლობის შემთხვევაში ახალ დანაშაულებზეც დირექტივის გამოცემის შესაძლებლობა, რომელიც ამავდროულად ისეთი მექანიზმებით იქნება შეზღუდული, როგორიცაა თუნდაც საავარიო მუხრუჭი.[521]

II. ევროკავშირის დამატებითი კომპეტენცია სისხლის სამართალში – 83-ე მუხლის მე-2 აბზაცი

317 ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მეორე ნაწილი ეხება ე.წ. დამატებით კომპეტენციას (იგივე **ანექს-კომპეტენცია**), რომელიც მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაციის სფეროში.[522]

318 ამ კომპეტენციის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ევროკავშირს ეძლევა სისხლისსამართლებრივი შინაარსის დირექტივების გამოცემის გზით დანაშაულებისა და სასჯელების დადგენის უფლება იმ სფეროებშიც, რომლებშიც ჰარმონიზაცია (არასისხლისსამართლებრივი გზით) უკვე განხორციელდა.

319 თუმცა, ამისათვის ლისაბონის ხელშეკრულებაში ჩადებულია შემდე-

[521] შეად. Satferling, Int. Strafrecht, § 10 Rn. 51 ff.

[522] პეგერი, კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 154; Satzger, კრებულში: Hefedehl, Symposium, 306.

გი წინაპირობა: სისხლისსამართლებრივი დირექტივების გამოცემა დასაშვებია მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც ამის გარეშე შეუძლებელია უკვე ჰარმონიზებულ სფეროებში ევროკავშირის პოლიტიკის ეფექტურად განხორციელება. სახელწოდებაც „დამატებითი" სწორედ აქედან გამომდინარეობს – სისხლისსამართლებრივი მექანიზმი ირთვება დამატებით, უკვე გატარებული ღონისძიებების არაეფექტურობის გამო. ეს კომპეტენცია ადრე ევროგაერთიანების სასამართლოს მიერაც იქნა აღიარებული,[523] თუმცა, არსებულ ხელშეკრულებებში არ იყო გათვალისწინებული და ამიტომაც ეს აღიარება მაშინ უფლებამოსილების გადაჭარბებად შეფასდა.[524]

320 ამ საკითხთან დაკავშირებით თავის პირველ გადაწყვეტილებაში ევროგაერთიანების სასამართლომ დაადგინა, რომ გაერთიანებას შეუძლია როგორც დანაშაულის შემადგენლობების, ასევე სასჯელების სახეებისა და მოცულობის დადგენა.[525] მაგრამ, მოგვიანებით, მომდევნო საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას სასჯელებთან დაკავშირებული კომპეტენცია მან ისევ წევრ სახელმწიფოებს მიაკუთვნა.[526] ლისაბონის ხელშეკრულებაში ფაქტობრივად გადმოტანილ იქნა ის კომპეტენცია, რასაც სასამართლო პირველ გადაწყვეტილებაში ასაბუთებდა და შესაბამისად, დღეისათვის ევროკავშირი უფლებამოსილია როგორც შემადგენლობების დადგენასთან, ასევე სანქციებთან მიმართებაში.[527]

321 83-ე მუხლის მე-2 აბზაცით ხელშეკრულების დონეზე ევროკავშირის მხრიდან დამატებითი სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაციის უფლებამოსილების საკითხი გაირკვა,[528] თუმცა გარკვეული შენიშვნები მაინც დარჩა. პირველი, ის რომ ევროგაერთიანების ფარგლებში აქამდე ბევრი მიმართულებით განხორციელდა ჰარმონიზაცია და

---

523 Safferling, Int. Strafrecht, § 10 Rn. 54; EuGHE 2005, 7879 („Kommission/Rat"); EuGHE 2007, 9097 („Kommission/Rat").

524 Satzger, Int. und Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 39; Zimmermann, JURA 2009, 847; Zöller, ZIS 7/2009, 346 ff; Zleschang, Sieber/Dannecker/Kindhäuser/Vogel/Walter, Strafrecht und Wirtschaftsstrafrecht, 1313.

525 EuGHE 2005, 7879 („Kommission/Rat").

526 EuGHE 2007, 9097 („Kommission/Rat"); ჰეგერი, კრებულში ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 154.

527 Reiling/Reschke, wistra 2010, 48; Frenz/Wübenhorst, wistra 2009, 450; Safferling, Int. Strafrecht, § 10 Rn. 54.

528 Hecker, Europäisches Strafrecht, § 8 Rn. 2; დამატებით კომპეტენციასთან მიმართებაში Safferling, Int. Strafrecht, § 10 Rn. 55, სხვა ტერმინს, კერძოდ „გათანაბრების კომპეტენციას" იყენებს, რადგან მისი მოსაზრებით ევროკ. საქმ. წესის შესახებ ხელშ. 83-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ არის ანექსი, ანუ კავშირის სხვა სფეროების დანამატი და ის დამოუკიდებელ კომპეტენციას ქმნის.

შესაბამისად თეორიული შესაძლებლობა იქმნება, დამატებითი კომპეტენციის მეშვეობით ევროკავშირი ამ სფეროებში სისხლისსამართლებრივი კუთხითაც ჩაერიოს[529] და მეორე – ამ კომპეტენციის გამოყენება მხოლოდ „აუცილებლობის" შემთხვევაში საეჭვოა, რომ რეალურ შემაკავებელ ფაქტორად იქცეს.[530]

ზემოთნახსენები საფრთხეების თავიდან აცილებისთვის საჭიროა, **322**
რომ ყოველი სისხლისსამართლებრივი დირექტივის გამოცემის დასაბუთებულობა და აუცილებლობა ევროკავშირის სასამართლომ მკაცრად გააკონტროლოს და გადაამოწმოს.[531] 83-ე მუხლის მე-2 აბზაცის განმარტება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ვიწრო გაგებით.[532] გარდა ამისა, დამატებით დამცავ მექანიზმად გვევლინება „საავარიო მუხრუჭი", რომლითაც წევრი სახელმწიფოების ნაციონალური სისხლის სამართლის ტოტალური ჰარმონიზაციისგან დაცვა ხდება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საერთო ჯამში, დამატებითი კომპეტენციის ინსტიტუტის შემოღება დადებითად უნდა შეფასდეს. მისი მეშვეობით უფრო ეფექტურად განხორციელებადი ხდება საერთო ევროპული მიზნებისთვის მიღწევა. ანექს-კომპეტენცია სისხლის სამართლის ultima ratio-ს პრინციპსაც შეესაბამება და მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც ჰარმონიზაციის სხვა ღონისძიებებმა საკმარისი შედეგი არ გამოიღო.[533] ამ დროს ხარვეზის აღმოსაფხვრელად სწორედ სისხლის სამართლის გამოყენება უნდა იყოს აუცილებელი.[534] ის, განახორციელებს თუ არა მომავალში ევროკავშირის სასამართლო თავის პრაქტიკაში ამის მკაცრ კონტროლს, უკვე სხვა საკითხია.[535]

ევროკავშირის კომპეტენციას 83-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით **323**
ზღუდავს არა მხოლოდ „აუცილებლობის" წინაპირობა, არამედ ევროპული სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორებიცაა **სუბსიდიარულობა და თანაზომიერება** (ევროკავშირის ხელშ. მუხ. 5, აბზ. 1). **სუბსიდიარულობის პრინციპი**, ევროკავშირს იმ სფეროებში, რომლებიც მის ექსკლუზიურ კომპეტენციაში არ შედის, ჩარევის უფლებას აძლევს მხოლოდ მაშინ, როდესაც საერთო ევროპული მიზნისთვის სრულყოფილად მიღწევა ცალკეული სახელმწიფოების

529 Zimmerman, JURA 2009, 847; Kubiciel, GA 2010, 102.

530 Schünemann, კრებულში: Schünemann, Alternativentwurf, 75; Satzger, კრებულში: Symposium 307; Satzger, Int. und Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 41.

531 Satzger, Int. und Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 41.

532 Walter, ZStW 117 (2005), 928 ff.

533 Safferling, Int. Strafrecht, § 10 Rn. 57.

534 Hecker, Europ. Strafrecht, § 8 Rn. 36; BVerfG NJW 2009, 2288.

535 Satzger, Int. und Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 41; Safferling, Int. Strafrecht, § 10 Rn. 57.

დონეზე შეუძლებელია.[536] ზუსტად ამას შეესაბამება დამატებით კომპეტენციაში ნახსენები „აუცილებლობაც".[537] წევრი სახელმწიფოების საკანონმდებლო ორგანოებს შეუძლიათ მიმართონ ევროკავშირის პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას დასაბუთებული პოზიციით, რომ გამოსაცემი ამა თუ იმ დირექტივის პროექტი არ შეესაბამება სუბსიდიარულობის პრინციპს.[538] ნაციონალური პარლამენტების მხრიდან წინასწარი გაფრთხილების მიცემის ეს მექანიზმი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სახელმწიფოებსა და ევროკავშირს შორის ბალანსის დასაცავად.[539] ამას ადასტურებს სუბსიდიარულობისა და თანაზომიერების პრინციპების გამოყენების შესახებ ოქმის მე-8 მუხლის პირველი აბზაცი, რომლის მიხედვითაც წევრი სახელმწიფოს მთავრობას პარლამენტის ან მისი პალატის სახელით შეუძლია მიმართოს სარჩელით ევროკავშირის სასამართლოს რომელიმე ევროპული აქტის სუბსიდიარულობის პრინციპთან შეუსაბამობის გამო. სარჩელის შეტანისას ოქმში მთავრობის წინა პლანზე დაყენება არ ნიშნავს იმას, რომ პარლამენტის როლი ამით კნინდება.[540] პარლამენტს მაინც რჩება საკმარისი საშუალება, უმრავლესობის გზით გავლენა მოახდინოს მთავრობაზე.[541]

324 სუბსიდიარულობის პრინციპისა და დამატებითი კომპეტენციის მსგავსი ურთიერთმიმართების ჩამოყალიბება ევროკავშირის სამართლის შიგნით მიმდინარე პროცესების ლოგიკური შედეგია. სუბსიდიარულობის შემოღება, ევროპარლამენტმა თავიდანვე აღიარა, როგორც ევროკავშირის დინამიური განვითარების გარანტი. ის თანაბარ შანსებს აძლევს ორივე მხარეს, როგორც ევროკავშირს, ასევე წევრ სახელმწიფოებს და არცერთ მათგანს არ შეუძლია, შესაბამისი დასაბუთების გარეშე მიითვისოს ესა თუ ის უფლება.[542]

325 ყოველივე ამას თუ გავაანალიზებთ, ჩნდება შემდეგი კითხვები: კონკრეტულად რომელი სფეროების დარეგულირება შეიძლება მოხდეს სუბსიდიარულობის პრინციპის საფუძველზე? ემუქრება თუ არა მომავალში ქართულ სისხლის სამართალს დამოუკიდებლობის ტოტალური დაკარგვა?

---

536 შეად. ჯიშკარიანი, სამართლის ჟურნალი, 1-2/2010, 266 და შემდეგი.
537 Hecker, Europ. Strafrecht, § 8 Rn. 48.
538 დაწვრ. იხ. Streinz/Ohler/Herrmann, Vertrag von Lissabon, 73 ff.
539 Walter, ZStW 117 (2005), 931.
540 Streinz/Ohler/Herrmann, Vertrag von Lissabon, 75 ff.
541 Kreß, ZStW 116 (2004), 456; Walter, ZStW 117(2005), 931.
542 Schweitzer/Fixon, JURA 1992, 580.

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 აბზაცში ჩამოთვლილია ის სფეროები, რომლებზეც კომპეტენცია ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის ნაწილდება, ანუ არც ერთი მათგანი არ სარგებლობს მათი დარეგულირების ექსკლუზიური უფლებით. ეს სფეროებია: შიდა ბაზარი, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ტრანსევროპული ქსელები, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის ერთიანი სივრცის შექმნა და ა.შ.[543] რომელ სფეროზე შეიძლება გავრცელდეს დამატებითი კომპეტენცია? ამ კითხვას რომ გაეცეს პასუხი, პირველ რიგში უნდა შემოწმდეს, სცილდება თუ არა ესა თუ ის დასარეგულირებელი საკითხი ერთი სახელმწიფოს ფარგლებს? არის თუ არა სხვადასხვა სახელმწიფოებში არსებული განსხვავებული მიდგომების გამო ერთიანი რეგულაცია აუცილებელი? 326

მაგალითად, ავიღოთ ტრანსპორტის სფერო: მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროს მოწესრიგება ევროკავშირის დონეზე მნიშვნელოვანია, არ არის აუცილებელი ამის გაკეთება, ვინაიდან ეს წევრი სახელმწიფოების მხრიდანაც არის შესაძლებელი ბრიუსელიდან ჩარევის გარეშე,[544] მაგრამ, თუ კონკრეტულ შემთხვევაში სატრანსპორტო სფეროში ისეთი საკითხებია გადასაწყვეტი, რაც საერთოევროპულ მასშტაბებში უკეთესად მოხდება, მაშინ ლისაბონის ხელშეკრულება ევროკავშირის მხრიდან სისხლისსამართლებრივი ჩარევის საშუალებას იძლევა. ტრანსპორტის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით მსგავსი მოქმედება ადრე არსებული ხელშეკრულებითაც იყო შესაძლებელი.[545] ამის მაგალითია მოქმედი დირექტივა, რომელიც იცავს ზღვებს ხომალდების მხრიდან დაბინძურებისგან და ამისათვის ადგენს სანქციებს.[546] დირექტივის პირველივე მუხლში დასახულია შემდეგი მიზანი: საერთაშორისო სტანდარტების დადგენა ევროგაერთიანების დონეზე, რათა დაიცვან ზღვები მავნე ნივთიერებებისგან. დაცვის ეფექტურად განსახორციელებლად უნდა დადგინდეს პასუხისმგებელი პირების დასასჯელად შესაბამისი სანქციები, მათ შორის სისხლისსამართლებრივის ჩათვლით. ეს დირექტივა კარგად უჩვენებს, რომ ევროგაერთიანება ჩაერია არა რომელიმე რიგითი სატრანსპორტო საკითხის მოსაწესრიგებლად, არამედ უფრო გლობალური პრობლემის, ზღვების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, რომელიც 327

[543] Streinz/Ohler/Herrmann, Vertrag von Lissabon, 107 ff.
[544] Hecker, Europ. Strafrecht, § 8 Rn. 51.
[545] Satzger, Europäisierung, 413 ff.
[546] ABl. L 280, 27.10.2009, 52.

ცალკეული სახელმწიფოების დონეზე რთული შესასრულებელია.

328 საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის ევროკავშირის პარლამენტი და საბჭო პირდაპირ არიან ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 91-ე მუხლით უფლებამოსილი მიიღონ შესაბამისი ზომები. ნორმის ღია ფორმულირება სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენების საშუალებასაც იძლევა,[547] თუმცა, მაინც სასურველია თავშეკავების გამოჩენა და საგზაო უსაფრთხოების დარეგულირება მხოლოდ სხვა მიზნებთან ერთობლიობაში (მაგ. საგზაო უსაფრთხოება პლუს გარემოს დაცვა).

329 გარკვეულწილად განსხვავებული სურათია გარემოს დაცვასთან მიმართებაში. გარემოს დაბინძურება თავისი ბუნებიდან გამომდინარე საფუძველშივე ინტერნაციონალური ხასიათის მატარებელი მოვლენაა. ერთ ქვეყანაში მომხდარი დაბინძურება ნეგატიურ გავლენას ახდენს მეზობელ სახელმწიფოზეც.[548] გარემოს დაცვის აუცილებლობაზე ევროგაერთიანების სასამართლომაც მიუთითა. მისი მოსაზრებით, ეს არის გაერთიანების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი.[549] სასამართლომ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ სისხლის სამართალი ძირითადად წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაში რჩება და ევროგაერთიანება მასში ნაკლებად უნდა ერეოდეს, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ გარემოს დაცვის ღონისძიებების ეფექტურად გასატარებლად სისხლისსამართლებრივი საშუალებებიც იქნას გამოყენებული.[550]

330 სუბსიდიარულობის პრინციპთან წინააღმდეგობაში არ მოდის ასევე ევროპის ფინანსური ინტერესების დაცვა ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 325-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 83-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით.[551] ევროგაერთიანების შესახებ ხელშეკრულება (ძვ.რედ.), კერძოდ 280-ე მუხლის მე-4 ნაწილი ფინანსური ინტერესების დასაცავად სისხლის სამართლის გამოყენებას არ ცნობდა.[552] ფინანსური ინტერესების დასაცავად სისხლის სამართლის არგამოყენების ეს დათქმა რეალურად ამ ინტერესებს ეფექტური დაცვის გარეშე ტოვებდა, ამიტომ ევროკონსტიტუციის პროექ-

547 Hecker, Europ. Strafrecht, § 8 Rn. 42.

548 Hecker, ZStW 115 (2003), 115; Knaut, Umweltstrafrecht, 320.

549 EuGHE, 2005, 7923 („Kommission/Rat").

550 EuGHE, 2005, 7925 („Kommission/Rat").

551 Hecker, Europäisches Strafrecht, § 8 Rn. 46.

552 დაწერ. ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 91 და შემდეგი; Ambos, Int. Strafrecht, 2. Aufl., § 11 Rn. 6 ff.; Dannecker, JURA 2006, 97; Schröder, Europäische Richtlinien, 145 ff.

ტიდან – III-415-ე მუხლი – ეს დათქმა ამოღებულ იქნა.[553] შემდგომში კონსტიტუციის პროექტის ეს ნაწილი უცვლელად გადატანილ იქნა დღეს მოქმედ ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 325-ე მუხლის სახით და ამით ადრე არსებული გაურკვევლობა აღმოიფხვრა.[554]

ევროკავშირის მხრიდან სისხლისსამართლებრივი რეგულაციების გა- 331
მოყენება თეორიულად შესაძლებელია სოფლის მეურნეობის სფეროშიც. აგრარული სექტორისა და თევზის მრეწველობის მიმართულებით კავშირი უფლებამოსილია განახორციელოს და ნარმართოს საერთო პოლიტიკა (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 38). სოფლის მეურნეობა, თევზის მრეწველობა და აგრარულ პროდუქციით ვაჭრობა ერთიანი შიდა ევროპული ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილია. აგრარულ სფეროში წევრმა სახელმწიფოებმა ადრიდანვე დაუთმეს თავიანთი კომპეტენცია ევროგაერთიანებას.[555] ევროკავშირი ამ მიმართულებით დიდი ოდენობით სუბსიდიებს გასცემს, ამიტომაც აუცილებელია მათი ეფექტური სამართლებრივი დაცვა.[556] მანიპულაციების თავიდან ასაცილებლად საჭიროა არა მხოლოდ პრევენციული, არამედ რეპრესიული, განსაკუთრებით სისხლისსამართლებრივი, ღონისძიებების გატარება.[557] ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების მე-40 მუხლის მე-2 ნაწილი უშვებს ამის შესაძლებლობას. კერძოდ, ეს მუხლი ეხება ევროკავშირის მხრიდან ერთიანი აგრარული ორგანიზაციის განხორციელებას და იმისათვის, რომ ეს მიზანი მიღწეულ იქნას, უნდა გამოიყენონ ყველა „საჭირო ღონისძიება". აქედან გამომდინარე, ამ საჭირო ღონისძიებებში სისხლისსამართლებრივი დათქმებიც უნდა მოვიაზროთ, რათა მოხდეს იმ უზარმაზარი ფინანსური ნაკადების თაღლითობებისგან დაცვა, რომლებიც სოფლის მეურნეობის დარგში მოძრაობენ.[558]

გარდა ზემოაღნიშნული სპეციფიკური სფეროებისა, ლისაბონის ხელ- 332
შეკრულება სხვა მუხლებსაც შეიცავს, რომლებიც უშვებენ ყველა წევრი სახელმწიფოსთვის სავალდებულო საერთო სისხლისსამართლებრივი აქტების გამოცემას. ევროკავშირის საქმიანობის წესის შე-

[553] Ambos, Int. Strafrecht, 2. Aufl., § 11 Rn. 11 ff.
[554] Heger, ZIS 8/2009, 416; ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 95; დამატებით იხ. პეგერი, კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 159 და შემდეგი.
[555] Dannecker, კრებულში: Eser/Huber, Strafrechtsentwicklung in Europa, Bd. 4.3., 146.
[556] Tiedemann, NJW 1990, 2226.
[557] Dannecker, ZStW 108 (1996), 578.
[558] Hecker, Europ. Strafrecht, § 8 Rn. 41.

სახებ ხელშეკრულების 114-ე და 115-ე მუხლები ადგენენ, რომ ერთიანი, ფუნქციონირებადი შიდა ბაზრის შესაქმნელად ევროკავშირის პარლამენტსა და საბჭოს შეუძლიათ გამოსცენ დირექტივები. თუ რომელ დარგს ეხება ეს დირექტივა, არ აქვს მნიშვნელობა. შესაბამისად, ეს მუხლები სისხლის სამართალზეც ვრცელდება.[559] 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გატარება ფულის გათეთრების, ინსაიდერული ინფორმაციებით ვაჭრობის, კერძო სექტორში მოსყიდვის თუ საინფორმაციო სისტემებზე თავდასხმების წინააღმდეგ საბრძოლველად.[560] თუმცა ამავდროულად სუბსიდიარულობის პრინციპს ყოველთვის უნდა მიექცეს ყურადღება, ვინაიდან ერთიანი შიდა ბაზრის განხორციელება ევროკავშირის ექსკლუზიურ კომპეტენციაში არ შედის.[561] ყოველი სისხლისსამართლებრივი ჩარევის აუცილებლობა ამ მიმართულებით უნდა იქნას დასაბუთებული. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, შეუძლიათ თუ არა წევრ სახელმწიფოებს ბაზრის ორგანიზაციის მაღალი ხარისხის დამოუკიდებლად მიღწევა თუ ამისთვის ევროკავშირის მხრიდან არის ჩარევა აუცილებელი.[562]

333 **თანაზომიერების პრინციპი** – სუბსიდიარულობის პრინციპთან ერთად წევრი სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვანი დაცვის მექანიზმია.

334 თუ სუბსიდიარულობა იმის გარკვევას გულისხმობს, შეუძლია თუ არა ევროკავშირს რომელიმე საკითხთან მიმართებაში მოქმედება, თანაზომიერება უკვე ამ მოქმედების ფარგლების დადგენას გულისხმობს, ანუ რა სიღრმით არის შესაძლებელი წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემაში შეჭრა.[563]

335 მაშასადამე, თუ სუბსიდიარულობის პრინციპი დაცული იქნება და ის სისხლისსამართლებრივ ჰარმონიზაციას გზას გაუხსნის, მაშინ დამატებით ჩაირთვება მეორე მექანიზმი თანაზომიერების პრინციპის სახით, რათა ევროკავშირმა იმაზე მეტი ჩარევა არ განახორციელოს, რაც აუცილებელია ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.[564] ეს პრინციპი ჩადებულია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-4 აბზაცში. გერმანიის საკონსტიტუ-

559 Hecker, Europ. Strafrecht, § 8 Rn. 47.
560 Hecker, Europ. Strafrecht, § 8 Rn. 47.
561 Leible, კომენტარებში: Streinz, EUV/EGV, Art. 95 EGV, Rn. 12.
562 Leible, კომენტარებში: Streinz, EUV/EGV, Art. 95 EGV, Rn. 13.
563 Streinz, კომენტარებში: Streinz, EUV/EGV, Art. 5 EGV, Rn. 45.
564 Eisele, JZ 2001, 1163; Hecker, Europ. Strafrecht, § 8 Rn. 54.

ციო სასამართლო მას როგორც ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს, ისე განიხილავს, რომელიც წევრი სახელმწიფოების „ნაციონალური იდენტურობის" დაცვის გარანტია.[565]

336 თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემაში რაც შეიძლება ნაკლები ჩარევა უნდა მოხდეს.[566] თავიდან უნდა იქნას აცილებული ისეთი ევროპული რეგულაციები, რომლებიც ნაციონალურ სამართალში სისტემურ ცვლილებას გამოიწვევენ. თუმცა, თუ გადავხედავთ აქამდე არსებულ პრაქტიკას, ჩანს რომ ევროპელი კანონმდებელი მოცემულ პრინციპს ზოგჯერ სათანადოდ არ ითვალისწინებს. ავიღოთ, მაგალითად ჩარჩო-გადაწყვეტილება ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ,[567] სადაც ზოგიერთი ტერორისტული ქმედების ჩადენისთვის ევროპელმა კანონმდებელმა სასჯელის სახით სულ მცირე 15 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა დაადგინა. ფინელი კანონმდებელი იძულებული გახდა, საკუთარი ნორმების ევროპულთან შესაბამისობაში მოსაყვანად, სპეციალურად ამ ტერორისტული ქმედებებისათვის გამონაკლისი დაეშვა და შემოეღო 15 წლიანი სასჯელი (თავისუფლების აღკვეთა), მიუხედავად იმისა, რომ ფინეთის კანონმდებლობაში ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა 12 წელს არ აღემატება.[568] ამისგან განსხვავებით ევროპელმა კანონმდებელმა უკანონო მიგრაციასთან დაკავშირებული ჩარჩო-გადაწყვეტილების შემუშავებისას გაითვალისწინა შვედეთში მოქმედი მაქსიმალური ათწლიანი თავისუფლების აღკვეთის ვადა და მინიმალურ სასჯელად 8 წელი დაადგინა, პირვანდელი თორმეტწლიანი ვადისგან განსხვავებით.[569]

337 არათანაზომიერ ჩარევას მაშინაც ექნება ადგილი, როდესაც რომელიმე ერთი კონკრეტული დელიქტის მიმართ ევროკავშირის მხრიდან ისეთი მაღალი სასჯელის ზომის დადგენა იქნება მოთხოვნილი, რომ საბოლოო ჯამში ეს რომელიმე სახელმწიფოს სისხლის სამართლის კოდექსში სხვა დანაშაულებთან მიმართებაში სისტემურ წინააღმდეგობებს გამოიწვევს. მაგალითად, თუ ერთბაშად გაიზრდება სასჯელი ერთი ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის, მაშინ შეიძლება შედეგად მივი-

---

565 BVerfGE 89, 212;

566 Eisele, JZ 2001, 1163; Hecker, Europ. Strafrecht, § 8 Rn. 52.

567 Rahmenbeschluss 2008/919/JI, ABl. Nr. L 330, 9.12.2008, 21.

568 ევროპული კრიმინალური პოლიტიკის მანიფესტი, კრებულში ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 538; Manifest zur Europäischen Kriminalpolitik, ZIS 12/2009, 706.

569 ევროპული კრიმინალური პოლიტიკის მანიფესტი, კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 537; Manifest zur Europäischen Kriminalpolitik, ZIS 12/2009, 705.

ღოთ ის, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ევროპული რეგულაციის გადატანის გამო ეს დანაშაული უფრო მკაცრად დაისჯება, ვიდრე მანამდე არსებული მისი კატეგორიის სხვა დანაშაულები, ამიტომაც წარმოიქმნება შეუსაბამობა ნაციონალურ სანქციათა სისტემაში. ამის თავიდან ასაცილებლად საჭირო გახდება სხვა დანაშაულების მიმართაც სასჯელების შეცვლა, რაც ევროკავშირის მხრიდან აშკარად გადაჭარბებული და არათანაზომიერი ჩარევის შედეგი იქნება.

338 ყოველივე ზემოთ აღნიშნულს დამატებით კომპეტენციასთან მიმართებაში თუ გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მე-2 აბზაცი სულაც არ წარმოადგენს საფრთხეს ნაციონალური სისხლისსამართლებრივი სისტემებისთვის. მართალია, ის შედარებით ღია ფორმულირებებს შეიცავს, მაგრამ ლისაბონის ხელშეკრულება ამავდროულად სხვადასხვა მექანიზმს ითვალისწინებს, რათა ეს მუხლი არ იქნას ტოტალური ჰარმონიზაციისთვის გამოყენებული (თუნდაც იგივე სუბსიდიარულობისა და თანაზომიერების პრინციპები).[570] აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ დამატებითი კომპეტენციის ლისაბონის ხელშეკრულებაში ჩადება, რომელიც ადრე მხოლოდ ევროგაერთიანების სასამართლოს პრაქტიკაში იყო აღიარებული, წინ გადადგმული ნაბიჯია.

339 ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მეორე ნაწილი უკვე პრაქტიკაშიც იქნა გამოყენებული. კერძოდ, მასზე დაყრდნობით, საბჭოსა და პარლამენტის მიერ გამოცემულ იქნა დირექტივა საბაზრო მანიპულაციების წინააღმდეგ საბრძოლველად,[571] რომლის ძირითადი არსიც მიმართულია იქითკენ, რომ საფინანსო სფეროში ჯანსაღი პროცესები მიმდინარეობდეს და არა ფარული გარიგებები მონაწილეებს შორის.[572] ეს იყო ანექს-კომპეტენციის გამოყენების პირველი ნიმუში, რომელიც დასაბუთებულ იქნა იმით, რომ მანამდე გატარებული არასისხლისსამართლებრივი ღონისძიებები არაეფექტური აღმოჩნდა ფინანსურ მანიპულაციებთან საბრძოლველად.[573]

340 გარდა ამისა, გარკვეული პერიოდი საუბარი იყო ევროკავშირის ფი-

570 შეად. ევროპული კრიმინალური პოლიტიკის მანიფესტი, კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 527.

571 ABl L 173, 12.6.2014, 179.

572 Waßmer, კრებულში: Jishkariani/Waßmer, Die Europäisierung des georgischen Wirtschaftsstrafrechts, 214.

573 Waßmer, კრებულში: Jishkariani/Waßmer, Die Europäisierung des georgischen Wirtschaftsstrafrechts, 214.

ნასური ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ თაღლითობების შესახებ დირექტივის[574] გამოცემის ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მეორე ნაწილზე დაფუძნებაზე,[575] თუმცა, საბოლოოდ ეს კომპეტენცია დაყრდნობილ იქნა ამავე ხელშეკრულების 287-ე და 325-ე მუხლებზე, რომლებიც უშუალოდ ფინანსურ ინტერესებს ეხება.[576]

III. „საავარიო მუხრუჭი"– 83-ე მუხლის მე-3 აბზაცი

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი და მე-2 აბზაცებით ამ ორგანიზაციისთვის სისხლის სამართლის სფეროში საკმაოდ ფართო სისხლისსამართლებრივი კომპეტენციების გადაცემის პარალელურად, ამავე მუხლის მე-3 აბზაცში გათვალისწინებულ იქნა წევრი სახელმწიფოების ინტერესების დაცვისთვის აუცილებელი ე.წ. „საავარიო მუხრუჭი", რომელიც მდგომარეობს შემდეგში:[577] 341

> თუ საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ჩათვლა, რომ 83-ე მუხლის პირველი და მე-2 აბზაციდან გამომდინარე გამოსაცემი დირექტივის პროექტი შეიძლება მისი შიდასახელმწიფოებრივი სისხლისსამართლებრივი სისტემის ძირითად ასპექტებს შეეხოს, მაშინ მას შეუძლია გააკეთოს განაცხადი, რომ ამ საკითხით ევროპული საბჭო დაკავდეს. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურა შეჩერდება. განხილვის დასრულების შემდეგ, ევროპული საბჭო, თანხმობის შემთხვევაში, დირექტივის პროექტს, პროცედურის შეჩერებიდან 4 თვის განმავლობაში უბრუნებს საბჭოს. ამით საკანონმდებლო პროცედურის შეჩერება დასრულდება.
>
> თუ თანხმობა ვერ მიიღწევა, მაგრამ დირექტივის არსებული პროექტის საფუძველზე სულ მცირე ევროკავშირის წევრ ცხრა სახელმწიფოს სურს გაძლიერებული თანამშრომლობა, მაშინ ისინი ამის შესახებ აცნობებენ იმავე ვადაში ევროკავშირის პარლამენტს, საბჭოსა და კომი-

[574] ABl L 198, 5.7.2017, 29.

[575] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 41.

[576] http://www.europarl.europa.eu/atyourservice/de/displayFtu.html?ftuId=FTU_1.5.6.html (ნანახია 24.8.2017).

[577] შეად. პეგერი, კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 155-159.

სიას. აღნიშნულ შემთხვევაში, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-20 მუხლის მე-2 აბზაცისა და ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 329-ე მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად, გაძლიერებული თანამშრომლობის უფლებამოსილება ჩაითვლება მინიჭებულად.

342 83-ე მუხლის მე-3 აბზაცით ყველა სახელმწიფომ რეალურად **ვეტოს უფლება** მიიღო საკუთარი ინტერესების ევროპული გავლენებისგან დასაცავად.[578] განსაკუთრებულ მნიშვნელობას ეს ინსტიტუტი იმ ფონზე იძენს, როდესაც დღეისათვის გადაწყვეტილების მიღებისას კავშირის ფარგლებში უმრავლესობის პრინციპი მოქმედებს და რთულია საკუთარი ინტერესების დაცვა. ხოლო, არის თუ არა საავარიო მუხრუჭის ყოველთვის გამოყენება შესაძლებელი, ეს უკვე სხვა საკითხია. უპირველეს ყოვლისა, ის გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც საფრთხე ექმნება შიდასახელმწიფოებრივი სისხლისსამართლებრივი სისტემის რომელიმე ძირითად ასპექტს და ის არ უნდა იქცეს საბჭოში ნებისმიერი ინიციატივის დამბლოკავ საშუალებად.[579] ის ჯერ კიდევ ევროკონსტიტუციის პროექტში იქნა გათვალისწინებული, როგორც კომპრომისი უმრავლესობის პრინციპზე გადასვლის გამო და რომლის შემოღებასაც რამდენიმე სახელმწიფო საერთოდ არ ეთანხმებოდა.[580] თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 83-ე მუხლის მე-3 აბზაცი არანაირ კონკრეტულ დათქმას არ აკეთებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა დროს შეიძლება ნაციონალური სამართლებრივი სისტემის ძირითადი ასპექტები შელახულად ჩაითვალოს. ეს თვითონ სახელმწიფოს გადასაწყვეტია და მას ყოველგვარი დეტალური დასაბუთების გარეშე შეუძლია ამ საფრთხეზე უბრალოდ მიუთითოს და ვეტოს უფლება გამოიყენოს. თუ რა პოზიციაზე დგანან საბჭოში წარმოდგენილი სხვა სახელმწიფოები, ამას არ აქვს მნიშვნელობა.[581]

343 ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის მინიჭებული ვეტოს უფლება, მიუხედავად მისი გამოყენების ადვილი შესაძლებლობისა, მაინც არ ნიშნავს იმას, რომ დირექტივის პროექტი ერთი ხელის მოსმით საბოლოოდ ჩავარდება. თავდაპირველად წევრი სახელმწიფოები

578 Heger, ZIS 8/2009, 413; Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 47; Zimmermann, JURA 2009, 848.

579 Heger, ZIS 8/2009, 415.

580 Satzger, კრებულში: Hefendehl, Symposium, 308.

581 Heger, ZIS 8/2009, 414; Hecker, Europ. Strafrecht, § 8 Rn. 58; შეად. Safferling, Int. Strafrecht, § 10 Rn. 6.

ეცდებიან ევროკავშირის საბჭოში კომპრომისის მიღწევას და თუ ეს არ გამოვიდა, რჩება გაძლიერებული თანამშრომლობის გზა.[582] გაძლიერებული თანამშრომლობის მეშვეობით სახელმწიფოებს, რომლებსაც სურთ იმ დირექტივის პროექტის მიღება, რომელსაც ერთ-ერთმა სხვა წევრმა ვეტო დაადო, შეუძლიათ გამოსცენ ეს აქტი, თუმცა ის მხოლოდ მათთვის შეიძენს სავალდებულო ძალას.[583] ამით ლისაბონის ხელშეკრულება ორივე მხარის ინტერესებს თანაბრად ითვალისწინებს.

რა შეიძლება მოვიაზროთ **„ძირითად ასპექტებში"**? ამ კითხვაზე პა- **344**
სუხის გასაცემად თავიდანვე უნდა გვახსოვდეს, რომ ამის გარკვევა უნდა მოხდეს თითოეული სახელმწიფოს გადმოსახედიდან გამომდინარე, ამიტომ წინასწარ სრულყოფილად შეუძლებელია იმის თქმა, თუ კონკრეტულ შემთხვევაში რა შეიძლება ჩაითვალოს ასეთ ასპექტად.[584]

უპირველეს ყოვლისა, ამაში შედის ნაციონალურ კონსტიტუციებში ჩადებული ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორებიცაა ბრალის, კანონის უკუქცევითი ძალის აკრძალვის, თანაზომიერების, სამართლებრივი სიკეთის დაცვის, ultima ratio-ს და სხვა.[585] ეს პრინციპები არა მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, არამედ საქართველოსთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, იგივე ბრალის არსებობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის აუცილებელი წინაპირობაა. სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი პასუხისმგებლობის საფუძვლად პირდაპირ ასახელებს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას. ადრე, ქართულ სისხლის სამართალში ბრალის ფსიქოლოგიური თეორია იყო გაბატონებული და განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებად განიხილებოდა. დღეისთვის ტენდენცია უკვე ბრალის ნორმატიული თეორიისკენ იხრება და განზრახვა და გაუფრთხილებლობა ცალკე მოწმდება.[586]

ბრალის პრინციპის გარდა შეგვიძლია ქართული სისხლის სამართლის **345**
„ძირითად ასპექტად" დავასახელოთ უკუძალის აკრძალვა. საქართველოს კონსტიტუცია მას პირდაპირ და მკაფიოდ მოიხსენიებს. არავინ

582 შეად. Sieber, ZStW 121(2009), 56 ff.; Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 47.

583 Zimmermann, JURA 2009, 848.

584 შეად. ჯიშკარიანი, კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 191 და შემდეგი; ასევე ჯიშკარიანი, სამართლის ჟურნალი, 1-2/2010, 267.

585 პეგერი, კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 157 და შემდეგი; Dannecker, JURA 2006, 177; Heger, ZIS 8/2009, 414.

586 შეად. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, 809; გამყრელიძე, ზოგადი ნაწილის განმარტება, 87 და შემდეგი.

არ აგებს პასუხს იმ ქმედებისთვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს (სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქცია, კონსტიტუციის მუხ. 42, ნაწ. 5). უკუძალა ვრცელდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაფუძნებაზე ან სასჯელების გამკაცრებაზე და არა ხანდაზმულობის ვადებზე ან სხვა საპროცესო საკითხებზე.[587]

346 ძირითად ასპექტებზე არის საუბარი ევროპული კრიმინალური პოლიტიკის მანიფესტშიც.[588] მანიფესტში წამყვანმა ევროპელმა სისხლის სამართლის სპეციალისტებმა ჩამოაყალიბეს ის პრინციპები, რომლებიც მომავალში სასურველია რომ იქნას გათვალისწინებული როგორც ნაციონალურ, ასევე საერთო ევროპულ დონეზე. მათ უნდა შეასრულონ საორიენტაციო ფუნქცია.[589] თანაზომიერების, სუბსიდიარულობის, კანონიერებისა და კოჰერენტულობის პრინციპები – ეს არის ის ძირითადი მომენტები, რომელთა დარღვევის გამოც უნდა გამოიყენონ ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა საავარიო მუხრუჭი.[590] 83-ე მუხლიდან გამომდინარე უფლებამოსილების განხორციელების დროს ევროკავშირის შესაბამისმა ორგანოებმა უნდა დაასაბუთონ, რომ მათ მიერ გამოსაცემი ესა თუ ის აქტი ამ მოთხოვნებს შეესაბამება.[591]

347 თუმცა, ეს მანიფესტი ეხება არა მხოლოდ ევროპელ კანონმდებელს, არამედ წევრ სახელმწიფოებსაც. სასურველია, რომ მათ მომავალში საავარიო მუხრუჭი მხოლოდ საფუძვლიანი დასაბუთების შემდეგ გამოიყენონ და არა პოლიტიკური ვაჭრობის საგნად.[592] კითხვას, შეუძლია თუ არა ევროკავშირის სასამართლოს იმის გადამოწმება, იყენებენ თუ არა სახელმწიფოები საავარიო მუხრუჭს ბოროტად და ამით არღვევენ თუ არა ლისაბონის ხელშეკრულებაში ჩადებულ ლოიალურობის პრინციპს (ევროკ. შეს. ხელშ. მუხ. 4, აბზ. 3), უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, რადგან მსგავს შემთხვევაში საავარიო მუხრუჭის ინსტიტუტი საერთოდ აზრს დაკარგავს. მისი უმთავრესი მიზანი ნაციონალური სამართლებრივი იდენტურობის შენარჩუნებაა და ამის

---

587 ტურავა, ზოგადი ნაწილი, 27 და შემდეგი.

588 Manifest zur Europäischen Kriminalpolitik, ZIS 12/2009, 697.

589 Satzger, ZIS 12/2009, 693; Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 55 ff.

590 შეად. ზატცგერი, კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 517 და შემდეგი.

591 Satzger, ZIS 12/2009, 693.

592 Heger, ZIS 12/2009, 414.

ევროკავშირის სასამართლოს დონეზე გადამოწმება დაუშვებელია. სხვა წევრ სახელმწიფოებს ისედაც რჩებათ იმის შესაძლებლობა, რომ გაძლიერებული თანამშრომლობის გზით შეინარჩუნონ დაბლოკილი დირექტივის პროექტი და შესაბამისად, ერთი სახელმწიფოს მხრიდან ვეტოს დადება ევროკავშირის საქმიანობას სისხლის სამართლის მიმართულებით საფრთხეს არ უქმნის.[593]

ევროპული კრიმინალური პოლიტიკის მანიფესტში დასახელებული პრინციპები უნივერსალური შინაარსისაა და საქართველოსთვისაც თანაბარი პოლიტიკურ-სამართლებრივი დატვირთვა აქვს (ლეგიტიმური დაცვის მიზანი, ultima-ratio, ბრალი, განსაზღვრულობის პრინციპი, lex parlamentaria). 348

მანიფესტში მოცემული საფუძვლების გარდა, სახელმწიფოს საავარიო მუხრუჭის გამოყენება სხვა პრინციპულ საკითხებზეც შეუძლია. როგორც უკვე აღინიშნა, ის თვითონ წყვეტს, თუ რა არის მისთვის ხელშეუხებელი თემა.[594] შეიძლება ეს იყოს აბორტის, ევთანაზიის თუ ნარკოტიკული დანაშაულების თემები.[595] დავუშვათ, თუ მომავალში ევროპელი კანონმდებელი გადაწყვეტს დირექტივის გამოცემას აბორტის აკრძალვაზე ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის საფუძველზე, მაშინ საქართველოს მისი წევრობის შემთხვევაში თავისუფლად შეუძლია ამ დირექტივის ვეტოს გზით დაბლოკვა. საქართველოში 1955 წლიდან აბორტი არის ლეგალური და დასჯადია მხოლოდ უკანონო აბორტის ჩატარება (სსკ მუხ. 133).[596] აბორტი უკანონოდ ჩაითვლება, როცა ის კეთდება არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში, სამედიცინო საქმიანობის დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე და ა.შ.[597] კანონმდებელი ამით აქცენტს აკეთებს დედის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და არა ჩანასახის დაცვაზე.[598] ჩანასახის დაცვა რომ ყოფილიყო გადამწყვეტი, მაშინ კანონმდებელი აბორტს საერთოდ აკრძალავდა. ევროკავშირის მხრიდან აბორტის ამკრძალავი დირექტივა ჩანასახის სიცოცხლის დასაცავად წინააღმდეგობაში მოვიდოდა ქართულ სისხლისსამართლებრივ ტრადიციასთან და საქართველოს ამ დირექტივის დაბლოკვა 83-ე მუხლის მე-3 აბზაცის მოშველიებით უპრობლემოდ შეეძლებოდა. 349

[593] თუმცა ამას სკეპტიკურად აფასებს Zimmermann, JURA 2009, 848.
[594] Zimmermann, JURA 2009, 848.
[595] Heger, ZIS 8/2009, 415.
[596] ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი I, 196.
[597] ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი I, 197.
[598] ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი I, 196.

350 იგივე შეიძლება ითქვას ევთანაზიასთან დაკავშირებითაც. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით დასჯადია მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით. ეს დანაშაული არ განეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას და მაქსიმალური სასჯელი 5 წლით თავისუფლების აღკვეთაა. კანონმდებელმა განზრახ არ გაუთანაბრა ის ჩვეულებრივ მკვლელობას, სადაც სანქცია ბევრად უფრო მეტია (15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა), ვინაიდან აქ საქმე გვაქვს მსხვერპლის ნებასთან და მის დაჟინებულ თხოვნასთან.[599] მაშასადამე, ევთანაზია მკვლელობის პრივილეგირებული შემადგენლობაა, ხოლო 108-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა) კი სისტემურად განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა რიცხვს განეკუთვნება. თუ ევროკავშირის კანონმდებელი ევთანაზიისთვის სასჯელის უფრო მაღალ ზომას მოითხოვდა, მაშინ ეს გამოიწვევდა სსკ-ის 110-ე მუხლის ნაკლებად მძიმედან სულ მცირე მძიმე კატეგორიაში გადასვლას (შეად. სსკ მუხ. 12), რაც უკვე არცთუ უმნიშვნელო სისტემური ცვლილება იქნებოდა ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში და ამის თავიდან ასაცილებლად საავარიო მუხრუჭის გამოყენების გზით დირექტივის პროექტის დაბლოკვა გამართლებული იქნებოდა.

351 თუ რა გზით ხდება საავარიო მუხრუჭის გამოყენება კონკრეტულად, ეს თითოეული სახელმწიფოს გადასაწყვეტია. საქართველო ჯერ არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა და ლოგიკურია, რომ მის კანონმდებლობაში ეს საკითხი არ არის მოწესრიგებული. მომავალში შესაძლებელია, რომ დირექტივის პროექტს ვეტოს საქართველოს ის წარმომადგენელი დაადებს, რომელსაც ამას წინასწარ საქართველოს პარლამენტი დაავალებს. ასევე არ არის გამორიცხული, რომ საბჭოში საქართველოს წარმომადგენელს წინასწარვე მიეცეს საავარიო მუხრუჭის გამოყენების კომპეტენცია და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არ გახდეს პარლამენტის ჩარევა საჭირო, თუმცა პირველი ალტერნატივა მაღალი დემოკრატიული ლეგიტიმაციის თვალსაზრისით უფრო სასურველი იქნებოდა.[600]

[599] ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი I, 81.
[600] შეად. Safferling, Int. Strafrecht, § 10 Rn. 66.

352 მოცემულ თავში აღწერილი ევროკავშირის მექანიზმები და მოყვანილი მაგალითები ნათლად გვიჩვენებენ, თუ რამდენი საშუალება არსებობს ნაციონალური სისხლის სამართლის ევროპეიზაციისთვის. იგივე ევროკავშირის სამართლის მიხედვით განმარტების მეთოდი ამის კარგი ნიმუშია. ევროკავშირს, გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევებში, პირდაპირი მოქმედების ძალის მქონე დადგენილებების გამოცემაც შეუძლია. ყურადღება უნდა მივაქციოთ ევროკავშირის სასამართლოს პრაქტიკასაც, რომელიც არაიმპლემენტირებული დირექტივის მოქალაქისათვის საუარესოდ გამოყენებას უარყოფს, ხოლო მოქალაქისათვის კი სახელმწიფოს წინააღმდეგ მისი გამოყენება მისთვის სასარგებლო შემთხვევაში მაინც ნებადართულია.

353 სახელმწიფოები, საერთო ჯამში, ვალდებულნი არიან თავიანთი საკანონმდებლო საქმიანობა ლოიალურობის პრინციპის ფარგლებში წარმართონ. დაუშვებელია შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის თავისებურებებიდან გამომდინარე ევროკავშირის ინტერესების მხოლოდ ფორმალურად დაცვა. ამას ემატება ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლი და ჰარმონიზაციის კომპეტენცია დირექტივების მეშვეობით, რომელიც თავის მხრივ ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, სააავარიო მუხრუჭით, იზღუდება და ამით ხდება ნაციონალური და ევროკავშირის ინტერესების გაწონასწორება.

354 მოცემული მაგალითების გათვალისწინება ქართველი კანონმდებლისთვისაც აუცილებელია, თუ საქართველო ევროკავშირთან რეალურ დაახლოებას ესწრაფვის და არა მხოლოდ ფორმალური ხელშეკრულებების დადებას. თუ ის მომავალში თავის თავზე აიღებს სისხლის სამართლის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის იმპლემენტაციის ვალდებულებას და ევროკავშირის სამართლებრივი სიკეთეების დაცვას, მაშინ ეს გამოწვევები დადგება პრაქტიკოსი იურისტების წინაშეც. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ერთი რამ, რომ ქართული კანონმდებლობა სიახლეებისთვის უფრო გახსნილია, ვიდრე ევროკავშირის ძველი წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი სისტემები დიდი ტრადიციებით, ამიტომაც სულ მცირე დოგმატურ დონეზე ეს პროცესი შედარებით ნაკლებად მტკივნეულად ჩაიელის.

თავი 6. ასიმილირება

§ 1. ევროკავშირის სამართლის მითითება ნაციონალურ სამართალზე

355 ბევრი მიმართულებით ევროკავშირს სისხლისსამართლებრივი კომპეტენცია არ გააჩნია და შესაბამისად, მისი ინტერესების დაცვას წევრი სახელმწიფოები ახორციელებენ.[601] ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ე.წ. ასიმილირება – ევროპული სამართლის მიერ ნაციონალურ სამართალზე მითითება.[602] ჰარმონიზაციის პროცესისგან განსხვავებით ასიმილირება არ ემსახურება უბრალოდ სხვადასხვა საკანონმდებლო სისტემების დაახლოებას.[603] აქ პირდაპირ საუბარია ევროკავშირის ინტერესების, როგორც საკუთარის, ისე დაცვაზე.

356 ასიმილირება მომავალში ქართულ კანონმდებლობაზეც იქონიებს გავლენას. მაგალითად, ევროკავშირის სასამართლოს დებულების 30-ე მუხლი წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ მათ ამ სასამართლოსთვის ცრუ ჩვენების მიცემა ისევე დასაჯონ, როგორც ეს საკუთარი სასამართლოსთვის მსგავსი ჩვენების მიცემის შემთხვევაში მოხდებოდა. აქედან გამომდინარე, საქართველო ვალდებული იქნება სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლი (ცრუ ჩვენების მიცემა) ევროკავშირის სასამართლოს ინტერესების დასაცავადაც გამოიყენოს.[604]

357 ნაციონალურ სამართალზე მითითების შემდეგი მაგალითია საბჭოს დადგენილება 515/97/EG საბაჟო და აგრარულ საკითხებზე წევრი სახელმწიფოების ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის თანამშრომლობის შესახებ.[605] ეს დადგენილება მოითხოვს, რომ მისი განხორციელების დროს მხარეებს შორის გაცვლილი ინფორმაციები იყოს დაცული და არ გახდეს საჯარო. სახელმწიფომ თავისი კანონმდებლობით ამ საიდუმლო ინფორმაციების დაცვა უნდა უზრუნველყოს.[606] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მართალია, გარკვეული ინფორმაციების დამცავ მუხლებს შეიცავს, როგორიცაა მაგ. 202-ე მუხლი – ინსაიდერული ინფორმაციის, კომერციული ან საბანკო

---

601 Safferling, Int. Strafrecht, § 11 Rn. 54; Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 58.

602 Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 16 ff.; ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 37.

603 Vogel, GA 2003, 315; Ambos, Int. Strafrecht, § 9 Rn. 13.

604 შეად. Ambos, Int. Strafrecht, § 11 Rn. 20 ff; Satzger, Europäisierung, 189 ff.

605 ABl. L 82, 22.3.1997,1.

606 Satzger, კრებულში: Sieber/Brüner/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 19.

საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება, გადაცემა, გახმაურება ან გამოყენება, მაგრამ ეს ნორმა დადგენილების დაცვას მაინც ვერ უზრუნველყოფს, ვინაიდან იქ სხვა ინფორმაციის დაცვაზეა საუბარი. აქედან გამომდინარე, ქართველ კანონმდებელს მომავალში შესაბამისი ნორმის შექმნა მოუწევს. იგივე ითქმის ევროპის ატომური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 194-ე მუხლით დაცულ ინფორმაციებზე.[607]

§ 2. შიდასახელმწიფოებრივი ბლანკეტური ნორმები და მითითება ევროკავშირის სამართალზე

I. მითითებები დირექტივებსა და დადგენილებებზე

შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ევროპეიზაციის მნიშვნელოვანი ნიშანია ადგილობრივ ნორმებში მითითებების გაკეთება ევროკავშირის ნორმებზე – **ბლანკეტური ნორმები**. ამ დროს ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ დირექტივები და დადგენილებები. დირექტივამ სავალდებულო ძალა რომ შეიძინოს, საჭიროა მის ნაციონალურ სამართალში იმპლემენტაცია (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 288, აბზ. 3). მათ, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, არ გააჩნიათ უშუალოდ მოქმედების ძალა. მაგალითად, თუ ევროკავშირის კანონმდებელი გამოსცემს დირექტივას და მისი მეშვეობით საბავშვო სათამაშოებში გარკვეული ნივთიერებების მაღალ კონცენტრაციას აკრძალავს, სახელმწიფოებმა უნდა გამოსცენ ამ დირექტივის შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმები, რათა მსგავსი სათამაშოების გამოშვება აიკრძალოს. ის, ვინც მსგავსი ნივთიერებებით სათამაშოებს მაინც აწარმოებს, პასუხს აგებს სწორედ ნაციონალური ნორმის და არა დირექტივის დარღვევის გამო. აქედან გამომდინარე, ბლანკეტურ ნორმებში აზრი არ აქვს მითითების გაკეთებას ევროკავშირის დირექტივებზე. სისხლისსამართლებრივ დასჯადობას ისედაც მთლიანად შიდასახელმწიფოებრივი სამართალი უზრუნველყოფს.[608] **358**

სრულიად განსხვავებული სამართლებრივი სიტუაციაა დადგენილებასთან მიმართებაში. დადგენილება უშუალოდ მოქმედების ძალით **359**

[607] Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 13 ff.

[608] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 57 ff; Safferling, Int. Strafrecht, § 11 Rn. 55.

სარგებლობს და ლოიალურობის პრინციპიდან გამომდინარე წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან ნაციონალურ სამართალში მათი ეფექტური მოქმედება უზრუნველყონ.[609] არის თუ არა აუცილებელი, რომ კანონმდებელმა დირექტივების მსგავსად დადგენილებების იმპლემენტაცია მოახდინოს? ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, ვინაიდან მას პირდაპირი მოქმედების ძალა გააჩნია.[610] ნაციონალურ სამართალში არც დადგენილების შინაარსის პირდაპირ გადმომტანი სისხლისსამართლებრივი ნორმის შექმნა არის მისაღები. ეს გამოიწვევდა სხვადასხვა სახელმწიფოებში სხვადასხვა ინტერპრეტაციებს.[611] ამიტომ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებელს რჩება ერთადერთი გზა, ბლანკეტური ნორმების მეშვეობით მითითება გააკეთოს პირდაპირ დადგენილებაზე და ამით დააფუძნოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.[612]

II. სტატიკური და დინამიკური მითითებები

360 ასიმილირების ინსტიტუტი მოიცავს ერთი მხრივ, ევროკავშირის სამართლის მითითებას წევრი სახელმწიფოების ნორმებზე და მეორე მხრივ, წევრი სახელმწიფოების ნორმების მითითებას ევროკავშირის სამართალზე.[613] საქართველოს მაგალითზე ეს კომბინაცია შეიძლება შემდეგნაირად გამოიყურებოდეს: სსკ-ის მუხლი X – ევროკავშირის დადგენილება ნომერ Y-ის განზრახ დამრღვევი დაისჯება...[614] საქართველოს სისხლის სამართლის ნორმა მითითებას აკეთებს დადგენილებაზე, სადაც აღწერილია თვითონ დანაშაული.[615] ამით ნაციონალური ნორმა მინიმუმით შემოიფარგლება და უბრალოდ მიუთითებს ევროპულ ნორმაზე.[616]

---

609 Enderle, Blankettstrafgesetze, 54.

610 Safferling, Int. Strafrecht, § 11 Rn. 56.

611 EuGHE 1973, 981 („Variola"); Satzger, Europäisierung, 198 ff.

612 Safferling, Int. Strafrecht, § 11 Rn. 56.

613 Ambos, Int. Strafrecht, § 11 Rn. 26; შეად. Enderle, Blankettstrafgesetze, 54.

614 შეად. Enderle, Blankettstrafgesetze, 55.

615 Satzger, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 20.

616 Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 11; Satzger, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 20.

მითითების ორი სახე უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან: სტატიკური და დინამიკური. ეს კლასიფიკაცია ბლანკეტური კანონმდებლობის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენისთვის არის მნიშვნელოვანი. **სტატიკური მითითების** დროს საქმე გვაქვს რომელიმე ევროპული ნორმის **კონკრეტულ რედაქციაზე** მითითებასთან.[617] ასეთი მითითების დროს, როგორც წესი, ნახსენებია ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალის რეკვიზიტები და გვერდი, სადაც ეს ნორმა წერია. ამას ემატება მთლიანი დოკუმენტის ან კონკრეტული მუხლის სახელის ხსენება.[618] სტატიკური მითითების შემცველი ბლანკეტური ნორმა შემდეგნაირად შეიძლება გამოიყურებოდეს: სსკ-ის მუხლი X – ევროკავშირის დადგენილება ნომერ Y-ის პირველი მუხლის (ABl. Nr. XXX, 10.10.2011,გვ. 20) დამრღვევი დაისჯება... 361

სტატიკური მითითებისგან განსხვავებით, **დინამიკური მითითების** შემცველი ბლანკეტური ნორმა მიუთითებს ევროპული ნორმის არა რომელიმე კონკრეტულ, არამედ მის **მოქმედ რედაქციაზე**. ამ გზით ნაციონალური ბლანკეტური ნორმა ერგება ევროპულ ნორმაში ნებისმიერ ცვლილებას.[619] თუ მითითების ობიექტის შინაარსი გარკვეულწილად შეიცვალა, შიდასახელმწიფოებრივი ბლანკეტური ნორმის შეცვლა არ იქნება საჭირო.[620] 362

III. მითითებები და განსაზღვრულობის პრინციპი

ბლანკეტურ ნორმებში არსებული მითითებები ორ ავტონომიურ სამართლებრივ სისტემას – ევროკავშირისა და შიდასახელმწიფოებრივს – აკავშირებს ერთმანეთთან. ამის შედეგად წარმოიშობა იანუსისთავიანი კომბინაცია: ბლანკეტური ნორმა მითითების ობიექტის თვალსაზრისით ევროკავშირის სამართლის ნიშნებს ატარებს, ხოლო შიდასახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ნაციონალური სამართლის პრინციპებს ექვემდებარება.[621] ბლანკეტური ნორმების პოტენციური 363

[617] შეად. Enderle, Blankettstrafgesetze, 11.

[618] Satzger, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 25.

[619] შეად. Enderle, Blankettstrafgesetze, 11.

[620] მაგალითები იხ. Satzger, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 25 ff.

[621] Ambos, Int. Strafrecht, § 11 Rn. 28.

გამომყენებელი სუბსუმციისას ვალდებულია გაითვალისწინოს როგორც ევროკავშირის სამართლის, ასევე ადგილობრივი კონსტიტუციურ-სამართლებრივი მასშტაბები, ვინაიდან ევროკავშირის დადგენილება წევრი სახელმწიფოს სამართალში ინკორპორირების შემდეგ მისი შემადგენელი ნაწილი ხდება.[622]

364 მითითების ხერხის გამოყენებისას არსებობს საფრთხე, რომ კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპები სრულყოფილად არ იქნება დაცული. ყურადღება უნდა მიექცეს ყოველთვის, პასუხობს თუ არა ბლანკეტური ნორმა ნორმის განსაზღვრულობის მოთხოვნას. ნორმის განსაზღვრულობა კანონიერების პრინციპის ერთ-ერთი გამოხატულებაა[623] და ის საქართველოს კონსტიტუციაშიც არის ჩადებული. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისთვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებდა (მუხ. 42, ნაწ. 5). იგივე პრინციპი არის გადატანილი სისხლის სამართლის კოდექსშიც. განსაზღვრულობის პრინციპიდან გამომდინარე კანონმდებელი ვალდებულია სისხლისსამართლებრივი ნორმები ისე ჩამოაყალიბოს, რომ მოქალაქემ შეძლოს იმის გაგება, თუ რომელი ქმედება არის დასჯადი.[624] გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ამასთან დაკავშირებით რამდენიმე კრიტერიუმი დაადგინა. სისხლის სამართლის კანონები დანაშაულის წინაპირობებსა და სანქციებთან მიმართებაში განსაზღვრულობის მინიმუმს მაინც უნდა აკმაყოფილებდეს.[625] დასჯადობის წინაპირობები ნორმის ადრესატისთვის ნორმისავე შინაარსიდან უნდა იყოს გასაგები და კონკრეტიზება კი განმარტების გზით შესაძლებელი.[626]

365 მიუხედავად ამ ფორმულირებებისა, დასაშვები ნორმის ზოგად შინაარსსა და დაუშვებელ, განუსაზღვრელ ნორმას შორის საზღვრის გავლება რთულია.[627]

366 მასშტაბად უნდა ავიღოთ საშუალო დონის მოქალაქე, რომელსაც სისხლისსამართლებრივი ნორმის შინაარსის გასაგებად გონების მცირედი ინტელექტუალური მოშველიება სჭირდება. თუ დამნაშავეს რაიმე სპეციფიკური ცოდნა გააჩნია გარკვეულ სფეროებში, მაშინ მის მიმართ ნორმის აღქმის სხვა სტანდარტები გამოიყენება.[628]

---

622 Satzger, Europäisierung, 223.

623 ტურავა, ზოგადი ნაწილი, 37; Heinrich, Strafrecht AT, § 3 Rn. 28 ff.; Rengier, Strafrecht AT, § 4 Rn. 26 ff.

624 ტურავა, ზოგადი ნაწილი, 38.

625 BVerfGE 25, 285.

626 BVerfGE 75, 342 ff.; Enderle, Blankettstrafgesetze, 132 ff.

627 Heinrich, Strafrecht AT, § 3 Rn. 30.

628 Enderle, Blankettstrafgesetze, 118.; Safferling, Int. Strafrecht, § 11 Rn. 65.

ნორმის შინაარსის გაგების საფრთხე ბლანკეტურ ნორმებში კიდევ უფრო მაღალია. პირველ რიგში, ეს ეხება **ენის საკითხს**. დაუშვებელია კანონმდებელმა მითითება გააკეთოს ბლანკეტურ ნორმაში ევროკავშირის იმ დადგენილებაზე, რომელიც სახელმწიფო ენაზე არ არის თარგმნილი.[629] მოქალაქისაგან იმის მოლოდინი, რომ მან გაითვალისწინოს მისთვის უცხო ენაზე გამოცემული დადგენილება, არ პასუხობს განსაზღვრულობის მოთხოვნებს. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად დადგენილება ჯერ უნდა ითარგმნოს სახელმწიფო ენაზე და ყველასთვის უნდა გახდეს ხელმისაწვდომი გამოქვეყნების გზით.[630] ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში თუნდაც ქართულად მისივე აქტების გამოქვეყნება ამისათვის საკმარისი არ არის, ვინაიდან საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფო და ეს ჟურნალი ოფიციალურ წყაროდ ვერ ჩაითვლება.[631] ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს შეუძლია ეს ჟურნალი ოფიციალურ წყაროდ აღიაროს, ხოლო ევროკავშირის აქტები ამავდროულად ამ ჟურნალში ქართულ ენაზეც უნდა გამოქვეყნდეს (თუმცა, ამას ევროკავშირის მხრიდან შესაბამისი მზაობაც სჭირდება). ქართულ ენაზე გამოქვეყნების გარეშე ოფიციალურად აღიარება განსაზღვრულობის პრინციპთან შეუსაბამობის პრობლემას მაინც ვერ მოხსნის. **367**

განსაზღვრულობის პრინციპთან დაკავშირებული კონფლიქტის განხილვისას ყურადღება უნდა მივაქციოთ სტატიკურ და დინამიკურ მითითებებს შორის განსხვავებებს. თუ კანონმდებელი სტატიკური მითითების მეთოდს იყენებს, მაშინ მოქალაქე ბლანკეტურ ნორმაში მითითებულ ნორმაზე საკმარის ინფორმაციას იღებს და ადვილად პოულობს მას. დინამიკური მითითების გამოყენების დროს კი მითითება ხდება ევროკავშირის დადგენილების მოქმედ რედაქციაზე. ამ დადგენილების გარკვეული პერიოდის შემდეგ შეცვლის შემთხვევაში, მოქალაქე ნაციონალური ბლანკეტური ნორმიდან ვერ იგებს თუ სად შეიძლება დადგენილების ახალი რედაქციის ნახვა. ამიტომაც ხშირად მას უწევს ერთმანეთში გადახლართული, რთულად გასაგები ნაციონალური და ევროპული ნორმების ლაბირინთებში გზის გაკვლევა თავისი ცვლილებებით.[632] მსგავს სიტუაციაში მითითების სწორი ობიექტის პოვნა თვით იურისტებისთვისაც კი რთულია. ამხელა კვა- **368**

[629] შეად. Satzger, Europäisierung, 264 ff.
[630] შეად. Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 69.
[631] შეად. Ambos, Int. Strafrecht, § 11 Rn. 31.
[632] Bender, wistra 2006, 41.

ლიფიკაციის მოთხოვნა საშუალო დონის მოქალაქისგან ერთმნიშვნელოვნად არ პასუხობს განსაზღვრულობის პრინციპს.[633] შესაბამისად, კანონმდებელმა თავი უნდა აარიდოს დინამიკური მითითების შემცველი ბლანკეტური ნორმების გამოცემას.[634]

369 განსაზღვრულობის პრინციპთან მიმართებაში საინტერესოა შემთხვევა გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან, რომელიც იშვიათი სახეობის ცხოველების დაცვას ეხებოდა:[635]

> იშვიათი ცხოველების სახეობის დაცვის მიზნით წინა საუკუნის 80-იანი წლებიდან ევროგაერთიანების ფარგლებში გამოცემულ იქნა დადგენილება,[636] რომლითაც გარკვეული აკრძალვები იქნა დაწესებული ამ ცხოველებით ვაჭრობასთან მიმართებაში. აღნიშნული ცხოველების სია მოცემული იყო დადგენილების დანართში და აკრძალვები ისე შორს მიდიოდა, რომ სიკვდილის შემთხვევაშიც ვაჭრობა დაუშვებელი იყო, რათა ამას ხელი არ შეეწყო მათზე ნადირობისთვის. მოგვიანებით, ამ სფეროში გამოცემულ ყველა დადგენილებაში, დანართში არსებული ჩამონათვალი გადატანილ იქნა.[637]
>
> გერმანელმა კანონმდებელმა, აღნიშნული სახეობების დასაცავად ბუნების დაცვის შესახებ ფედერალურ კანონში შემოიღო მუხლები, რომლებიც უთითებდნენ ზემოთნახსენებ დადგენილებაში ჩამოთვლილ დაცულ ცხოველებზე და მათ მიმართ დადგენილებაში მოცემული აკრძალული ქმედებების ჩადენის შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა; ანუ, დასჯადობის საფუძველს ერთობლივად ქმნიდა გერმანული კანონი და დადგენილება.[638]

370 ბრალდებული პირი, რომელიც პასუხისგებაში მიეცა ამ კანონის საფუძველზე, ასაჩივრებდა ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილებას კანონის ანტიკონსტიტუციურობის მიზეზით, ვინაიდან ის, მისი აზრით, არ პასუხობდა განსაზღვრულობის პრინციპს.

371 უზენაესმა სასამართლომ ეს პოზიცია არ გაიზიარა, ვინაიდან მისი შეხედულებით დასჯადი ქმედების იდენტიფიცირება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ მითითებები კეთ-

---

[633] შეად. Ambos, Int. Strafrecht, § 11 Rn. 30; Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 72.
[634] Enderle, Blankettstrafgesetze, 199.
[635] BGHSt 42, 219 ff.
[636] ABl. L 384, 3.12.1982, 1.
[637] დაწვრ. იხ. BGHSt 42, 220.
[638] BGHSt 42, 221.

დებოდა ევროპულ დადგენილებაზე. გარდა ამისა, ბრალდებული იყო ზოოლოგი და მისთვის მით უფრო გასაგები უნდა ყოფილიყო, თუ რა იგულისხმებოდა საფრთხეში მყოფ ცხოველებში.[639] ანტიკონსტიტუციურობის დასასაბუთებლად მხოლოდ იმის მოშველიება, რომ ბევრ მითითებას აქვს ადგილი შიდა კანონმდებლობაში, არ არის საკმარისი განსაზღვრულობის პრინციპის დარღვევისათვის.[640] მითუმეტეს იმ ფონზე, რომ ასეთ სპეციფიურ სფეროებში (ე.წ. დამატებით სისხლის სამართალში) მიღებულია ბლანკეტური ნორმების გამოყენება და პრაქტიკაში აქამდე გადაულახავი პრობლემები განსაზღვრულობის კუთხით არ ყოფილა.[641] აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანელ კანონმდებელს საკმარისად განსაზღვრულად ჰქონდა აღწერილი დასჯადი ქმედება უშუალოდ თავის მიერ გამოცემულ ნორმებში და ისინი დადგენილებაზე მითითების გარეშეც აკმაყოფილებდნენ განსაზღვრულობის პრინციპს.[642]

სხვადასხვა სამართლებრივი პრობლემები შეიძლება წარმოიშვას ***lex-mitior*** -ის პრინციპთან მიმართებაშიც. ეს პრინციპი გულისხმობს შემდეგს: თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი (სსკ მუხ. 3, ნაწ. 3). ეს პრინციპი უკუძალის აკრძალვის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. უკუძალა აქვს მხოლოდ იმ სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს (სსკ მუხ. 3, ნაწ. 1). იგივე პრინციპი არის ჩადებული გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 პარაგრაფის მე-3 აბზაცში და ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის 49-ე მუხლის პირველ აბზაცში.[643] **372**

მსუბუქ კანონად ითვლება ის კანონი, რომელიც ჩადენილი ქმედების ყველაზე უფრო მსუბუქ შეფასებას ახდენს.[644] ქმედების ჩადენიდან განაჩენამდე არსებულ პერიოდში თუნდაც მცირე ხნით ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია ნიშნავს იმას, რომ ქმედების ჩამდენი პირი საერთოდ ვერ დაისჯება, ვინაიდან ეს მცირე პერიოდი არის მისთვის ყველაზე ხელსაყრელი.[645] ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა მცირე ხნით დეკრიმინალიზაცია შემთხვევით მოხდა საკანონმდებლო ტექნიკიდან გამომდინარე თუ გამიზნულად.[646] **373**

[639] BGHSt 42, 221.
[640] BGHSt 42, 221.
[641] BGHSt 42, 221.
[642] BGHSt 42, 221.
[643] Eser/Hecker, კომენტარებში: Schönke/Schröder, StGB, § 2 Rn. 1 ff.
[644] BGHSt. 14, 156; 20, 121, 124.
[645] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 75.
[646] Lackner/Kuhl, Strafgesetzbuch, § 2 Rn. 3.

374 სტატიკური მითითების არსებობის შემთხვევაში, მითითების ობიექტის – ევროკავშირის დადგენილების შეცვლისას, შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებელმა საკუთარი ბლანკეტური ნორმაც უნდა შეცვალოს და მითითება გააკეთოს დადგენილების ახალ რედაქციაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ბლანკეტურ ნორმას მითითების ობიექტი ეკარგება. მითითების ობიექტის თუნდაც რამდენიმე დღით არარსებობის შემთხვევაში გამოდის, რომ დგება დამნაშავისთვის ხელსაყრელი საკანონმდებლო რეალობა და ის ვერ მიეცემა პასუხისგებაში.[647]

375 განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

> სისხლის სამართლის კოდექსის y მუხლით დასჯადი იყო 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით შიდა წყლების ევროკავშირის დადგენილება x-ში ჩამოთვლილი ნივთიერებებით დაბინძურება. 2015 წლის 1 სექტემბერს ა-მ მანქანის ძველი ზეთი გადაასხა მის სახლთან ახლოს მდინარეში. ეს ზეთი აკრძალულ ნივთიერებებს შეიცავდა. ამავე წლის პირველ ოქტომბერს დადგენილება x, რომელზეც სტატიკურ მითითებას აკეთებდა სისხლის სამართლის კოდექსი, შეიცვალა ახალი დადგენილებით. ადგილობრივმა კანონმდებლობამ, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლმა y, დაკარგა მითითების ობიექტი (ძველი დადგენილების სახით). მუხლის შეცვლა და ახალ დადგენილებაზე მითითების გაკეთება, რომლითაც ისევ დასჯადი იყო ადრე ჩამოთვლილი ნივთიერებებით დაბინძურება, საკანონმდებლო პროცედურებიდან გამომდინარე მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გახდა შესაძლებელი. დაისჯება თუ არა ა?[648]

376 ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, ვინაიდან პირველ ოქტომბერს ძალაში შევიდა ახალი დადგენილება, რომელზეც მითითებას ადგილობრივი ნორმა ორი კვირის განმავლობაში არ აკეთებდა, ანუ ეს ორი კვირა ქმედების დასჯადობა ფაქტიურად არ არსებობდა.[649] მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი მითითებას აკეთებდა ძალადაკარგულ დადგენილებაზე. ეს ორკვირიანი არდასჯადობის პერიოდი ა-ს სასარგებლოდ უნდა იქნას გამოყენებული და ის გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, ვინაიდან მისთვის ყველაზე მსუბუქი პერიოდი სწორედ ეს ორი კვირა იყო.[650]

---

647 Satferling, Int. Strafrecht, § 11 Rn. 70; Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 75 ff.

648 კაზუსი შედგენილია სახელმძღვანელოს, Esser, Europäisches und Internationales Strafrecht, § 2 Rn. 110, მიხედვით.

649 შეად. Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 77.

650 Esser, Europäisches und Internationales Strafrecht, § 2 Rn. 110.

დამნაშავისთვის ხელსაყრელი მსგავსი სიტუაციების თავიდან ასაცი- 377
ლებლად, ბუნებრივია, კანონმდებლისთვის მიმზიდველია დინამიკური მითითების მეთოდის გამოყენება. ამ დროს ნაციონალური ნორმა ევროკავშირის დადგენილების ახალ რედაქციას ავტომატურად ერგება და კანონმდებელს არანაირი დამატებითი პროცედურის განხორციელება არ სჭირდება. ცოტა უფრო რთულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ევროკავშირის დადგენილება მთლიანად შეიცვლება ან ახლით იქნება ჩანაცვლებული და ამავდროულად ძველი დადგენილებით დასჯადი ქმედება ისევ დასჯადი რჩება.[651] აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად ნაციონალურმა სასამართლომ უნდა შეაფასოს, ახალი დადგენილებით შეიქმნა თუ არა უმართლობის ახალი ტიპი. თუ ნორმის დაცვის მიზანი იგივე დარჩა და განხორციელებული უმართლობის შინაარსიც არ შეიცვალა, მაშინ ბლანკეტურ ნორმას მითითების ობიექტი არ ეკარგება.[652]

დასკვნა

ამ თავში განხილული საკითხები გვიჩვენებენ იმ გამოწვევებს, 378
რომლის წინაშეც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლები დგანან და რომლის გათვალისწინებაც მომავალში ქართულ სახელმწიფოსაც მოუწევს. ევროკავშირის კანონმდებლობასთან საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია არ გულისხმობს შიდასახელმწიფოებრივი კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების უგულებელყოფას. ამიტომ კანონმდებელმა თავი უნდა აარიდოს დინამიკური მითითების მეთოდს. სტატიკური მითითება კი, ამ მხრივ არ არის პრობლემატური, მაგრამ ის კონკრეტულ რედაქციაზე მითითების გამო ხშირად მითითების ობიექტის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას. ანუ გვაქვს დილემა: დინამიკური მითითება ანტიკონსტიტუციურია, ხოლო სტატიკური კი ნაკლებად ეფექტური. ამ დილემას ბოლო მოეღებოდა ევროკავშირისათვის პირდაპირი კომპეტენციის გადაცემის გზით სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოცემასთან მიმართებაში, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.[653]

[651] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 77.
[652] Eser/Hecker, კომენტარებში: Schönke/Schröder, StGB, § 2 Rn. 24.
[653] შეად. Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 104; Satzger, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 38.

თავი 7. ევროკავშირის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალა და ნაციონალური სისხლისსამართლებრივი ნორმების განეიტრალება

§ 1. უპირატესი იურიდიული ძალა

379 ევროკავშირის ფარგლებში წევრ სახელმწიფოთა სამართლებრივი სისტემების დაახლოებისა და ჰარმონიზაციის სხვადასხვა გზები არსებობს.[654] ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნორმას ამ საკითხთან მიმართებაში წარმოადგენს ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 აბზაცი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა შესრულდეს კავშირის წინაშე არსებული ვალდებულებები. სხვადასხვა სისხლისსამართლებრივი სისტემების ჰარმონიზაცია ხორციელდება ევროკავშირის სამართლის ნაციონალურ სამართალთან მიმართებაში უპირატესი იურიდიული ძალის გამოყენების გზითაც. ამას ემატება ევროკავშირის სამართლის შესაბამისი განმარტება.[655]

380 შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოები საქმეების გადაწყვეტის პროცესში ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ ევროკავშირის სამართლის მოთხოვნები.[656] შესაბამისად, ისინი მხოლოდ ნაციონალურ სისხლის სამართალს ვერ დაეყრდნობიან. ქართულმა სასამართლოებმა თუ სამართლებრივი ურთიერთობის ნებისმიერმა სხვა მონაწილე პირებმა უნდა გაითვალისწინონ ის მომენტი, რომ ევროკავშირის სამართალი უპირატესი იურიდიული ძალით ისარგებლებს ქართულ სისხლის სამართალთან მიმართებაში. დაუშვებელი იქნება, კონკრეტულ შემთხვევაში ქართული სისხლისსამართლებრივი ნორმის გამოყენება, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა პირდაპირი მოქმედების ძალის მქონე ევროპულ ნორმასთან.[657]

381 ევროკავშირის სამართლის უპირატესობის პრინციპი მე-20 საუკუნის 60-იან წლებში იქნა განვითარებული ევროგაერთიანების სასამართლოს მიერ.[658] სასამართლომ საქმეზე ***„Costa/ENEL"***[659] გადაწყვეტილება-

---

[654] შეად. ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 35.

[655] Ambos, Int. Strafrecht, § 11 Rn. 37; ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 47; ზატცგერი, კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 512.

[656] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 77.

[657] Manacorda, კრებულში: Sieber/Dannecker/Kindhäuser/Vogel/Walter, Strafrecht und Wirtschaftsstrafrecht, 1386 ff; Satzger, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 39; Dannecker, JURA 2006, 173.

[658] ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 49.

[659] EuGHE 1964, 1251 („Costa/ENEL").

ში დაადგინა შემდეგი:

სხვა ჩვეულებრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებამ (რომელიც იმ დროს მოქმედებდა) შექმნა თვითმყოფადი ევროპული სამართლებრივი სისტემა, რომელიც წევრი სახელმწიფოების შიდა სამართლის შემადგენელი ნაწილი გახდა და, შესაბამისად, მათი სასამართლოების მიერაც უნდა იქნას გამოყენებული. განუსაზღვრელი ვადით ისეთი გაერთიანების შექმნის გზით, რომელიც აღჭურვილია საკუთარი ორგანოებით, სარგებლობს სრული ქმედუნარიანობით, მონაწილეობს საერთაშორისო ურთიერთობებში და გააჩნია გარკვეულ სფეროებში ხელშეუხებელი კომპეტენციები, წევრმა სახელმწიფოებმა შეიზღუდეს თავიანთი სუვერენული უფლებები და შექმნეს ისეთი სამართლებრივი წარმონაქმნი, რომელიც მათ და მათ მოქალაქეებს ბოჭავს.[660]

ამ განმარტებიდან გამომდინარე, ევროკავშირის სამართალი წარ- **382**
მოადგენს **ავტონომიურ სამართლებრივ წესრიგს,** რომელიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის გვერდით დგას და დამოუკიდებელი მოქმედების ძალა გააჩნია.[661] მსგავსი პოზიცია ევროგაერთიანების სასამართლოს მიერ ადრეც იქნა დაფიქსირებული, როდესაც ერთერთ გადაწყვეტილებაში „ახალი სამართლებრივი წესრიგი" იქნა ნახსენები.[662]

რა მომენტიდან სარგებლობს ევროკავშირის სამართალი უპირატესი **383**
იურიდიული ძალით? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად თავდაპირველად უნდა გაირკვეს, საქმე ეხება პირდაპირი მოქმედების ძალის მქონე ევროპულ აქტს, თუ ისეთ აქტს, რომელსაც უშუალოდ მოქმედების ძალა არ გააჩნია.[663] თუ მაგალითად, საქართველომ არ მოახდინა დირექტივის შიდა კანონმდებლობაში დროულად იმპლემენტირება (რომელიც სეკუნდარულ აქტებს განეკუთვნება), მაშინ სასამართლო მას ვერ დაეყრდნობა და იხელმძღვანელებს მხოლოდ ნაციონალური სამართლით.[664] ამიტომ, კანონმდებელი ვალდებულია, განახორციელოს ცვლილებები და შიდა კანონმდებლობა მოიყვანოს დირექტივასთან შესაბამისობაში.[665] სასამართლომ პირველ რიგში უნდა გაითვალისწი-

[660] EuGHE 1964, 1269 („Costa/ENEL").
[661] Schröder, Europäische Richtlinien, 56; Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 1.
[662] EuGHE 1963, 25 („van Gend & Loos"; Schröder, JuS 2004, 180, 181.
[663] შეად. ჯიშკარიანი, სამართლის ჟურნალი, 1-2/2010, 256 და შემდეგი.
[664] Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 1.
[665] შეად. Manacorda, კრებულში: Sieber/Dannecker/Kindhäuser/Vogel/Walter, Strafrecht und Wirtschaftsstrafrecht, 1386; Satzger, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 40.

ნოს ის ევროპული აქტები, რომლებსაც პირდაპირი მოქმედების ძალა გააჩნიათ.[666] ესენია: დადგენილებები და გარკვეულ შემთხვევებში დირექტივები. ევროკავშირის ეს სამართლებრივი აქტები წევრ სახელმწიფოებში არ საჭიროებენ დამატებითი საკანონმდებლო ქმედებების განხორციელებასა და იმპლემენტაციას. ისინი გამოცემისთანავე იძენენ სავალდებულო ძალას.[667] აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, წარმოიშვას ისეთი სამართლებრივი სიტუაცია, რომ ერთსა და იმავე საკითხს ევროპული და ქართული სამართალი განსხვავებულად აწესრიგებს. თუმცა, ევროპული სამართლის უპირატესი იურიდიული ძალის მიუხედავად, შიდასამართლებრივ ინტერესებსაც უნდა მიექცეს ყურადღება.[668]

384 სარგებლობს თუ არა ევროკავშირის სამართალი შეუზღუდავი უპირატესი იურიდიული ძალით? ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ევროგაერთიანების სასამართლო უკვე ნახსენებ ***„Costa/ENEL"***-ის საქმეზე გადაწყვეტილებაში[669] შეუზღუდავი უფლების იდეას ემხრობა და ამ პოზიციას არსებული ევროპული მართლწესრიგის ხასიათიდან გამომდინარე ასაბუთებს.[670] მისი მოსაზრებით, ხელშეკრულებების საფუძველზე ისეთი ავტონომიური სამართლებრივი სისტემა ჩამოყალიბდა, რომ მას შიდასახელმწიფოებრივი ნორმები წინ ვერ აღუდგებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში გაერთიანების სამართლებრივი საფუძვლები მთლიანად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა.[671] ევროგაერთიანების სასამართლო ამ მიდგომით ცდილობს თავიდან აიცილოს ევროკავშირის ხელშეკრულებებში ჩადებული მიზნების განსხვავებული ინტერპრეტაციები სხვადასხვა სახელმწიფოებში არსებული სამართლებრივი სისტემების თავისებურებებიდან გამომდინარე.[672] ევროკავშირის სამართლის შიდა სამართლის ნაწილად აღიარება და ასევე მოქმედი ხელშეკრულებები არ იძლევიან იმის საშუალებას, რომ ცალკეულმა სახელმწიფოებმა ისეთი თვითნებური და ცალმხრივი ღონისძიებები გაატარონ, რომლებიც წინააღმდეგობაში მოვა ერთიან ევროპულ მართლწესრიგთან.[673]

---

666 Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 78.

667 Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 78; Satzger, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 40; Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 2.

668 Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 2.

669 EuGHE 1964, 1251 („Costa/ENEL").

670 Satzger, Europäisierung, 44.

671 EuGHE 1964, 1270 („Costa/ENEL"); Satzger, Europäisierung, 44; Hecker, Europ. § 9 Rn. 3.

672 Schröder, Europäische Richtlinien, 58.

673 EuGHE 1964, 1269 („Costa/ENEL").

ევროგაერთიანების სასამართლომ ეს მიდგომა შემდგომ გადაწყვეტილებებშიც გაიმეორა.[674] 385

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო უპირატესობის საკითხს განსხვავებულად უდგება. მისი პოზიცია ამასთან დაკავშირებით შედარებით ორაზროვანია.[675] ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ევროკავშირის სამართალი შეუზღუდავი უპირატესობის უფლებით სარგებლობს ჩვეულებრივ შიდასახელმწიფოებრივ კანონებთან მიმართებაში.[676] როგორც ევროგაერთიანების სასამართლოს შემთხვევაში, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოც ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის შედეგად გაერთიანების სამართალმა წევრი სახელმწიფოების სამართალზე ზეგავლენა მოახდინა და შესაბამისად, გერმანიის სასამართლოებმაც უნდა გაითვალისწინონ ეს სამართალი.[677] ხოლო კონკრეტულ შემთხვევებში კოლიზიის საკითხის გარკვევა ჩვეულებრივ კანონსა და ევროპულ დათქმებს შორის საკონსტიტუციო სასამართლომ შესაბამისი საერთო სასამართლოების კომპეტენციას მიაკუთვნა.[678] ანუ, უფრო ნათლად რომ ითქვას, ის (საკონსტიტუციო სასამართლო) მხოლოდ კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს წყვეტს. 386

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო შედარებით განსხვავებულად მიუდგა ევროკავშირის სამართალსა და გერმანიის კონსტიტუციას შორის კოლიზიის საკითხს. თავის ერთ-ერთ ცნობილ გადაწყვეტილებაში (*„Solange I"*)[679] მან დაუშვა ევროპული დადგენილებების გერმანიის კონსტიტუციასთან და კერძოდ, მასში ჩადებული ძირითადი უფლებების კატალოგთან შესაბამისობის შემოწმება. მან დადგენილება ჩვეულებრივი გერმანული კანონის რანგში გაიყვანა, რომელიც უნდა შემოწმდეს კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე.[680] სასამართლომ ეს გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ ჯერ კიდევ ევროგაერთიანების ფარგლებში არ არსებობდა პარლამენტის მიერ მიღებული ძირითადი უფლებების კატალოგი, რომელიც დაცვის ხა- 387

[674] იხ. მაგ. EuGHE 1978, 629 („Simmenthal II"); Schröder, Europäische Richtlinien, 58; Satzger, Europäisierung, 45.
[675] Satzger, Europäisierung, 47.
[676] Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 5.
[677] BVerfGE 31, 173 ff.
[678] BVerfGE 31, 174 ff.
[679] BVerfGE 37, 271.
[680] Satzger, Europäisierung, 48.

რისხით გერმანულ კონსტიტუციას გაუთანაბრდებოდა.[681] მომდევნო გადაწყვეტილებაში (*„Solange II"*)[682] სასამართლომ თავისი პოზიცია შეარბილა და ფორმულირება შემდეგნაირად მოახდინა: მანამ, სანამ ევროგაერთიანება და განსაკუთრებით, ევროგაერთიანების სასამართლო ზოგადად უზრუნველყოფენ ძირითადი უფლებების დაცვას, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არ გამოიყენებს მის უფლებამოსილებას და გერმანული სასამართლოებისა და სხვა ორგანოებისთვის რელევანტურ გაერთიანების სამართლებრივ ნორმებს არ შეამოწმებს კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე.[683] ამით ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი უფლებები შეიზღუდა. გადამოწმების კომპეტენცია ჩაირთვება მხოლოდ მაშინ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადმოსახედიდან ევროკავშირის სასამართლო არ უზრუნველყოფს გერმანიის კონსტიტუციის სტანდარტების შესაბამისი ხარისხით ძირითადი უფლებების დაცვას და მათ დრამატულად გადაუხვევს.[684] ეს გულისხმობს, რომ დღეისთვის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადი უფლებების მაღალ სტანდარტებს დაცულად თვლის და მხოლოდ მომავალში ხედავს ჩარევის აუცილებლობას, თუ ამ კუთხით რამე შეიცვლება.

388 რა ადგილის დაკავება შეუძლიათ ევროპულ აქტებს ქართულ კანონმდებლობაში? საქართველოს 2009 წლის კანონი ნორმატიული აქტების შესახებ შეიცავს ნაციონალური თუ საერთაშორისო ნორმების მკაფიოდ ჩამოყალიბებულ იერარქიას. აქედან გამომდინარე, რთული არ არის კითხვაზე პასუხის გაცემა უპირატესობის საკითხთან მიმართებაში. ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-7 მუხლის თანახმად, ყველაზე მაღლა საკანონმდებლო იერარქიაში დგას კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონი. შემდგომ მოდის კონკორდატი – სპეციალური შეთანხმება სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. საერთაშორისო შეთანხმება იერარქიაში იკავებს მხოლოდ მე-3 ადგილს. ეს ნორმა პირდაპირ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებ-

[681] BVerfGE 37, 271; Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 6; შეად. Satzger, Europäisierung, 51.

[682] BVerfGE 73, 339; შეად. Schröder, Europäische Richtlinien, 77.

[683] BVerfGE 73, 340.

[684] Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 7; ევროკავშირის უპირობო უპირატესი ძალა ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ე.წ. ლისაბონის გადაწყვეტილებაშიც უარყო – BVerfG NJW 2009, 2267; შეად. ასევე Thomas, NJW 1991, 2233 ff.

რივი ნორმატიული აქტების მიმართ (კონსტიტუციის მუხ. 6, პუნქტი 2). აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ საქართველოს კონსტიტუცია უპირატესი იურიდიული ძალით სარგებლობს ნებისმიერ საერთაშორისო შეთანხმებასა თუ ხელშეკრულებასთან შედარებით.

389 იმ საკითხის გარკვევა, შეესაბამება თუ არა საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კონსტიტუციას, შედის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში. საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ 1997 წლის საქართველოს კანონის 21-ე მუხლი მოცემულ საკითხს შემდეგნაირად აწესრიგებს: საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების სავალდებულოდ აღიარებამდე, კონსტიტუციური სარჩელის შეტანის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ამ ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანამდე დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოსთვის სავალდებულოდ აღიარება. თუ სასამართლომ დაადგინა, რომ შეთანხმება არ შეესაბამება კონსტიტუციას, მაშინ მისი საქართველოსთვის სავალდებულოდ აღიარება დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონსტიტუციაში, დადგენილი წესით, შეტანილი იქნება შესაბამისი ცვლილებები.

390 როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ რატიფიკაციამდე კონსტიტუციური სარჩელი საერთოდ არ იქნა სასამართლოში შეტანილი? უნდა აღიაროს თუ არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ევროპული ნორმების შეუზღუდავი უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი აქტების მიმართ? მართალია, ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა რთულია, თუმცა, ქართული კანონმდებლობის სისტემიდან გამომდინარე, სადაც კონსტიტუციას აშკარად პირველი ადგილი უკავია ნებისმიერ სხვა საკანონმდებლო აქტთან მიმართებაში, სრულიად დასაშვებია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად, დაუშვას ევროკავშირის მიერ გამოცემული ნორმების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის გადამოწმების შესაძლებლობა. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აუცილებლად ამ გზას უნდა დაადგეს.

§ 2. ევროკავშირის სამართლის გამოყენების თუ მოქმედების უპირატესი იურიდიული ძალა

391 მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალის საკითხი ზოგადად გარკვეულია, რჩება პასუხგასაცემი კითხვა, თუ რა შედეგებს იწვევს ევროკავშირის სამართლისადმი შეუსაბამო ნაციონალური ნორმის მიმართ ეს უპირატესობა.[685] უნდა გამოაცხადოს თუ არა მომავალში ქართველმა კანონმდებელმა ნებისმიერი ასეთი ნორმა ძალადაკარგულად თუ ისინი კოლიზიის შემთხვევაში ისედაც ავტომატურად დაკარგავენ ძალას?

392 გაბატონებული მოსაზრება აღიარებს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში ევროპული ნორმების **გამოყენების უპირატესობას**.[686] იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ ამ მოსაზრებას იზიარებს მართლმსაჯულებაც. როგორც ევროკავშირის სასამართლო, ასევე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს ევროკავშირის სამართლის გამოყენების უპირატესობას.

393 ევროკავშირის სასამართლო შემდეგ მოსაზრებას აყალიბებს, რომ ურთიერთწინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესი იურიდიული ძალის პრინციპიდან გამომდინარე, შიდასახელმწიფოებრივი ნორმის გამოყენება დაუშვებელია და გარდა ამისა, ნებისმიერი ახალი, წევრი სახელმწიფოს მიერ გამოცემული აქტიც, თუ ის ევროკავშირის სამართალს ეწინააღმდეგება, ვერ იმოქმედებს.[687]

394 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოც უარყოფს შიდასახელმწიფოებრივი ნორმის მთლიანად ძალადაკარგულად გამოცხადების იდეას. ის კოლიზიის შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ უკანა პლანზე გადაიწევს და მას ჩაენაცვლება ევროპული ნორმა, ანუ ის არ იქნება გამოყენებული.[688] სწორედ აქედან გამომდინარეობს ტერმინი ევროპული სამართლის გამოყენების უპირატესობა.

395 ყოველივე ამის საფუძველზე, მომავალში, კოლიზიის შემთხვევაში

---

[685] Satzger, Europäisierung, 53.

[686] Ambos, Int. Strafrecht, § 11 Rn. 41; Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 80; Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 8; Satzger, Europäisierung, 53; Manacorda, კრებულში: Sieber/Dannecker/Kindhäuser/Vogel/Walter, Strafrecht und Wirtschaftsstrafrecht, 1391.

[687] EuGHE 1978, 644 („Simmenthal II"); EuGHE 1998, 6307 („IN.CO:GE 90"); ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 49.

[688] BVerfG NJW 2009, 2267, 2284; Schübel-Pfister/Kaiser, JuS 2009, 771; ჯიშკარიანი, სამართლის ჟურნალი, 1-2/2010, 257.

ქართული სამართლებრივი ნორმა არ დაკარგავს ძალას.[689] ის მხოლოდ მოცემულ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში არ გამოიყენება. თუ დაშვებული იქნებოდა ევროკავშირის სამართლის მოქმედების უპირატესობა, რაც თავისთავად ნაციონალური ნორმების ძალადაკარგულად ცნობას გამოიწვევდა, მაშინ ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა ლისაბონის ხელშეკრულებასთან, კერძოდ, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-4 აბზაცში მანიფესტირებულ თანაზომიერების პრინციპთან,[690] რითაც ადგილი ექნებოდა წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტში გადაჭარბებულ ჩარევას.[691] **თანაზომიერების პრინციპის** თანახმად, ევროკავშირის ღონისძიებები არ უნდა აჭარბებდნენ როგორც შინაარსობრივად, ასევე ფორმალურად იმ ფარგლებს, რაც საჭიროა ხელშეკრულებებში ჩადებული მიზნების მისაღწევად და ამისათვის აუცილებელი არ არის შიდასახელმწიფოებრივი ნორმების მთლიანად ძალადაკარგულად გამოცხადება. ნაციონალურ რეგულირებებს შეუძლიათ, თავიანთი ძალა შეინარჩუნონ საკითხთა იმ წრის მიმართ, რომლების მიმართაც კოლიზიები არ წარმოიშობა.[692]

§ 3. ნაციონალური სისხლისსამართლებრივი ნორმების განეიტრალება

ევროკავშირის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალა მომავალში **396**
ქართულ სისხლის სამართალზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. ქართულ სისხლისსამართლებრივ ნორმასა და ევროპულ ნორმას შორის კოლიზიის წარმოშობის შემთხვევაში შეუძლებელი გახდება ვინმეს პასუხისგებაში მიცემა.[693] სამართალდამცავ ორგანოებს არ ექნებათ უფლება, ნაციონალური სისხლისსამართლებრივი შემადგენლობის საფუძველზე მოითხოვონ ვინმეს იმ ქმედებისთვის დასჯა, რომელიც ევროკავშირის სამართლის მიერ ნებადართულია.[694]

[689] შეად. Safferling, Int. Strafrecht, § 11 Rn. 12.
[690] ზატცგერი, კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 522.
[691] Satzger, Europäisierung, 55.
[692] Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 9; Satzger, ZStR 2001, 97; Jokisch, Gemeinschaftsrecht und Strafverfahren, 45.
[693] Satzger, ZStrR 2001, 97; Dannecker, JURA 2006, 173; Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 80; Ambos, Int. Strafrecht, § 11 Rn. 41; Jokisch, Gemeinschaftsrecht und Strafverfahren, 45.
[694] Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 11; ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 49.

397 განეიტრალების მექანიზმი წევრი სახელმწიფოების სამართალზე გავლენის მოხდენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია,[695] თუმცა, სანამ ქართული ნორმის განეიტრალების საკითხი დადგება, მანამდე უნდა იქნას გარკვეული, საერთოდ ადგილი აქვს თუ არა კოლიზიას. კოლიზია შეიძლება იყოს ნამდვილი ან მოჩვენებითი და განეიტრალება ხდება მხოლოდ ნამდვილი კოლიზიის ფაქტის დადგენის შემთხვევაში.[696]

I. ნამდვილი კოლიზია დანაშაულის შემადგენლობიდან გამომდინარე

398 როგორც უკვე ითქვა, ქართული სისხლისსამართლებრივი ნორმის განეიტრალება მოხდება მხოლოდ ნამდვილი კოლიზიის შემთხვევაში, ანუ როდესაც ის პირდაპირი მოქმედების ძალის მქონე ევროპულ ნორმასთან მოვა წინააღმდეგობაში.[697] ამ დროს კოლიზია შესაძლებელია, წარმოიშვას როგორც დანაშაულის შემადგენლობასთან, ასევე სანქციასთან მიმართებაში.[698] ამასთანავე, ევროკავშირის მხრიდან დადგენილი რეგულაცია სახელმწიფოების მიმართ მკაფიო მითითებებს უნდა შეიცავდეს და არ უნდა იძლეოდეს თავისუფალი ინტერპრეტაციების საშუალებას.[699]

399 ნამდვილ კოლიზიას დანაშაულის შემადგენლობიდან გამომდინარე, მაშინ ექნება ადგილი, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული აკრძალვა ან ნებართვა პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვა ევროკავშირის სამართლიდან გამომდინარე აკრძალვასთან ან ნებართვასთან.[700]

400 თუ, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი იქნება ქმედება, რომელიც ევროკავშირის სამართლის მიერ ნებადართულია, ადგილი ექნება პირდაპირი კოლიზიის ტიპიურ შემთხვევას.[701] სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი განეიტ-

[695] Satzger, Europäisierung , 478.
[696] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 79.
[697] Ipsen, Gemeinschaftsrecht, 5/49 ff.; Safferling, Int. Strafrecht, § 11 Rn. 23.
[698] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 80; Satzger, Europäisierung, 479.
[699] Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 19; Dannecker, ZIS 7/2006, 312; Satzger, Europäisierung, 479.
[700] Satzger, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 42.
[701] Jokisch, Gemeinschaftsrecht, 45; Satzger, Europäisierung, 483.

რალდება და მოცემულ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში არ მოხდება მისი გამოყენება.[702]

ევროკავშირის სასამართლოს თავის პრაქტიკაში ბევრი გადაწყვეტილება აქვს გამოტანილი დანაშაულის შემადგენლობიდან გამომდინარე ნამდვილ კოლიზიებთან დაკავშირებით, რომლის გათვალისწინებაც ქართველ იურისტებსაც მოუწევთ. ერთ-ერთი მსგავსი შემთხვევაა ***„Auer"***-ის საქმე.[703] **401**

საფრანგეთის მოქალაქე აუერს, რომელმაც ვეტერინარის დიპლომი იტალიაში აიღო, ჰქონდა სურვილი საფრანგეთში ემუშავა. საფრანგეთის შესაბამისმა უწყებამ მისი დიპლომი არ აღიარა და მუშაობის ნებართვა არ მისცა. მიუხედავად ამისა, აუერმა მუშაობა მაინც დაიწყო და შესაბამისად, მას ბრალი დასდეს უნებართვოდ საქმიანობაში.[704] საფრანგეთის უფლებამოსილმა სასამართლომ გამოთქვა ეჭვი იმის შესახებ, რომ ადგილობრივ კანონმდებლობაში არსებული მსგავსი აკრძალვა წინააღმდეგობაში მოდიოდა მაშინ მოქმედ ევროგაერთიანების ხელშეკრულებასთან, კერძოდ, საქმიანობის თავისუფლების პრინციპთან (ახლა მოქმედი ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 49). **402**

აღსანიშნავია ის მომენტი, რომ იმ დროისთვის ევროგაერთიანების ფარგლებში უკვე გამოცემული იყო დირექტივა ვეტერინარის დიპლომის წევრ სახელმწიფოებში ურთიერთაღიარების შესახებ. მაგრამ, საფრანგეთს, მიუხედავად იმისა, რომ დირექტივის შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაციის ვადა უკვე გასული იყო, ეს ვალდებულება არ ჰქონდა შესრულებული.[705] ბრალდებულმა აუერმა სწორედ ამ ფაქტზე მიუთითა და ისიც აღნიშნა, რომ რადგან საფრანგეთმა იმპლემენტაციის ვადა გაუშვა, დირექტივამ პირდაპირი მოქმედების ძალა შეიძინა, რის საფუძველზეც მას საქმიანობის უფლება მიეცა.[706] ევროგაერთიანების სასამართლო ამ არგუმენტაციას დაეთანხმა. სასამართლოს მოსაზრებით, ევროგაერთიანების დირექტივა წევრი სახელმწიფოებისადმი მიმართულ სრულიად მკაფიოდ და ზუსტად ჩამოყალიბებულ ვალდებულებებს შეიცავდა და თავისუფალი მოქმედების არანაირ სივრცეს არ ტოვებდა. მსგავსი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია, სახელმწიფოს **403**

[702] Schröder, Europäische Richtlinien, 90; Satzger, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 42.
[703] EuGHE 1983, 2727 („Auer").
[704] EuGHE 1983, 2739 („Auer").
[705] EuGHE 1983, 2739 („Auer").
[706] EuGHE 1983, 2741 („Auer").

წინააღმდეგ დაეყრდნოს იმ დირექტივის ნორმებს, რომლის იმპლემენტაციაც ამავე სახელმწიფოს მიერ არ განხორციელდა ან არასრულყოფილად იქნა განხორციელებული.[707] სასამართლომ დაადგინა, რომ აუერის შემთხვევაში სწორედ მსგავს ფაქტს ჰქონდა ადგილი და გაუმართლებელი იქნებოდა მისი სისხლისსამართლებრივი დევნა უნებართვო საქმიანობის ბრალდებით. საფრანგეთმა მისი დიპლომის არაღიარებით ევროგაერთიანების სამართალი დაარღვია.[708]

404 რა გავლენის მოხდენა შეუძლია ევროკავშირის სასამართლოს მსგავს გადაწყვეტილებებს საქართველოს სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაზე? ავიღოთ, ერთი მხრივ, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 246-ე მუხლი, რომელიც უკანონო საექიმო საქმიანობას კრძალავს და მეორე მხრივ, ევროკავშირის დირექტივა, რომელიც ადგენს, რომ ევროკავშირის ერთ წევრ ქვეყანაში მიღებული დიპლომი სამედიცინო სფეროში სხვა წევრ სახელმწიფოებშიც უნდა იქნას აღიარებული. 1975 წლის 16 ივნისს გამოცემული ევროგაერთიანების დირექტივა 75/362 სწორედ მსგავს შინაარსს შეიცავს და ადგენს წინაპირობებს, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც აღიარება უნდა მოხდეს.[709] გარდა ამისა, ყველა სახელმწიფოში უნდა მოხდეს ზოგადი ქირურგიის, ოფთალმოლოგიის, უროლოგიის თუ სხვა რამდენიმე სპეციალობის დიპლომების აღიარება.[710] ადრე მოქმედი ეს წესები 2010 წლის 20 ოქტომბერს ახალი, პროფესიის აღიარების შესახებ დირექტივით შეიცვალა[711] და აღიარების პროცესი კიდევ უფრო გამარტივდა.[712] ევროკავშირის ფარგლებში არსებული ამ სამართლებრივი რეალობიდან გამომდინარე, მომავალში მოხდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 246-ე მუხლის განეიტრალება და მის საფუძველზე შეუძლებელი იქნება ვინმეს ბრალი დაედოს უკანონო საექიმო საქმიანობაში იმ საფუძვლით, რომ ის საქართველოს ტერიტორიაზე არაღიარებული (მაგრამ ევროკავშირში აღებული) დიპლომის საფუძველზე საქმიანობდა.

405 კოლიზიების დიდი პოტენციალი არსებობს სურსათის რეგულირების სფეროშიც.[713] ეს ის სფეროა, სადაც ევროპეიზაციის პროცესი საკ-

---

707 EuGHE 1983, 2744 („Auer").

708 EuGHE 1983, 2746 („Auer").

709 ABl. L 167, 30.6.1975, 1; მოგვიანებით შეიცვალა დირექტივით 82/76/EWG, ABl. L 43, 15.2.1982, 21.

710 Calliess/Ruffert, EUV/EGV, Art. 52 EGV, Rn. 22.

711 ABl. L 255, 30.9.2005, 22.

712 Calliess/Ruffert, EUV/AEUV, Art. 59 AEUV Rn. 34 ff.

713 Ambos, Int. Strafrecht, § 11 Rn. 41; Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 13.

მაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს.[714] ევროკავშირის სამართალსა და ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული ნორმები გარკვეულწილად სხვადასხვა მიზნებს ემსახურებიან, რაც საერთო ჯამში მაღალი ალბათობით კოლიზიებს გამოიწვევს. შიდასახელმწიფოებრივი აქტების გამოცემისას ქართველი კანონმდებელი ძირითადად ორიენტირებულია მომხმარებლის უფლებების დაცვაზე. მართალია, სისხლის სამართლის კოდექსი სურსათის რეგულაციის სფეროში (მაგ. მუხ. 197-ფალსიფიკაცია) ირიბად სახელმწიფოსა და საერთაშორისო სასაქონლო ურთიერთობებსაც იცავს, მაგრამ ყოველივე ეს მაინც შიდაეროვნული ინტერესების გადმოსახედიდან ხდება. მაგრამ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, რომელიც ღია სავაჭრო ურთიერთობებს გულისხმობს ბევრ ევროპულ სახელმწიფოსთან, ეს მიდგომა შეცვლილი და საერთაშორისო ეკონომიკური ინტერესების გადაფარვაც ხდება.[715] ევროკავშირის სამართლისათვის ძირითადი აქცენტი სწორედ ძირითადი აქცენტი თავისუფალ სასაქონლო ურთიერთობებზე კეთდება (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. 34-ე მუხლი).[716]

პროდუქტი, რომელიც ევროკავშირის რომელიმე წევრ სახელმწიფოში იქნა დამზადებული ადგილზე მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, შესაძლებელია, სხვა წევრ სახელმწიფოებშიც იქნას რეალიზებული, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ეს პროდუქტი იქ არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს, იქნება ეს შემადგენლობის თუ შეფუთვის კუთხით.[717] მაგალითად, იტალიის კანონმდებელს არ აქვს უფლება, აკრძალოს ისეთი ძმრის რეალიზაცია, რომელიც იტალიური რეცეპტის მიხედვით არ არის დამზადებული, მაგრამ მწარმოებელ ქვეყანაში ყველა ნორმა იქნა დაცული.[718] იგივე წესი ვრცელდება არაგერმანული ტექნოლოგიით დამზადებულ ლუდზეც. მისი შეტანა გერმანულ ბაზარზე მაინც დაშვებულია.[719] ადგილობრივი კანონმდებლის მიერ მსგავსი პროდუქციის სანქციონირება პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვიდოდა საქონლის თავისუფალი გადაადგილების პრინციპთან. ამიტომ ამკრძალავი შინაარსის მქონე შიდასახელმწიფოებრივი ნორმები არ გამოიყენება.[720] 406

[714] Hecker, Produktwerbung, 58.
[715] ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი I, 508.
[716] Hecker, Produktwerbung, 59.
[717] EuGHE 1979, 664 („Casis de Dijon"); Hecker, JA 2002, 724; Ambos, Int. Strafrecht, §11 Rn. 41.
[718] EuGHE 1980, 2071 („Gilli und Andres").
[719] EuGHE 1987, 1227 („Kommission/Deutschland").
[720] Hecker, JA 2002, 725; Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 13.

407 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197[1]-ე მუხლი – ფალსიფიცირებული ნივთის უკანონო გადაზიდვა ან გასაღება – 197-ე მუხლთან ერთად (ფალსიფიკაცია) კომბინაციაში კოლიზიების დიდ პოტენციალს შეიცავს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართულ კანონმდებლობაში ფალსიფიკაციის ცნება ზუსტად და მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული,[721] რაც პრაქტიკაში დამატებით პრობლემებს გამოიწვევს. ფალსიფიკაციის შემადგენლობის განხორციელების ძირითადი მომენტია სხვადასხვა კანონებში გაწერილი სტანდარტების დარღვევით პროდუქციის წარმოება. მოსამართლემ გადაწყვეტილების მიღებისას სწორედ აღნიშნული სპეციალური კანონები უნდა გაითვალისწინოს.

408 შიდაეროვნული გადმოსახედიდან ზემოთნახსენები სისხლისსამართლებრივი ნორმები მიმართულია მომხმარებლის ინტერესების დაცავად, თუმცა, მომავალში ევროკავშირის კანონმდებლობასთან კოლიზია გამორიცხული არ არის. ქართულ სასამართლოს არ ექნება უფლება დასაჯოს ვინმე იმის გამო, რომ მან ქართული სტანდარტებისადმი შეუსაბამო პროდუქცია დაამზადა ან გაასაღა. მთავარია, ეს პროდუქტი წარმოების (ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს) ადგილის სტანდარტებს შეესაბამებოდეს. მაგალითად, დაუშვებელია საქართველოში აიკრძალოს ესპანური სტანდარტების დაცვით ჩამოსხმული მინერალური წყლის რეალიზაცია, მიუხედავად იმისა, ჯდება თუ არა ეს წყალი ქართულ საკანონმდებლო ჩარჩოში. მსგავსი კოლიზიის შემთხვევაში 197-ე და 197[1]-ე მუხლები არ გამოიყენება.[722]

409 ევროკავშირის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალის აღიარება არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეული სახელმწიფოს ინტერესები ნებისმიერ შემთხვევაში დაუცველი დარჩება. ევროკავშირის სამართალში ძირითად უფლებებთან ერთად, რომლიდანაც გამომდინარეობს უპირატესი იურიდიული ძალის პრინციპი, გათვალისწინებულია ისეთი ნორმებიც, რის საფუძველზეც სახელმწიფოებს ნაციონალური ინტერესების დაცვა შეუძლიათ.[723] მაგალითად, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 34-ე და 35-ე მუხლები უკრძალავენ წევრ სახელმწიფოებს პროდუქციის შემოტანაზე ან გატანაზე შეზღუდვების დაწესებას რაოდენობის თვალსაზრისით, მაგრამ იმავე ხელშეკრულების 36-ე მუხლი უშვებს მსგავს შეზღუდვას, თუ საფრ-

---

721 ავტორთა კოლექტივი, კერძო ნანილი I, 509.

722 შეად. ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 49.

723 Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 82.

თხე ექმნება საზოგადოებრივ მორალს, წესრიგსა და უსაფრთხოებას, ადამიანების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ცხოველებსა და მცენარეებს, კულტურულ, ისტორიულ ან არქეოლოგიურ ღირებულებებს, კომერციულ და სამეწარმეო საკუთრებას.[724]

ცალკეული სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვის დაწესების უფლება ევროგაერთიანების სასამართლომ დაადასტურა საქმეში *„Schindler“*.[725] **410**

ორმა პიროვნებამ, გერჰარდ შინდლერმა და მისმა ძმამ, როგორც ერთ-ერთი ლატარიის კომპანიის წარმომადგენლებმა, 1990 წელს ნიდერლანდებიდან დიდ ბრიტანეთში გააგზავნეს კერძო პირების მისამართებზე 20 000 წერილი, სადაც ადრესატებს ლატარიაში მონაწილეობისკენ მოუწოდებდნენ. ბრიტანეთის შესაბამისმა უწყებებმა წერილების დიდ ნაწილს კონფისკაცია გაუკეთეს, ვინაიდან ეს ადგილობრივ სამართალს ეწინააღმდეგებოდა. ბრიტანეთის კომპეტენტურმა სასამართლომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე ევროგაერთიანების სასამართლოს შემდეგი კითხვებით მიმართა: ეწინააღმდეგებოდა თუ არა ბრიტანული სამართლით დადგენილი ლატარიის აკრძალვა ევროგაერთიანების ფარგლებში მოქმედ პრინციპებს (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 56) და იყო თუ არა საკმარისი ამ აკრძალვის გამართლებისთვის სოციალური პოლიტიკისა და თაღლითობასთან ბრძოლის არგუმენტები?[726] **411**

ევროგაერთიანების სასამართლომ დაადგინა, რომ ბრიტანეთში მოქმედი აკრძალვა ევროკავშირის თავისუფალი გადაადგილების პრინციპს ეწინააღმდეგებოდა.[727] სასამართლომ ამასთანავე დისკრიმინაციის არარსებობის ფაქტზეც მიუთითა, რადგან მოქმედი კანონმდებლობა ერთნაირად ვრცელდებოდა როგორც ბრიტანეთის, ასევე ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნების მოქალაქეებზეც.[728] თუმცა, საბოლოოდ, ევროგაერთიანების სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ეს აკრძალვა გამართლებული და დასაშვები იყო შემდეგი საფუძვლებიდან გამომდინარე: ბრიტანეთში მოქმედი კანონმდებლობის მიზანი იყო იმ სოციალური საფრთხის შემცველი შედეგების თავიდან აცილება, რაც ლატარიის გავრცელებას შეეძლო გამოეწვია. ამ მიზანში იგულისხმებოდა დანაშაულების პრევენციაც. ასევე, კანონმდებელი **412**

[724] იხ. ასევე ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშეკრულების მუხ. 45, აბზ. 3; მუხ. 52; მუხ. 62.
[725] EuGHE 1994, 1039 („Schindler“).
[726] EuGHE 1994, 1046 („Schindler“).
[727] EuGHE 1994, 1093 („Schindler“).
[728] EuGHE 1994, 1093 („Schindler“).

არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ლატარია კერძო ხასიათის და მოგებაზე ორიენტირებული ყოფილიყო. მისი გამართვა შეიძლებოდა მხოლოდ ქველმოქმედების, სპორტის ან კულტურის მხარდაჭერის მიზნით.[729] გარდა საყოველთაო ინტერესებისა, სასამართლომ იმ ჩვეულებით, რელიგიურ და კულტურულ მომენტებზეც გაამახვილა ყურადღება, რომლებიც ლატარიის სფეროს სრული ლიბერალიზების არდაშვებას გაამართლებდნენ.[730]

413 ევროგაერთიანების სასამართლოს ეს მიდგომა მომავალში საშუალებას მისცემს საქართველოს სახელმწიფოს ევროპული პროდუქციისთვის საზღვრების გახსნის შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, ნეგატიური გავლენებისგან დაიცვას სპეციფიკური ნაციონალური ინტერესები, თუმცა, ამავდროულად არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ გამონაკლისების დაშვება ისევ და ისევ ევროკავშირის სამართლის ჩარჩოებში და მისგან დაშვებულ ფარგლებში ხდება.[731]

414 თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანოთ შემდეგი კაზუსი, რომელიც გერმანულ პრაქტიკაში ბევრი მსჯელობის საგანი იყო და პოტენციურად, საქართველოსთვისაც რელევანტური შეიძლება გახდეს:[732]

> ა-მ ფეხმძიმობის მე-16 კვირას გადაწყვიტა აბორტის გაკეთება და გერმანული კანონმდებლობის დარღვევით (სსკ §219), ყოველგვარი საკონსულტაციო ვადის დაცვის გარეშე, გადავიდა ჰოლანდიაში და იქ მომუშავე გერმანელ ექიმ ბ-სთან გაიკეთა აბორტი. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის §219 პირდაპირ ავალდებულებს პირს გაიაროს აბორტისწინა კონსულტაცია, რომლის დასადასტურებლადაც გაიცემა სპეციალური მოწმობა. კონსულტაცია კანონმდებლის ნებით ემსახურება ნაყოფის სიცოცხლის დაცვას და მიმართულია იქითკენ, რომ მომავალმა დედამ მისი შენარჩუნების გადაწყვეტილება მიიღოს. გერმანულისგან განსხვავებით, ჰოლანდიური სამართლით მსგავსი ქმედება არ ექვემდებარებოდა დასჯადობას, ანუ ადგილობრივი სამართლით ყველაფერი წესრიგში იყო. როგორ შეფასდება ა-ს და ბ-ს ქმედება?

415 გერმანული სამართლის გადმოსახედიდან აღნიშნულ კაზუსში უნდა შეფასდეს როგორც ა-ს (ფეხმძიმის), ასევე ბ-ს (ექიმის) ქმედება, ვინაიდან, ქართული სამართლისგან განსხვავებით, გერმანიაში უკა-

---

729 EuGHE 1994, 1096 („Schindler").

730 Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 32; Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 83; Satzger, Europäisierung, 494.

731 Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 83.

732 კაზუსი მოტანილია კრებულიდან Hecker/Zöller, Fallsammlung, 121.

ნონო აბორტის სუბიექტი უშუალოდ ფეხმძიმე პირიც არის, ვინაიდან აკრძალვა ნაყოფის დაცვას ემსახურება, ქართულ სამართალში კი დედის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. შესაბამისად, საქართველოში დედის პასუხისმგებლობის საკითხი თვითდაზიანების გამო ვერ დადგება, გერმანული სამართლით კი ის სხვას აზიანებს. გერმანიის სსკ-ის §218-ში (უკანონო აბორტი), მესამე ნაწილი შემდეგი შინაარსით არის ჩამოყალიბებული: თუ დანაშაულს ჩადის ფეხმძიმე პირი, მაშინ სასჯელის სახით გამოყენებულ უნდა იქნას ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმა.

ფეხმძიმე ა-მ ობიექტური და სუბიექტური თვლასაზრისით უკანონო აბორტის ქმედების შემადგენლობა განახორციელა, ვინაიდან მან ნაყოფი სავალდებულო კონსულტაციის ჩატარების გარეშე მოიშორა.[733] კაზუსში არც მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხავი გარემოებები იკვეთება. 416

გარდა ამისა, უნდა დავადგინოთ, ვრცელდება თუ არა საზღვარგარეთ ჩადენილ ქმედებაზე გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი? გერმანიის კანონმდებლობა ე.წ. აქტიური პერსონალურობის პრინციპიდან გამომდინარე ყველა იმ პირზე ვრცელდება, ვინც გერმანიის მოქალაქეა, დანაშაულის ჩადენის დროისათვის იქ ცხოვრობს და სამშობლოში აკრძალულ ქმედებას საზღვარგარეთ განახორციელებს (სსკ § 5 ნაწ. 9 ბ).[734] თუნდაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში საზღვარგარეთ ყოფნა (მაგ. დიპლომატიური მისიით ან შვებულება) არ ახდენს ყოველივე ამაზე გავლენას, თუ პირს გერმანიაში აქვს ძირითადი „ცხოვრების საფუძველი" (მისამართი, სოციალური და ეკონომიკური კონტაქტები და ა.შ.)[735] ა-ს შემთხვევაში ყველა ეს წინაპირობა მოცემულია. 417

გარდა ზემოთ მოყვანილი წინაპირობების შემოწმებისა, დასჯადობისთვის აუცილებელია, რომ გავარკვიოთ, ხომ არ მოდის წინააღმდეგობაში ა-ს პასუხისგებაში მიცემა ევროკავშირის სამართალთან? ეს შეიძლება განპირობებული იყოს ევროკავშირის სამართლის უპირატესი ძალის პრინციპით, თუ ჩვენ მოცემულ კაზუსში კოლიზიის ფაქტს დავადგენთ. 418

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 56-ე 419

[733] დანვრ. უკანონო აბორტთან დაკავშირებით იხ. Momsen/Momsen-Pflanz, კომენტარებში: Satzger/Schluckebier/Widmaier, StGB, § 218 Rn. 1 და შემდეგი.

[734] Hecker/Zöller, Fallsammlung, 124.

[735] Heger, კომენტარებში: Lackner/Kühl, StGB, § 5 Rn, 2.

მუხლით გარანტირებულია სერვისის მიწოდების (მომსახურების) თავისუფლება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. მასში მოიაზრება როგორც სერვისის მიწოდება (ამ კონკრეტულ სიტუაციაში ექიმის მომსახურება), ასევე სერვისით სარგებლობის უფლება.[736] იქვე, 57-ე მუხლში მითითებულია, რომ მოქალაქეობის ნიშნით ამ სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაცია დაუშვებელია. ჩნდება კითხვა, თუ ჰოლანდიის მოქალაქეები საერთოდ არ დაისჯებოდნენ, ა-ს პასუხისგებაში მიცემა გერმანული კანონმდებლობით ხომ არ ნიშნავს მის დისკრიმინაციას? ერთი შეხედვით, გერმანიის მოქალაქეები სხვებთან შედარებით უარეს მდგომარეობაში არიან და მათ სამართლებრივად ეკრძალებათ აბორტის სერვისის სხვაგან მიღება, სადაც ეს დაშვებულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დისკრიმინაციად ეს მაინც ვერ შეფასდება, ვინაიდან ეს განსხვავებული მიდგომა გამოწვეულია იმით, რომ აბორტის სფერო არ განეკუთვნება ევროკავშირის მიერ ჰარმონიზებულ საკითხთა წრეს და არანაირი ერთიანი ევროპული სტანდარტები არ არის დადგენილი; ეს კი თავისთავად იწვევს სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში განსხვავებული რეგულაციების არსებობას. მსგავს სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ნაციონალური სამართლის ავტონომიის პრინციპს ემყარება, ევროპული დისკრიმინაცის სტანდარტები არ ვრცელდება.[737] ა-ს მიმართ დისკრიმინაციას არ ჰქონია ადგილი.

420 მიუხედავად დისკრიმინაციის არარსებობისა, ევროკავშირის სამართლით გარანტირებული მომსახურების თავისუფლების პრინციპის დარღვევა მაინც სახეზეა, ვინაიდან, უშუალოდ ექიმის საქმიანობა ლეგალურად ვერ ვრცელდება გერმანიის მოქალაქეებზე, როგორც პაციენტებზე, ეს კი მის საქმიანობას ზღუდავს.[738]

421 გამომდინარე აქედან, გასარკვევია, არის თუ არა ევროკავშირის სამართლის მსგავსი შეზღუდვა თანაზომიერი? აღნიშნულზე პასუხის გასაცემად ერთმანეთს უნდა შევადაროთ ევროპული სამართლით გარანტირებულ უფლებაში ჩარევის ინტენსიურობა და მეორე მხრივ დაცული სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობა. ერთ მხარეს გვაქვს ევროკავშირის ერთიანი შიდა ბაზრის პრინციპი და მეორე მხარეს ნაყოფის სიცოცხლის დაცვა.

---

[736] შეად. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება, EuGHE 1991, 4685, სადაც სასამართლომ მსგავსი სერვისი 56-ე მუხლის ფარგლებში მოიაზრა.

[737] Hecker/Zöller, Fallsammlung, 125.

[738] Hecker/Zöller, Fallsammlung, 125.

გერმანული კანონმდებლობა არ აკეთებს დათქმებს აბორტის აბსო- 422
ლუტურ აკრძალვასთან დაკავშირებით. ქართული სისხლის სამართლის მსგავსად, იქაც არსებობს მთელი რიგი წინაპირობებისა, რომლის დაცვის შემთხვევაში ნაყოფის მოშორება დასაშვებია (12 კვირამდე პერიოდი, კონსულტაცია და ა.შ.). შესაბამისად, ნაყოფის ინტერესების დასაცავად არ ხდება ადგილობრივი სამართლით ერთიანი ევროპული ბაზრის სრული იგნორირება.[739] სიცოცხლის მათ შორის ნაყოფის) უფლება გერმანიაში კონსტიტუციურ რანგშია აყვანილი, ამიტომ მის დასაცავად მსგავსი შეზღუდვების დაწესება არ არღვევს თანაზომიერების პრინციპს, მითუმეტეს იმ ფონზე, რომ აბორტის ჩასატარებლად საკმაოდ ფართო ლეგალური სივრცე არის დატოვებული.[740]

ევროკავშირის სამართლის პრინციპების არათანაზომიერ დარღვე- 423
ვას მაშინ ექნებოდა ადგილი, თუ ნაციონალური სამართალი აბორტს მთლიანად აკრძალავდა, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. ეს საბოლოო ჯამში აზრს დაუკარგავდა პაციენტების უფლებას, ევროკავშირის სხვა სახელმწიფოში მომსახურების სახით მიეღოთ აღნიშნული სამედიცინო სერვისი.[741] შუალედური დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ა-ს პასუხისგებაში მიცემა გერმანული სისხლის სამართლით დასაშვებია.

ზუსტად მსგავს კაზუსთან დაკავშირებით ჯერჯერობით ევროკავში- 424
რის მართლმსაჯულების სასამართლოს არ უმსჯელია, მაგრამ მომავალში ეს არ არის გამორიცხული და შესაძლებელია განსხვავებული მოსაზრებებიც განმოითქვას იმასთან დაკავშირებით, რომ ევროკავშირის სამართლით გარანტირებულ მომსახურების თავისუფლებას მსგავსი შიდასახელმწიფოებრივი ბარიერებით საფრთხე ექმნება. ერთი შეხედვით ეს მნიშვნელოვანი არგუმენტია, თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საუბარია სისხლის სამართლის სფეროზე, რომელთან მიმართებაშიც მისი ავტონომოურობიდან გამომდინარე შედარებით ფრთხილი მიდგომაა საჭირო.

ახლა გადავიდეთ ექიმ ბ-ს ქმედების შეფასებაზე. მის მოქმედებაში 425
უპრობლემოდ იკვეთება უკანონო აბორტის შემადგენლობის ყველა ნიშანი, რაზეც განმეორებით აღარ ვიმსჯელებთ. ექიმზეც, ა-ს მსგავსად, საზღვარგარეთ ვრცელდება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედება.

---

739 Hecker/Zöller, Fallsammlung, 126.

740 Hecker/Zöller, Fallsammlung, 126.

741 Hecker, Europäisches Strafrecht, 5. Aufl., § 9 Rn. 45.

426 ქართულ სისხლის სამართალს, დღეის მდგომარეობით, ვერ გავარცელებდით საზღვარგარეთ ჩადენილ აბორტზე, ვინაიდან ადგილი უნდა ჰქონდეს საქართველოს მოქალაქის წინააღმდეგ ჩადენილ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს (სსკ მუხ. 5 ნაწ. 2). სსკ-ის 133-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები მსუბუქ დანაშაულთა კატეგორიაში ექცევა, შესაბამისად, ქართველი ექიმი ვერ მიეცემოდა პასუხისგებაში. სიტუაცია იცვლება მაშინ, თუ საქართველოს მოქალაქე, პაციენტი, ამ ჩარევის შედეგად გარდაიცვლებოდა. ეს იმავე მუხლის მესამე ნაწილით დაკვალიფიცირდება, რომელიც სანქციის სიმკაცრიდან გამომდინარე ნაკლებად მძიმე დანაშაულია.

427 დავუბრუნდეთ ისევ კაზუსს და გავარკვიოთ კოლიზიის საკითხი ნაციონალურ(გერმანულ) და ევროკავშირის სამართალს შორის. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 49-ე მუხლით გარანტირებულია ე.წ. დაფუძნების უფლება, რაც საშუალებას აძლევს ევროკავშირის ნებისმიერ მოქალაქეს, სხვა წევრ სახელმწიფოში ისარგებლოს საქმიანობის ისეთივე უფლებით, როგორც ეს საკუთარი მოქალაქეების შემთხვევაში ხდება.[742] ამ რეგულაციის მიზანია ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა და უპირველეს ყოვლისა, სანარმოებისთვის საშუალების მიცემა, საკუთარი შეხედულებისამებრ იქ განახორციელონ საქმიანობა, სადაც მეტ მოგებას მიიღებენ.[743] გამომდინარე აქედან, ექიმის საქმიანობა ექცევა 49-ე მუხლით დაცულ სფეროში.

428 შეგვიძლია ასევე ვახსენოთ დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი, მაგრამ როგორც ეს ა-სთან მიმართებაში იყო, ნაციონალური სამართლის თავისებურებებიდან გამომდინარე ეს დასჯადობა არადისკრიმინაციულია (იხ. ზემოთ). საერთო ჯამში, ექიმ ბ-ს ქმედება გერმანული სისხლისსამართლებრივი სანქციებით იზღუდება, რაც დაფუძნების თავისუფლებაში ჩარევას წარმოადგენს.[744]

429 თანაზომიერია თუ არა ეს შეზღუდვა? იმისათვის, რომ მსგავსი სისხლისსამართლებრივი რეგულაციების არსებობა გამართლებულად ჩაითვალოს, უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი საფუძველი. კაზუსის პირველი ნაწილის მსგავსად, აქაც სიცოცხლის დაცვასა და მის კონსტიტუციურ გარანტიებს უნდა გავუსვათ ხაზი და ეს მნიშვნელოვანი არგუმენტებია, თუმცა, პრობლემას ქმნის ის მომენტი, რომ

---

742 Korte, კომენტარებში: Calliess/Ruffert, EUV/AEUV, Art. 49 AEUV, Rn. 6.
743 Korte, კომენტარებში: Calliess/Ruffert, EUV/AEUV, Art. 49 AEUV, Rn. 1.
744 Hecker/Zöller, Fallsammlung, 129.

ექიმს საერთოდ, ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქის მიმართ ეკრძალება საზღვარგარეთ აბორტის ჩატარება, მიუხედავად იმისა, რომ ეს იქ ლეგალურია, რაც ევროკავშირის სამართლით გარანტირებულ დაფუძნების თავისუფლებას აზრს უკარგავს.[745] გამოდის, რომ ვერცერთ ევროკავშირის წევს სახელმწიფოში, ბ აბორტს ვერ ჩაატარებდა, თუ არ იქნებოდა დაცული გერმანული სამართლის წინაპირობები, მაგრამ როგორ უნდა დაიცვას გერმანული სამართლის მოთხოვნები, მაგალითად, საფრანგეთის მოქალაქემ, რომელიც აბორტს ჰოლანდიაში გერმანელ ექიმთან იტარებს?

გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამედიცინო სფეროში ჰარმონიზაციის თვალსაზრისით ევროკავშირის ფარგლებში უამრავი ნაბიჯი გადაიდგა, რაც თუნდაც დიპლომების ურთიერთაღიარებას გულისხმობს;[746] ეს კი ავალდებულებს სახელმწიფოებს, პატივი სცენ სხვადასხვა სახელმწიფოებში არსებულ სამედიცინო სტანდარტებს. გერმანული კანონმდებლობა კი ამის საპირისპიროდ, მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიაში კაზუსში მოყვანილი წინაპირობებით ჩატარებული აბორტი ლეგალურია, მას მაინც საკუთარი რეგულაციებით უპირისპირდება და დანაშაულად აცხადებს, რაც საერთოევროპული სურათიდან გამომდინარე ჰარმონიზაციის პროცესს ეწინააღმდეგება.[747] **430**

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე გერმანული სისხლისსამართლებრივი ნორმა ბ-სთან მიმართებით კოლიზიაშია ევროკავშირის სამართალთან და ის უნდა განეიტრალდეს. ექიმი ბ არ უნდა მიეცეს პასუხისგებაში. **431**

II. ირიბი კოლიზიები

ქართულ და ევროკავშირის სამართალს შორის კოლიზიების წარმოშობის შესაძლებლობა არსებობს არა მხოლოდ პირდაპირი ფორმით, როგორც ეს ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში იქნა აღწერილი, არამედ **432**

[745] Hecker/Zöller, Fallsammlung, 130.

[746] იხ. ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა პროფესიული ურთიერთაღიარების შესახებ - ABl. 2013 Nr. L 354, 132.

[747] Hecker, Europäisches Strafrecht, 5. Aufl., § 9 Rn. 47.

ირიბი, არაპირდაპირი ფორმითაც. მსგავს შემთხვევებში, მართალია, ევროპული და ნაციონალური საკანონმდებლო აქტები სხვადასხვა საკითხებს აწესრიგებენ, მაგრამ შიდასახელმწიფოებრივი ნორმის გამოყენება საერთო ჯამში ხელს უშლის ევროპული სამართლის პრაქტიკულ განხორციელებას.[748] გამომდინარე აქედან, ქართველი იურისტები მომავალში ბევრი საკითხის გადაწყვეტას უფრო კომპლექსურად უნდა მიუდგნენ, რათა თვალთახედვიდან არ გამორჩეთ ის შიდასახელმწიფოებრივი ნორმები, რომლებიც, ერთი შეხედვით, არ ჩანან და პირდაპირ კოლიზიაში არ მოდიან ევროპულ დათქმებთან.[749] იმის საფუძველი, თუ საერთოდ რატომ არის შესაძლებელი ირიბი კოლიზიების წარმოშობის შესაძლებლობა, მდგომარეობს იმაში, რომ ევროკავშირი, ზოგადად, დამოკიდებულია წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემებზე და მისი მოქმედების კომპეტენცია შეზღუდულია. სახელმწიფოებიც, თავის მხრივ, ევროკავშირის ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ვალდებული არიან საკუთარი სისხლის სამართალი ჩააყენონ ევროკავშირის ინტერესების დაცვის სამსახურში.[750]

433 ირიბი კოლიზიის შემთხვევები მოსალოდნელია არა მხოლოდ მატერიალური სისხლის სამართლის სფეროში, არამედ სისხლის სამართლის პროცესშიც. ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოქმედებას უშუალოდ ეშლება ხელი, როდესაც მისი იმპლემენტაციისთვის გამოცემული შიდასახელმწიფოებრივი ნორმა რეალურად ვერ მუშაობს, ვინაიდან სისხლის სამართლის ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვა მუხლი ამას აფერხებს. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი ითვალისწინებს შემდეგს: სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საშუალებას იძლევა ასევე სსკ-ის 68-ე (ქმედითი მონანიება) და 70[1]-ე მუხლები (გამოძიებასთან თანამშრომლობა). მომავალში, მიუხედავად მსგავსი მუხლების არსებობისა, დაუშვებელი იქნება იმდენად სიმბოლური სანქციების გამოყენება, თუნდაც საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, რაც საბოლოო ჯამში ევროკავ-

748 Jokisch, Gemeinschaftsrecht, 50 ff.; Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 22.

749 შეად. Satzger, Europäisierung, 499 ff.; Jokisch, Gemeinschaftsrecht, 52 ff.; ჯიშკარიანი, სამართლის ჟურნალი, 1-2/2010, 258.

750 Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 22.

შირის ინტერესებს დაუცველად დატოვებს. ხოლო, თუ საპროცესო შეთანხმება ევროკავშირის ინტერესებთან კოლიზიაში არ მოვა ან მათ დაცვასაც შეუწყობს ხელს, მაშინ ირიბი კოლიზიის საკითხი თავისთავად მოიხსნება.

გარდა ამისა, პროკურატურას სისხლის სამართლის საპროცესო კო- 434
დექსის მე-16 მუხლი უთითებს გამოძიების დაწყებისას საჯარო ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებაზე. ეს შესაძლებელია, გამოძიების შეჩერების საფუძველიც იყოს. მე-16 მუხლი მკაფიოდ მიუთითებს საჯარო ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობაზე, რაც თავისთავად საქართველოს ინტერესებს გულისხმობს. მომავალში კი გადაწყვეტილების მიღებისას სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული იქნებიან გაითვალისწინონ ევროკავშირის ინტერესებიც. ამის დასასაბუთებლად მხოლოდ საქართველოს ინტერესებზე მითითება არ იქნება საკმარისი.

III. სანქციიდან გამომდინარე ნამდვილი კოლიზია

ევროკავშირის სამართალი წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართ- 435
ლებრივ სისტემებზე გავლენას ახდენს როგორც დანაშაულების შემადგენლობების, ასევე მათი ჩადენისთვის განსაზღვრული სანქციების/სასჯელების მიმართულებითაც. უპირველეს ყოვლისა, ნაციონალური კანონმდებლის მიერ დადგენილი სასჯელის ზომები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანაზომიერების პრინციპებს.[751] ეს ორი პრინციპი ქმნის სასჯელების დადგენის ზედა ზღვარს.[752] ნებისმიერი, არაპროპორციული და მადისკრიმინირებელი სანქცია, პირდაპირ კოლიზიაში მოვა ევროკავშირის სამართლით დადგენილ ძირითად თავისუფლებებთან.[753] თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლი იგივე დანაშაულისთვის საკუთარ მოქალაქეს უფრო ნაკლებ სანქციას უწესებს, ვიდრე ევროკავშირის წევრი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეს, მაშინ ადგილი ექნება დისკრიმინაციას. ამ დისკრიმინაციის თავიდან აცილება უნდა

[751] Satzger, ZStrR 2001, 101; Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 85.
[752] Safferling, Int. Strafrecht, § 11 Rn. 24.
[753] Satzger, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 48; Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 86.

მოხდეს ნორმის ევროკავშირის სამართლის შესაბამისი განმარტების გზით, ანუ სასამართლომ სასჯელი უნდა შეამციროს და გაუთანაბროს საქართველოს მოქალაქისთვის განსაზღვრული სასჯელის დონეს. თუ ეს მუხლი არ იძლევა ამის შესაძლებლობას, მაშინ ის მთლიანად განეიტრალდება[754] და ქმედება საერთოდ არ დაისჯება.[755]

436 კოლიზიის საფუძველი სისხლისსამართლებრივი სანქციის სახეც შეიძლება გახდეს. ამის დასტურია ***„Donatella Calfa"***-ს შემთხვევა ევროგაერთიანების სასამართლოს პრაქტიკაში.[756]

437 იტალიის მოქალაქე ქალბატონი კალფა დააკავეს საბერძნეთში ნარკოტიკების ფლობის გამო, როდესაც ის იქ შვებულებას ატარებდა. საბერძნეთის სასამართლომ მას 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად საბერძნეთიდან სამუდამო გაძევება მიუსაჯა.

438 დონატელა კალფამ ეს დამატებითი სასჯელი გაასაჩივრა.[757] ევროგაერთიანების სასამართლომ მსგავსი სასჯელის დანიშვნა გაუმართლებლად ჩათვალა, ვინაიდან ის ევროგაერთიანების ფარგლებში მოქმედ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა, კერძოდ ევროგაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 49-ე მუხლს (ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 56). სასამართლოს მოსაზრებით დაუშვებელი იყო ქალბატონ კალფასთვის იმის შეზღუდვა, რომ მას ევროკავშირის რომელიმე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ ჰქონოდა მომსახურების მიღების შესაძლებლობა, რასაც სამუდამო გაძევება, ბუნებრივია, ხელს შეუშლიდა.[758] მართალია, საბერძნეთს ჰქონდა უფლება საჯარო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, მკაცრი სანქცია გამოეყენებინა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულს ნარკოტიკები მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის ჰქონდა, რაც არ შეიძლება ჩათვლილიყო საზოგადოებისთვის განსაკუთრებულ საფრთხედ.[759]

439 უცხოელთა გაძევება გარკვეულ შემთხვევებში საქართველოს კანონმდებლობითაც არის განსაზღვრული. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის 51-ე მუხლი ამისათვის შემდეგ წინაპირობებს ადგენს: უცხოელის ყოფნა ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო

754 Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 86.
755 Satzger, ZStrR 2001, 102.
756 EuGHE 1999, 11 („Donatella Calfa").
757 Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 49.
758 EuGHE 1999, 28 („Donatella Calfa").
759 EuGHE 1999, 29 („Donatella Calfa").

უშიშროების ინტერესებს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, მისი გაძევება აუცილებელია საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში კანონიერად მყოფ სხვა პირთა ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისთვის, მას ერთი ან რამდენიმე განზრახ ჩადენილი დანაშაულისთვის მისჯილი აქვს ერთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა და ასე შემდეგ. იმავე კანონის 63-ე მუხლის თანახმად, გაძევებულ უცხოელს საქართველოში შემოსვლა აეკრძალება 2-დან 5 წლამდე ვადით. მართალია, გამოყენების შემთხვევაში, ეს სანქცია განსაკუთრებით მძიმე არ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქნას გადამოწმებული და დასაბუთებული, წარმოადგენს თუ არა გასაძევებელი პირი საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის ნამდვილ საფრთხეს. ნინაალმდეგ შემთხვევაში ქართული კანონმდებლობა კოლიზიაში მოვა ევროკავშირის პრინციპებთან და განეიტრალდება.[760]

IV. მოჩვენებითი კოლიზია

მოჩვენებით კოლიზიას (რომელიც არ არის კოლიზიის ერთ-ერთი სახე) ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც, ნამდვილი კოლიზიისგან განსხვავებით, ნაციონალური ნორმა წინააღმდეგობაში არ მოდის უშუალოდ მოქმედ ევროპულ ნორმასთან. თუ შიდასახელმწიფოებრივი სისხლისსამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება არაუშუალოდ, არაპირდაპირი მოქმედების ევროპულ დირექტივას, მაშინ საქმე გვაქვს მოჩვენებით კოლიზიასთან (რეალურად კოლიზია არ გვაქვს).[761] მსგავსი კოლიზიის ცნობილი მაგალითია *„Berlusconi"*-ს შემთხვევა.[762] **440**

იტალიის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, ბერლუსკონის წინააღმდეგ დაიწყო გამოძიება საბუღალტრო ბალანსის გაყალბების გამო. იტალიაში მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაში იყო ევროკავშირის დირექტივებთან, რომლებიც მსგავსი შემთხვევებისთვის „შესაბამისი სანქციების" დაწესებას მოითხოვდა. თუმცა, განაჩენის გამოტანამდე, იტალიელმა კანონმდებელმა სასჯელი ისე შეარბილა, რომ ისინი უკვე „შესაბამისი სანქციების" კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდნენ.მაგალითად, შემოღებულ იქნა და- **441**

[760] Satzger, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 49.

[761] Satzger, Europäisierung, 479; შეად. ჯიშკარიანი, სამართლის ჟურნალი, 1-2/2010, 258.

[762] EuGHE 2005, 3565 („Berlusconi").

ნაშაულის შემადგენლობის განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი ნიშნები და შემცირებულ იქნა ხანდაზმულობის ვადები. საბოლოო ჯამში, ბერლუსკონის გასამართლება შეუძლებელი ხდებოდა.[763]

442 ევროგაერთიანების სასამართლომ იტალიის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები დასაშვებად ჩათვალა და იხელმძღვანელა lex-mitior-ის პრინციპით, რომლის თანახმადაც, ბრალდებულზე ვრცელდება ყველაზე უფრო მსუბუქი კანონი. სასამართლომ ისიც დაამატა, რომ, მართალია, უპირატესი იურიდიული ძალის პრინციპიდან გამომდინარე, ევროკავშირის მოთხოვნებისადმი შეუსაბამო შიდასახელმწიფოებრივი ნორმები არ გამოიყენება, მაგრამ ბერლუსკონის შემთხვევაში საქმე ეხებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნებას ან გამკაცრებას. დირექტივის საფუძველზე კი ვინმეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა ან სასჯელის გამკაცრება დაუშვებელია.[764]

443 ევროგაერთიანების სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას დოგმატიკა დაეთანხმა, თუმცა, არა მის დასაბუთებას. კრიტიკოსთა მოსაზრებით აქ კოლიზიას საერთოდ არ ჰქონდა ადგილი. ეს მაშინ იქნებოდა, თუ იტალიის კანონმდებლობა ევროკავშირის სამართლის დარღვევისთვის გათვალისწინებულ სასჯელებს საერთოდ გააუქმებდა. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელმა კი არ გააუქმა, არამედ შეამცირა სანქციები.[765] ამავდროულად, დირექტივები არ შეიცავდნენ იმდენად კონკრეტულ მოთხოვნებს, რომ მათ პირდაპირი მოქმედების ძალა შეეძინათ. იქ საუბარი იყო მხოლოდ „შესაბამის სანქციებზე", რაც საკმაოდ ზოგადი ფორმულირებაა და სახელმწიფოს მოქმედების საშუალებას უტოვებდა. აქედან გამომდინარე, იტალიის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა დაუპირისპირდა არაპირდაპირი ძალის მქონე ევროპულ დირექტივებს, რაც ნამდვილ კოლიზიასა და ადგილობრივი ნორმების განეიტრალებას გამორიცხავს.[766]

444 მართალია, ევროგაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, მომავალში, მსგავსი მოჩვენებითი კოლიზიების წარმოშობის შემთხვევაში, ქართული სამართლებრივი ნორმები იქნება გამოყენებული, თუმცა, ევროკავშირის ინტერესები ყოველთვის უნდა იქნას გათვალისწინებული. ამის ერთ-ერთი საშუალებაა შიდა-

[763] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9, Rn. 88.

[764] EuGHE 1987, 3969 („Kolpinghuis Nijmegen"); Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 18.

[765] Dannecker, ZIS 7/2006, 311; Hecker, Europ. Strafrecht, § 9 Rn. 19; Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 88.

[766] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 88; შეად. ჯიშკარიანი, კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 175.

სახელმწიფოებრივი ნორმების ევროკავშირის სამართლის შესაბამისი განმარტება.[767]

დასკვნა

ევროკავშირის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალის საკითხი და მისგან გამომდინარე, განეიტრალების ინსტიტუტი მომავალში ქართული სამართლისთვის გასათვალისწინებელი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა იქნება. გერმანიის მაგალითმა ამავდროულად გვიჩვენა, რომ უპირატესი იურიდიული ძალის საკითხი კონკრეტული სახელმწიფოს კონსტიტუციის მოთხოვნებსაც უნდა შეესაბამებოდეს. საქართველოს საკანონმდებლო იერარქიაში საერთაშორისო (ევროპული) შეთანხმება დღეის მდგომარეობით კონსტიტუციის შემდეგ დგას. გაურკვევლობის წარმოშობის შემთხვევაში დაადგება თუ არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მკაცრ კონსტიტუციურ გზას და ევროკავშირის ნორმებს საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისობაზე გადაამოწმებს, თუ ის უფრო ღია პოზიციას დაიჭერს, ამას მომავალი გვიჩვენებს. 445

[767] ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 51; ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, 126.

თავი 8. ევროკავშირის სამართლის შესაბამისი განმარტება

§ 1. ევროკავშირის სამართლის შესაბამისი განმარტება, მისი მნიშვნელობა და ფარგლები

446 წინა თავში განხილულმა მაგალითებმა გვიჩვენა, რომ კოლიზია ორ სამართლებრივ სისტემას შორის არცთუ იშვიათი მოვლენაა. გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როგორიცაა მაგალითად, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, კოლიზიის დროს ნაციონალური ნორმის განეიტრალება ხდება.

447 გამოყენების უპირატესობის პრინციპი ამავდროულად არ გულისხმობს იმას, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს განეიტრალება. განეიტრალება არის წინააღმდეგობის აღმოფხვრის მხოლოდ უკიდურესი საშუალება.[768] გამოყენების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარეობს ასევე წევრი სახელმწიფოების ვალდებულება ნაციონალური ნორმები ევროკავშირის სამართლის შესაბამისად განმარტოს.[769] განმარტების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ევროკავშირის დირექტივებსა და ჩარჩო-გადაწყვეტილებებს, ვინაიდან ევროკავშირი აქამდე მხოლოდ ამ მექანიზმებით მოქმედებდა სისხლის სამართლის სფეროში.[770] ევროგაერთიანების სასამართლომ ჯერ კიდევ თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე ***„Colson und Kamann"***-დაადგინა შემდეგი:

> წევრ სახელმწიფოში საჯარო ხელისუფლების მატარებელი ორგანოები და მათ შორის სასამართლოებიც ვალდებულნი არიან მიიღონ დირექტივაში ჩადებული მიზნის განხორციელებისთვის საჭირო ზოგადი თუ კონკრეტული სახის ღონისძიებები. სასამართლო ვალდებულია დირექტივის იმპლემენტირებისთვის გამოცემული კანონი მისი სიტყვიერი შინაარსისა და მიზნიდან გამომდინარე განმარტოს, რათა შეასრულოს ევროგაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 249-ე მუხლის მე-3 აბზაცის (ძვ. რედ.) მოთხოვნა (ახლა ევროკ. საქმ. წესის შეს. ხელშ. მუხ. 288, ქვეაბზ. 3). შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლომ უნდა ამოწუროს ნაციონალური სამართლით მისთვის მინიჭებული ინტერპრეტაციის ყველა საშუალება, რათა მაქსიმალურად იქნას დირექტივაში დასახული მიზანი მიღწეული.[771]

---

768 Satzger, ZStrR 2001, 103.

769 Dannecker, JURA 2006, 175; Ambos, Int. Strafrecht, § 11 Rn. 46.

770 Safferling, Int. Strafrecht, § 11 Rn. 16.

771 EuGHE 1984, 1909 („Colson und Kamann").

განმარტების მეთოდის გამოყენებით ხდება კონფლიქტების თავიდან აცილება ნაციონალურ და ევროკავშირის ნორმებს შორის. ამ დროს არ ხდება ნაციონალური სამართლის შეზღუდვა. ის ჩვეულებრივ გამოიყენება და არ ნეიტრალდება, თუ განმარტების გზით ევროკავშირის შესაბამის ნორმაში ჩადებული მიზანი მიღწევადია.[772] გარდა ამისა, ნორმის ინტერპრეტაცია დამატებით უწყობს ხელს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემების ევროპეიზაციას. ნორმის განმმარტებელი ყველა ქვეყანაში ორიენტირს იღებს ერთსა და იმავე ევროკავშირის ნორმაზე და შესაბამისად, ხდება სხვადასხვა სისტემების ერთმანეთთან დაახლოება.[773] **448**

თუ როდის იწყება ევროკავშირის სამართლის შესაბამისი განმარტების ვალდებულება, სადავოა. ევროგაერთიანების სასამართლოს მოსაზრებით ეს ვალდებულება იწყება დირექტივის ძალაში შესვლის მომენტიდან,[774] თუმცა, სასამართლო მოითხოვს მხოლოდ იმას, რომ იმპლემენტაციის ვადის გასვლამდე წევრმა სახელმწიფოებმა არ გამოსცენ ისეთი ნორმები, რომლებიც მოგვიანებით დირექტივაში ჩადებული მიზნების განხორციელებას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის.[775] მაშასადამე, უშუალოდ განმარტების ვალდებულება იწყება იმპლემენტაციის ვადის გასვლის შემდეგ. ამ ვადის გასვლამდე, თუ ამას ადგილობრივი დოგმატიკა უშვებს, სასამართლო მაინც ვალდებულია გაითვალისწინოს არაიმპლემენტირებული დირექტივის დათქმები.[776] **449**

რა მოცულობით იძლევა ქართული სამართალი ევროკავშირის სამართლის შესაბამისი განმარტების გაკეთების შესაძლებლობას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ ნორმის ინტერპრეტაციის ფარგლებს სწორედ ადგილობრივი სამართალი ადგენს.[777] ნორმის განმარტებისას, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია **კანონიერების პრინციპი**. ის მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილში და ვრცელდება სისხლის სამართალზეც (სსკ მუხ. 3).[778] კანონიერების პრინციპი გა- **450**

---

[772] Satzger, კრებულში: Sieber/ Brüner/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 51.

[773] Satzger, კრებულში: Sieber/ Brüner/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 51; Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 90; Safferling, Int. Strafrecht, § 11 Rn. 16.

[774] EuGHE 1987, 3987-თუმცა ეს გადაწყვეტილება სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა; Hecker, Europ. Strafrecht, § 10 Rn. 29.

[775] EuGHE 1997, 7411 („Inter-Environnement Wallonie ASBL/Region Wallonne"), Satzger, კრებულში: Sieber/ Brüner/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 54; Ambos, Int. Strafrecht, § 11 Rn. 49; შეად. Schröder, Europäische Richtlinien, 462 ff.

[776] Hecker, Europ. Strafrecht, § 10 Rn. 32.

[777] Schröder, Europäische Richtlinien, 359.

[778] ტურავა, ზოგადი ნაწილი, 24.

მოიხატება შემდეგში: დაუწერელი ჩვეულებითი სამართლის გამოყენების აკრძალვა, ნორმის განუსაზღვრელობის აკრძალვა, ანალოგიის აკრძალვა და კანონის უკუძალის აკრძალვა.[779]

451 ქართული სასამართლოები ნორმის ინტერპრეტაციის დროს მიმართავენ იმ მეთოდებს, რომლებიც სხვა ქვეყნებშიც აღიარებულია, იქნება ეს სიტყვა-სიტყვითი შინაარსი, კანონმდებლის ნება, ისტორიული საფუძვლები, ნორმის მიზანი თუ მისი ადგილი სისტემაში.[780] ნორმის სიტყვა-სიტყვითი შინაარსი მისი განმარტების ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერია. სასამართლოებს ასევე არასდროს უნდა დაავიწყდეთ ანალოგიის აკრძალვა. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ან პასუხისმგებლობის დამფუძნებელი ანალოგია დაუშვებელია. მიუღებელია სასამართლო გასცდეს ნორმის შინაარს და მის ფარგლებს გარეთ მოახდინოს ევროკავშირის სამართლის შესაბამისი განმარტება, თუ ეს ბრალდებულის მდგომარეობას ამძიმებს.[781] წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო კანონმდებლის როლს შეითავსებს.[782] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის ნორმები, რომლებიც პირდაპირ ქართული სახელმწიფოს ინტერესების დაცვაზე მიუთითებენ, დაუშვებელია, რომ ინტერპრეტაციის გზით გამოყენებულ იქნას ევროკავშირის სამართლებრივი ინტერესების დასაცავად. მსგავსი განმარტება აშკარად გასცდებოდა დაშვებულ ფარგლებს. მაგალითად, სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი ნაწილით დასჯადია საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებით, საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 325-ე მუხლის მე-2 აბზაცი წევრი სახელმწიფოებისგან ევროკავშირის ინტერესების თაღლითობებისგან იმავე ფარგლებში დაცვას მოითხოვს, როგორც ეს საკუთარი ინტერესების დარღვევის დროს ხდება. მიუხედავად ამ ვალდებულებისა, ქართული სასამართლო ევროკავშირის ეკონომიკური ინტერესების დასაცავად ვერ გამოიყენებს სსკ-ის 214-ე მუხლს, ვინაიდან იქ პირდაპირ მითითებულია საქართველოს საბაჟო საზღვარზე და ეს ნორმა სხვანაირი განმარტების საშუალებას არ იძლევა.[783]

---

779 Kasiske, Strafrecht I, Rn. 13 ff.

780 შეად. Dannecker, JURA 2006, 175.

781 Satzger, ZStrR 2001, 106.

782 დაწვრ. იხ. ტურავა, ზოგადი ნაწილი, 34 და შემდეგი; Kasiske, Strafrecht I, Rn. 16; Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 92; Gröblinghoff, Verpflichtung, 67.

783 შეად. Satzger, ZStrR 2001, 106.

განმარტების ფარგლები მოცემულია ევროკავშირის სასამართლოს პრაქტიკაშიც. თუმცა ევროკავშირის სამართლიდან გამომდინარე ეს პრინციპები მაინც არ სარგებლობენ განსაკუთრებული უპირატესი ძალით განმარტების შიდასახელმწიფოებრივ პრინციპებთან შედარებით.[784] ამის მიზეზია ევროკავშირის შეზღუდული კომპეტენციაა სისხლის სამართლის სფეროში.[785] ევროკავშირის სასამართლომ საქმეზე ***„Kolpinghuis Nijmegen"***[786] გადაწყვეტილებაში ნორმის ინტერპრეტაციისას უკუქცევის ძალის აკრძალვასა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებზე მიუთითა.[787] ეს მოთხოვნები ქართული სამართლისთვისაც არ არის უცხო და ისინი რაიმე სიახლეს არ წარმოადგენენ. კანონმდებელმა საქართველოში ნორმები ისე უნდა ჩამოაყალიბოს, რომ პირმა შეიცნოს დასჯადი ქმედება.[788] გარდა ამისა, კანონის უკუქცევითი ძალის აკრძალვა კონსტიტუციით არის გარანტირებული. **452**

აღნიშნული ორი პრინციპი თავის თავში არ გულისხმობს სასამართლოს მიერ ნორმის ახლებური ინტერპრეტაციის აკრძალვას.[789] სასამართლოს თავისუფლად შეუძლია დაშვებული განმარტების ფარგლებში ნორმის ახლებური ინტერპრეტაცია მოახდინოს, გადაუხვიოს თავის ადრინდელ პრაქტიკას და დაამძიმოს ბრალდებულის მდგომარეობა.[790] ევროკავშირის სამართლიდან გამომდინარე ნაციონალური ნორმის ახლებური ინტერპრეტირება არ ნიშნავს სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის დარღვევას. მთავარია, სასამართლო არ გასცდეს ნორმის სიტყვა-სიტყვით შინაარს.[791] განმარტების საკითხისადმი ახლებური მიდგომა ევროკავშირის სამართლებრივ სისტემასთან მიერთების შემთხვევაში ქართველ მოსამართლეებსაც მოუწევთ და მომავალში საჭირო გახდება ევროკავშირის ინტერესების გათვალისწინება. **453**

შიდასახელმწიფოებრივი ნორმების განმარტებისას, დირექტივების გარდა, გასათვალისწინებელია ჩარჩო-გადაწყვეტილებებიც. ეს **454**

---

784 Ambos, Int. Strafrecht, § 11 Rn. 51; Hecker, Europ. Strafrecht, § 10 Rn. 34 ff.

785 Ambos, Int. Strafrecht, § 11 Rn. 51; Satzger, Europäislerung, 551 ff.

786 EuGHE 1987, 3969 („Kolpinghuis Nijmegen").

787 Safferling , Int. Strafrecht, § 11 Rn. 17; Gröblinghoff, Verpflichtung, 65; Satzger, ZStrR 2001, 105; Dannecker, JURA 2006, 175 ff.

788 ტურავა, ზოგადი ნაწილი, 37 და შემდეგი.

789 Safferling, Int. Strafrecht, § 11 Rn. 18.

790 Satzger, კრებულში: Sieber/ Brüner/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 9 Rn. 94.

791 Hecker, Europ. Strafrecht, § 10 Rn. 62; Satzger, კრებულში: Sieber/ Brüner/v. Heintschel-Heinegg, Europaisches Strafrecht, § 9 Rn. 57 ff.

ევროკავშირის სასამართლომ დაადგინა საქმეში ***„Pupino"***.[792] ამით მან მიუთითა ჩარჩო-გადაწყვეტილების დირექტივასთან მსგავსებაზე. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც არ არიან იდენტურნი.[793] გარდამავალი დებულებების შესახებ 26-ე ოქმის[794] მე-9 მუხლის თანახმად, ჩარჩო-გადაწყვეტილებები მოქმედების ძალას ინარჩუნებენ ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგაც (ეტაპობრივად ხდება მათი ჩანაცვლება დირექტივებით), თუმცა ვერ მოქმედებენ პირდაპირ, როგორც ეს ზოგჯერ დირექტივების შემთხვევაში ხდება.[795] აქედან გამომდინარე, სასამართლომ ისინი ინტერპრეტაციისას უნდა გაითვალისწინოს, თუმცა, ჩარჩო-გადაწყვეტილებები შიდასახელმწიფოებრივ ნორმას ვერ გაანეიტრალებენ.

§ 2. განმარტების ცალკეული მაგალითები

I. სამოხელეო დანაშაულები

455 ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 აბზაცი წევრ სახელმწიფოებს ნაციონალური სისხლის სამართლის ევროკავშირის სამსახურში ჩაყენებას ავალდებულებს. ეს გულისხმობს სასამართლოების მხრიდან განმარტების მეთოდის ევროკავშირის სამართლებრივი სიკეთეების დასაცავად გამოყენებას.[796] ამ დროს მოსამართლემ განმარტების ის მეთოდი უნდა გამოიყენოს, რომელიც ამ სიკეთეებს ყველაზე უკეთ დაიცავს.

456 სამოხელეო დანაშაულები სახელმწიფოსა და საჯარო წესრიგისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს ქმნიან. ამიტომ, ქართული სისხლის სამართალი მათთან ბრძოლით ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ავტორიტეტის დაცვას უზრუნველყოფს.[797]

457 სამოხელეო დანაშაულები ცალკეული პირების ინტერესებსაც უქმნიან საფრთხეს.[798] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე

[792] EuGHE 2005, 5285 („Pupino").
[793] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 115.
[794] ABl. C 115, 9.5.2008, 322.
[795] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 115; Safferling, Int. Strafrecht, § 11 Rn. 51.
[796] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 97.
[797] ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი II, 311.
[798] ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი II, 311.

თავი მთლიანად სამოხელეო დანაშაულებს ეხება და მოიცავს შემდეგ დანაშაულებს: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხ. 332), სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (მუხ. 333), ქრთამის აღება (მუხ. 338), სამსახურებრივი სიყალბე (მუხ. 341) და ა.შ. კანონმდებელი დასჯადად აცხადებს არა მხოლოდ მოხელის, არამედ მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ ქმედებებსაც. თვითონ მოხელეში შიდასახელმწიფოებრივი მოხელე იგულისხმება. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს საჯარო სამსახურის შესახებ კანონიც (მუხ. 3 ქვეპ. „ე"), რომლის თანახმადაც მოხელე ეს არის პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ.

საქართველოში მოხელის ცნების ქართულ სახელმწიფოსთან დაკავ- **458**
შირების გამო, სასამართლო ვერ შეძლებს სამოხელეო დანაშაულების თავში მოცემული ნორმების ფართოდ განმარტებას და მოხელის ცნების განვრცობას ევროკავშირის მოხელეებზე. მიუხედავად ამისა, სასამართლოს შეუძლია თავი აარიდოს ტერმინს „მოხელე" და აქცენტი გადაიტანოს მასთან გათანაბრებულ პირზე. კანონში არსად არ წერია პირდაპირ, თუ ვინ იგულისხმება მოხელესთან გათანაბრებულ პირში. ამ ცნებაში შეგვიძლია მოვიაზროთ ის პირები, რომლებიც სპეციალური დავალების საფუძველზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოხელის ფუნქციებს ასრულებენ,[799] მაგრამ ეს მხოლოდ სავარაუდო განმარტებაა და არა სადმე დადგენილი დეფინიცია. კანონმდებელმა აქ სასამართლოს ცნების ინტერპრეტაციის გზა გაუხსნა და შესაბამისად, მას ამ ტერმინის ევროკავშირის სამართლის შესაბამისად განმარტება შეუძლია. ანუ, სამოხელეო დანაშაულებისთვის ნაციონალური სისხლის სამართლებრივი წესით პასუხს აგებენ ევროკავშირის მოხელეებიც.

ქართველმა კანონმდებელმა 332-ე მუხლს – სამსახურებრივი უფლე- **459**
ბამოსილების ბოროტად გამოყენება – დაურთო შენიშვნა და განმარტა მოხელესთან გათანაბრებული პირის ცნება. ეს შენიშვნა (მე-2 ნაწილი) 39-ე თავზე მთლიანად ვრცელდება და განმარტავს შემდეგს: ამ თავის მიზნებისთვის, მოხელესთან გათანაბრებული პირი ასევე გულისხმობს უცხო ქვეყნის სახელმწიფო თანამდებობის პირს, აგრეთვე ნებისმიერ პირს, რომელიც ასრულებს რაიმე საჯარო ფუნქციას სხვა სახელმწიფოსთვის, საერთაშორისო ორგანიზაციის ან ორგანოს

[799] ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი II, 314.

თანამდებობის პირს ან ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებულ თანამშრომელს, ასევე ნებისმიერ მივლინებულ ან არამივლინებულ პირს, რომელიც ასრულებს ამ თანამდებობის პირის ან თანამშრომლის ფუნქციების შესაბამის ფუნქციებს... ამ შენიშვნის დამატებით ქართველმა კანონმდებელმა ნაბიჯი გადადგა ევროსაბჭოს კორუფციასთან ბრძოლის შესახებ კონვენციის შესრულებისკენ.[800] მისი მიზანი არ ყოფილა ევროკავშირის ინტერესების დაცვა, მაგრამ სასამართლოს თავისუფლად შეუძლია საერთაშორისო ორგანიზაციის ცნების ისე განმარტება, რომ მან ევროკავშირიც იგულისხმოს. ქართველ კანონმდებელს ევროკავშირის მოხელე პირდაპირ რომ ეხსენებინა სამოხელეო დანაშაულების ნორმებში, მაშინ პრობლემა თავისთავად ამოიწურებოდა და არანაირი განმარტების მეთოდის გამოყენება არ იქნებოდა საჭირო.[801]

460 თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:

> ა-მ კახეთში დააფუძნა ღვინის საწარმო, რომლის გასაფართოებლადაც სჭირდებოდა დამატებითი თანხა. მან ვერცერთი ბანკისგან ვერ მიიღო კრედიტი და საბოლოოდ გადაწყვიტა ევროკავშირის ფონდისთვის მიემართა, რომელიც საქართველოში დამწყები მეწარმეების დახმარების პროგრამას ახორციელებდა. ა-მ საერთო ნაცნობების მეშვეობით კონტაქტი დაამყარა ფონდის ერთ-ერთ თანამშრომელ, ევროკავშირის მოხელე, ავსტრიის მოქალაქე ბ-სთან და მას 5000 ევრო შესთავაზა, თუ ის მისი განაცხადის განხილვისას გარკვეულ უზუსტობებზე თვალს დახუჭავდა და კრედიტის გაცემას ხელს შეუწყობდა. გახარებულმა ბ-მ თანხმობა განაცხადა და 5000 ევრო აიღო. ა-მ კი სასურველი კრედიტი მიიღო. როგორ შეფასდება ორივეს ქმედება სისხლისსამართლებრივად?

461 შესაძლებელია ა-ს ქმედება დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის პირველი ნაწილით, როგორც ქრთამის მიცემა. თუმცა, ამისათვის უნდა გავარკვიოთ, ქმნის თუ არა ამ შემადგენლობას ევროკავშირის მოხელისათვის ქრთამის მიცემა, რომელიც საერთოდ არ არის საქართველოს მოქალაქე და არც მისი საქმიანობა წესრიგდება ქართული კანონმდებლობით.

462 მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიის მოქალაქე ბ-ს პირდაპირ საქართველოს ინტერესები თავისი ქმედებით არ შეულახავს, მასზე მაინც

---

[800] http://conventions.coe.int/Treaty/GER/Treaties/Html/173.htm (ნანახია 02.8.2017).

[801] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 98.

გავრცელდება ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედება. კაზუსში სახეზეა ევროკავშირის ფინანსური ინტერესების შელახვა და ასევე მისი სტრუქტურების დადგენილი წესების შესაბამისად მუშაობისთვის ხელის შეშლა, რაც ა-ს მხრიდან ევროკავშირის მოხელის მოქრთამვაში გამოიხატა.

463 როგორც უკვე ამ სახელმძღვანელოში აღინიშნა, ევროკავშირს არ გააჩნია საკუთარი სამართალდამცავი ორგანოები, რომლებიც სისხლისსამართლებრივ მართლმსაჯულებას განახორციელებდნენ. ამ ფუნქციას ლოალურობის პრინციპიდან გამომდინარე ითავსებენ წევრი სახელმწიფოები და იცავენ გაერთიანების სამართლებრივ ინტერესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროკავშირი დაუცველი დარჩებოდა. საქართველო, მართალია არ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, მაგრამ ის უკვე ასოცირებული წევრია და მსგავსი ვალდებულებები მასზეც შეგვიძლია გავავრცელოთ.

464 აქედან გამომდინარე, მოხდება სსკ-ის 339-ე მუხლის ევროკავშირის სამართლის შესაბამისი განმარტება და ა დაისჯება ქრთამის მიცემისთვის. მან ბ-ს, ქართული სამართლით მოხელესთან გათანაბრებულ პირს (ვინაიდან ის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელია), გადაუხადა თანხა იმისათვის, რათა ამის შედეგან მისთვის სასარგებლო ქმედებები განხორციელებულიყო კრედიტის მისაღებად, კერძოდ, მომხდარიყო მისი განაცხადის ზედაპირული განხილვა, რათა ხარვეზები არ ყოფილიყო აღმოჩენილი.[802]

465 იგივე სტანდარტები ვრცელდება ბ-სთან მიმართებაშიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის დაისჯება სსკ-ის 338-ე მუხლის მეორე ნაწილის ა ქვეპუნქტით - დიდი ოდენობით ქრთამის აღებისთვის. მან დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე განახორციელა და მოქალაქეობა არ შეუშლის ხელს დასჯადობას.[803]

[802] შეად. ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი II, 360.
[803] შეად. ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი II, 348.

II. დოკუმენტებთან და ბეჭდებთან დაკავშირებული დელიქტები

466 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით დასჯადია ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, შეძენა, შენახვა გასაღების ან გამოყენების მიზნით, გასაღება ან გამოყენება. სსკ-ის 363-ე მუხლი კი სჯის ამავე ნივთების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას, გადამალვას, განადგურებას ან დაზიანებას, ჩადენილს ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტის ცნება ერთმნიშვნელოვნად გარკვეული არ არის. მასში უნდა მოვიაზროთ რაიმე უფლების ან იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი.[804]

467 აღნიშნული დანაშაულების სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი, თუმცა 362-ე მუხლი ამაში არ გულისხმობს მოხელეებს. მოცემული დანაშაულის მოხელის მიერ ჩადენის შემთხვევაში კვალიფიკაცია მოხდება სსკ-ის 341-ე მუხლით.[805] 362–ე და 363-ე მუხლებით კანონმდებელი ცდილობს წინ აღუდგეს ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მიმოქცევაში მოხვედრას ან მათ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას. ორივე მუხლის შინაარსი ისე არის ჩამოყალიბებული, რომ შესაძლებელია მათი ევროკავშირის სამართლის შესაბამისად განმარტება. მუხლებში არსად არ არის მითითებული კონკრეტულად ქართული სახელმწიფოს ინტერესების დაცვაზე. გარდა ამისა, უკვე აღინიშნა დოკუმენტის ცნების ერთიანი განმარტების არარსებობა. ყოველივე ეს კი სასამართლოს მოქმედების თავისუფლებას უტოვებს. მას თავისუფლად შეუძლია მაგალითად, იგივე 362-ე მუხლის საფუძველზე პასუხისგებაში მისცეს ევროკავშირის რომელიმე ორგანოს ყალბი ბეჭდის გამსაღებელი. დაისჯება ასევე ისიც, ვინც ყალბ ოფიციალურ დოკუმენტს წარადგენს ევროკავშირის ორგანოში.

468 განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:

ფრანგმა სამშენებლო კომპანიის მფლობელმა ა-მ გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ბელგიაში გამოცხადებულ ტენდერში, თუმცა, ამისათვის საჭირო იყო ევროკავშირის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობის

[804] ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი II, 439.
[805] ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი II, 444.

წარდგენა კომისიაში, რითაც დადასტურდებოდა მის მიერ ადრე მსგავს სხვა პროექტებში მონაწილეობა, რაც ა-ს კომპანიას არ ჰქონდა, ამიტომაც მან აიღო მისი ნაცნობის, ბ-ს ცნობა, მისი მიხედვით ფერად პრინტერზე ააწყო დოკუმენტი თავისთვის და გადააგზავნა ბელგიაში. მოხდება თუ არა მისი პასუხისგებაში მიცემა ყალბი დოკუმენტის დამზადებისთვის ფრანგული კანონმდებლობით?[806]

ლოიალურობის პრინციპიდან გამომდინარე საფრანგეთი ვალდებულია განახორციელოს ევროკავშირის სამართლებრივი ინტერესების დაცვა, რაც მოცემულ შემთხვევაში ევროკავშირის ოფიციალური დოკუმენტის გაყალბებაში გამოიხატება. ა-ს მიმართ უნდა მოხდეს ისეთივე სანქციების გამოყენება, როგორც ეს უშუალოდ ფრანგული დოკუმენტის გაყალბების შემთხვევაში მოხდებოდა. ფრანგული სისხლისსამართლებრივი შემადგენლობების განმარტება ისე უნდა მოხდეს, რომ მასში ევროკავშირის დოკუმენტებიც მოიაზრებოდეს, რათა ისინი არ დარჩეს დაუცველი. **469**

აღნიშნულ კაზუსს საქართველოზე თუ გადმოვიტანთ, სიტუაცია გარკვეულწილად იცვლება. ვინაიდან საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, სხვა სახელმწიფოებში ჩადენილ ქმედებებზე (სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიერ ჩადენილზე) მისი იურისდიქცია ვერ გავრცელდება და ამ ეტაპისთვის ეს ჩვენი სამართლებრივი სისტემისთვის მძიმე ტვირთი იქნებოდა, მაგრამ თუ ქმედება, დავუშვათ, საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელდებოდა, მაშინ ტერიტორიულობის პრინციპიდან გამომდინარე მოხდებოდა დამნაშავის დასჯა ქართული სისხლის სამართლის კოდექსით. დოკუმენტის ცნება განიმარტებოდა ევროკავშირის სამართლის შესაბამისად და დასჯადობის პრობლემა არ იქნებოდა. **470**

III. ცრუ ჩვენების მიცემა

ცრუ ჩვენების მიცემის დასჯადობის მიზანია მართლმსჯულების ინტერესების დაცვა. ნაციონალური სისხლის სამართლის კოდექსები, უპირველეს ყოვლისა, იცავენ საკუთარ მართლმსაჯულებას.[807] ცრუ ჩვენებასთან დაკავშირებულ ნორმებში ნახსენებ სიტყვაში „სა- **471**

[806] შეად. Hecker/Zöller, Fallsammlung, 101 ff.

[807] Heinrich, კომენტარებში: Dölling/Duttge/Rössner, Gesamtes Strafrecht, § 153 Rn. 1.

სამართლო“ იგულისხმება ნაციონალური სასამართლო. საკითხავია, ვრცელდება თუ არა შიდასახელმწიფოებრივი ნორმა ევროკავშირის სასამართლოსთვის ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევებზე.

472 სსკ-ის 370-ე მუხლის პირველი აბზაცი ადგენს შემდეგს: მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა, ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემა... გამოძიების დროს ან სასამართლოში... ისჯება... კანონმდებელი არანაირ მინიშნებას არ აკეთებს არანაციონალური სასამართლოების დაცვა/არდაცვაზე. თუ ჩვენ ქართული სასამართლოების გარდა სხვა სასამართლოებისთვის ცრუ ჩვენების მიცემას ამ მუხლით დავუშვებდით, მაშინ გამოვიდოდა, რომ ქართველ მოსამართლეს თითოეულ ასეთ შემთხვევაზე იმის შეფასება მოუწევდა, მოხდა თუ არა კონკრეტული უცხო სახელმწიფოს მართლმსაჯულების ინტერესების ხელყოფა, რაც შეუძლებელია.[808] მიუხედავად ამისა, ჩვენ ევროკავშირის სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულებას დაცვის გარეშე ვერ დავტოვებთ. ევროკავშირს საკუთარი მართლმსაჯულების დამცავი ორგანოები არ გააჩნია და დამოკიდებულია წევრ სახელმწიფოებზე. წევრი სახელმწიფოები ლოიალურობის პრინციპიდან გამომდინარე ისედაც ვალდებული არიან განახორციელონ ევროკავშირის მართლმსაჯულების ინტერესების დაცვა. გარდა ამისა, ევროკავშირის სასამართლოს წესდების 30-ე მუხლში წერია შემდეგი: თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია ევროკავშირის სასამართლოს წინაშე ფიცის დამრღვევი მოწმის ან ექსპერტის ქმედება შეაფასოს ისე, როგორც ეს მსგავსი ქმედების შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს წინაშე ჩადენის შემთხვევაში მოხდებოდა. ევროკავშირის სასამართლოს მიმართვის საფუძველზე წევრი სახელმწიფო საკუთარი სასამართლოს მეშვეობით ახორციელებს ფიცის დამრღვევი პირის სისხლისსამართლებრივ დევნას.[809] ამ მოთხოვნიდან გამომდინარე მომავალში ქართული სასამართლოები ვალდებული იქნებიან სსკ-ის 370-ე მუხლი განავრცონ ევროკავშირის სასამართლოზეც.[810] ნორმის სიტყვა-სიტყვითი შინაარსი არანაირ კონკრეტიკას არ შეიცავს სასამართლოსთან მიმართებაში და მის ფართო განმარტებას ხელს არ უშლის.

473 ევროკავშირის სასამართლოს წესდების 30-ე მუხლში ჩადებული მოთხოვნა ცრუ ჩვენების მიმცემი პირის დასჯის შესახებ არ ნიშნავს

[808] Satzger, Europäislerung, 575 ff.
[809] Ambos, Int. Strafrecht, § 11 Rn. 5 ff.; Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 8 ff.
[810] Hecker, Europ. Strafrecht, § 7 Rn. 10.

იმას, რომ მსგავსი სხვა დანაშაულები დაუსჯელი უნდა დარჩეს. წესდების 30-ე მუხლი ყველა წევრი სახელმწიფოს თავისებურებებსა და მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა დანაშაულებს ვერ მოიცავდა და ამიტომ მას მხოლოდ საორიენტაციო ფუნქცია გააჩნია.[811] თუნდაც იგივე ევროკავშირის სასამართლოს წინაშე გამომსვლელ მოწმეზე ან ექსპერტზე ზეწოლა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლის საფუძველზე უნდა დაისაჯოს, ვინაიდან ეს მუხლიც მართლმსაჯულების ინტერესების დაცვას ემსახურება.[812] ევროკავშირის სასამართლოს წესდების ვიწროდ განმარტების შემთხვევაშიც კი წევრი სახელმწიფოები ლოიალურობის პრინციპიდან გამომდინარე ისედაც ვალდებული იქნებოდნენ დაეცვათ ევროკავშირის მართლმსაჯულების ინტერესები.[813]

დღეისათვის, საქართველოსა და ვეროკავშირს შორის მოქმედი ასო- 474
ცირების ხელშეკრულება არ მიდის ისე შორს, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს კომპეტენცია საქართველოზე გავრცელდეს. მაგალითად, შეუძლებელია, რომ საქართველოს მოქალაქემ ამ სასამართლოში შეიტანოს სარჩელი, თუმცა, მაინც თუ მოხდება, რომ საქართველოს მოქალაქე მოწმის როლში აღმოჩნდება ისეთ საქმეზე, რომელზეც აღნიშნული სასამართლოს კომპეტენცია ვრცელდება, მაშინ შეიძლება მოხდეს ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების გამოყენება ევროკავშირის მართლმსაჯულების ინტერესების დასაცავად, ოღონდ იმ წინაპირობების დაცვით, რომ დაკმაყოფილებული იქნება სსკ-ის მე-4-5 მუხლების მოთხოვნები კოდექსის მოქმედების ფარგლებთან მიმართებაში.

მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: 475

საქართველოს მოქალაქე ა დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ესპანეთში და იქ თავის ესპანელ მეგობარ ბ-სთან ერთად ახორციელებდა ბიზნეს-საქმიანობას. ერთხელაც ა მოწმის სახით გამოძახებულ იქნა ლუქსემბურგში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში, სადაც განიხილებოდა ბ-ს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, ვინაიდან მის მიმართ ეროვნულ დონეზე დაწყებული იყო სისხლის-სამართლებრივი დევნა. მეგობრის დაცვის მიზნით, ა-მ სასამართლოს ცრუ ჩვენება მისცა. როგორ შეფასდება ა-ს ქმედება სისხლისსამართლებრივად?

[811] Satzger, Europäsierung, 576 ff.
[812] ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი II, 495.
[813] Satzger, Europäisierung, 577.

476 ა-ს ქმედებაზე აუცილებლად უნდა გავრცელდეს რომელიმე სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რათა ევროკავშირის მართლმსაჯულების ინტერესები დაუცველი არ დარჩეს. შესაძლებელია ეს იყოს თუნდაც ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსი. მაგრამ, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ სხვა სახელმწიფომაც განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა (თუმცა, ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპიდან გამომდინარე, ერთგან თუ მოხდება დასჯა, სხვაგან გამეორება დაუშვებელია).

477 ევროკავშირის წევრობის შემთხვევაში, საქართველოც ვალდებული იქნებოდა, ა-ს მიმართ განეხორციელებინა სისხლისსამართლებრივი დევნა და ის მიეცა პასუხისგებაში სსკ-ის 370-ე მუხლით გათვალისწინებული ცრუ ჩვენებისთვის. დღეის მდგომარეობით კი ეს საკითხი ერთმნიშვნელოვნად ვერ გადაწყდება მხოლოდ ასოცირებული წევრის სტატუსით, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი ვალდებულებები ასე ყოვლისმომცველად არსად არ არის ხელშეკრულებაში ნახსენები. მიუხედავად ამისა, ევროკავშირთან არსებული ურთიერთობების ინტენსივობიდან გამომდინარე, რაც ასევე ერთიანი სამართლებრივი სივრცის არსებობას გულისხმობს, უნდა მოხდეს ა-ს პასუხისგებაში მიცემა. ამას არც სსკ-ის მე-5 მუხლი უშლის ხელს, პირიქით, პირველ ნაწილში წერია, რომ საქართველოს მოქალაქის მიერ საზღვარგარეთ ისეთი ქმედების განხორციელების შემთხვევაში, რომელიც საქართველოშიც და იქაც დანაშაულად ითვლება, მას პასუხისმგებლობა დაეკისრება ქართული სისხლის სამართლის კოდექსით.

IV. ფულის გაყალბება

478 ფულის გაყალბების დასჯადობით ხდება ფულის მიმოქცევის სისტემის დაცვა.[814] ქართული იურიდიული ლიტერატურა ძირითადად შიდასახელმწიფოებრივ ფარგლებში მიმოქცევის დაცვაზე ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ ამავდროულად აღიარებს ფულის გაყალბების თანმდევ საერთაშორისო ხასიათის საფრთხეებს.[815]

479 ყალბი ფულის დამზადება, შეძენა, შენახვა გასაღების მიზნით ან გასა-

[814] Koch, კომენტარებში: Dölling/Duttge/Rössner, Gesamtes Strafrecht, § 146 Rn. 1; Fischer, Strafgesetzbuch, Vorbemerkungen zum § 146 Rn. 2.

[815] აეტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი I, 552 და შემდეგი.

ღება დასჯადია სსკ-ის 212-ე მუხლით. ეს მუხლი არამხოლოდ ნაციონალურ, არამედ უცხოურ ვალუტაზეც ვრცელდება და შესაბამისად, იცავს ერთიან ევროპულ ვალუტას – ევროს.[816] ზოგადად, ფულის ცნება სადმე განსაზღვრული არ არის, მაგრამ ამისთვის შეგვიძლია მივმართოთ გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს განმარტებას: ფული არის სახელმწიფოს ან მისი დაწესებულების მიერ დამოწმებული და მიმოქცევაში ჩაშვებული ღირებულების მატარებელი ნებისმიერი გადახდის საშუალება.[817] ევრო ამ კრიტერიუმებს შეესაბამება. ის გამოცემულია და მიმოქცევაში ჩაშვებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ ამისთვის უფლებამოსილი ევროკავშირის ცენტრალური ბანკის მიერ.[818]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სჯის ყალბი ფასიანი ქაღალდის დამზადებასაც და 212-ე მუხლის მეშვეობით, კერძოდ, მისი განმარტების გზით შეიძლება ევროკავშირის ფასიანი ქაღალდების დაცვაც. იგივე შეიძლება ითქვას კრედიტის უკანონო მიღებაზე (სსკ მუხ. 208). ევროკავშირის ორგანოსთვის კრედიტის აღების მიზნით ყალბი ცნობის მიმწოდებელი ისეთივე სიმკაცრით დაისჯება, როგორც შიდასახელმწიფოებრივი კრედიტორის შეცდომაში შემყვანი. კანონმდებელი 208-ე მუხლში არ აკეთებს განსხვავებას შიდასახელმწიფოებრივ და უცხოურ კრედიტორებს შორის. **480**

V. გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულები

გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულებისთვის დამახასიათებელია წინდახედულობის იმ ნორმის დარღვევა, რომელიც სამართლებრივი სიკეთის დაცვას ემსახურება.[819] დაარღვია თუ არა პირმა წინდახედულობის ნორმა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს.[820] ამ საკითხის გარკვევა მოსამართლის კომპეტენციაა და მან ისიც უნდა გაარკვიოს, პირმა გადააცილა თუ არა დაშვებული რისკის ფარგლებს.[821] **481**

816 ავტორთა კოლექტივი, კერძო ნაწილი I, 553 და შემდეგი.
817 BGHSt 12, 344; შეად. Fischer, Strafgesetzbuch, § 146 Rn. 2.
818 Satzger, Europäisierung, 584 ff.; Fischer, Strafgesetzbuch, § 146 Rn. 2.
819 Wessels/Beulke, Strafrecht AT, § 1 Rn. 41a; გამყრელიძე, ზოგადი ნაწილის განმარტება, 116 და შემდეგი; ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, აბზ. 1074 და შემდეგი.
820 Wessels/Beulke, Strafrecht AT, § 15 Rn. 669; Hecker, Europ. Strafrecht, § 11 Rn. 75.
821 Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 107.

482 წინდახედულობის ნორმის დარღვევის დადგენა ბევრად უფრო ადვილია მაშინ, როდესაც ის სადმე არის ჩამოყალიბებული. ის შეიძლება არსებობდეს როგორც კანონის, ასევე კერძო რეგულაციის სახითაც (მაგ. სპორტის წესები).[822] თუ პირმა დადგენილი წესებისა და დაშვებული რისკის ფარგლებში იმოქმედა, მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.[823] კანონმდებელი მოქმედების გარკვეული ფარგლების დადგენით თავის თავზე იღებს იმ რისკებს, რაც ამ ფარგლებს შიგნით შეიძლება მოხდეს და ამიტომ სხვისი პასუხისგებაში მიცემა არალოგიკური იქნებოდა.[824]

483 მომავალში წინდახედულობის საკითხის გასარკვევად ქართველ იურისტებს ნაციონალურთან ერთად ევროკავშირის ნორმების მოშველიებაც შეეძლებათ. ეს მათი ვალდებულებაც კი იქნება, ვინაიდან სხვა შემთხვევაში ხელი შეეშლება ევროკავშირის ფარგლებში მიმდინარე ჰარმონიზაციის პროცესს.

484 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული გაუფრთხილებლობით ჩადენილი შემადგენლობები ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევიან. ავიღოთ, მაგალითად, სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით (მუხ. 116) ან ჯანმრთელობის დაზიანება გაუფრთხილებლობით (მუხ. 124) და ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს *დირექტივა 2009/48/*სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ.[825] ეს დირექტივა შეიცავს კონკრეტულ ჩამონათვალს იმ ნივთიერებებისა თავისი ოდენობის ჩათვლით, რომელთა შემცველობაც დაშვებულია სათამაშოებში. მწარმოებელმა თუ გამოუშვა ამ ნორმების დაცვით სათამაშოები და მათ მაინც დააზიანეს ბავშვის ჯანმრთელობა ან გამოიწვიეს მისი სიკვდილი, ის სისხლისსამართლებრივად პასუხს გაუფრთხილებლობისთვის არ აგებს, ვინაიდან მან ევროკავშირის კანონმდებლის მიერ დაშვებული რისკის ფარგლებში იმოქმედა.[826]

485 იგივე შეიძლება ითქვას 1993 წლის 14 ივნისის დირექტივაზე 93/42/EWG სამედიცინო პროდუქციის შესახებ.[827] აღნიშნული დირექტივა შეიცავს როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ დათქმებს სამედიცი-

---

822 Satzger, Europäisierung, 607 ff.; Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 108.

823 Hecker, Europ. Strafrecht, § 10 Rn. 75.

824 Satzger, ZStrR 2001, 111.

825 ABl. L 170, 30.6.2009, 1.

826 Satzger, ZStrR 2001, 111; Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 109; Hecker, Europ. Strafrecht, § 10 Rn. 76.

827 ABl. L 169, 12.7.1993, 1; ბოლო ცვლილება შევიდა 2007 წელს – ABl. L 247, 21.9.2007, 21.

ნო პროდუქციის წარმოებისას დასაცავი წესების შესახებ.[828] წესების დაცვის მიუხედავად ვინმეს ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში მწარმოებელი პასუხისგებაში ვერ მიეცემა (თუ საფრთხე კონკრეტულად წინასწარ განჭვრეტადი იყო, მაშინ ის, რა თქმა უნდა, მაინც დაისჯება). თუ დირექტივა მხოლოდ მინიმალურ სტანდარტებს ადგენს, მაშინ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებელს უფლება აქვს უფრო მკაცრი მოთხოვნები შემოიღოს და გაუფრთხილებლობის საკითხიც ამ მკაცრი სტანდარტების მიხედვით გადაწყდება.[829]

დასკვნა

ევროკავშირის სამართლის შესაბამისი განმარტების გზით შიდა- **486**
სახელმწიფოებრივ ნორმებთან კოლიზიები და მათი განეიტრალების თავიდან აცილება არის შესაძლებელი. ნორმის განმარტებისას განმმარტებელმა ერთდროულად უნდა გაითვალისწინოს ევროკავშირისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის პრინციპები. ამასთანავე, მან განმარტების სხვადასხვა მეთოდებიდან კონკრეტულ შემთხვევაში ის უნდა შეარჩიოს, რომლის გამოყენებაც ყველაზე მეტად უზრუნველყოფს ევროკავშირის ნორმის მიზნების მიღწევას.[830]

[828] Satzger, Europäisierung, 614.
[829] Hecker, Europ. Strafrecht, § 10 Rn. 76.
[830] Hecker, Europ. Strafrecht, § 10 Rn. 82.

თავი 9. სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაციის მნიშვნელოვანი სფეროები

§ 1. ტერორიზმი

487 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ტერორიზმის თემა განსაკუთრებით აქტუალურია.[831] ნიუ-იორკში განხორციელებულმა ტერაქტმა თვალნათლივ გვიჩვენა, რომ ტერორიზმთან ბრძოლა მხოლოდ ნაციონალურ დონეზე არაეფექტურია.[832] ევროკავშირმა არსებულ ვითარებაში სწრაფი რეაგირება მოახდინა და 2002 წლის ივნისში ძალაში შევიდა ჩარჩო-გადაწყვეტილება ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ,[833] რომელშიც შემდგომ 2008 წლის ნოემბერში ცვლილებები იქნა შეტანილი.[834] დღეისათვის მოქმედებს 2017 წელს გამოცემული დირექტივა.[835] ტერორიზმთან ბრძოლის პრიორიტეტულობას ლისაბონის ხელშეკრულებაშიც ესმევა ხაზი. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველ აბზაცის მე-2 ქვეაბზაცში ჩამონათვალში ის პირველ ადგილზე დგას.[836] ჩვენ ძირითად აქცენტს, ჩარჩო-გადაწყვეტილების შინაარსზე გავაკეთებთ, ვინაიდან დირექტივაში ტერორიზმთან ბრძოლის მიმართებაში, რომელიც დღეს მოქმედებს და ჩარჩო-გადაწყვეტილებას ანაცვლებს, დეფინიციების თვალსაზრისით განსაკუთრებული სიახლეები არ გვაქვს.

488 ჩარჩო-გადაწყვეტილების პირველი მუხლის თანახმად, თითოეული სახელმწიფო ვალდებულია ტერორისტულ ქმედებად დააკვალიფიციროს შემდეგი ქმედებები, თუ ისინი ჩადენილია მოცემული მიზნით:

- მოსახლეობის მძიმე ფორმებში დაშინება ან
- საჯარო დაწესებულებების ან საერთაშორისო ორგანიზაციის მართლსაწინააღმდეგოდ იძულება განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისგან ან
- მოახდინოს ქვეყნის პოლიტიკური, კონსტიტუციურ-სამართლებრივი, ეკონომიკური თუ სოციალური სტრუქტურების ან საერთაშორისო ორგანიზაციის სერიოზული დესტაბილიზაცია ან განადგურება.

---

831 Vogel, GA 2003, 327 ff.
832 Hecker, § 11 Rn. 11.
833 ABl. L 164, 22.6.2002, 3.
834 ABl. L 330, 9.12.2008, 21.
835 ABL. L 88, 31.3.2017, 8.
836 Hecker, Europ. Strafrecht, § 11 Rn. 11.

დანაშაული შეიძლება გამოიხატოს: 489

ა) პირზე თავდასხმაში, რომელიც საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს;

ბ) პირზე თავდასხმაში, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას;

გ) გატაცებაში ან მძევლად ხელში აყვანაში;

დ) სამთავრობო თუ საჯარო დაწესებულების, სატრანსპორტო საშუალების, ინფრასტრუქტურის, მათ შორის, საინფორმაციო სისტემის, კონტინენტურ შელფზე განლაგებული მყარი პლატფორმის, საჯარო ადგილის ან კერძო საკუთრების მძიმე დაზიანებაში, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, ან, შესაძლოა, მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი გამოიწვიოს;

ე) საჰაერო ან საზღვაო ხომალდის ან ნებისმიერი სხვა საჯარო ან სატვირთო სატრანსპორტო საშუალების გატაცებაში;

ვ) ცეცხლსასროლი იარაღის, ფეთქებადი ნივთიერების, ატომური, ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღის წარმოებაში, ფლობაში, შეძენაში, გადატანაში ან დამზადებაში ანდა გამოყენებაში, ისევე როგორც ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღის კვლევასა და განვითარებაში;

ზ) საშიში ნივთიერებების გავრცელების ან ცეცხლის წაკიდების, წყალდიდობის, აფეთქების გამოწვევაში, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს;

თ) წყლით, ელექტროენერგიით ან სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის რესურსებით მომარაგების ობიექტების დაზიანებას ან მწყობრიდან გამოყვანაში, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს;

ი) მუქარაში, რომ ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულები იქნება ჩადენილი.[837]

ევროპელმა კანონმდებელმა დასჯადად გამოაცხადა ასევე ტერორისტული გაერთიანების ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა ინფორმაციის მიწოდების, მატერიალური თუ ფინანსური რესურსებით თუ ცოდნით დახმარების ჩათვლით (მუხ. 2, აბზ. 2). **„ტერორისტული გაერთიანება“** ნიშნავს ისეთ „ორგანიზებულ გაერთიანებას“, 490

[837] თარგმანი ეყრდნობა კრებულს: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 63 და შემდეგი.

რომელიც ხანგრძლივ დროზე არის გათვლილი და სულ მცირე ორ პირს აერთიანებს, რომელთა მიზანიც ტერორისტული დანაშაულების ჩადენაა. **„ორგანიზებული გაერთიანება“** კი არის არა შემთხვევითი დანაშაულის ჩასადენად შექმნილი გაერთიანება. მისთვის არ არის აუცილებელი გაერთიანების შიგნით როლების ფორმალური გადანაწილება ან ჩამოყალიბებული სტრუქტურის არსებობა (მუხ. 2, აბზ. 1).

491 2008 წლის 28 ნოემბრის ცვლილებებით ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილებაში ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულების ჩამონათვალი გაიზარდა. წევრი სახელმწიფოები ვალდებული გახდნენ, შემდეგი ქმედებებიც დანაშაულებად დაეკვალიფიცირებინათ:

ა) ტერორისტული დანაშაულისკენ საქვეყნო მოწოდება;

ბ) ტერორისტული მიზნებით გადაბირება;

გ) მძიმე ქურდობა იმ მიზნით, რათა მოხდეს პირველი მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი დანაშაულების ჩადენა;

დ) გამოძალვა იმ მიზნით, რათა მოხდეს პირველი მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი დანაშაულების ჩადენა;

ე) ყალბი ადმინისტრაციული დოკუმენტების გაცემა იმ მიზნით, რათა მოხდეს პირველი მუხლის პირველი აბზაცის ა-თ პუნქტებში და მე-2 მუხლის მე-2 აბზაცში ჩამოთვლილი დანაშაულების ჩადენა.

492 ევროკავშირის კანონმდებელი წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს ასევე დახმარების, წაქეზებისა და მცდელობის დასჯადობას. სასჯელები კი უნდა იყოს ყველა დანაშაულისთვის ქმედითი, დამაშინებელი და თანაზომიერი. ზოგადად, თავდაპირველად, ჩარჩო-გადაწყვეტილება მინიმალურ სასჯელებს არ ითვალისწინებდა, თუმცა მოითხოვდა, რომ პირველ მუხლში ჩამოთვლილი ტერორისტული მიზნებით ჩადენილი დანაშაულები უფრო მკაცრად დასჯილიყო, ვიდრე ეს შიდასახელმწიფოებრივი სამართლით გათვალისწინებული არატერორისტული მიზნით ჩადენილი დანაშაულისთვის იყო გათვალისწინებული. მაგ. თუ მკვლელობისთვის დადგენილი იყო 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ნაციონალური სამართლით, იმავე დანაშაულისთვის, თუ ის ჩადენილ იქნებოდა ტერორისტული განზრახვით, შიდასახელმწიფოებრივი სამართლით უფრო მკაცრი სასჯელი უნდა ყოფილიყო დადგენილი. თუ კონკრეტული დანაშაულისთვის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა უკვე ისედაც ნაციონალუ-

რი სამართლით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმს აღწევდა, მაშინ ჩარჩო-გადაწყვეტილება მის კიდევ უფრო აწევას არ ითხოვდა, რათა არ მომხდარიყო სასჯელთა სისტემაში ზედმეტი ჩარევა. იგივე წესები ვრცელდებოდა დახმარებაზე, თანაამსრულებლობასა და მცდელობაზე. მსგავსი სულისკვეთებაა შენარჩუნებული მოქმედ დირექტივაშიც. ტერორისტული გაერთიანების ხელმძღვანელთან მიმართებაში მინიმალური სასჯელის სახით 15 წლით თავისუფლების აღკვეთაა დადგენილი. რაც შეეხება ტერორისტული გაერთიანების ქმედებებში მონაწილებას, აქ მინიმალური ზღვარი 8 წელზე გადის. ანუ, ცალკელულ ფორმებზე დადგენილი მინიმალური სასჯელის ზღვარი, სხვა შემთხვევებში კი სახელმწიფომ თვითონ უნდა დასაჯოს ეფექტურად, შედარებით უფრო მკაცრად სხვე ქმედებებთან შედარებით.

493 დღეისათვის მოქმედ დირექტივაში აქცენტი კეთდება ასევე ტერორისტული ქმედების ჩადენისკენ საჯარო მოწოდების დასჯადობაზე, რომელიც შეიძლება გამოიხატოს თუნდაც ტერორისტების ქმედებების გამართლებაში, თუმცა დასჯადობისთვის აუცილებელია, რომ ეს ტერაქტის ჩადენის საფრთხეს ქმნიდეს (აბზ. 10). ამ საფრთხის დასადგენად ყოველი კონკრეტული შემთხვევის კონტექსტი უნდა იქნას დადგენილი, მაგ. ვინ გაავრცელა ამ შინაარსის მასალა, ვინ არის მიმღები და ა.შ. დამატებით აქცენტები კეთდება მომზადებაზე, რომელიც დირექტივის თანახმად მაშინაც კი დასჯადი უნდა გახდეს, თუ პირი, დავუშვათ, ინტერენტიდან ჩამოტვირთავს სათანადო მასალას, რათა მოგვიანებით ტერორისტული შინაარსის ქმედება განახორციელოს (აბზ. 11). ყველა წევრ სახელმწიფოში დასჯადი უნდა იყოს თუნდაც საზღვარგარეთ გამგზავრების მცდელობა იქ ტერორისტული მიზნებისთვის განათლების მიღებისთვის ან სხვა პირების გადაბირებისთვის (აბზ. 16).

494 ტერორისტული დანაშაულებისთვის პასუხი უნდა აგონ იურიდიულმა პირებმაც, იქნება ეს სისხლისსამართლებრივი თუ არასისხლისსამართლებრივი სანქციების სახით (სისხლისსამართლებრივის გამოყენების ვალდებულებას დირექტივა არ ადგენს).

§ 2. ტრეფიკინგი

I. დირექტივა ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ

495 ტრეფიკინგი ადამიანის უფლებების ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დარღვევაა. იგი გლობალური პრობლემაა და განეკუთვნება ტრანსნაციონალურ დანაშაულთა კატეგორიას.[838] ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის კუთხით 2000 წელს ქალაქ პალერმოში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენციის ოქმის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთის და დასჯის შესახებ“ ხელმოწერა.[839] მაშინ ამ ოქმს ევროგაერთიანებაც მიუერთდა.

496 საქართველოს პარლამენტმა ამ ოქმის რატიფიცირება მოახდინა 2006 წლის ივნისში.[840] იმავე წლის ნოემბერში საქართველო ევროსაბჭოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციასაც მიუერთდა.[841] ადამიანებით ვაჭრობის თემა საქართველოსთვის მისი ტრანზიტული ფუნქციიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტუალურია და ეს ეხება არა მხოლოდ ქალებს, არამედ მამაკაცების სამუშაო ძალად გამოყენებასაც.[842]

497 ტრეფიკინგი ხშირად ორგანიზებული დანაშაულობის ფარგლებში ხორციელდება და ის კატეგორიულად აკრძალულია ძირითად უფლებათა ევროპულ ქარტიაშიც.[843] აქედან გამომდინარე, ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოებისთვის მასთან ბრძოლა პრიორიტეტულია.[844]

498 ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის თანახმად წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ გარკვეული ქმედებების დასჯა და ადამიანე-

---

838 გამყრელიძე, სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, 115.

839 შეად. დელემენჩუკი/გოგოლაძე, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 7; გამყრელიძე, სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, 115.

840 ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 59.

841 ტექსტი იხ. http://conventions.coe.int/Treaty/EN/Treaties/Html/197.htm (ნანახია 02.08.2017).

842 ბრაიანტი, ტრეფიკინგი, 5; გამყრელიძე, სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, 138 და შემდეგი.

843 ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ, ABl. L 101, 15.4.2011, 1. ამ დირექტივამ ჩაანაცვლა მანამდე მოქმედი ჩარჩოგადაწყვეტილება (ABl. L 203, 1.8.2002, 1).

844 ABl. L 101, 15.4.2011, 1.

ბით ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვა.[845] მე-2 მუხლის პირველ აბზაცში ჩამოთვლილია შემდეგი დასჯადი ქმედებები: გადაბირება, გადაყვანა, თავშესაფრის მიცემა, სხვისთვის პირზე კონტროლის გადაცემა, თუ ისინი ჩადენილია ძალის ან მუქარის, იძულების სხვა ფორმების, გატაცების, მოტყუების, თაღლითობის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ან პირის უმწეობის გამოყენების გზით. ასევე საზღაურის ან სარგებლის მიცემის, ან აღების გზით იმ მიზნით, რათა მიღწეულ იქნას იმ პირის თანხმობა, რომელიც სხვა პირზე კონტროლს ახორციელებს. ყოველივე ეს ჩადენილი უნდა იყოს ექსპლუატაციის მიზნით.

ექსპლუატაცია გულისხმობს სხვის გამოყენებას პროსტიტუციაში ან სხვა სექსუალურ ქმედებებში ჩაბმის, იძულებითი შრომის, მომსახურების გაწევის, მათხოვრობის, მონობის ან მონობის მსგავს პირობებში ჩაყენების, დანაშაულში ჩაბმის ან ორგანოების ამოჭრის გზით (მუხ. 2, აბზ. 3). **499**

მსხვერპლის თანხმობას ქმედების კვალიფიკაციისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ მე-2 მუხლის პირველ აბზაცში ჩამოთვლილი ერთ-ერთი წინაპირობა შესრულებულია. ბავშვთან მიმართებაში კი (18 წლამდე პირი) ტრეფიკინგად კვალიფიკაციისთვის ამ წინაპირობების არსებობა (ძალადობა, მოტყუება...) არ არის საჭირო. სისხლის-სამართლებრივი წესით პასუხი უნდა აგოს ასევე წამქეზებელმა და დამხმარემ. მცდელობაც დასჯადია. **500**

ფიზიკურ პირებთან ერთად, დირექტივა იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხსაც აყენებს. აქაც ევროკავშირის სხვა დოკუმენტების მსგავსად საუბარი არის არა კონკრეტულად სისხლის-სამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებაზე იურიდიული პირების მიმართ, არამედ ზოგადად ქმედით, თანაზომიერ და დამაშინებელ სანქციებზე. იურიდიული პირი პასუხს აგებს მაშინ, როდესაც დანაშაული ჩადენილია მის სასარგებლოდ ფიზიკური პირის მიერ, რომელიც დამოუკიდებლად ან როგორც მისი ორგანოს ნაწილი მოქმედებდა და რომელსაც საწარმოში წამყვანი პოსტი ეკავა. **501**

დირექტივაში მოცემულია კონკრეტული სანქციებიც. სახელმწიფოებმა სულ მცირე 5 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა დააწესონ მე-2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის. უფრო მკაცრი სასჯელი უნდა დაწესდეს დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას (მაგ. მსხვერპლს მიადგა განსაკუთრებული სიმძიმის **502**

[845] ABl. L 101, 15.4.2011, 1.

ზიანი, დანაშაული ჩადენილია ბავშვის წინააღმდეგ და ა.შ.). გარდა ამისა, ტრეფიკინგის მსხვერპლს უნდა გაეწიოს სათანადო დახმარება სახელმწიფოს მხრიდან.

§ 3. ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და ბავშვთა პორნოგრაფია

I. დირექტივა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

503 ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის დირექტივა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინაამდეგ ბრძოლის შესახებ შეიცავს ძირითად დეფინიციებს, დანაშაულების ნიშნებსა და სანქციებს.[846] ნევრი სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ ბავშვთა ექსპლუატაცია და ბავშვთა პორნოგრაფია ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებია. ბავშვთა პორნოგრაფია კი, როგორც ექსპლუატაციის უმძიმესი ფორმა, ინტერნეტის მეშვეობით სულ უფრო მეტად ვრცელდება. ამიტომაც საჭირო გახდა ევროკავშირის გააქტიურება.

504 დირექტივის მე-2 მუხლში მოცემულია მთელი რიგი დეფინიციებისა:

ა) „ბავშვი" – ნებისმიერი 18 წელს მიუღწეველი პირი;

ბ) „სექსუალური სიმწიფის ასაკი" – ასაკი, რომლის მიღწევამდეც ბავშვთან სქესობრივი კავშირი ნაციონალური სამართლით დასჯადია;

გ) „ბავშვთა პორნოგრაფია" – ნებისმიერი მასალა ბავშვის გამოსახულებით, რომელიც რეალურ ან სიმულირებულ, ერთმნიშვნელოვნად სექსუალურ ქმედებებში მონაწილებს;

- ბავშვის სასქესო ორგანოების პირდაპირი სექსუალური მიზნებით წარმოდგენა ნებისმიერი ფორმით;
- ნებისმიერი მასალა ბავშვის შესახედაობის მქონე პირის გამო-

[846] ABl. L 335, 17.12.2011, 1; მოცემული დირექტივა ჩაენაცვლა მანამდე მოქმედ ჩარჩოგადაწყვეტილებას (ABl. L 13, 20.1.2004, 44).

სახულებით, რომელიც რეალურ ან სიმულირებულ, ერთმნიშვნელოვნად სექსუალურ ქმედებებში მონაწილეობს, ან ამ პირის სასქესო ორგანოების პირდაპირი სექსუალური მიზნებით წარმოდგენა ნებისმიერი ფორმით, ან

- ბავშვის რეალისტური წარმოდგენა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად სექსუალურ ქმედებებში მონაწილეობს, ან მისი სასქესო ორგანოების პირდაპირი სექსუალური მიზნებით რეალისტური წარმოდგენა;

დ) „ბავშვთა პროსტიტუცია" – ბავშვის ჩაბმა სექსუალურ ქმედებებში ფულის ან სხვა სახის ანაზღაურების დაპირების ან შეთავაზების საფუძველზე და მიუხედავად იმისა, ეს ანაზღაურება ბავშვს მიეცემა თუ მესამე პირს;

ე) „პორნოგრაფიული წარმოდგენა" – რეალურ ან სიმულირებულ, პირდაპირი სექსუალური შინაარსის ქმედებებში მონაწილე ბავშვის ან მისი სქესობრივი ორგანოების პირდაპირი სექსუალური მიზნებით პუბლიკისთვის საჯარო, ცოცხალი (LIVE) წარმოდგენა, მათ შორის კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით.

ევროპელმა კანონმდებელმა ზოგად დეფინიციებთან ერთად დანაშაულების სხვადასხვა კომპლექსებიც გაითვალისწინა: ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული დანაშაულები, ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულები, სექსუალური მიზნებით ბავშვთან კონტაქტის დამყარება და ა.შ.[847] **505**

დირექტივა ცალკეულ ქმედებებთან მიმართებაში წევრ სახელმწიფოებს უტოვებს არჩევანის საშუალებას. მაგალითად, ორ პირს შორის ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი, თუ ისინი თავიანთი ასაკით, მენტალური და ფიზიკური განვითარებით ერთ საფეხურზე იმყოფებიან, შეიძლება საერთოდ არ დაისაჯოს (მაგ. ორივე არის სექსუალური სიმწიფის ასაკს მიუღწეველი პირი). **506**

წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, პასუხისგებაში მისცენ წამქეზებლები და დამხმარეები. დასჯადად უნდა გამოცხადდეს მცდელობაც. რაც შეეხება სანქციებს, აქ მოცემულია მინიმალური სტანდარტები: ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია – მინიმუმ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა; ბავშვთა პორნოგრაფია – მინიმუმ 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა; სექსულური მიზნებით **507**

[847] შეად. ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 72.

ბავშვთან კონტაქტის დამყარება – მინიმუმ 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. ის ფიზიკური პირები კი, რომლებიც გასამართლებულ იქნებიან აღნიშნული დანაშაულებისთვის, გარკვეული პერიოდით უნდა ჩამოაშორონ იმ პროფესიულ საქმიანობას, რომლითაც ისინი რეგულარულ და პირდაპირ კონტაქტში იმყოფება ბავშვებთან. ამას ემატება იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხიც.

§ 4. ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა

508 კიდევ ერთი სფერო, რომელიც ევროკავშირის მიერ ჩარჩო-გადაწყვეტილების მეშვეობით დარეგულირდა, არის ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა.[848] ნარკოტიკებით არალეგალურ ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილება 2004 წლის 25 ოქტომბერს იქნა მიღებული.[849] ის გაეროს ეგიდით ადრე მიღებულ დეფინიციებს ეყრდნობა „ნარკოტიკისა“ და „ძირითადი ნივთიერების“ ცნებებთან დაკავშირებით.[850]

509 ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-2 მუხლის პირველ აბზაცში ჩამოთვლილია ყველა ის განზრახი ქმედება, რომელიც შესაბამისი უფლების გარეშე არის ჩადენილი და დასჯადად უნდა გამოცხადდეს:

ა) ნარკოტიკების შეძენა, წარმოება, ექსტრაქცია, დამზადება, შეთავაზება, გასაღება, გადაცემა – უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით, გადატანა, ტრანზიტი, იმპორტი, ექსპორტი;

ბ) ოპიუმის ყაყაჩოს, კოკაინის ბუჩქის ან კანაფის პლანტაციის გაშენება;

გ) ნარკოტიკული ნივთიერების ფლობა ან გაყიდვა, ა) პუნქტში ჩამოთვლილი ერთ-ერთი ქმედების განხორციელების მიზნით;

დ) ძირითადი ნივთიერებების წარმოება, გადატანა ან განაწილება, რომელიც მიზნად ისახავს ნარკოტიკული ნივთიერების არალეგალურ წარმოებას.

510 ჩარჩო-გადაწყვეტილება ერთ გამონაკლისს უშვებს. კერძოდ, პირველ

---

848 შეად. Vogel, GA 2003, 324 ff.; Hecker, Europ. Strafrecht, § 11 Rn. 48.

849 ABl. L 335, 11.11.2004, 8; შეად. ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 67.

850 დანვრ. იხ. ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 68.

აბზაცში ჩამოთვლილი ქმედებების განხორციელება არ ექცევა ჩარჩო-გადაწყვეტილების მოქმედების ფარგლებში, თუ ისინი ჩადენილია პირადი მოხმარების მიზნით ნაციონალური კანონდებლობის შესაბამისად.[851] სახელმწიფოებს აქვთ ასევე უფლება, თვითონ გადაწყვიტონ, დანაშაულად გამოაცხადებენ თუ არა ნარკოტიკების შეძენის, დამზადების ან შეთავაზების მცდელობას (მუხ. 3, აბზ. 2). წაქეზება, დახმარება და მცდელობა კი დასჯადი უნდა იყოს.

ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად, ჩარჩო-გადაწყვეტი- 511
ლებაში დადგენილია სხვადასხვა სიმკაცრის სანქციები. სანქციები უნდა იყოს ქმედითი, თანაზომიერი და დამაშინებელი. სანქციის მინიმუმი იწყება 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით და აღწევს 10 წელს, თუ საქმე ეხება, მაგალითად, დიდ ოდენობას ან ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანდა რამდენიმე ადამიანს. წევრ სახელმწიფოს შეუძლია პასუხისმგებლობა შეუმსუბუქოს იმ პირს, რომელიც მართლმსაჯულების ორგანოებს დანაშაულთან დაკავშირებით მიაწვდის ისეთ ინფორმაციას, რომლის მიღებაც სხვა გზით შეუძლებელი იყო. ჩარჩო-გადაწყვეტილების თანახმად პასუხისგებაში უნდა მიეცეს იურიდიული პირიც (სხვა შემთხვევების მსგავსად, აქაც არ იგულისხმება აუცილებლად სისხლისსამართლებრივი სანქციები).

2013 წელს შემუშავებულ იქნა დირექტივის პროექტი, რომელმაც უნ- 512
და ჩაანაცვლოს ზემოთ ნახსენები ჩარჩო-გადაწყვეტილება.[852] დირექტივის რეგულაციაში მოექცევა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები, რომლებსაც ევროკომისია მნიშვნელოვან საფრთხედ განიხილავს. ამ ნაბიჯით აღნიშნული ნივთიერებები სანქციების თვალსაზრისითაც გაუთანაბრდება ჩარჩო-გადაწყვეტილებაში დასახელებულ სხვა ნივთიერებებს, რათა სისხლისსამართლებრვიად ერთიანი სურათი შეიქმნას.

დირექტივა მთლიანობაში დაეფუძნება ევროკავშირის საქმიანო- 513
ბის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის კატალოგშიც ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა პირდაპირ არის მოხსენიებული. მასზე საბოლოო კომპრომისი საბჭოსა და პარლამენტს შორის მიღწეულია, შესამაბისად, მიღებისათვის დარჩენილია მხოლოდ ფინალური პროცედურები.

[851] შეად. Hecker, Europ. Strafrecht, § 11 Rn. 54.

[852] დაწვრ. იხ. http://eur-lex.europa.eu/legal-content/de/TXT/?uri=CELEX:52013PC0618 (ნანახია 10.10.2017).

§ 5. ფულის გათეთრება

514 ფულის გათეთრებასთან ბრძოლის მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირის დირექტივა, რომლის ბოლოსწინა, მესამე რედაქცია 2005 წლის ოქტომბერში იქნა მიღებული.[853] მოცემულ დირექტივაში ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება ერთმანეთთან იქნა დაკავშირებული. ფულის გათეთრებად ჩაითვალა შემდეგი განზრახ ჩადენილი ქმედებები:

ა) ქონების გადაცვლა ან ტრანსფერი მისი არალეგალური წარმომავლობის დაფარვის ან დამნაშავე პირის მხარდაჭერის მიზნით იმ ფონზე, როდესაც დამნაშავემ იცოდა, რომ ეს ქონება კრიმინალური საქმიანობის ან მასში მონაწილეობის შედეგად იქნა მოპოვებული;

ბ) ქონების ნამდვილი წარმომავლობისა და გადაადგილების დაფარვა იმ ფონზე, როდესაც დამნაშავემ იცოდა, რომ ეს ქონება კრიმინალური საქმიანობის ან მასში მონაწილეობის შედეგად იქნა მოპოვებული;

გ) ქონების შეძენა, მფლობელობა ან გამოყენება იმ ფონზე, როდესაც პირმა იცოდა, რომ ეს ქონება კრიმინალური საქმიანობის ან მასში მონაწილეობის შედეგად იქნა მოპოვებული;

დ) ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებებში მონაწილეობა, მცდელობა, დახმარება, წაქეზება, ან რჩევების მიცემა.

515 დირექტივა აღნიშნული დანაშაულების დასასჯელად ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ მოითხოვდა ქმედითი, დამაშინებელი და თანაზომიერი სასჯელების დადგენას. მოქმედ პირთა წრეს შეიძლება მიეკუთვნებოდა იგივე საკრედიტო ინსტიტუტი, ნოტარიუსი, უძრავი ქონების მაკლერი ან კაზინო (მუხ. 2).

516 დღეისათვის მოქმედებს დირექტივის მეოთხე რედაქცია, მიღებული 2015 წლის 20 მაისს.[854] რედაქციული ცვლილებების მიზანი ყველა შემთხვევაში იყო ახალ გამოწვევებთან გამკლავება და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის გამოცდილების გაზიარება. ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების სტანდარტებთან ევროკავშირის

[853] Gentzik, Geldwäschestrafrecht, 37; Hecker, JA 2002, 726; ABl. L 309, 25.11.2005, 15.
[854] ABl. L 141, 5.6.2015, 73.

სტანდარტების დაახლოვება. ამის მაგალითია თუნდაც ელექტრონული ვალუტების გამოყენებისას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შემცირება (აბზ. 10).

დირექტივით გათვალისწინებულია სახელმწიფოების ვალდებულება, საგადასახადო დანაშაულებთან მიმართებაში გაატარონ სათანადო ღონისძიებები, თუმცა, აღნიშნული დოკუმენტი არ ცდილობს საგადასახადო დანაშაულების ერთიანი ცნების შემოღებას. სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, მეტი ეფექტურობის მისაღწევად ერთმანეთში გაცვალონ ინფორმაციები (აბზ. 11). **517**

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მათთან არსებული ყველა იურიდიული პირის ერთგვარი რეესტრის შექმნა, რათა საჭიროების შემთხვევაში მათი იდენტიფიცირება გახდეს შესაძლებელი. გარდა ამისა, ნებისმიერი ფიზიკური პირი უნდა იყოს იდენტიფიცირებადი, რომელიც იურიდიულ პირს აკონტროლებს (აბზ. 12). **518**

სანქციების კუთხით დირექტივაში პირდაპირ არ წერია, რომ სახელმწიფოებმა სისხლისსამართლებრივ ღონისძიებებეს უნდა მიმართონ, თუმცა, ეს რა თქმა უნდა, აკრძალული არ არის.[855] **519**

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირის ფარგლებში მოქმედებს სხვა დირექტივაც, რომელიც მიზნად დანაშაულებრივი გზით მიღებულ შემოსავლებთან ბრძოლას ისახავს.[856] **520**

§ 6. კორუფციასთან ბრძოლა

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველ აბზაცში, სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებთან ერთად, დასახელებულია კორუფცია. კორუფციასთან ბრძოლა სხვადასხვა დონეზე მიმდინარეობს, იქნება ეს გაერო, ევროსაბჭო თუ სხვა.[857] მნიშვნელოვანი ტერმინები, რომლებიც საერთაშორისო შეთანხმებებში ფიგურირებს, არის ქრთამის აღება და ქრთამის მიცემა (მოსყიდვა). ევროსაბჭოს 1999 წლის კონვენცია შეიცავს მოსყიდვას **521**

[855] Jähnke/Schramm, Europäisches Strafrecht, Kap. 11, Rn. 23.

[856] ABl. L 127, 3.4.2014, 39.

[857] დაწვრ. იხ. Hecker, Europ. Strafrecht, § 5 Rn. 6 ff.; Wolf, NJW 2006, 2735 ff.; Hetzer, NJW 2004, 3746 ff.

როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში.[858] მექრთამეობის ეს ცნებები ევროკავშირის ფარგლებში გამოცემულ აქტებშიც არის ასახული. ევროგაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხმების პირველ დამატებით ოქმში[859] ქრთამის აღება შემდეგი შინაარსით არის დეფინირებული: მოხელის მიერ განზრახ უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით თავისთვის ან სხვისთვის ნებისმიერი სახის სარგებლის მოთხოვნა, მიღება ან ასეთის თაობაზე დაპირების მიღება, რათა მან მისი ვალდებულებების დარღვევით თავისი საქმიანობის ფარგლებში გარკვეული ქმედება ან უმოქმედობა განახორციელოს, რითაც ევროგაერთიანების ფინანსური ინტერესები დაზიანდება ან შეიძლება დაზიანდეს (მუხ. 2, აბზ. 1). ხოლო რაც შეეხება ქრთამის მიცემას, ამას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც პირი განზრახ უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით ნებისმიერი სახის სარგებელს შესთავაზებს მოხელეს თავისთვის ან სხვისთვის, რათა მან თავისი საქმიანობის ფარგლებში გარკვეული ქმედება ან უმოქმედობა განახორციელოს, რითაც ევროგაერთიანების ფინანსური ინტერესები დაზიანდება ან შეიძლება დაზიანდეს (მუხ. 3, აბზ. 1). ოქმში განსაზღვრულია, რომ ქრთამის მიცემა და ქრთამის აღება წევრ სახელმწიფოებში დასჯადი უნდა იყოს და სულ მცირე მძიმე შემთხვევების დროს სანქციონირება უნდა მოხდეს თავისუფლების აღკვეთის სახით (მუხ. 5, აბზ. 1). იგივე მოთხოვნებს შეიცავს ევროკავშირის შეთანხმება მექრთამეობის შესახებ.[860]

I. ჩარჩო-გადაწყვეტილება კერძო სექტორში კორუფციასთან ბრძოლის შესახებ

522 კორუფციის თემა საჯარო სექტორთან ერთად კერძო სექტორისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. ევროკავშირის ფარგლებში ჯერ კიდევ 1998 წელს იქნა კერძო სექტორში მექრთამეობასთან საბრძოლველად ერთიანი ღონისძიებები გატარებული.[861] წევრ სახელმწიფოებს ამით დაეკისრა მექრთამეობასთან ბრძოლა, სულ მცირე მაშინ, როცა ის

[858] კონვენციის ტექსტი იხ. ვებ-გვერდზე: http://conventions.coe.int/Treaty/GER/Treaties/Html/173.htm (ნანახია 2.8.2017).

[859] ABl. C 316, 27.11.1997, 49.

[860] ABl. C 195, 25.7.1997, 2.

[861] ABl. L 358, 31.12.1998, 2.

კონკურენციას უშლიდა ხელს.[862]

მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ჩარჩო-გადაწყვეტილების გამოცემა კერძო სექტორში კორუფციასთან ბრძოლის შესახებ.[863] საბჭოს შეფასებით, ეს პრობლება ნაციონალურ ჩარჩოებს სცდებოდა, ვინაიდან ის ჯანსაღ კონკურენციასა და ეკონომიკის განვითარებას უშლიდა ხელს.[864] **523**

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს შესაბამის ზომებს, რათა უზრუნველყოს აქ ჩამოთვლილი განზრახი ქმედებების დანაშაულად გამოცხადება, რომლებიც ჩადენილ იქნება საწარმოო საქმიანობის სფეროში: **524**

ა) ქმედებები, რომლის დროსაც პირი უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით საწარმოში ხელმძღვანელის ან სხვა ფუნქციის მატარებელ პირს თავისთვის ან სხვისთვის რაიმე სარგებელს დაჰპირდება, შესთავაზებს ან მისცემს, რათა მან თავისი ვალდებულებების დარღვევით რაიმე ქმედება განახორციელოს ან ქმედებისგან თავი შეიკავოს;

ბ) ქმედებები, რომლის დროსაც საწარმოში ხელმძღვანელის ან სხვა ფუნქციის მატარებელი პირი, უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით თავისთვის ან სხვისთვის სარგებელს მოითხოვს, მიიღებს ან ასეთის თაობაზე დაპირებას მიიღებს, რათა მან თავისი ვალდებულებების დარღვევით რაიმე ქმედება განახორციელოს ან ქმედებისაგან თავი შეიკავოს (მუხ. 2 აბზ. 1).

ახორციელებს თუ არა საწარმო თავის საქმიანობას მოგების მიზნით ან მის გარეშე, კვალიფიკაციისთვის არა აქვს მნიშვნელობა. თუმცა, სახელმწიფოებს შეუძლიათ მხოლოდ ისეთი ქმედებები დასაჯონ, რასაც შედეგად კონკურენციისთვის ხელის შეშლა მოჰყვა ან შეიძლება მოჰყვეს. დასჯადია ასევე წაქეზება და დახმარება (მუხ. 3). **525**

აღნიშნულ ჩარჩო-გადაწყვეტილებაში მოცემული დანაშაულებისთვის გამოყენებულ უნდა იქნას ქმედითი, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციები. მინიმალური სასჯელი 1-დან 3 წლამდე უნდა იყოს. გარდა ამისა, თუ პირს ხელმძღვანელის პოზიცია უჭირავს საწარმოში და საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მან პოტენციურად შეიძლება ისევ ჩაიდინოს მექრთამეობის შემადგენლობა და ამისთვის თავისი **526**

[862] Wolf, NJW 2006, 2735; Hetzer, NJW 2004, 3747.
[863] ABl. L 192, 31.12.1998, 54.
[864] შეად. Hecker, Europ. Strafrecht, § 11 Rn. 73.

პოზიცია გამოიყენოს, მაშინ მას გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნდა აეკრძალოს საქმიანობის განხორციელება საწარმოში (მუხ. 4). პასუხისმგებლობა დაეკისრებათ იურიდიულ პირებსაც (მუხ. 5).

§ 7. გადახდის საშუალებების გაყალბება

I. ევროსა და სხვა ვალუტების სისხლისსამართლებრივი დაცვა

527 ევროკავშირი დიდ ყურადღებას უთმობს მისი ერთიანი ვალუტის, ევროს, დაცვას. ეს პროცესი ჯერ კიდევ ევროს მიმოქცევაში შესვლამდე (1.1.2002) დაიწყო. ევროს შემოღების შესახებ 1998 წლის დადგენილებაში სახელმწიფოებს დაეკისრათ ამ ვალუტის გაყალბებისაგან დაცვის ვალდებულება.[865] 2000 წელს კი მიღებულ იქნა ჩარჩო-გადაწყვეტილება გაყალბებისგან ევროს სისხლისსამართლებრივი ღონისძიებებით დაცვის შესახებ.[866]

528 ევროს ეფექტური დაცვისთვის სისხლისსამართლებრივად შემდეგი ქმედებები უნდა ყოფილიყო დასჯადი (მუხ. 3, აბზ. 1):

ა) ფულის ნებისმიერი სახით გაყალბება თაღლითური მიზნით;

ბ) ყალბი ფულის მიმოქცევაში ჩაშვება თაღლითური მიზნით;

გ) ყალბი ფულის შემოტანა, გატანა, ტრანსპორტირება, მიღება ან შეძენა მისი მიმოქცევაში ჩაშვების მიზნით;

დ) ფულის გაყალბებისთვის საჭირო ხელსაწყოების, საგნების, კომპიუტერული პროგრამების, ჰოლოგრამების, ფულის დამცავი სხვა საშუალებების ან სხვა ნივთების დამზადება, მიღება, შეძენა ან ფლობა.

529 თითოეულ წევრ სახელმწიფოს უნდა უზრუნველეყო აქ ჩამოთვლილ ქმედებებში წაქეზების ან თანამონაწილეობის დასჯადობა. რაც შეეხება მცდელობას, დასჯადობის ვალდებულება ვრცელდებოდა მხოლოდ ა-გ ქვეპუნქტებზე (მუხ. 3, აბზ. 2). ჩარჩო-გადაწყვეტილება სანქციებზეც შეიცავდა გარკვეულ მოთხოვნებს, კერძოდ, ფულის გაყალბება სულ მცირე 8 წლით თავისუფლების აღკვეთით უნდა დასჯილიყო (მუხ. 6, აბზ. 2). სხვადასხვა სახის სანქცია იყო გათვალისწი-

[865] ABl. L 139, 11.5.1998, 1.

[866] ABl. L 140, 14.6.2000, 1; Hecker, Europ. Strafrecht, § 11 Rn. 80.

ნებული იურიდიული პირებისთვისაც (მუხ. 8, 9).

2001 წლის დეკემბერში საბჭომ ახალი ჩარჩო-გადაწყვეტილება გა- 530
მოსცა, რომლითაც მანამდე მოქმედი ჩარჩო-გადაწყვეტილება ერთი მნიშვნელოვანი პუნქტით შეივსო.[867] კერძოდ, საუბარია იმ პირებზე, რომლებიც აღნიშნული დანაშაულების გამო უკვე გასამართლდნენ სხვა წევრ სახელმწიფოში და მათ დანაშაული ისევ ჩაიდინეს.[868] მეორე ჩარჩო-გადაწყვეტილება განსაზღვრავდა, რომ განმეორებას მაშინაც ექნებოდა ადგილი, როდესაც პირი თუნდაც ნებისმიერი სხვა ვალუტის გაყალბების გამო იქნებოდა სხვა წევრ სახელმწიფოში გასამართლებული. ამან შეეძლო პირის პასუხისმგებლობა დაემძიმებინა.[869]

დღეისათვის ამ სფეროში მოქმედებს დირექტივა,[870] რომელმაც წინა- 531
მორბედი ჩარჩო-გადაწყვეტილება ჩაანაცვლა და გარკვეულწილად შეავსო. ის 2014 წელს იქნა მიღებული და წევრ სახელმწიფოებს 2016 წლის მაისამდე ჰქონდათ იმპლემენტაციის ვადა.

დირექტივაში ხაზგასმულია, რომ სისხლისსამართლებრივი დაცვა უნ- 532
და ვრცელდებოდეს მიმოქცევაში მყოფ, როგორც ქაღალდისგან, მეტალისგან, ასევე სხვა მასალისგან დამზადებულ ნებისმიერ ბანკნოტსა და მონეტაზე. დასჯადად ცხადდება, მაგალითად, ისეთი ევროს ბანკნოტების ან მონეტების გაყალბება, რომლებიც ახალ ნიმუშებს წარმოადგენენ და ჯერ მიმოქცევაში არ ჩაშვებულან. მთლიანობაში დირექტივა ორიენტირს იღებს 1929 წლის 20 აპრილს, ჟენევაში, დადებულ საერთაშორისო შეთანხმებაზე ფულის გაყალბების შესახებ. შეთანხმებით თანახმად ხელშემკვრელმა მხარეებმა არ უნდა მოახდინონ არაეროვნული ვალუტების დისკრიმინაცია დაცვის თვალსაზრისით.

II. თაღლითობისა და გადახდის არაფულადი საშუალებების გაყალბებისგან დაცვა

2001 წლის ივნისში ძალაში შევიდა ჩარჩო-გადაწყვეტილება თაღ- 533
ლითობისა და არაფულადი საშუალებების გაყალბებისგან დაცვის

[867] ABl. L 329, 14.12.2001, 3.
[868] Hecker, Europ. Strafrecht, § 11 Rn. 87.
[869] Hecker, Europ. Strafrecht, § 11 Rn. 88.
[870] ABl. L 151, 21.5.2014, 1.

შესახებ.[871] ეს დოკუმენტი იცავს ე.წ. „გადახდის ინსტრუმენტებს". ეს ისეთი ინსტრუმენტებია (გარდა ბანკნოტებისა და მონეტებისა), რომლებიც მის მფლობელს თავიანთი განსაკუთრებული თვისებებიდან გამომდინარე საშუალებას აძლევენ, გადასცეს ან გადაიტანოს ფული ან სხვა მონეტარული ღირებულება. ასეთია, მაგალითად, საკრედიტო ბარათი, ჩეკი, ევროჩეკი და ასე შემდეგ და მას გაყალბებისგან დამცავი სპეციალური დიზაინი, კოდი ან ხელმოწერა გააჩნია (მუხ. 1, აბზ. 1).

534 მე-2 მუხლის თანახმად, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ აქ ჩამოთვლილი ქმედებების სისხლისსამართლებრივი დასჯადობა, თუ ისინი ჩადენილია განზრახ:

ა) გადახდის ინსტრუმენტის ქურდობა ან სხვაგვარი მართლსაწინააღმდეგო მითვისება;

ბ) თაღლითური გამოყენების მიზნით გადახდის ინსტრუმენტის გაყალბება;

გ) გაყალბებული, მოპარული ან სხვაგვარად მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებული გადახდის ინსტრუმენტის მიღება, შეძენა, ტრანსპორტირება, გაყიდვა ან გადაცემა სხვა პირისთვის თაღლითური გამოყენების მიზნით;

დ) მოპარული ან სხვაგვარად მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებული ან გაყალბებული გადახდის ინსტრუმენტის თაღლითური გამოყენება.

535 დასჯადად უნდა გამოცხადდეს ასევე მთელი რიგი კომპიუტერული დანაშაულებისა, რომლებიც დაკავშირებული არიან ქონებრივი უპირატესობის არაკანონიერ მიღებასთან (მაგ. საიდენტიფიკაციო მონაცემების უკანონო შეცვლა - მუხ. 3).[872] იგივე წესი ვრცელდება თაღლითური მიზნებით გადახდის ინსტრუმენტების გაყალბებისთვის საჭირო მოწ-ყობილობების, კომპიუტერული პროგრამებისა და სხვა საგნების განზრახ დამზადებაზე, მიღებაზე, ფლობაზე, შეძენაზე, გაყიდვაზე ან გადაცემაზე (მუხ. 4). წევრი სახელმწიფო ვალდებულია დასაჯოს მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებში ჩამოთვლილი დანაშაულების თანამონაწილე ან წამქეზებელი. მცდელობის დასჯადობა კი ვრცელდება მხოლოდ მე-2 მუხლის „ა", „ბ" და „დ" ქვეპუნქტებზე და მე-3

[871] ABl. L 149, 2.6.2001, 1.

[872] შეად. ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 70.

მუხლზე. სანქციებზე მითითებისას ჩარჩო-გადაწყვეტილება ზოგადი მოთხოვნით – ქმედითი, თანაზომიერი და დამაშინებელი – შემოიფარგლება, რაც სულ მცირე მძიმე დანაშაულების დროს თავისუფლების აღკვეთასაც მოიცავს (მუხ. 6).

გადახდის არაფულადი საშუალებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის პასუხი უნდა აგონ იურიდიულმა პირებმაც. მათი სანქციონირების საკითხი დადგება მაშინაც, თუკი იურიდიული პირის ხელმძღვანელმა მისი ქვემდგომი პირი არასათანადოდ გააკონტროლა და ამან დანაშაულის ჩადენა გახადა შესაძლებელი (მუხ. 7, აბზ. 2). **536**

2017 წელს ევროკომისიამ გადაწყვიტა შეემუშავებინა აღნიშნულ სფეროში დირექტივის პროექტი, რომელმაც მომავალში ჩარჩო-გადაწყვეტილება უნდა ჩაანაცვლოს. ეს გამოწვეულია იმით, რომ თანამედროვე ტენდენციებს მოქმედი დოკუმენტი სრულყოფილად ვერ პასუხობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. ვირტუალური ფულის გამოყენების პრობლემატიკა. პროექტის მიხედვით უნდა შემოვიდეს ახალი სისხლისსამართლებრივი შემადგენლობები, გაუმჯობესდეს მართლმსაჯულების ორგანოების შორის თანამშრომლობა, დაზუსტდეს განსჯადობის საკითხები და ა.შ.[873] **537**

§ 8. კიბერდანაშაულები

I. ჩარჩო-გადაწყვეტილება ინფორმაციულ სისტემებზე თავდასხმის შესახებ

სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაციისკენ ნაბიჯები ევროკავშირმა ინფორმაციული სისტემების დაცვის მიმართულებითაც გადადგა.[874] ჩარჩო-გადაწყვეტილება ინფორმაციულ სისტემებზე თავდასხმის შესახებ საბჭოს მიერ გამოცემულ იქნა 2005 წელს.[875] ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზანი იყო ხელი შეეწყო თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის ერთიანი სივრცის შექმნისათვის. ინფორმაციულ სისტემებზე თავდასხმამ ამ სივრცეს შეიძლება საფრთხე შეუქმნას. მათი დაცვა ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანა- **538**

[873] დაწვრ. იხ. https://www.bundesrat.de/SharedDocs/beratungsvorgaenge/2017/0601-0700/0653-17.html?nn=4353132&cms_topNr=653%2F17#top-653/17 (ნანახია 10.10.2017).

[874] შეად. Hecker, Europ. Strafrecht, § 11 Rn. 98; Vogel GA 2003, 325 ff.

[875] ABl. L 69, 16.3.2005, 67.

შაულებთან ბრძოლის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია.[876]

539 ჩარჩო-გადაწყვეტილება ინფორმაციულ სისტემებზე თავდასხმის შესახებ შეიცავდა მნიშვნელოვან დეფინიციებს. „ინფორმაციული სისტემა" არის მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით კომპიუტერული მონაცემების დამუშავებას უზრუნველყოფს (მუხ. 1, ქვეპ. „ა"). „კომპიუტერული მონაცემი" კი არის კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისთვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით წარმოდგენილი ფაქტები, ინფორმაციები, ან კონცეფციები, მათ შორის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას (მუხ. 1, ქვეპ. „ბ").

540 მე-2-5 მუხლებში საუბარი იყო კონკრეტულ დელიქტებზე, რომლებსაც წევრი სახელმწიფოები ერთნაირად უნდა აღდგომოდნენ წინ. თავდაპირველად საუბარია ინფორმაციულ სისტემაში მართლსაწინააღმდეგო შეღწევაზე (მუხ. 2). განზრახ და ნებართვის გარეშე ინფორმაციულ სისტემაში მთლიანად ან ნაწილობრივ შეღწევა სულ მცირე მაშინ უნდა ყოფილიყო დასჯადი, თუ საქმე ეხებოდა მძიმე შემთხვევას. თუმცა, იქვე პენალიზაციის ეს ვალდებულება შერბილებულია.[877] წევრ სახელმწიფოს უფლება ჰქონდა სისხლისსამართლებრივად სისტემაში შეღწევა მხოლოდ მაშინ დაესაჯა, თუ ეს მოხდებოდა უსაფრთხოების ზომების დარღვევის გზით (აბზ. 2). ამ ნორმის ძირითადი მიზანი იყო ე.წ. ჰაკერებისგან დაცვა.[878] ჰაკერობა ნიშნავს სხვის კომპიუტერულ სისტემაში ფარულად შეღწევას ელექტრონული გზებით და ეს შესაძლებელია მოხდეს ყოველგვარი კონკრეტული მიზნის გარეშეც.[879] ხშირად მისი მიზანია უბრალოდ ჰაკერის ტექნიკური შესაძლებლობების ჩვენება.[880]

541 ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-3 მუხლი ადგენდა ინფორმაციულ სისტემებზე თავდასხმის დასჯადობას სულ მცირე მძიმე შემთხვევების დროს. თავდასხმაში იგულისხმება ინფორმაციული სისტემის მუშაობისთვის განზრახ და უნებართვოდ ხელის შეშლა, იქნება ეს დაზიანების, წაშლის, შეცვლის თუ სხვა გზით.

542 მე-4 მუხლი იცავდა ინფორმაციული სისტემის კომპიუტერულ მო-

876 შეად. Schanbl, wistra 2004, 214.
877 Hecker, Europ. Strafrecht, § 11 Rn. 102.
878 Hecker, Europ. Strafrecht, § 11 Rn. 102.
879 Schanbl, wistra 2004, 212.
880 Hecker, Europ. Strafrecht, § 11 Rn. 102.

ნაცემებს. წევრი სახელმწიფოები იღებდნენ შესაბამის ზომებს, რათა უზრუნველეყოთ მონაცემების სისხლისსამართლებრივად დაცვა უნებართვოდ წაშლის, შეცვლის, დაზიანების, დაფარვის ან სხვაგვარად ხელის შეშლისგან სულ მცირე მძიმე შემთხვევების დროს. მე-5 მუხლით დასჯადი უნდა ყოფილიყო ასევე ზემოთ ჩამოთვლილი დელიქტების წაქეზება, დახმარება ან მცდელობა. მცდელობასთან მიმართებაში სახელმწიფოს თვითონ შეეძლო გადაწყვიტოს, დასჯიდა თუ არა მის ჩამდენს.

543 წევრ სახელმწიფოებს ჩარჩო-გადაწყვეტილებაში ჩამოთვლილი დანაშაულებისთვის უნდა დაედგინათ ქმედითი, თანაზომიერი და დამაშინებელი შინაარსის სანქციები. მე-3 და მე-4 მუხლებთან მიმართებაში მინიმალური სასჯელი უნდა ყოფილიყო სულ მცირე 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. თუ დანაშაული ჩადენილ იქნებოდა დანაშაულებრივი გაერთიანების ფარგლებში, სასჯელი მკაცრდებოდა (სულ მცირე 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა). დასჯადობის ვალდებულება ვრცელდებოდა იურიდიულ პირებზეც.

544 2013 წელს აღნიშნული ჩარჩო გადაწყვეტილება ჩაანაცლა დირექტივამ.[881] მასში უფრო დეტალურად არის განხილული კიბერდანაშაულების ფორმები და აქცენტები დასმულია სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის პირადი მონაცემების დაცვის კუთხით. სანქციებთან მიმართებაში სახელმწიფოებმა სულ მცირე არაუმნიშვნელო თავდასხმების დროს სისხლის სამართალი უნდა გამოიყენონ. თუ რა ექცევა ამ სიმძიმის ფორმებში, ეს უკვე შიდასამართლებრივი საკითხია. აღსანიშნავია ისიც, რომ დასჯადობის ვალდებულება ეხება მხოლოდ განზრახ ჩადენილ კიბერდანაშაულებს (აბზ. 17). სასჯელების მინიმალური სტანდარტები და ცალკეული ცნებების დეფინიციები ძირითადად ადრე მოქმედ ჩარჩო-გადაწყვეტილებას ემთხვევა და ამიტომ ისევ არ განვიხილავთ.

[881] ABl. L 218, 14.8.2013, 8.

§ 9. ორგანიზებული დამნაშავეობა

I. ჩარჩო-გადაწყვეტილება ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ

545 ორგანიზებული დამნაშავეობა მოცემულია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი აბზაცის კატალოგში, მაგრამ მისი ერთიანი დეფინიცია ჯერ კიდევ არ არსებობს.[882] ის, ზოგადად, წევრ სახელმწიფოებში დაკავშირებულია ჯგუფის, გაერთიანების ან მასში მონაწილეობის ცნებებთან. ამას ემატება ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ სისტემებში მოქმედი შეთქმულების ცნება, რაც ორი პირის შეთანხმებას გულისხმობს დანაშაულის ჩადენაზე.[883] ორგანიზებული დამნაშავეობის გაგებისთვის შეგვიძლია მოვიშველიოთ ევროკავშირის 1998 წლის 21 დეკემბრის ერთობლივი ღონისძიება დანაშაულებრივი გაერთიანებების დასჯადობის შესახებ.[884]

546 ერთობლივი ღონისძიება დანაშაულებრივ გაერთიანებად განიხილავს ორზე მეტი პირის ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილ ორგანიზებულ კავშირს, რომლებიც იმ დანაშაულების ჩადენის მიზნით მოქმედებენ, რომლებისთვისაც გათვალისწინებულია სასჯელი სულ მცირე 4 წლის ვადით. ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა, უშუალოდ ამ დანაშაულების ჩადენა იყო მთავარი მიზანი თუ ისინი მხოლოდ საშუალებას წარმოადგენდა ფულადი ღირებულებების მისაღებად ან საჯარო დანესებულებების საქმიანობაზე გავლენის მოსახდენად.[885]

547 მოცემულ დეფინიციას ეყრდნობა ჩარჩო-გადაწყვეტილება ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ,[886] მაგრამ მას ჩაემატა ორგანიზებული კავშირის განმარტება. ორგანიზებული კავშირი ეს არის უშუალოდ დანაშაულის ჩასადენად შექმნილი არაშემთხვევითი კავშირი და მისთვის არ არის აუცილებელი ფორმალურად ჩამოყალიბებული წესებისა და სტრუქტურის არსებობა ან წევრებს შორის როლების გადანაწილება.

---

882 Kreß/Gazeas, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 18 Rn. 2; Hecker, Europ. Strafrecht, § 11 Rn. 112.

883 Kreß/Gazeas, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 18 Rn. 3.

884 ABl. L 135, 29. 12. 1998, 1; Hecker, Europ. Strafrecht, § 11 Rn. 112.

885 Vogel, GA 2003, 326 ff.

886 ABl. L 300, 11.11.2008, 42; Hecker, Europ. Strafrecht, § 11 Rn. 112.

ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-2 მუხლში ჩამოთვლილია დანაშაულებრივ გაერთიანებასთან დაკავშირებული დასჯადი შემდეგი ქმედებები: 548

ა) პირის აქტიური მონაწილეობა დანაშაულებრივი გაერთიანების საქმიანობაში, მისთვის ინფორმაციის ან მატერიალური საშუალებების მიწოდება, წევრების გადაბირება ან გაერთიანების სხვადასხვა სახით დაფინანსება, რომელსაც ის სჩადის განზრახ და გაერთიანების საქმიანობის მიზნის ცოდნის ფონზე და იცის, რომ მისი მონაწილეობა გაერთიანების დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელებას უწყობს ხელს.

ბ) პირის მიერ ერთ ან რამდენიმე პირთან შეთანხმება წინა ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ქმედებების განხორციელების შესახებ. დასჯადობისთვის არა აქვს მნიშვნელობა, პირმა თვითონ უშუალოდ მიიღო თუ არა დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობა.

ჩამოთვლილი დანაშაულებისთვის გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა სულ მცირე 2-დან 5 წლამდე ვადით. წევრმა სახელმწიფოებმა დანაშაულის ჩადენა დანაშაულებრივი გაერთიანების ფარგლებში უნდა განიხილონ როგორც დამამძიმებელი გარემოება. შესაძლებელია სასჯელის შემცირება, თუ საქმე ეხება ქმედით მონანიებას ან დამნაშავე მთავარი მოწმეა და თანამშრომლობს გამოძიებასთან.[887] იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი ევროკავშირის სხვა ჩარჩო-გადაწყვეტილებების თუ დირექტივების მსგავსად წყდება. 549

II. არალეგალური მიგრაცია

არალეგალური მიგრაცია ბოლო ათეული წლებია მობილობის ზრდასთან ერთად სახელმწიფოებისთვის ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით მძიმე თავსატეხად იქცა.[888] დანაშაულის ეს სახე რთულ ლოგისტიკას საჭიროებს და ამიტომაც ორგანიზებული დანა- 550

[887] Kreß/Gazeas, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 18 Rn. 19.

[888] Kilching/Herz, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 22 Rn. 1.

შაულების ერთ-ერთი გამოვლინებაა.[889]

551 არალეგალურ მიგრაციასთან საბრძოლველად 2008 წლის ნოემბერში ევროკავშირმა ორი მნიშვნელოვანი აქტი გამოსცა: ჩარჩო-გადაწყვეტილება უკანონო შემოსვლაში, ტრანზიტსა და ყოფნაში დახმარების წინააღმდეგ მიმართული სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამკაცრების შესახებ[890] და დირექტივა უკანონო შემოსვლაში, ტრანზიტსა და ყოფნაში დახმარების დეფინიციის შესახებ.[891]

552 დირექტივა მოითხოვს (მუხ. 1, 3), რომ წევრ სახელმწიფოებში ქმედითი, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციები იქნას გამოყენებული იმ დამნაშავის მიმართ, რომელიც

ა) ევროკავშირის არანევრი სახელმწიფოს მოქალაქეს განზრახ დაეხმარება წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის დარღვევით შემოსვლაში ან მის ტერიტორიაზე გავლაში;

ბ) ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოს მოქალაქეს მოგების მიღების მიზნით დაეხმარება წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის დარღვევით მის ტერიტორიაზე ყოფნაში.

553 წევრ სახელმწიფოებს ამავდროულად აქვთ უფლება, „ა“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ქმედებები არ დასაჯონ, თუ მათი მიზანი პირისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა იყო (მაგ. ის ტრეფიკინგის მსხვერპლია). გარდა ამისა, დასჯადია წაქეზება, დახმარება და მცდელობა. ეს ვალდებულება არ ეხება, რა თქმა უნდა, აქ ნახსენებ ჰუმანიტარული მიზნებით ჩადენილ ქმედებას.

554 რაც შეეხება ჩარჩო-გადაწყვეტილებას, იქ უკვე დაკონკრეტებულია დირექტივაში ჩამოთვლილი ქმედებების განხორციელებისას გამოსაყენებელი სანქციები, იქნება ეს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, დანაშაულის საგნის კონფისკაცია თუ დეპორტაცია. თუ დანაშაული ჩადენილია დანაშაულებრივი გაერთიანების ფარგლებში, სასჯელი უნდა იყოს სულ მცირე 8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. თუ ეს ვადა წინააღმდეგობაში მოდის რომელიმე წევრი სახელმწიფოს სასჯელთა სისტემასთან, მაშინ შესაძლებელია ამ ვადის 6 წლამდე დანევა. იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხი მოწესრიგებულია მე-2 და მე-3 მუხლებში.

---

[889] Kilching/Herz, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 22 Rn. 3; Hecker, Europ. Strafrecht, § 11 Rn. 122.

[890] ABl. L 328, 5.12.2002, 1.

[891] ABl. L 328, 5.12.2002, 17.

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლში რასიზმი და ქსენოფობია არ არის დასახელებული, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირის დონეზე ამ საკითხის სისხლის-სამართლებრივად დარეგულირება დაუშვებელია. იმავე ხელშეკრულების 67-ე მუხლის მე-3 აბზაცი ამის შესაძლებლობას იძლევა. ამ მუხლის თანახმად, ევროკავშირი ატარებს ღონისძიებებს რასიზმთან თუ ქსენოფობიასთან საბრძოლველად.[892] 555

მიუხედავად ამისა, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდგომ, ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, ხომ არ კრძალავს 83-ე მუხლი რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი რეგულაციების გამოყენებას. ერთი მხრივ, გვაქვს 67-ე მუხლი, რომლითაც ეს დაშვებულია და მეორე მხრივ, 83-ე მუხლი, რომლის კატალოგში, რომელიც სწორედაც რომ სისხლისსამართლებრივად რეგულირებად საკითხებს ეხება, ეს არ არის ნახსენები. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ 67-ე მუხლი არის ზოგადი და ატარებს მხოლოდ პროგრამულ შინაარს, მაშინ მის საფუძველზე რასიზმთან და ქსენოფობიასთან სისხლისსამართლებრივი მექანიზმებით ბრძოლა დაუშვებელი იქნება.[893] ამავდროულად ამის უარყოფაც რთულია, ვინაიდან ჯერ კიდევ წინა საუკუნის 70-იანი წლებიდან ევროგაერთიანება/ევროკავშირი ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს, მათ შორის სისხლის სამართლის კუთხითაც.[894] მოგვიანებით გადადგმულ იქნა კონკრეტული ნაბიჯები,[895] კერძოდ, 1996 წელს მიიღეს ერთობლივი ღონისძიება.[896] 2008 წელს ამას მოჰყვა რასიზმისა და ქსენოფობიის გამოხატულების ცალკეულ ფორმებთან სისხლისსამართლებრივი საშუალებებით ბრძოლის შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილება.[897] ის ჩაენაცვლა მანამდე მოქმედ ერთობლივ ღონისძიებას. 556

ყოველივე აქედან გამომდინარე, არალოგიკური იქნებოდა დღეის- 557

892 Weiß, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 25 Rn. 21.

893 Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 34.

894 იხ. ევროპარლამენტის, საბჭოსა და კომისიის ერთობლივი განცხადება ძირითადი უფლებებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დაცვის შესახებ - ABl. C 103, 24.7.1977, 1.

895 Weiß, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 25 Rn. 21; Vogel, GA 2003, 328.

896 ABl. L 185, 24. 7. 1996, 5.

897 ABl. L 328, 6.12.2008, 55.

თვის რასიზმთან და ქსენოფობიასთან ბრძოლის თვალსაზრისით ევროკავშირის კომპეტენციის უარყოფა. ჩვენ ის უნდა მოვიაზროთ როგორც თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის ერთიანი სივრცის რეალიზაციის შემადგენელი ნაწილი.[898] მართალია, ამ დროს სახელმწიფოს არა აქვს საშუალება, საჭიროების შემთხვევაში 83-ე მუხლის მსგავსად გამოიყენოს საავარიო მუხრუჭი და დაბლოკოს დირექტივის პროექტი, ვინაიდან ეს არ წერია 67-ე მუხლში, მაგრამ შესაძლებელია 83-ე მუხლის მე-3 აბზაცის ანალოგიით გამოყენება და ვეტოს დადება, ვინაიდან აქაც ისევ და ისევ საქმე ეხება დირექტივების გამოცემის გზით ჰარმონიზაციას.[899]

I. ჩარჩო-გადაწყვეტილება რასიზმისა და ქსენოფობიის გამოხატულების ცალკეულ ფორმებთან ბრძოლის შესახებ

558 რასიზმი და ქსენოფობია უშუალოდ საფრთხეს უქმნის ევროკავშირის უმთავრეს ღირებულებებს – დემოკრატიას, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას. აქედან გამომდინარე, კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა დამნაშავე ფიზიკური და იურიდიული პირების წინააღმდეგ ერთიანი მიდგომის გასატარებლად გამოსცეს ჩარჩო-გადაწყვეტილება. პირველი მუხლის პირველი აბზაცის თანახმად დასჯადია შემდეგი ქმედებები:

ა) ძალადობის ან სიძულვილისკენ საქვეყნო მოწოდება რასით, კანის ფერით, რელიგიით, წარმოშობით, ნაციონალური ან ეთნიკური ნიშნით დეფინირებული პირთა ჯგუფის ან ამ ჯგუფის წევრის მიმართ;

ბ) „ა“ ქვეპუნქტში მოცემული ერთ-ერთი ქმედების ჩადენა ნაწერების, სურათების ან სხვა მასალების საჯაროდ გავრცელების გზით;

გ) სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მე-6-მე-8 მუხლებით გათვალისწინებული გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისა და ომის დანაშაულების იმ ფაქტების საჯაროდ უარყოფა, დაკნინება ან მოწონება, რომლებიც მიმართული იყო რასით, კანის ფერით, რელიგიით, წარმოშო-

[898] Weiß, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 25 Rn. 21.

[899] შეად. Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 9 Rn. 53.

ბით, ნაციონალური ან ეთნიკური ნიშნით დეფინირებული პირთა ჯგუფის ან ამ ჯგუფის წევრის მიმართ და რომელიც იმ ფორმით ხორციელდება, რომ გარკვეული ალბათობით გააღვივებს ჯგუფის ან მისი წევრის წინააღმდეგ ძალადობას ან სიძულვილს;

დ) იგივე ქმედება, ჩადენილი ნაცისტური დანაშაულების უარყოფის თვალსაზრისით, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის შესახებ 1948 წლის ლონდონის შეთანხმებაში.[900]

ჩარჩო-გადაწყვეტილება სახელმწიფოებს მოქმედების გარკვეულ თა- **559**
ვისუფლებას უტოვებს და მათ შეუძლიათ მხოლოდ ისეთი ქმედებები დასჯონ, რომლებიც საფრთხეს უქმნის საჯარო წესრიგს ან მუქარასა და შეურაცხყოფას შეიცავს. დასჯადი უნდა იყოს ასევე პირველი მუხლის პირველი აბზაცის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ დანაშაულებში წაქეზება. იგივე ვრცელდება დახმარებაზეც. სასჯელის მინიმალურ მოთხოვნად დადგენილია თავისუფლების აღკვეთა სულ მცირე 1-დან 3 წლამდე ვადით. რასისტული და ქსენოფობიური მოტივებით სხვა დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში (რომლებიც არ შედიან მოცემული ჩარჩო-გადაწყვეტილების კატალოგში) დანაშაულის კვალიფიკაცია უნდა მოხდეს როგორც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილის ან სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას ეს მომენტი უნდა გაითვალისწინოს.

§ 11. გარემოს დაცვა

გარემოსა და კლიმატის დაცვა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. გარე- **560**
მოში ყოველგვარი არამართლზომიერი ჩარევის შედეგად გამოწვეული მოვლენები კონკრეტულ საზღვრებს არ ცნობენ და ეს საერთო პრობლემაა.[901] სხვადასხვა სახელმწიფოები გარემოს დაცვის სხვადასხვა მოდელებს მისდევენ, იქნება ეს სისხლისსამართლებრივი თუ ადმინისტრაციულსამართლებრივი.[902] დღეისთვის არსებობს საერთაშორისო კონვენციების მთელი რიგი გარემოს დაცვის შესახებ[903] და ამ

[900] Weiß, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 25 Rn. 32.

[901] Hecker, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 28 Rn. 1; Hecker, ZStW 115(2003), 880.

[902] Heine, ZStW 101(1989), 724 ff.; Knaut, Umweltstrafrecht, 145 ff.

[903] დანერ. იხ. Hecker, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v.Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 28 Rn. 2.

პროცესში ევროკავშირიც აქტიურად არის ჩართული.[904] განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯერ კიდევ ევროგაერთიანების შესახებ ხელშეკრულებაში (მუხ. 172 და შემდეგი) გარემოს დაცვის პაკეტის შემოღება.[905] ევროგაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლშიც გარემოს დაცვა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება მთავარ პრიორიტეტებად იყო დასახელებული.[906] ეს პრიორიტეტები ლისაბონის ხელშეკრულებაშიც იგივე დარჩა (ევროკ. შეს. ხელშ. მუხ. 3, აბზ. 3). ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების მე-20 თავი მთლიანად გარემოს დაცვას ეძღვნება.

561 მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ბევრი წევრი სახელმწიფო გარემოს სისხლისსამართლებრივი საშუალებებით იცავს, ერთიანი მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობდა. ევროგაერთიანების შიგნით მხოლოდ იმაზე არსებობდა კომპრომისი, რომ გარემოს დაცვა სისხლის სამართლის საშუალებითაც შეიძლებოდა, თუმცა ამის განხორციელებას ინსტიტუციონალურმა კონფლიქტებმა შეუშალა ხელი. 2001 წელს ევროკომისიამ წარმოადგინა გარემოს სისხლისსამართლებრივი დაცვის შესახებ დირექტივის პროექტი.[907] პარალელურად, ჩარჩო-გადაწყვეტილების გამოცემაზე დაიწყო საუბარი საბჭოს ფარგლებში და წარმოიშვა კონფლიქტი კომპეტენციასთან დაკავშირებით, თუ ვის ჰქონდა ამ მიმართულებით მოქმედების უფლება.[908] სახელმწიფოები ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად დირექტივისთვის და საბჭოში ეს პროექტი დაიბლოკა.[909] ამის ფონზე მათ თვითონ აიღეს ხელში ინიციატივა და 2003 წელს საბჭომ, რომელიც სწორედ სახელმწიფოების წარმომადგენლებისგან შედგება, გამოსცა ჩარჩო-გადაწყვეტილება გარემოს სისხლისსამართლებრივი დაცვის შესახებ.[910]

562 ევროკომისიამ ევროგაერთიანების სასამართლოში ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების გამოცემის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა, რასაც მისი გაბათილება მოჰყვა. სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი ზოგადად ევროგაერთიანების კომპეტენციაში არ შედიოდა, თუმცა ეს არ გა-

904 Hecker, ZStW 115(2003), 897.

905 Kahl, კომენტარებში: Streinz, EUV/EGV, Art. 174 EGV, Rn. 1 ff.; Hecker, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v.Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 28 Rn. 4; Knaut, Umweltstrafrecht, 320.

906 Streinz, კომენტარებში: Streinz, EUV/EGV, Art. 2 EGV, Rn. 23.

907 ABl. C 180, 26.6.2001, 238.

908 Knaut, Umweltstrafrecht, 335.

909 Hecker, Europ. Strafrecht, § 8 Rn. 9.

910 ABl. L 29, 5.2.2003, 55; Vogel, GA 2003, 326.

მორიცხავდა კომისიის მიერ დირექტივის გამოცემას იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული სისხლისსამართლებრივი ღონისძიების გატარება მისი გადმოსახედიდან აუცილებელი იქნებოდა გარემოს ეფექტურად დასაცავად.[911] აქედან გამომდინარე, ჩარჩო-გადაწყვეტილება იჭრებოდა ჰარმონიზაციის კომპეტენციაში.[912]

I. დირექტივა გარემოს სისხლისსამართლებრივი დაცვის შესახებ

ევროგაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ევროკომისიამ დირექტივის ახალი პროექტი შეიმუშავა და ის ძალაში შევიდა 2008 წლის დეკემბერში.[913] დირექტივის მე-3 მუხლის თანახმად დასჯადია შემდეგი მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, თუ ისინი სულ მცირე უხეში გაუფრთხილებლობით იქნა ჩადენილი: მიწის, ჰაერის ან წყლის ისეთი ნივთიერებებით ან მაიონიზირებელი სხივებით დაბინძურება, რომელმაც გამოიწვია ან შეუძლია გამოიწვიოს ადამიანების სიკვდილი ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ჰაერის, წყლის ან მიწის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუარესება ან ცხოველებისა და მცენარეების დაზიანება. დასჯადია ასევე ნარჩენების შეგროვება, გადატანა, დამუშავება ან გადაყრა, თუ ის ადამიანის სიკვდილს ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას გამოიწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს. იგივე წესი ვრცელდება ჰაერის, მიწის ან წყლის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუარესებაზე ან ცხოველებისა და მცენარეების დაზიანებაზე ან ამის საფრთხის შექმნაზე. **563**

დაუშვებელია ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების შემოტანა (რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ საფრთხეებს ქმნიან). ასევე დაცვის ქვეშ მყოფი ველური ცხოველებისა და მცენარეების მოკვლა, ფლობა ან ამ ცხოველებით, მცენარეებითა და მათი ნაწილებით ან ნაყოფით ვაჭრობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება ისეთ უმნიშვნელო რაოდენობას, რომ მათ შენარჩუნებას საფრთხე არ ემუქრება. ევროკავშირის კანონმდებლობა კიდევ უფრო შორს მიდის და კრძალავს ყოველგვარ ქმედებას, რომელიც იწვევს დაცული ტე- **564**

[911] EuGHE 2005, 7880 („Kommission/Rat").

[912] EuGHE 2005, 7927 („Kommission/Rat"); Hefendehl, ZIS 4/2006, 166; Schäfer, JA 2006, 342 ff.; Kubiciel, NStZ 2007, 136 ff.; Hecker, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 28 Rn. 10; Zimmermann, ZRP 2009, 74 ff.

[913] ABl. L 328, 6.12. 2008, 28.

რიტორიის მნიშვნელოვან დაზიანებას. წევრ სახელმწიფოებმა ასევე სისხლისსამართლებრივი წესით უნდა დასაჯონ ოზონის ფენის გათხელების ხელშემწყობი ნივთიერებების წარმოება, შემოტანა, გატანა, გავრცელება ან გამოყენება.[914]

565 დასჯადია აღნიშნული (განზრახი) დანაშაულების ჩადენაში დახმარება ან ნაქეზება. კონკრეტული სანქციები ჩარჩო-გადაწყვეტილებით დადგენილი არ არის. ისინი უნდა იყოს ქმედითი, თანაზომიერი და დამაშინებელი. იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხი მოწესრიგებულია მე-6-მე-7 მუხლებში.

II. ზღვების დაბინძურება

566 ევროკავშირის კანონმდებლობა სისხლისსამართლებრივ დასჯადობას ავრცელებს არა მხოლოდ აქამდე ჩამოთვლილ გარემოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, არამედ ზღვების დაბინძურებაზეც. საზღვაო მიმოსვლის უსაფრთხოება მისთვის პრიორიტეტული ამოცანაა. საზღვაო მიმოსვლის მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან ევროკავშირის ტერიტორიაზე მდებარე ზღვებში ცურვისას დაიცვან შესაბამისი ნორმები. მათ შორის არის სისხლისსამართლებრივი შინაარსის ნესებიც.

567 დირექტივა ზღვების დაბინძურებისგან დაცვის შესახებ მიღებულ იქნა 2005 წლის სექტემბერში.[915] პარალელურად მოქმედებს 2005 წლის ივლისის ჩარჩო-გადაწყვეტილება საზღვაო ხომალდების მიერ ზღვების დაბინძურების წინააღმდეგ საბრძოლველად.[916] მავნე ნივთიერებებით ზღვის დაბინძურება სისხლისსამართლებრივად უნდა დაისაჯოს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ, თუ ეს ჩადენილ იქნება განზრახ, დაუდევრობით ან უხეში გაუფრთხილებლობით. მოცემულ დარღვევებს დანაშაულებად სწორედ ჩარჩო-გადაწყვეტილება აკვალიფიცირებს. დასჯადია ნაქეზება და დახმარებაც. გამოყენებული სასჯელი უნდა იყოს ქმედითი, დამაშინებელი და თანაზომიერი, თუმცა ეს დოკუმენტი მეტ კონკრეტიკასაც შეიცავს. მაგალითად, მძიმე

[914] შეად. Zimmermann, ZRP 2009, 75.
[915] ABl. L 255, 30.9.2005, 11.
[916] ABl. L 255, 30.9.2005, 164.

შემთხვევების დროს მინიმალური სტანდარტია თავისუფლების აღკვეთა 1-დან 3 წლამდე ვადით. თუ ზღვის დაბინძურება ჩადენილია განზრახ და ამას მოყვება წყლის ხარისხის ან იქ მცხოვრები ცხოველებისა და მცენარეული სამყაროს მნიშვნელოვანი დაზიანება, ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, მინიმალური სანქცია იზრდება 5-დან 10 წლამდე.

§ 12. ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვა

ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვა ყოველთვის სენსიტიურ თემას წარმოადგენდა, ვინაიდან ეს დაკავშირებულია უზარმაზარ თანხებთან. 2016 წელს გაერთიანების ბიუჯეტი 150 მილიარდ ევროს აჭარბებდა და თუნდაც მცირედი პროცენტული დანაკარგი დიდ თანხებს უტოლდება.[917] მთლიანობაში ევროკავშირის შემოსავლები შემდეგი წყაროებისგან შედგება: წევრი სახელმწიფოების შენატანი (განისაზღვრება ერთიანი შიდა პროდუქტის მიხედვით), საბაჟო გადასახადები, დამატებითი ღირებულების გადასახადები (წევრი სახელმწიფოები უყოფენ მის ნაწილს ევროკავშირს) და სხვა შემოსავლები.[918] **568**

2017 წლის 5 ივლისს ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დირექტივა ევროკავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ თაღლითობასთან ბრძოლის შესახებ,[919] რომელიც დაფუძნებულ იქნა ევროკავშირის საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მეორე ნაწილზე (ანექს-კომპეტენცია). მისი იმპლემენტაცის ვადად განისაზღვრა 2019 წლის 5 ივლისი. შესაბამისად, 2019 წლის 6 ივლისიდან ძალადაკურგული იქნება 1995 წლის შეთანხმება ევროგაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ[920] და მასთან დაკავშირებული ოქმები. **569**

ჰარმონიზაცია ფინანსების დაცვის მიმართულებით სხვა ფორმითაც განხორციელდა, მაგ. გამოცემულ იქნა დადგენილება,[921] მაგრამ ის არ **570**

[917] დაწერ. იხ. Jähnke/Schramm, Europäisches Strafrecht, Kap. 13, Rn. 4 ff.
[918] Jähnke/Schramm, Europäisches Strafrecht, Kap. 13, Rn. 4.
[919] ABl. L 198, 28.7.2017, 29.
[920] ABL. C 316, 27.11. 1995, 48. დაწერ. იხ. Jähnke/Schramm, Europäisches Strafrecht, Kap. 13, Rn. 19 ff.
[921] ABL. L 312, 23.12.1995, 1.

ყოფილა სისხლისსამართლებრივი შინაარსის. აღნიშნულ სფეროში აუცილებელი გახდა მეტი ეფექტურობისთვის სისხლისსამართლებრივი ნაბიჯების გადადგმა, რაც ამ დირექტივით განხორციელდა კიდეც. მასში ჩამოთვლილია, როგორც კონკრეტული დანაშაულების ფორმები, ასევე სასჯელების მინიმალური სტანდარტები.

571 დირექტივის მეორე მუხლიდან გამომდინარე ევროკავშირის ფინანსურ ინტერესებში იგულისხმება ნებისმიერი შემოსავალი, გასავალი, შენაძენი ან ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ევროკავშირის ბიუჯეტთან, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებების საფუძველზე შექმნილი ორგანოების ბიუჯეტებთან ან სხვა იმ ორგანოების ბიუჯეტებთან, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება ზემოთნახსენები დაწესებულებების მიერ.

572 დამატებითი ღირებულების გადასახადებთან მიმართებაში ჩადენილ დანაშაულებზე დადგენილია მინიმალური ზღვარი 10 000 000 ევროს ოდენობით, რათა გამოყენებულ იქნას სისხლის სამართალი. გარდა ამისა, დარღვევა დაკავშირებული უნდა იყოს ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოსთან (მუხ. 2, ნაწ. 3).

573 დანაშაულის კონკრეტული ფორმები (მოქმედება, უმოქმედობა) ჩამოთვლილია დირექტივის მე-3-4 მუხლებში. შევეხებით რამდენიმე მათგანს: არასწორი ან გაყალბებული მონაცემების მიწოდება, ვალდებულებების შეუსრულებლობა, არამიზნობრივი ხარჯვა, უკანონო უპირატესობის მინიჭება და ა.შ. ყოველივე ეს უნდა იწვევდეს, რა თქმა უნდა, ევროკავშირის ფინანსური ინტერესების ხელყოფას.

574 მეოთხე მუხლი კონკრეტულად კორუფციულ შემადგენლობებეზე ამახვილებს ყურადღებას და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს დანაშაულად გამოაცხადონ ევროკავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართული როგორც ქრთამის აღება, ასევე ქრთამის მიცემა. ქრთამის ამღები უნდა იყოს საჯარო მოსამსახურე. მასში შედის უშუალოდ ევროკავშირის, წევრი სახელმწიფოს ან მესამე სახელმწიფოს მოხელე.

575 წევრი ან მესამე სახელმწიფოს მოხელის ცნება განისაზღვრება ადგილობრივი კანონმდებლობით და მასში იგულისხმება ნაციონალურ, რეგიონალურ ან ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, აღმასრულებელ, ადმინისტრაციულ ან მართლმსაჯულების სფეროში დასაქმებული პირი. გარდა ამისა, მათთან გათანაბრებულია სამივე დონის კანონმდებელი.

სახელმწიფოები ვალდებულნი არიან სისხლისსამართლებრივად დასჯადად გამოაცხადონ მე-3-4 მუხლებში ჩამოთვლილ ქმედებებში წაქეზება და დახმარება. ნაწილობრივ ეს ვრცელდება მცდელობაზეც (მუხ. 5). 576

ცალკე, მეექვსე მუხლი ეთმობა იურიდიული პირების პასუხისმგებლობას, მაგრამ სხვა დირექტივების მსგავსად, არც ამ დირექტივაშია მათი სისხლისსამართლებრივი დასჯადობის ვალდებულება დადგენილი. მთავარია იურიდიული პირების მიმართ ეფექტური სანქციების გამოყენება (მაგ. ადმინისტრაციულის). აღნიშნული დოკუმენტი უმოქმედობისთვის პასუხისმგებლობას ცალკე გამოყოფს (მუხ. 6, ნაწ. 2). კერძოდ, თუ დანაშაული ჩადენილ იქნა იმის გამო, რომ პასუხისმგებელმა პირმა შესაბამისი მაკონტროლებელი ფუნქცია არ შეასრულა, იურიდიული პირი მაინც დაისჯება. რასაკვირველია, იურიდიული პირების დასჯადობა ამავდროულად არ გამორიცხავს პარალელურად ფიზიკური პირების პასუხისგებაში მიცემას ინდივიდუალურად (მუხ. 6, ნაწ. 3). 577

დასკვნა

მიუხედავად ევროკავშირის სისხლისსამართლებრივ კომპეტენციებთან დაკავშირებით არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, ნათელია, რომ ამ გაერთიანების ფარგლებში სისხლის სამართლის გამოყენებით უკვე უამრავი სფერო იქნა მოწესრიგებული. ევროკავშირის ნებისმიერმა მომავალმა წევრმა სახელმწიფომ ან მისმა პარტნიორმა მოცემულ თავში აღწერილი ჩარჩო-გადაწყვეტილებები და დირექტივები აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. 578

თავი 10. სისხლისსამართლებრივი დევნა ევროკავშირის ფარგლებში

§ 1. ევროპოლი

579 ერთიანი ევროპული პოლიციის შექმნის იდეა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში წარმოიშვა, თუმცა გერმანიის კანცლერის, ჰელმუტ კოლის წინადადებამ ამერიკის ფედერალური ბიუროს მსგავსი სტრუქტურის დაფუძნების შესახებ მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.[922] ეს იდეა ცოტა მოგვიანებით, მაასტრიხტის ხელშეკრულების პირობებში განხორციელდა. ევროპოლის დაარსებაზე წევრი სახელმწიფოები ევროკავშირის შესახებ 1992 წლის ხელშეკრულებაში შეთანხმდნენ და 1995 წელს ევროპოლის შესახებ კონვენციაც მიიღეს.[923] 1999 წელს ევროპოლი ოფიციალურად შეუდგა მუშაობას, თუმცა მისი საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები მოგვიანებით შეიცვალა. ვინაიდან კონვენციის ფარგლებში ეფექტურად მუშაობა დამოკიდებული იყო სახელმწიფოების მხრიდან რატიფიკაციაზე, საბჭოს მიერ ნიცას ხელშეკრულების საფუძველზე 2009 წელს გამოიცა გადაწყვეტილება ევროპოლის შესახებ,[924] რომელიც უკვე როგორც სეკუნდარული სამართლებრივი აქტი ყოველგვარი რატიფიკაციების გარეშე იმოქმედებდა.[925]

580 ევროპოლის საკითხს ეხება დღეისთვის მოქმედი ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 88-ე მუხლი. ამ მუხლის საფუძველზე შესაძლებელია მოხდეს დადგენილების გამოცემა, სადაც გაწერილი იქნება ახალი ხელშეკრულების რეალობაში ამ ორგანოს საქმიანობა და ფუნქციები. გარდა ამისა, იქვე საუბარია (აბზ. 2) ევროპარლამენტისა და ნაციონალური პარლამენტების მხრიდან ევროპოლის საქმიანობის კონტროლზე.[926] თუ მოხდება დადგენილების მიღება, ის ჩაანაცვლებს საბჭოს 2009 წლის გადაწყვეტილებას, თუმცა, მანამდე ის ჩვეულებრივ მოქმედებს და ევროპოლის კომპეტენციებსაც გადაწყვეტილების საფუძველზე განვიხილავთ.

581 ევროპოლის ოფისი მდებარეობს ჰააგაში (ნიდერლანდები). ის სარ-

[922] Neumann, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 44 Rn. 1.
[923] ABl. C 316, 27.11.1995, 1.
[924] ABl. L 121, 15.5.2009, 37.
[925] Satzger, Int. und. Europ. Strafrecht, § 10, Rn. 3.
[926] Brodowski, ZIS 11/2011, 943.

გებლობს სრული ქმედუნარიანობით. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 88-ე მუხლის პირველი მუხლი მას შემდეგ ფუნქციებს აკისრებს: წევრი სახელმწიფოების პოლიციისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სხვა ორგანოების ურთიერთთანამშრომლობის კოორდინაცია ორი ან მეტი სახელმწიფოს ინტერესების შემლახავ მძიმე დანაშაულებთან, ტერორიზმთან ან სხვა იმ დანაშაულებთან ბრძოლა, რომლებზეც ევროკავშირის პოლიტიკა ვრცელდება. ამ მუხლთან პირდაპირ არის დაკავშირებული საბჭოს გადაწყვეტილების მე-4 მუხლის პირველი აბზაცი. იქაც საუბარია ორგანიზებულ დანაშაულობაზე, ტერორიზმზე ან მძიმე დანაშაულების სხვა ფორმებზე, რომლებთანაც საჭიროა ერთობლივი ბრძოლა. გადაწყვეტილება (მუხ. 4, აბზ. 3) ევროპოლის კომპეტენციას ავრცელებს ძირითად დანაშაულებთან დაკავშირებულ სხვა დანაშაულებზეც – მაგ. დანაშაული, ჩადენილი პირველ აბზაცში ჩამოთვლილი დელიქტების განსახორციელებლად საჭირო საშუალებების მოსაპოვებლად ან გასაადვილებლად.

ევროპოლის ამოცანებს შორის ჯერჯერობით პრიორიტეტულია ინ- **582**
ფორმაციების მიღება, შენახვა, ანალიზი, დამუშავება და გაცვლა. ის ეხმარება შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს გამოძიების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს მათ გამოძიების დაწყების შესახებ. მის ამოცანებში შედის მხარდაჭერის გაწევა ინტერნეტიდან ინფორმაციის მიღებისას და მათი ანალიზისას. ის წევრი სახელმწიფოების სამართალდამცავ ორგანოებს უზიარებს თავის სპეციალურ ცოდნას და აწვდის ახალი მეთოდების შესახებ დაგროვილ გამოცდილებას (მუხ. 6). სპეციალურად ანალიტიკური საქმინობისთვის დღეისათვის ევროპოლში 100 ექსპერტი მუშაობს, რომლებიც თავიანთ სფეროში ევროპაში საუკეთესო ექსპერტებად ითვლებიან. წელიწადში ევროპოლი 40 000-ზე მეტ საერთაშორისო გამოძიებაში არის ჩართული.[927]

ევროკავშირის თითოეული წევრი სახელმწიფო ქმნის ან უკვე არ- **583**
სებულ რომელიმე სტრუქტურულ ერთეულს ასახელებს, რომელიც აკავშირებს მას ევროპოლთან, ანუ ინფორმაციის გაცვლა ხდება ამ სტრუქტურის გავლით (მაგ. კრიმინალური პოლიცია). ერთი წარმომადგენელი კი უშუალოდ ჰააგაში, ევროპოლის ოფისშია მივლინებული. ყველა, ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებიდან წამოსული

[927] დანერ. იხ. ოფიციალური ვებ-გვერდი: https://www.europol.europa.eu (ნანახია 25.8.2017)

ინფორმაცია, გროვდება სწორედ ევროპოლთან თანამშრომლობაზე პასუხისმგებელ ორგანოში და შემდგომ მათი წარმომადგენლების მეშვეობით გადავა ეს ინფორმაცია ევროპოლის ავტომატიზებულ მონაცემთა ბაზაში.[928] მონაცემთა ბაზაში ინფორმაციაზე წვდომის უფლება აქვთ შესაბამის ნაციონალურ ორგანოებს, მათ წარმომადგენლებს ევროპოლში, ევროპოლის დირექტორს და მის მოადგილეს, ასევე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა თანამშრომლებს. ბაზაში არსებული მონაცემების წაშლა, შეცვლა ან გადამუშავება შეუძლია მხოლოდ იმ მხარეს, ვინც ეს ინფორმაცია შეიყვანა. თუ სხვები ჩათვლიან, რომ ინფორმაცია არასწორია, მათ შეუძლიათ მიმართონ ინფორმაციის ავტორებს და ისინი ახდენენ დაუყოვნებლივ რეაგირებას (მუხ. 13).

584 ევროპოლის საინფორმაციო სისტემაში შენახული ინფორმაციების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ევროპოლის ამოცანების შესრულების ფარგლებში. აქ ინახება მონაცემები იმ პირების შესახებ, რომლებმაც ჩაიდინეს ევროპოლის კომპეტენციაში შემავალი დანაშაულები ან ეჭვმიტანილები არიან. ეს ეხება იმ პირებსაც, რომლებზეც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ისინი ევროპოლის კომპეტენციაში შემავალ დანაშაულს ჩაიდენენ (მუხ. 12, აბზ. 1). მონაცემთა ბაზაში შეჰყავთ შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ადგილი, საცხოვრებელი ადგილი, სოციალური დაზღვევის ნომერი, დაქტილოსკოპიური მონაცემები და ა.შ. შესაძლებელია ამას დაემატოს დანაშაულების ჩამონათვალი ან გამოძიების მწარმოებელი ორგანოს მონაცემები. იმ შემთხვევაში, თუ პირს გაამართლებენ ან მის მიმართ გამოძიება საბოლოოდ შეწყდება, მონაცემთა ბაზაში ინფორმაციას მის შესახებ წაშლიან.

585 აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 4 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და ევროპოლის დირექტორის მიერ ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საქართველოსა და ევროპოლს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ,[929] რის საფუძველზეც საქართველოს ექნება შესაძლებლობა, უპირველეს ყოვლისა, გაცვალოს ინფორმაცია აღნიშნულ ორგანოსთან ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმთან ბრძოლის თუ სხვა სფეროებში (შეთანხმების მუხ. 1). ინფორმაცის გაცვლა მოხდება ე.წ. ეროვნული საკონტაქტო პუნქტის მეშ-

[928] Neumann, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 44 Rn. 16 ff.

[929] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3767463 (ნანახია 25.8.2017).

ევობით, რომელსაც ქართული მხარე ასახელებს და ამ პუნქტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა 24-საათიან რეჟიმში ინფორმაციის გაცვლის წარმოების (შეთანხმების მუხ. 6). ასეთ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის ცენტრი (შეთანხმების დანართი II). ასევე, შესაძლებელია საქართველოდან წარგზავნილ იქნეს ევროპოლის შტაბ-ბინაში მეკავშირე ოფიცერი, რომელიც ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების მუშაობაშიც ჩაერთვება (შეთანხმების მუხ. 9).[930]

586 განსაკუთრებით საინტერესოა შეთანხმების მესამე თავი, რომელიც ინფორმაციის გაცვლის დეტალებს ეხება. მხარეების მიერ პერსონალური მონაცემებისა და საიდუმლო ინფორმაციის გადაცემა უნდა გამომდინარეობდეს ცალკეულ შემთხვევებში წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული დანაშაულების თავიდან აცილების ან მათ წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობიდან (მუხ. 10 ნაწ. 2).

587 აღნიშნული შეთანხმების განხორციელების მიზნით საქართველოს მიერ პერსონალური მონაცემების, მათ შორის ისეთი პერსონალური მონაცემების, რომლებიც მიჩნეულია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციად, დამუშავება ექვემდებარება საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, განსაკუთრებით მონაცემთა დაცვის შესახებ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას (მუხ. 10 ნაწ. 3).

588 მხარეებმა ერთმანეთს უნდა მიაწოდონ მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც იქნა შეგროვებული, შენახული და გადაცემული თავიანთი სამართლებრივი სისტემის შესაბამისად და რომელიც არ იქნა აშკარად მოპოვებული ადამიანის უფლებათა დარღვევით. აღნიშნულთან დაკავშირებით, ევროპოლი, იმოქმედებს საბჭოს 2009 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების მე-20(4) მუხლით, რომლითაც დამტკიცებულია ევროპოლის მხრიდან პარტნიორებთან ურთიერთობის, მათ შორის, პერსონალური მონაცემებისა და საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის მარეგულირებელი საიმპლემენტაციო წესები (მუხ. 10 ნაწ. 4).

589 ფიზიკურ პირებს აქვთ უფლება, გაეცნონ შეთანხმების საფუძველზე გადაცემულ მათთან დაკავშირებულ ინფორმაციას და შეამოწმონ,

[930] დანვრ. იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-რელიზი: http://police.ge/ge/saqartvelosa-da-evropols-shoris-operatuli-da-strategiuli-tanamshromlobis-shesakheb-shetankhmeba-gaformda/10530 (ნანახია 5.8.2017).

გაასწორონ ან წაშალონ ასეთი ინფორმაცია. აღნიშნული უფლებით სარგებლობის შემთხვევებში, მოთხოვნაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შედგება კონსულტაცია გადამცემ მხარესთან (მუხ. 10 ნაწ. 5).

590 წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე გადაცემულ ინფორმაციაზე საჯარო წვდომის შესახებ მოთხოვნები შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში უნდა წარედგინოს გადამცემ მხარეს მისი თანხმობისთვის. აღნიშნული ინფორმაცია არ უნდა გასაჯაროვდეს, თუ ამას ეწინააღმდეგება გადამცემი მხარე.

591 პერსონალურ მონაცემთა შესახებ მხარეების მოთხოვნები უნდა შეიცავდეს მითითებას მათ მიზანსა და მიზეზზე. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მხარეებს არ აქვთ უფლება, გადასცენ პერსონალური მონაცემები (მუხ. 11 ნაწ. 1-2).

592 მხარეებმა უსაფუძვლო დაყოვნების გარეშე, მიღებიდან არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში, უნდა განსაზღვრონ, არის თუ არა გადაცემული პერსონალური მონაცემები აუცილებელი იმ მიზნისთვის, რისთვისაც ისინი გადაიცა და თუ რა მოცულობით და აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობონ გადამცემ მხარეს. პერსონალური მონაცემები უნდა წაიშალოს მაშინვე, როდესაც მონაცემები აღარ არის აუცილებელი იმ მიზნისთვის, რისთვისაც ისინი გადაიცა (მუხ. 11 ნაწ. 4).

593 კიდევ უფრო მაღალი სტანდარტებია დადგენილი შემდეგი შეთხვევებისთვის: რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, პოლიტიკური შეხედულების ან რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის, ან პროფესიული კავშირის წევრობის გამომვლინებელი და პირის ჯანმრთელობასთან ან სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები მხარეებს შეუძლიათ გადასცენ და შემდგომ დაამუშაონ ასეთი გადაცემული პერსონალური მონაცემები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მკაცრად აუცილებელია (მუხ. 11 ნაწ. 5).

594 ევროპოლმა უნდა აწარმოოს პერსონალურ მონაცემთა ამ მუხლის შესაბამისად განხორციელებული ყველა კომუნიკაციისა და ასეთი კომუნიკაციების საფუძვლების აღრიცხვა (მუხ. 11 ნაწ. 6).

595 მხარეებმა უნდა შეინახონ პერსონალური მონაცემები მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მათი გადაცემის მიზნისთვის. შემდგომი შენახვის საჭიროება გადახედილი უნდა იქნეს გადაცემიდან არაუგვიანეს სამი წლის ვადაში. გადახედვისას მხარეებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება მონაცემთა შემდგომ შენახვაზე მომდევნო

გადახედვამდე, რაც უნდა განხორციელდეს შემდგომი სამწლიანი პერიოდის შემდეგ, თუ აღნიშნული ჯერ კიდევ აუცილებელია მათი ამოცანების შესასრულებლად. თუ მონაცემთა შემდგომ შენახვაზე არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, აღნიშნული მონაცემები ავტომატურად უნდა წაიშალოს (მუხ. 14 ნაწ. 1).

596 თუ მხარეს აქვს მიზეზი, იფიქროს, რომ მის მიერ წინასწარ გადაცემული პერსონალური მონაცემები არის არასწორი, არაზუსტი, აღარ არის განახლებული ან რომ ისინი არ უნდა გადაცემულიყო, მან უნდა აცნობოს მეორე მხარეს, რომელმაც უნდა გაასწოროს ან წაშალოს პერსონალური მონაცემები და გააგზავნოს შეტყობინება ამის შესახებ (მუხ. 14 ნაწ. 2). იგივე წესი ვრცელდება ინფორმაციის მიმღებზეც.

597 იმ შემთხვევაში, თუ ევროპოლს ეცნობება საქართველოდან მიღებული მონაცემების გასწორების ან წაშლის თაობაზე, მას მაინც შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ინფორმაციის არწაშლის თაობაზე, თუ მას აქვს შემდგომი საჭიროება, დაამუშაოს ასეთი ინფორმაცია იმის გათვალისწინებით, რომ მის ფაილებში არსებული ინფორმაცია უფრო მოცულობითია ვიდრე ის ინფორმაცია, რომელსაც ფლობს საქართველო. ევროპოლმა უნდა აცნობოს საქართველოს ასეთი ინფორმაციის შემდგომი შენახვის თაობაზე. თუმცა, როდესაც ევროპოლი წაშლის მონაცემებს, ევროპოლმა ამის შესახებ უნდა აცნობოს საქართველოს (მუხ. 14 აბზ. 4).

598 პირადი მონაცემების დაცვის საკითხი ევროპოლთან მიმართებაში ძალიან მნიშვნელოვანია და ის პრაქტიკაში რიგითი მოქალაქისთვის შეიძლება ზოგჯერ პრობლემების საფუძველი გახდეს. ეს მარტივად ჩანს შემდეგ მაგალითში:

> საქართველოს მოქალაქე ა ავტომანქანით მოგზაურობდა ჩეხეთში, რა დროსაც ის სამართალდამცავებმა გააჩერეს სიჩქარის გადაჭარბების გამო. მისი პასპორტის ბაზაში შემოწმებისას მათ დაინახეს, რომ ა-ს სახელი და გვარი ევროპოლის ბაზაში იყო, როგორც ტერორიზმის მხარდაჭერაში ეჭვმიტანილის. ა-მ საბედნიეროდ მარტივად მოახერხა პოლიციელების დარწმუნება იმაში, რომ ეს შეცდომა იყო, ვინაიდან მისი დაბადების თარიღი და ტერაქტების თარიღები ერთმანეთს არ შეესაბამებოდა და თავისი ასაკიდან გამომდინარე ამ დანაშაულებს ფიზიკურად ვერ ჩაიდენდა. მიუხედავად ამისა, ა ყოველივე ამის გამო საკმაოდ შეფერხდა გზაში. რისი გაკეთება შეუძლია მას მსგავსი შეცდომის თავიდან ასაცილებლად?

599 ევროპოლის შესახებ გადაწყვეტილების 30-ე მუხლიდან გამომდინარე ნებისმიერ პირს უფლება აქვს ევროპოლისგან გამოითხოვოს მასზე არსებული ინფორმაცია. ზედმეტი ხარჯების თავიდან ასაცილებლად მიმართვის გაკეთება შესაძლებელია ასევე ნებისმიერ წევრ სახელმწიფოში პირის სურვილით (ეროვნული საკონტაქტო პუნქტი) და მის მოთხოვნას აღნიშნული ორგანო გადააგზავნის ევროპოლში დაუყოვნებლივ ან მაქსიმუმ ერთი თვის ვადაში. მაშასადამე, ა-ს შეეძლო მიემართა ევროპოლისთვის ან თუნდაც საქართველოში დაბრუნებულს ეროვნული საკონტაქტო პუნქტისთვის, რათა ზუსტად გაერკვია თუ რა ინფორმაცია ინახებოდა მასზე ევროპოლში.

600 გარდა ამისა, ა-ს უფლება აქვს მოითხოვოს მის შესახებ შენახული არასწორი ინფორმაცის წაშლა ან კორექტირება. ამის თაობაზე ევროპოლი კონსულტაციებს გაივლის ინფორმაციის მიმწოდებელ სახელმწიფოსთან და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას (გადაწყვეტილების მუხ. 31). თუ მიღებული პასუხი ა-სთვის არადამაკმაყოფილებელი იქნება, მას შეუძლია საჩივრით მიმართოს ზედამხედველობის ორგანოს, რომელიც წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისგან შედგება (გადაწყვეტილების მუხ. 34). დარღვევის დადგენის შემთხვევაში ეს ორგანო რეაგირებისთვის მიმართავს დირექტორს და თუ მისი მხრიდან აღნიშნულის გამოსწორება არ მოხდა, საკითხი გადაეცემა ევროპოლის ადმინისტრაციულ საბჭოს, რომელიც ევროპოლის საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ორგანოა.

601 როგორც ვხედავთ, სასამართლო კონტროლი ევროპულ დონეზე პირადი მონაცემების თვალსაზრისით გათვალისწინებული არ არის, რაც გარკვეულ კითხვის ნიშნებს აჩენს წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციურსამართლებრივი თვალსაზრისით, ვინაიდან ადგილობრივ დონეზე პირად მონაცემებზე დავები, როგორც წესი, ნებისმიერი დავის მსგავსად საბოლოოდ წყდება სასამართლო გზით.[931] ხომ არ შეასუსტებს ეს გარკვეულწილად პირადი მონაცემების დაცვის სტანდარტებს, თუ წარმოვიდგენთ, რომ საქართველოს მოქალაქე თავის უფლებებს საქართველოში სასამართლოს მეშვეობით (მინიმუმ ორი ინსტანციის გაელით) ეფექტურად დაიცავდა, როცა ევროპოლში ეს ყველაფერი სასამართლოს გარეშე წყდება?

[931] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 10 Rn. 9.

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 85-ე მუხლი მთლიანად ეთმობა ევროიუსტს – ევროკავშირის იუსტიციური თანამშრომლობის დანესებულებას. მისი ამოცანაა მძიმე დანაშაულების გამოძიების პროცესში წევრი სახელმწიფოების შესაბამისი უწყებების საქმიანობის კოორდინაცია და მათ შორის თანამშრომლობისთვის ხელშეწყობა. ეს ეხება ისეთ მძიმე დანაშაულებს, როდესაც გამოძიებაში ორი ან მეტი წევრი სახელმწიფო არის ჩართული ან საქმის გამოძიებისთვის ერთობლივი ძალებით არის მუშაობა აუცილებელი. თავის საქმიანობაში ევროიუსტი ეყრდნობა ევროპოლისა და ადგილობრივი უწყებების მიერ ჩატარებულ ოპერაციებს და მათ მიერ მიწოდებულ ინფორმაციებს. ის ევროპოლთან შედარებით უფრო ფართო კომპტენციებითაა აღჭურვილი და ცენტრალური საკოორდინაციო ფუნქციები გააჩნია.[932] 602

ევროიუსტი ლისაბონის ხელშეკრულების მიღებამდე უკვე არსებობდა, ოღონდ სხვა სამართლებრივი აქტის, კერძოდ, საბჭოს 2002 წლის თებერვლის გადაწყვეტილების, საფუძველზე.[933] მოგვიანებით, 2009 წელს გადაწყვეტილება ნაწილობრივ შეიცვალა[934] და დღემდე ჯერ კიდევ ის მოქმედებს, ვინაიდან ლისაბონის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული დადგენილება, რომელმაც მისი სტრუქტურა და საქმიანობა უნდა განსაზღვროს, ჯერჯერობით არ არის მიღებული. 603

ევროიუსტი ასრულებს კოორდინაციისა და ინფორმაციების გაფილტვრის ცენტრალური ორგანოს ფუნქციებს.[935] მისი შექმნა გამოწვეული იყო იმ აუცილებლობით, რომ ევროკავშირის ფარგლებში რთული იყო სხვადასხვა სახელმწიფოების საგამოძიებო ორგანოებს შორის კოორდინაციის განხორციელება, ერთმანეთისთვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა, ექსტრადიციაზე მოთხოვნების დაყენებისას იმის გარკვევა თუ რომელ სახელმწიფოს უნდა მინიჭებოდა უპირატესობა და ა.შ. [936] 604

ევროიუსტის ოფისი ეროპოლის მსგავსად ჰააგაში მდებარეობს. ის 605

[932] Esser, Europäisches und Internationales Strafrecht, § 3 Rn. 61.
[933] ABl. L 63, 6.3.2002, 1; შეად. ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 201.
[934] ABl. L 138, 4.6.2009, 14.
[935] Grotz, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europälsches Strafrecht, § 45 Rn. 1.
[936] Grotz, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 45 Rn. 1.

დაკომპლექტებულია წევრი სახელმწიფოების მიერ წარგზავნილი თითო წარმომადგენლისგან, იქნება ეს მოსამართლე, პროკურორი თუ პოლიციის მოხელე. წარმომადგენელს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე და ასისტენტი. რაც შეეხება მის სამართლებრივ სტატუსს, მისთვის გადაცემულ კომპეტენციებსა და საქმიანობის ხანგრძლივობას, ეს თვითონ წარმგზავნი სახელმწიფოს სამართალზე არის დამოკიდებული, ხოლო შიდა კომპეტენციები კი ასახულია ევროიუსტის წესდებაში, რომლის მისაღებადაც საჭიროა საბჭოს ხმების კვალიფიციური უმრავლესობა (შეად. საბჭოს 2009 წლის გადაწყვ. მუხ. 2).

606 საბჭოს 2002 წლის გადაწყვეტილების მე-4 მუხლის თანახმად ევროიუსტის კომპეტენცია ვრცელდება ერთი მხრივ, იმ სფეროებზე, რომლებზე უფლებამოსილებაც ევროპოლს გააჩნია, ხოლო მეორე მხრივ, ამას ემატება კიბერდანაშაულები, ფულის გათეთრება, თაღლითობა და კორუფცია, გარემოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და ა.შ. ევროიუსტს უფლება აქვს წევრი სახელმწიფოს მიმართვის საფუძველზე ამ ქვეყნის ორგანოებს დახმარება გაუწიოს სხვა დანაშაულებზე მიმდინარე გამოძიების დროსაც.

607 ევროიუსტის საქმიანობის კონკრეტული ფორმები გაწერილია საბჭოს გადაწყვეტილების სხვადასხვა მუხლებში და მათ დეტალურ განხილვას აქ არ შევუდგებით. ერთ-ერთია მე-6 მუხლი. მაგ. ევროპის იუსტიციურ დაწესებულებას შეუძლია მიმართოს წევრი სახელმწიფოების ორგანოებს გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ.[937] ევროიუსტს ეკისრება განსაკუთრებული ფუნქციები ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებითაც. ტერორისტული დანაშაულების და მათზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ საბჭოს 2005 წლის გადაწყვეტილებით[938] წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან ტერორიზმის საქმეებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, იქნება ეს ცალკეულ პირებზე თუ ორგანიზაციებზე, მათ შორის განაჩენებიც, მიაწოდონ ევროიუსტს.[939]

608 მნიშვნელოვანია ევროიუსტის როლი ერთიანი ევროპული დაპატიმრების ინსტიტუტთან მიმართებაშიც (დაწვრ. ამ თემას ამავე თავში შევეხებით). კერძოდ, ერთიანი ევროპული დაპატიმრების ბრძანების

---

937 Hecker, Europ. Strafrecht, § 5 Rn. 74.

938 ABl. L 253, 29.9.2005, 22.

939 Grotz, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 45 Rn. 15.

შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილების[940] მე-16 მუხლის თანახმად, თუ ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოს აქვს ერთსა და იმავე პირზე ევროპული დაპატიმრების ბრძანება გაცემული, მაშინ აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო იღებს გადაწყვეტილებას (ანუ სადაც ეს პირი იმყოფება), ყველა სათანადო გარემოების გათვალისწინებით, თუ ვის უნდა გადაეცეს ეს პირი. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, მას შეუძლია მიმართოს ევროიუსტს დასკვნის გასაკეთებლად, თუ რომელ ქვეყანაზე გადაცემას უნდა მიენიჭოს უპირატესობა. პრაქტიკაში მსგავს მიმართვებს ხშირად აქვს ადგილი.[941]

ევროიუსტი არ უნდა აგვერიოს **ევროკავშირის იუსტიციურ ქსელში**, რომელიც თავისი სტრუქტურით და შინაარსით მისგან განსხვავდება.[942] ევროკავშირის იუსტიციური ქსელი 1998 წელს შეიქმნა ერთობლივი ღონისძიების ფარგლებში.[943] იუსტიციური ქსელი არის დეცენტრალიზებული სტრუქტურა და შედგება თავისსავე სამშობლოში მომუშავე მოსამართლეების, პროკურორების ან იუსტიციის სამინისტროს მოხელეებისგან, რომლებიც ამ საქმიანობას თავიანთი ძირითადი მოვალეობის პარალელურად ახორციელებენ.[944] თუ ევროიუსტი მყარი სტრუქტურის მქონე ევროპული ორგანიზაციაა, აქ საქმე გვაქვს მხოლოდ ინფორმაციისა და არაფორმალური კონტაქტების გაცვლის ხელშემწყობ ქსელთან.[945] **609**

§ 3. ევროპული პროკურატურა

ევროპული პროკურატურის იდეამ თავდაპირველად Corpus Juris[946]-ში გაიჟღერა, რასაც ევროკომის მიერ შესაბამისი პროექტის მომზადებაც მოჰყვა.[947] თუმცა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დისკუსიების გარდა რეალური ნაბიჯები არ გადადგმულა. ლისაბონის ხელ- **610**

[940] ABl. L 190, 18.7.2002, 1; ჩარჩო-გადაწყვეტილების ტექსტი ქართულად იხ. კრებულში ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 345 და შემდეგი;

[941] Grotz, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 45 Rn. 18.

[942] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 10 Rn. 12.

[943] ABl. L 191, 7.7.1998, 4.

[944] დაწვრ. იხ. Grotz, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 45 Rn. 13 და შემდეგი.

[945] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 10 Rn. 12.

[946] დაწვრ. იხ. ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 487 და შემდეგი.

[947] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 10 Rn. 21.

შეკრულებაში, კერძოდ, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 86-ე მუხლში კი ოფიციალურად ჩაიდო ევროპული პროკურატურის შექმნის შესაძლებლობა. ის ევროიუსტის ბაზაზე უნდა შეიქმნას შესაბამისი დადგენილების გამოცემის შემდგომ. თუმცა ხელშეკრულებაში არსად არ არის ნახსენები პროკურატურის შექმნის ვალდებულება ან კონკრეტული ვადები.

611 შესაბამისი დადგენილების არარსებობის მიუხედავად ლისაბონის ხელშეკრულება ევროპული პროკურატურის ძირითად კომპეტენციებს ისედაც შეიცავს, რომლებსაც შემდგომ დადგენილება დაეყრდნობა. კერძოდ, ის უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის, გამოძიების მწარმოებელი და ბრალმდებელი ორგანო ევროკავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ საქმეებზე. უშუალოდ საქმეები წარიმართება ნაციონალური სასამართლოების წინაშე, მაგრამ ბრალმდებლის ფუნქციას სწორედ ევროპული პროკურატურის პროკურორი შეასრულებს.

612 ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 86-ე მუხლის მე-4 აბზაცი ერთ საინტერესო დათქმას შეიცავს, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის საბჭოს უფლება აქვს დადგენილების მიღებასთან ერთად გამოსცეს გადაწყვეტილება და ევროკავშირის პროკურატურის კომპეტენციები განავრცოს საერთაშორისო ხასიათის მძიმე დანაშაულებზეც. ამ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ევროკავშირის საბჭოს ყველა წევრის ხმა და ევროპარლამენტის თანხმობა. 86-ე მუხლის მე-4 აბზაცი კავშირშია 83-ე მუხლის პირველ აბზაცთან, სადაც ასეთი მძიმე დანაშაულები არის ჩამოთვლილი, რაც სავარაუდოდ გარკვეულ სამართლებრივ კონფლიქტებს გამოიწვევს შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებსა და ევროკავშირის პროკურატურას შორის კომპეტენციების საკითხის გარკვევისას.[948]

613 2012 წლის ივნისში ევროპელ სისხლის სამართლის მეცნიერთა ჯგუფმა წარმოადგინა ევროპული პროკურატურის მოდელი,[949] მაგრამ ის მისი შექმნისთვის სავალდებულო დადგენილებაში არ უნდა აგვერიოს.[950] ამ პროექტში განხილულია პროკურატურის სხვადასხვა მოდელები იმისდა მიხედვით, თუ რომელი დანაშაულების გამოძიების უფლება ექნება მას, მხოლოდ ევროკავშირის ბიუჯეტის წინააღდეგ

948 Safferling, Int. Strafrecht, § 12 Rn. 29.
949 პროექტის ოფიციალური ვებ-გვერდიაhttp://eppo-project.eu/ (ნანახია 3.8.2017).
950 Brodowski, ZIS 11/2012, 560.

მიმართული დანაშაულების თუ სხვა ფინანსური დელიქტებისაც.[951]

614 2013 წლის ივლისში კი ევროკომისიამ წარმოადგინა ევროპული პროკურატურის შექმნის საკანონმდებლო პაკეტი, რომლის მიხედვითაც გამოძიებას ადგილობრივი პროკურატურა წარმართავს, ხოლო ევროპული პროკურატურა კი საკოორდინაციო და საზედამხედველო ფუნქციებს შეასრულებს. თითოეულ წევრ სახელმწიფოში იქნება დელეგირებული სულ მცირე ერთი ევროკავშირის პროკურორი. რაც შეეხება OLAF-ს, მის კომპეტენციაში იქნება ის საქმეები, რომლებიც პროკურატურის ფარგლებს მიღმა რჩება. ასევე ის გამოძიებისას დახმარებას გაუწევს ევროკავშირის პროკურატურას. ამ პროექტის მიღება დამოკიდებული იყო ევროკავშირის საბჭოსა და პარლამენტში საკანონმდებლო პროცედურებზე.[952]

615 დადგენილების პროექტის მიღება თავდაპირველად არ მოხდა, ვინაიდან 28 წევრ სახელმწიფოს შორის კომპრომისის მიღწევა ვერ მოხერხდა, შესაბამისად შერჩეულ იქნა სხვა გზა, კერძოდ, გაძლიერებული თანამშრომლობა (ევროკ. შეს. ხელშ. მუხ. 20), რომელიც ჩაირთო 2017 წლის 3 აპრილს და აძლევს 9 ან მეტ წევრ სახელმწიფოს საშუალებას, სრული კომპრომისის არარსებობის მიუხედავად მაინც შექმნას ეს ორგანო, დანარჩენებს კი შეუძლიათ ეტაპობრივად მიუერთდნენ.[953] ჯერჯერობით საუბარია 20 სახელმწიფოზე, რომლებმაც შეიმუშავეს დადგენილების პროექტი. საბოლოო გადაწყვეტილება პარლამენტმა უნდა მიიღოს.

616 ევროპული პროკურატურა შეავსებს ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დასაცავად ევროპოლისა და OLAF-ის საქმიანობას, რომლებსაც თვითონ არ აქვთ სისხლისსამართლებრივი გამოძიებისა და დევნის კომპეტენციები.

617 პროკურატურა იქნება ორდონიანი. პირველ, ზედა დონეს შექმნის გენერალური პროკურორი და მეორე დონეს კი წევრ სახელმწიფოებში მომუშავე „ევროპელი" პროკურორები, რომლებიც ადგილობრივ სამართალზე დაყრდნობით უხელმძღვანელებენ სისხლისსამართლებრივ დევნას, მათ საქმიანობას კი გააკონტროლებს და კოორდინაციას გაუწევს გენერალური პროკურორი. დავუშვათ, თუ ლიტვაში ჩადენილი იქნება ევროკავშირის თანხების გაფლანგვა, დამნაშავის

[951] Brodowski, ZIS 11/2012, 560 da Semdegi.

[952] ნარმოდგენილი პროექტის შესახებ ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე www.faz.net/aktuell/politik/europaeische-union/europaeische-kommission-eu-soll-eigene-staatsanwaltschaft-erhalten-12283665.html (ნანახია 16.7.2013).

[953] http://www.consilium.europa.eu/de/press/press-releases/2017/06/08-eppo/(ნანახია 26.8.2017).

მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდება ლიტვური კანონმდებლობით (გავიხსენოთ ლოიალურობის პრინციპი) ადგილობრივ დონეზე, მაგრამ ყოველივე ამას საპროცესო ხელმძღვანელობას გაუწევს „ევროპელი" პროკურორი, იგივე ადგილობრივი პროკურორი, ოღონდ აღჭურვილი ამ დელეგირებული სტატუსით და არა რიგითი პროკურორი, მის საქმიანობას კი გააკონტროლებს გენერალური პროკურორი ლუქსემბურგიდან.

618 ყოველივე ეს ემსახურება იმ მიზანს, რომ ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვისასთვის ევროპული პროკურატურის შექმნის მეშვეობით ერთიანი სტანდარტები იქნას უზრუნველყოფილი. სავარაუდოდ პროკურატურა საქმიანობას 2020 წლიდან შეუდგება.[954]

619 ჯერჯერობით ნაადრევია იმაზე საუბარი, გავრცელდება თუ არა რამე ფორმით საქართველოზე აღნიშნული ორგანოს კომპეტენციები. ეს, სულ მცირე, საწყის ეტაპზე რთული იქნება, ვინაიდან უშუალოდ ევროკავშირის ყველა სახელმწიფოც კი არ არის ევროკავშირის პროკურატურის შესახებ დადგენილებას მიერთებული. შესაბამისად, ევროკავშირს თავდაპირველად შესამუშავებელი აქვს სტრატეგია თავის წევრ, მაგრამ პროკურატურის შექმნის მიღმა დარჩენილ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გზებზე.

§ 4. OLAF

620 ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დასაცავად ევროკომისიის გადაწყვეტილებით[955] 1999 წელს შეიქმნა თაღლითობასთან ბრძოლის ევროპული სამსახური – OLAF – ***Office de la Lutte Anti-Fraude***. განსხვავებით ევროიუსტისა და ევროპოლისგან, ის არის არა დამოუკიდებელი სტრუქტურა, არამედ ევროკომისიის სისტემაში შემავალი ერთ-ერთი ორგანო, რომელსაც სათავეში უდგას დირექტორი.[956] მისი საქმიანობის დეტალები გაწერილია სპეციალურ დადგენილებაში.[957] ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვაში იგულისხმება ბრძოლა კორუფციასთან, თაღლითობასთან და ა.შ. მიუხედავად კომისიისადმი

[954] დაწვრ. იხ. http://www.consillum.europa.eu/de/press/press-releases/2017/06/08-eppo/ (ნანახია 26.8.2017).

[955] ABl. L 136, 31.5.1999, 20.

[956] Safferling, Int. Strafrecht, § 12 Rn. 22.

[957] ABl L 248, 11.9.2013, 1, რომელმაც ჩაანაცვლა ადრე მოქმედი დადგენილება ABl. L 136, 31.5.1999, 1.

ამ დაქვემდებარებისა, ეს სამსახური მაინც დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და მის დირექტორს შეუძლია პირდაპირ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართოს, თუ მისი დამოუკიდებლობა შელახულ იქნება.[958]

621 თაღლითობასთან ბრძოლის სამსახურის უფლებამოსილება არ ვრცელდება მხოლოდ ევროკომისიის საქმიანობის კონტროლზე (იგულისხმება, რა თქმა უნდა, დარღვევების აღმოჩენა, და არა სხვა კონტროლი), არამედ სხვა დაწესებულებებზეც, მაგ. ევროპის ცენტრალურ ბანკზე, რათა არ მოხდეს ევროკავშირის თანხების არასწორი განკარგვა.[959] მას შეუძლია განახორციელოს გამოძიება ევროკავშირის ყველა თანამშრომელზე, იქნება ეს ევროკომისარი, ევროპარლამენტის წევრი თუ სხვა ნებისმიერი რანგის მოხელე.[960] გამოძიებას ახორციელებს უშუალოდ ადგილზეც წევრ სახელმწიფოებში (მაგ. საწარმოებში) და იცავს ევროკავშირის ფინანსურ ინტერესებს.[961]

622 გარდა ამისა, მულტინაციონალური გამოძიების დროს OLAF-ი ახორციელებს ადგილობრივი უწყებების საქმიანობის კოორდინაცია და უჭერს მათ მხარს სტრატეგიული ანალიზით, ინფორმაციის მიწოდებით და სხვა მეთოდებით.[962] მის თანამშრომლებს უფლება აქვთ ჩაატარონ გამოკითხვები, შეივიდნენ სამუშაო ოთახებში, მოითხოვონ საბუთების ასლები და ა.შ. თუმცა, უშუალოდ იძულებით ღონისძიებებს, როგორიცაა მაგ. ამოღება, დამოუკიდებლად ვერ განახორციელებენ, ვინაიდან ეს შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების კომპეტენციაშია, რომლებიც მითითებას აღნიშნული ორგანოსგან იღებენ.[963]

623 რაც შეეხება თვითონ გამოძიების პროცესუალურ შეფასებას, ეს არ არის წმინდა სისხლისსამართლებრივი გამოძიება, ვინაიდან ამის დაწყების უფლება ოფიციალურად წევრი სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს აქვს, ანუ OLAF-ი ახორციელებს ადმინისტრაციული შინაარსის წინასწარ გამოძიებას და შემდეგ მასალებს გადასცემს ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანოებს, რომლებიც დაიწყებენ სისხლისსამართლებრივ გამოძიებას.[964] თუმცა თაღლითობასთან ბრძოლის სამსახუ-

[958] Esser, Europäisches und Internationales Strafrecht, § 3 Rn. 14.
[959] Brüner/Spitzer, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 43 Rn. 36.
[960] Brüner/Spitzer, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 43 Rn. 38.
[961] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 10 Rn. 19.
[962] Esser, Europäisches und Internationales Strafrecht, § 3 Rn. 17.
[963] Esser, Europäisches und Internationales Strafrecht, § 3 Rn. 18.
[964] Safferling, Int. Strafrecht, § 12 Rn. 25.

რის მიერ ჩატარებული გამოძიება მხოლოდ ადმინისტრაციული ხასიათისაა თუ არა, ავტორთა მხრიდან სხვადასხვანაირად ფასდება. ერთნი მას ადმინისტრაციულს აკუთვნებენ, მეორენი კი თვლიან, რომ ეს უკვე სისხლისსამართლებრივი გამოძიებაა.[965] მეორე მხარის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ დღეისთვის ამ სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 325-ე მუხლი (თაღლითობასთან ბრძოლა) და ეს მუხლი კი უშვებს სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გატარებას, რაც ადრე არსებული ხელშეკრულებით შეუძლებელი იყო. თუმცა OLAF-ისმიერ ჩატარებული გამოძიების სტატუსის საკითხი ჯერჯერობით ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილი მაინც არ არის.

624 განვიხილოთ შემდეგი კაზუსი:

> ევროკავშირის თაღლითობასთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლები ახორციელებენ გერმანიის მოქალაქე ბ-ს სამუშაო ოთახის დათვალიერებას, რომელიც ევროკავშირის სურსათის უვნებლობის სააგენტოს თანამშრომელია. არსებობდა ეჭვი, რომ მან სააგენტოს კუთვნილი თანხები მიითვისა. ბ-ს სურს ამ პროცესებს ხელი შეუშალოს და აცხადებს, რომ სააგენტო ევროკაშირისგან დამოუკიდებელი სტრუქტურაა და მასზე არ ვრცელდება OLAF-ის კომპეტენცია. გარდა ამისა, მას არ სურს, რომ მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით ანგარიში გერმანულ სამართალდამცავ უწყებებს გადაეგზავნოთ, ვინაიდან ეშინია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების. არის თუ არა სწორი მისი პოზიცია?[966]

625 ბ-ს პოზიცია არასწორია. მართალია, სურსათის უვნებლობის სააგენტო დამოუკიდებელი ორგანოა, მაგრამ მისი თანამშრომლები ევროკავშირის მოხელეებად ითვლებიან.[967] მის მიმართ განხორციელებული სხვადასხვა საგამოძიებო ღონისძიებების შესახებ მას უფლება აქვს მიმართოს OLAF-ის დირექტორს, რომლის გადაწყვეტილებაც თავის მხრივ ევროკავშირის სასამართლო კონტროლს ექვემდებარება.[968] თუმცა, სასამართლოსადმი მიმართვისას დასაშვებობის ზღვარი უნდა იქნას გადალახული, კერძოდ, მხოლოდ ინფრომაციების გადაცემა გერმანიის სამართალდამცავი ორგანოებისათვის არ წარ-

[965] მიმოხილვა იხ. Brüner/Spitzer, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 43 Rn. 1.

[966] კაზუსი აღებულია სახელმძღვანელოდან Esser, Europäisches und Internationales Strafrecht, § 3 Fall 1.

[967] Esser, Europäisches und Internationales Strafrecht, § 3 Rn. 25.

[968] Esser, Europäisches und Internationales Strafrecht, § 3 Rn. 25.

მოადგენს ჯერ კიდევ მის უფლებებში ჩარევას (ეს ხდება მხოლოდ პირის მიმართ გამოძიების დაწყების შემთხვევაში), შესაბამისად ბ აღნიშნულ პროცესებს სამართლებრივად ამ ეტაპზე წინ ვერ აღუდგება.[969]

§ 5. ორმხრივი აღიარების პრინციპი

626 ევროკავშირის ფარგლებში ერთიანი სტრუქტურების შექმნის პარალელურად, როგორებიცაა მაგ. ევროპოლი და ევროიუსტი, გაერთიანების ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა იუსტიციის სფეროში წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და გამარტივებაზე. კერძოდ, საუბარია გადაწყვეტილებების ორმხრივი აღიარების პრინციპზე.

627 ორმხრივი აღიარების პრინციპი დღეისთვის ერთმნიშვნელოვნად არის დაფიქსირებული ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლში. ევროკავშირის პარლამენტი და საბჭო საკანონმდებლო პროცედურების დაცვით უფლებამოსილია უზრუნველყოს წევრ სახელმწიფოებში გამოცემული სასამართლო განაჩენების თუ სხვა გადაწყვეტილებების ურთიერთაღიარება. ამ პროცესების გასაადვილებლად და თანამშრომლობის ხელშესაწყობად შესაძლებელია გამოცემულ იქნას დირექტივა, სადაც დადგენილი იქნება მინიმალური სტანდარტები და ამასთანავე მოხდება წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემების თავისებურებებისა და ტრადიციების გათვალისწინება. ხოლო მანამ, სანამ დირექტივა(ები) გამოიცემა, მოქმედებენ ადრე მიღებული ჩარჩო-გადაწყვეტილებები.

I. ევროპული დაპატიმრების ბრძანება

628 ევროპული დაპატიმრების ბრძანების შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილება 2002 წელს იქნა მიღებული და ის ჩაენაცვლა მანამდე არსებულ სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებას, მათ შორის ევროსაბჭოს ეგიდით მიღებულს, რითაც ექსტრადიციის პროცესი ევროკავშირის ფარგლებში გამარტივდა.[970] კლასიკური ექსტრადიციისთვის

[969] Esser, Europäisches und Internationales Strafrecht, § 3 Rn. 25.

[970] Heintschel-Heinegg, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 37 Rn. 2.

დამახასიათებელია პოლიტიკური და სამართლებრივი გადაწყვეტილებების ნაზავი, სადაც საჭიროა, როგორც წესი, სასამართლოს გადაწყვეტილება და ასევე გადამცემი სახელმწიფოს პოლიტიკური ნება. ჩარჩო-გადაწყვეტილების საფუძველზე ეს პროცესი მთლიანად სამართლებრივ რელსებზე გადავიდა და მას პოლიტიკური კომპონენტი ჩამოშორდა, ანუ გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია მართლმსაჯულების ხელში გადავიდა. ასევე მოიხსნა ბარიერი იმ წინაპირობის არსებობაზე, რომ პირის გადაცემისთვის აუცილებელი იყო გადამცემ სახელმწიფოშიც მისი ქმედების დასჯადობა (თუმცა, ეს ეხება მხოლოდ ჩარჩო-გადაწყვეტილების კატალოგში არსებულ დანაშაულებს).[971]

629 საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ 2000 წლის ნოემბერში, გერმანიის კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება და აკრძალვა გერმანიის მოქალაქის სხვა სახელწიფოსთვის გადაცემის თაობაზე შერბილდა. კერძოდ, კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 აბზაცს დაემატა შემდეგი შინაარსის წინადადება: გერმანიის მოქალაქის გადაცემა დაშვებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო სასამართლოსთვის, თუ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები დაცული იქნება. ამ ცვლილების მიზეზი, ერთი მხრივ, რომის სტატუტის საფუძველზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნა იყო, ხოლო მეორე მხრივ კი ევროკავშირის ფარგლებში მიმდინარე სამართლებრივი პროცესები.[972]

630 საქართველოს კონსტიტუციასაც თუ ჩავხედავთ, ისიც მზად არის იმისათვის, რომ საქართველომ განახორციელოს თავისი საერთაშორისო ვალდებულებები. კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილი უშვებს საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემას საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში. თუ საქართველო ევროკავშირთან დადებს ხელშეკრულებას და მოხდება ორმხრივი აღიარების პრინციპისადმი მიერთება, ანუ ამასთანავე ევროპული დაპატიმრების ბრძანების ინსტიტუტის აღიარება, კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრობლემები საქართველოს მოქალაქეების გადაცემის გამო არ წარმოიშობა.

631 საინტერესოა პოლონეთის მაგალითი, სადაც კონსტიტუციაში (მუხ. 55, აბზ. 1) თავდაპირველად ერთმნიშვნელოვნად იყო აკრძალული

---

971 დაწერ. ამ საკითხებზე იხ. Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 10 Rn. 26.

972 Heintschel-Heinegg, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 37 Rn. 2.

პოლონეთის მოქალაქეების სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა. მიუხედავად ამისა, პოლონეთის პარლამენტმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად დაამატა მუხლები, რის საფუძველზეც ექსტრადიცია გახდა შესაძლებელი.[973] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ეს მუხლები მოგვიანებით პოლონეთის ერთ-ერთი მხარის სასამართლოს მიერ გაკეთებული მიმართვის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი გახდა. პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ეს ნორმები ანტიკონსტიტუციურად სცნო, ვინაიდან კონსტიტუცია ექსტრადიციის აბსოლუტურ აკრძალვას შეიცავდა და მისი განმარტება ევროკავშირის სამართლის შესაბამისად შეუძლებელი იყო.[974] საბოლოოდ, პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლება გამოიყენა და საპროცესო კოდექსის ნორმების ბათილად ცნობის ვადა 18 თვით გადასწია (2006 წლის 5 ნოემბრამდე), რათა კანონმდებელს ჰქონოდა შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა.[975] პოლონელმა კანონმდებელმა, გერმანიის მაგალითის მსგავსად, რადიკალური ნაბიჯი გადადგა და არსებული წინააღმდეგობის აღმოსაფხვრელად შეცვალა ამკრძალავი კონსტიტუციის მუხლის შინაარსი და გააკეთა დამატება, სადაც ჩაიწერა, რომ მოქალაქის გადაცემა შესაძლებელია სხვა სახელმწიფოს ან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე, თუ ეს ხდება საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში ან დაშვებულია შიდასახელმწიფოებრივი კანონით.[976]

ახლა კი შევეხოთ უშუალოდ ჩარჩო-გადაწყვეტილების შინაარსს.[977] **632**
ევროპული დაპატიმრების ბრძანების დროს საქმე ეხება იუსტიციურ გადაწყვეტილებას, რომელიც რომელიმე წევრ სახელმწიფოში გამოიცემა და მიზნად ისახავს ძებნილი პირის დაკავებასა და გადაცემას სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების, თავისუფლების აღკვეთის შესახებ გამოტანილი განაჩენის ან სხვა თავისუფლების შემზღუდავი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიებების აღსრულების მიზნით (მუხ. 1, აბზ. 1). მისი გამოცემა შესაძლებელია იმ ქმედების განხორციელებისას რომლის ჩადენისთვისაც პირს, ბრძანების გამცემი სახელმწიფოს სამართლებ-

[973] Nalewajko, ZIS 3/2007, 113.
[974] Nalewajko, ZIS 3/2007, 114.
[975] Nalewajko, ZIS 3/2007, 114.
[976] Nalewajko, ZIS 3/2007, 115.
[977] ABl. L 190, 18.7.2002, 1; ჩარჩო-გადაწყვეტილების ქართული თარგმანი იხ. კრებულში: ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 346 და შემდეგი.

რივი ნორმების მიხედვით სულ მცირე 12 თვის ხანგრძლივობით თავისუფლების აღკვეთა ან სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიება ემუქრება, ან კიდევ იმ შემთხვევაში, როცა მის მიმართ გამოტანილია განაჩენი და შეფარდებული სასჯელის ან იძულებითი ღონისძიების ზომა სულ მცირე 4 თვეს შეადგენს (მუხ. 2, აბზ. 1).

633 კლასიკური ექსტრადიციის შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, საჭიროა, რომ ქმედება ორივე სახელმწიფოში იყოს დასჯადი, ხოლო ევროპული დაპატიმრების ბრძანების შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილებაში ჩადებულ იქნა საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი დანაშაულებისა, რომლის ჩადენის დროსაც გადაცემა მოხდება ორმხრივი დასჯადობის შემოწმების გარეშე, თუ გათვალისწინებული სანქცია პირის მიმღებ სახელმწიფოში სულ მცირე 3 წელია (მუხ. 2, აბზ. 2). ეს დანაშაულებია: კრიმინალურ დაჯგუფებაში მონაწილეობა, ტერორიზმი, ტრეფიკინგი, კორუფცია, ფულის გაყალბება, გარემოს დაცვის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, გაუპატიურება, რასიზმი და ქსენოფობია და ა.შ. თუმცა, ეს სია შეიძლება საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაფართოვდეს. რაც შეეხება კატალოგს მიღმა დარჩენილ დანაშაულებს, მათზეც შესაძლებელია გაიცეს ევროპული დაპატიმრების ბრძანება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ, მაგრამ მეორე სახელმწიფოს შეუძლია გადაცემის წინაპირობად ორმხრივი დასჯადობა წამოაყენოს.

634 ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-3 მუხლი შეიცავს ჩამონათვალს, რომლის საფუძველზეც სახელმწიფომ **უარი უნდა თქვას** ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულებაზე.

635 თუკი დანაშაული, რომლის ჩადენის გამოც იქნა ევროპული დაპატიმრების ბრძანება გაცემული, აღმასრულებელ სახელმწიფოში (ანუ ვისაც მიმართეს) ამნისტიას ექვემდებარება და ეს სახელმწიფო თვითონ იყო უფლებამოსილი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე, მაშინ ის უარს ამბობს პირის მეორე სახელმწიფოსთვის გადაცემაზე. ასევე უარი უნდა ითქვას გადაცემაზე, როცა აღმასრულებელი სახელმწიფოს იუსტიციის ორგანო ფლობს ინფორმაციას, რომ ძებნილი პირი იგივე ქმედების გამო რომელიმე წევრი სახელმწიფოს მიერ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით არის გასამართლებული და სანქცია უკვე აღსრულდა, აღსრულების პროცესშია ან განაჩენის გამომტანი სახელმწიფოს სამართლით აღსრულება უკვე შეუძლებელია. გარდა ამისა, არ შეიძლება გადაცემა, როცა პირი, აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლით მისი ასაკიდან გამომდინარე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ ექვემდებარება.

დაპატიმრების ბრძანების აღსრულებაზე უარის თქმის სავალდებულო საფუძვლებთან ერთად, ჩარჩო-გადაწყვეტილება წევრ სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას, იმ წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც მოცემულია მე-4 მუხლში, საკუთარი შეხედულებისამებრ განაცხადონ უარი გადაცემაზე (**ფაკულტატური საფუძვლები**). მათ განხილვას ცალ-ცალკე არ შევუდგებით, თუმცა, შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე მათგანი. გადაცემაზე უარი შეიძლება ითქვას იმ პირის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც ევროპული დაპატიმრების ბრძანებაა გამოცემული, აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლით იგივე ქმედების გამო სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს; ასევე იმ შემთხვევაში, როცა სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელის აღსრულება აღმასრულებელი წევრი სახელმწიფოს სამართლით ხანდაზმულობის გამო შეუძლებელია და ამ ქმედებაზე მისი იურისდიქცია ვრცელდებოდა.

რაც შეეხება თვითონ უფლებამოსილ ორგანოებს, ევროპული დაპა- **636**
ტიმრების ბრძანების დროს გვყავს ორი ძირითადი სუბიექტი, ბრძანების გამცემი იუსტიციის ორგანო და ბრძანების აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო. მათ ასახელებს თვითონ წევრი სახელმწიფო და ამის შესახებ ატყობინებს საბჭოს გენერალურ მდივანს (მუხ. 6). ხოლო, ბრძანების ფორმა და შინაარსი მოცემულია ჩარჩო-გადაწყვეტილების დანართში.

ევროპული დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე პირის დაკავების **637**
შემთხვევაში აღმასრულებელი სახელმწიფოს იუსტიციის ორგანო გადაწყვეტილებას იღებს იმის შესახებ, ძებნილი პირი პატიმრობაში უნდა დარჩეს თუ არა. დროებითი გათავისუფლება აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლის შესაბამისად შესაძლებელია ნებისმიერ დროს, თუკი ამ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო იღებს მისი თვალსაზრისით აუცილებელ ღონისძიებებს ძებნილი პირის გაქცევის თავიდან ასაცილებლად (მუხ. 12). თუკი აღმასრულებელ იუსტიციის ორგანოს მიაჩნია, რომ მისთვის ბრძანების გამცემი სახელმწიფოს მიერ მიწოდებული ინფორმაცია გადაწყვეტილების მისაღებად არასაკმარისია, მაშინ ის ითხოვს დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას (მუხ. 15, აბზ. 2).

საინტერესოა ჩარჩო-გადაწყვეტილებაში საკითხის გადაწყვეტა **მრა-** **638**
ვალმხრივი თხოვნის დროს (მუხ. 16):

თუკი ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოს ევროპული დაპატიმრების ბრძანება ერთი და იმავე პირის წინააღმდეგ აქვს გაცემული, მაშინ აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო, ყველა გარემოების სათანადოდ გათვალისწინებით, იღებს, გადაწყვეტილებას, თუ რომელი უნდა აღსრულდეს. ეს გარემოებებია, განსაკუთრებით, დანაშაულის სიმძიმე და ჩადენის ადგილი, ბრძანებების გაცემის დრო, ასევე ის გარემოება, თუ რა საფუძვლით არის დაპატიმრების ბრძანება გაცემული – სისხლისსამართლებრივი დევნის, თავისუფლების აღკვეთის თუ თავისუფლების შემზღუდავი სოციალური დაცვის ღონისძიების აღსრულების მიზნით.

639 ევროპული დაპატიმრების ბრძანებისა და მესამე (ანუ არაწევრი) სახელმწიფოს მხრიდან გადაცემის შესახებ თხოვნის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში, აღმასრულებელი სახელმწიფოს იუსტიციის ორგანო გადაწყვეტილებას იღებს ყველა გარემოების სათანადოდ გათვალისწინებით, განსაკუთრებით, ეს ეხება წინა აბზაცში ჩამოთვლილ გარემოებებს, ასევე მოქმედ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში აღწერილ გარემოებებს, რომლებითაც ირკვევა, თუ რომელ თხოვნას უნდა მიენიჭოს უპირატესობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მე-16 მუხლი ხელს არ უშლის წევრი სახელმწიფოების მიერ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებას.

640 ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებისგან ხელშეუხებელი რჩება აღმასრულებელი სახელმწიფოს ვალდებულებები ისეთ შემთხვევებში, როცა ძებნილი პირი ამ წევრ სახელმწიფოს მესამე სახელმწიფოს მიერ გადაეცა და როდესაც ასეთი პირის მიმართ ექსტრადიციას საფუძვლად უდევს მათ შორის შეთანხმება სპეციალურობის პრინციპის გამოყენების თაობაზე. აღმასრულებელი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს, რათა დაუყოვნებლივ მიიღოს თანხმობა მესამე სახელმწიფოსგან პირის ევროპული დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე გადაცემის შესახებ.

641 ევროპული დაპატიმრების ბრძანების საკითხის გადაწყვეტა და აღსრულება ხდება დაჩქარებული წესით. თუ ძებნილი პირი თანხმობას აცხადებს მის გადაცემაზე, ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება თანხმობის მიცემიდან 10 დღის განმავლობაში. სხვა შემთხვევებში კი ვადა იზრდება 60 დღემდე (ვადები იხ. მე-17 მუხლში). რაც შეეხება უშუალოდ გადაცემას, ეს ხდება არაუგვიანეს 10 დღისა მას შემდეგ, რაც მიიღება ბრძანების აღსრულების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება. თუ გა-

დაცემას სხვადასხვა მიზეზის გამო ხელი ეშლება, მაშინ მხარეებს შორის მოხდება ახალ ვადაზე შეთანხმება (მუხ. 23). გადაცემის შემდეგ კი ბრძანების გამცემი წევრი სახელმწიფო სასჯელის საერთო ვადაში უთვლის გადაცემულ პირს პატიმრობის იმ პერიოდს, რომელშიც ის გადაცემამდე იმყოფებოდა აღმასრულებელ სახელმწიფოში სწორედ ევროპული დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე. იგივე ვრცელდება თავისუფლების შემზღუდავ სხვა ღონისძიებებზე (მუხ. 26, აბზ. 1).

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული დაპატიმრების ბრძანების დამკ- **642**
ვიდრება ევროკავშირის სამართლებრივი სივრცის ფარგლებში ორმხრივი აღიარების პრინციპის უმნიშვნელოვანესი გამოხატულება იყო, სხვადასხვა სახელმწიფოებში ამ საკითხის გადაწყვეტა სხვადასხვანაირად მოხდა და ადგილობრივ კანონმდებლობებში ჩადებულ იქნა ისეთი წინაპირობები, რომ საბოლოო ჯამში ჩარჩო-გადაწყვეტილებაში დასახული მიზანი გადაცემის პროცედურების გამარტივებისა ბოლომდე მაინც ვერ იქნა მიღწეული. იგივე გერმანიის კანონი სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო სამართლებრივი ურთერთდახმარების შესახებ შეიცავს გადაცემის რამდენიმესაფეხურიან სისტემას, სადაც გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება მოწმდება მხარის უმაღლესი სასამართლოს მიერ, ანუ გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ გადასცემს პირს სხვა სახელმწიფოს, თუმცა, სანამ საქმე უშუალოდ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებამდე მივა, სასამართლომ სულ თავიდან ზოგადად გადაცემის დასაშვებობის საკითხიც უნდა გადაწყვიტოს, რაც მთლიან პროცესს ხელოვნურად ართულებს.[978] ბრიტანული კანონმდებლობა კი საერთოდაც გადაცემაზე უარის თქმის საშუალებას იძლევა, თუ საქმე ეხება საჯარო უსაფრთხოებას.[979]

ბოლო პერიოდში ამ ტენდენციას თვითონ ევროკავშირის მართლმ- **643**
საჯულების სასამართლომაც დაუჭირა მხარი დაადგინა, რომ თუ გადაცემის მომთხოვნ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა ევროპული ქარტიით აკრძალული არაადამიანური მოპყრობის და ღირსების შელახვის საფრთხე არსებობს, დაპატიმრების ბრძანების შესრულება არ არის სავალდებულო.[980] საკუთარი კონსტიტუციიდან გამომდინარე იგივე ბარიერების დადგენა ცალკეული სახელმწიფოებისთვისაც არ არის უცხო. მაგალითად, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართ-

[978] Ambos, Int. Strafrecht, 2. Aufl., § 12 Rn. 75.
[979] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 10 Rn. 37.
[980] Schröder, Grundkurs Europarecht, § 22 Rn. 11.

ლო მასშტაბად კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის ღირსებას იღებს, რომლითაც თუნდაც დაუსწრებლად გასამართლებული პირის გადაცემა იბლოკება, ვინაიდან მისი მოსაზრებით მსგავსი პრაქტიკა ბრალის პრინციპს არ შეესაბამება.[981]

644 როგორც ვხედავთ, თავდაპირველი სულისკვეთება ერთიანი ევროპული სამართლებრივი სივრცის შესახებ, რომელშიც ყველა ნევრი სახელმწიფო საკმარისად უზღუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას და ამიტომაც უნდა მომხდარიყო ავტომატურად დაპატიმრების ბრძანების ორმხრივი აღიარება დამატებითი კონტროლის გარეშე, რელატივირებულ იქნა, რაც იმის აღიარებაა, რომ ცალკეულ სახელმწიფოებს თავიანთი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტანდარტები გააჩნიათ და არ სურთ შედარებით უფრო ნაკლები სტანდარტების მქონე სახემწიფოდან გაცემული ბრძანების აღსრულება.

645 საინტერესო და რეზონანსული იყო შემდეგი კაზუსი პრაქტიკაში („პეტრუპინი"):

> ესტონეთის მოქალაქე პეტრუპინი იძებნებოდა რუსეთის მიერ ინტერპოლის მეშვეობით ნარკოტიკების არალეგალური ვაჭრობის გამო. ის დაკავებულ იქნა ლატვიაში და მას შეეფარდა წინასწარი პატიმრობა. რუსეთმა ლატვიის წინაშე დააყენა ექსტრადიციის შუამდგომლობა, რაც ლატვიის გენერალურმა პროკურატურამ დააკმაყოფილა. პეტრუპინმა სარჩელით მიმართა ლატვიის სასამართლოს და გაასაჩივრა ის, რომ რუსეთსა და ლატვიას შორის მოქმედი შეთანხმებით ლატვიის მოქალაქეების არა, მაგრამ სხვა სახელმწიფოების მოქალაქეების (ამ შემთხვევაში მისი) გადაცემა დასაშვები იყო. ამით, მის მიმართ ფაქტიურად განხორციელდა დისკრიმინაცია და ის დაუცველი რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ლატვიას, ლიტვასა და ესტონეთს შორის მოქმედებდა სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმება, რომლითაც აღნიშნული სახელმწიფოების მოქალაქეები თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ. ლატვიის უზენაესმა სასამართლომ საკითხის გასარკვევად ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართა, რათა გაერკვია, ხომ არ ეწინააღმდეგებოდა გენპროკურატურის ქმედება ევროკავშირის სამართალს, კერძოდ ევროკავშირის მოქალაქეებისადმი თანაბრად მოპყრობის პრინციპს.[982]

[981] Sauer, NJW 2016, 1134; Schröder, Grundkurs Europarecht, § 22 Rn. 11.

[982] EuGH NJW 2017, 378.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ხაზი გაუსვა ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების მე-18 მუხლის მნიშვნელობას, რომელიც კრძალავს მოქალაქეობის საფუძველზე დისკრიმინაციას. პეტრუჰინმა ისარგებლა ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი თავისუფალი გადაადგილების პრინციპით და გადავიდა ლატვიაში, სადაც მის მიმართ იგივე წესები უნდა გავრცელებულიყო, როგორც ლატვიის მოქალაქეების მიმართ.[983] ვინაიდან ლატვიის კანონმდებლობით დასაშვები იყო ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნის მოქალაქის ექსტრადიცია, საკუთარის კი არა, ეს ხელს უშლიდა ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 21-ე მუხლით გარანტირებული თავისუფალი გადაადგილების უფლების რეალიზებას.[984] **646**

სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ მართალია, ობიექტურად აუცილებელი წინაპირობების არსებობისას ზემოაღნიშნული უფლების შეზღუდვა დასაშვებია, რათა, მაგალითად პირი სხვა სახელმწიფოში გადასვლის გამო არ დარჩეს დაუსჯელი და სიტუაციით არ ისარგებლოს. თუმცა, სანამ არაწევრ სახელმწიფოსთან მოხდება ექსტრადიციაზე შეთანხმება, მანამდე ევროკავშირის ფარგლებშივე უნდა მიეცეს მეორე სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში ესტონეთს) საშუალება, თვითონვე დასაჯოს თავისი მოქალაქე, თუ დანაშაული მის იურისდიქციაში ექცევა.[985] ამისათვის ჯერ მასთან უნდა დამყარებულიყო კომუნიკაცია და ევროპულ დაპატიმრების ბრძანების მეშვეობით გადასცემოდა პეტრუჰინი, რაც არ მომხდარა.[986] **647**

II. ორმაგი დასჯის აკრძალვა

ერთიანი ევროპის ფარგლებში შიდა საზღვრების მაქსიმალურად გაუქმების იდეა არ არის ახალი და მასზე მუშაობა ჯერ კიდევ წინა საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო.[987] 1985 წელს რამდენიმე სახელმწიფოს შორის დაიდო შენგენის შეთანხმება, ე.წ. *შენგენი I* და მისი მიზანი **648**

[983] EuGH NJW 2017, 379.
[984] EuGH NJW 2017, 379.
[985] EuGH NJW 2017, 379.
[986] Schröder, Grundkurs Europarecht, § 22 Rn. 11.
[987] Ambos, Int. Strafrecht, 2. Aufl., § 12 Rn. 30; უფრო ადრინდელ პერიოდთან დაკავშირებით იხ. ჯიშკარიანი, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 1/2009, 217.

სწორედ შიდა საზღვრების გაუქმება იყო.[988] 1990 წელს ამას დაემატა შენგენის მეორე ხელშეკრულება, *შენგენი II*, რათა პრაქტიკაში შენგენი I-ის განხორციელებას უსაფრთხოების მხრივ პრობლემები არ მოჰყოლოდა (შენგენის განხორციელების ხელშეკრულება).[989]

649 დღეისთვის, მთავარი ნორმა ევროკავშირის ფარგლებში ორმაგი დასჯის აკრძალვასთან დაკავშირებით შენგენი II-ის 54-ე მუხლია.[990] მართალია, ევროსაბჭოს ფარგლებშიც მოქმედებს ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლიდან გამომდინარეობს, თუმცა, იქ საუბარია მხოლოდ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ერთი და იმავე დანაშაულის გამო პირის თავიდან დევნაზე ან გასამართლებაზე და ის არ გულისხმობს ამის ტრანსნაციონალურ მოქმედებას.[991] კონვენცია ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოს სულაც არ ავალდებულებს, სხვა სახელმწიფოში გასამართლებული პირის იმავე დანაშაულის გამო სისხლისსამართლებრივი დევნისგან თავი შეიკავოს.[992] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლიც კრძალავს ერთი და იმავე დანაშაულისთვის განმეორებით მსჯავრის დადებას, მაგრამ ეს მუხლი არ გულისხმობს საზღვარგარეთ მსჯავრებულ პირის გათავისუფლებას პასუხისმგებლობისგან.

650 შენგენის განხორციელების შესახებ ხელშეკრულების 54-ე მუხლი შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული:

> იმ პირის მიმართ, რომლის მიმართაც ერთ წევრ სახელმწიფოში დამდგარია კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, დაუშვებელია სხვა წევრ სახელმწიფოში იგივე დანაშაულის გამო დევნის დაწყება, თუ გასამართლების შემთხვევაში სასჯელი უკვე აღსრულდა, აღსრულების პროცესშია ან განაჩენის გამომტანი სახელმწიფოს სამართლით მისი აღსრულება შეუძლებელია.

651 მაშასადამე, ორმაგი დასჯის აკრძალვას წინ უნდა უძღოდეს 3 წინაპირობა: კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, იგივე დანაშაული და აღსრულება. თუმცა, ორმაგი დასჯის აკრძალვის ეს წინაპირობები სიტყვა-სიტყვით არ ემთხვევა ძირითადი უფლებების ევროპული ქარტიის

---

[988] ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 250.

[989] Ambos, Int. Strafrecht, 2. Aufl., § 12 Rn. 30.

[990] ABl. L 239, 22.9.2000, 19; ჯიშკარიანი, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 1/2009, 217.

[991] ჯიშკარიანი, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 1/2009, 217.

[992] Merkel, ZIS 5/2012, 207; სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ რეგულაციებზე იხ. ჯიშკარიანი, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 1/2009, 219.

50-ე მუხლს, რომელიც ლისაბონის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია, ანუ პრიმერული სამართალია. მასში აღსრულების საკითხი საერთოდ არ არის ნახსენები, რაც აჩენს კითხვას, რომელ ტექსტს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა, შენგენი II-ს თუ ქარტიას? ამ საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა და ერთნი თუ ქარტიას იღებენ მასშტაბად, მეორენი შენგენი II-ისკენ იხრებიან.[993] ვინაიდან ჯერჯერობით ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის და დისკუსიების დეტალურად განხილვა კი შორს წაგვიყვანს და გასცდება ამ წიგნის ფორმატს, მივყვეთ აქამდე არსებულ პრაქტიკას და განვიხილოთ შენგენი II-ის 54-ე მუხლის სამივე კრიტერიუმი ცალ-ცალკე.

კანონიერ ძალაში შესული განაჩენი - უპირველეს ყოვლისა, ორ- **652**
მაგი დასჯის საკითხის გარკვევისას ყურადღება უნდა მიექცეს ამ კრიტერიუმს, ანუ დამდგარია თუ არა პირის მიმართ ევროკავშირის ერთ წევრ სახელმწიფოში კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. სიტყვა „განაჩენი" წმინდა ნაციონალური გაგებით არ უნდა განვმარტოთ, ვინაიდან ევროკავშირის სასამართლო მასში გულისხმობს თუნდაც საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას ან პროკურატურის მიერ სხვა მიზეზით დევნის შეწყვეტას და არა მაინცდამაინც სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას.[994] სასამართლოს განაჩენის საფუძველზე პირის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობა მოცემულ წინაპირობას ისედაც აკმაყოფილებს, ხოლო სხვა ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საკითხი სხვადასხვანაირად წყდება. მაგალითად, თუ პროკურატურა ბრალდებულის მიერ გარკვეული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში (მაგ. ჯარიმის გადახდა) შეწყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას საქმის სასამართლომდე მიყვანამდე (ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ამას უშვებს), მაშინ ესეც ჩაითვლება კანონიერ ძალაში შესულ განაჩენად, თუ, რა თქმა უნდა, ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა, ხოლო თუ დევნა მხოლოდ იმის გამო შეწყდა, რომ იგივე საქმეზე სხვა ქვეყნის ორგანოები ახორციელებენ პარალელურად გამოძიებას, მაშინ ეს არ ჩაითვლება საკმარისად.[995]

საბოლოო ჯამში კანონიერ ძალაში შესულ განაჩენად შეიძლება ნე- **653**
ბისმიერი გადაწყვეტილება ჩაითვალოს, თუ ის შემდეგ წინაპირობებს

[993] დანვრ. იხ. Eckstein, ZIS 5/2013, 220 და შემდეგი.

[994] Eser, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 36 Rn. 71.

[995] Ambos, Int. Strafrecht, 2. Aufl., § 12 Rn. 14.

აკმაყოფილებს:

საქმე გვაქვს სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელი ორგანოს მიერ მიღებულ პროცესის/წარმოების დამამთავრებელ გადაწყვეტილებასთან;

გადაწყვეტილებას პირისთვის საუარესოდ მიღების შემთხვევაში ექნებოდა სადამსჯელო ხასიათი;

გადაწყვეტილება საბოლოოა და პირი თავისუფლდება ბრალდებისგან.[996]

654 **იგივე დანაშაული** – შენგენის განხორციელების შესახებ ხელშეკრულების 54-ე მუხლის მეორე წინაპირობაა „იგივე დანაშაული", რომელიც ასევე გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს, ვინაიდან დანაშაულის გაგება წევრ სახელმწიფოებში ერთმანეთისგან განსხვავდება და სხვადასხვა ფაქტორებზე არის დამოკიდებული.[997] ვინაიდან ჩვენ ამ სპეციფიკიდან გამომდინარე დანაშაულის წმინდა ნაციონალური გაგება სიტუაციის შეფასებისთვის არ გამოგვადგება, საჭიროა მოვახდინოთ ქმედების შეფასება ევროკავშირის სამართლიდან გამომდინარე და შემოვიღოთ, ასე ვთქვათ, „ევროპული დანაშაულის" ცნება.[998] პრობლემის ნათლად საჩვენებლად განვიხილავთ შემდეგ კაზუსს:

> ა ფულს შოულობდა ნარკოტიკების გაყიდვით. 2005 წლის 15 აგვისტოს მან ერთი კილო კოკაინი გადაიტანა მიუნხენიდან (გერმანია) ზალცბურგში (ავსტრია). 17 აგვისტოს ის ავსტრიის პოლიციამ დააკავა და ერთ თვეში მას სასამართლომ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ნარკოტიკების უკანონოდ შემოტანის გამო. გარკვეული ხნის შემდეგ ა ვადაზე ადრე გაათავისუფლეს და ის დაბრუნდა მიუნხენში, სადაც პოლიციამ მაშინათვე დააკავა. მიუნხენის სასამართლომ ა-ს 2005 წლის 15 აგვისტოს ჩადენილი ნარკოტიკების უკანონოდ გატანის გამო 2 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. დაირღვა თუ არა ამით ევროკავშირის სამართალი, კერძოდ ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი?[999]

655 როგორც ვხედავთ, მოცემულ კაზუსში ერთ დღეს განხორციელებული ერთი ქმედება სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოს მიერ სულ სხვადასხვანაირად იქნა დაკვალიფიცირებული და განსხვავებული შეფა-

[996] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 10 Rn. 60 ff.
[997] Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 10 Rn. 68.
[998] Ambos, Int. Strafrecht, 2. Aufl., § 12 Rn. 49.
[999] კაზუსი მოყვანილია წიგნიდან Safferling, Int. Strafrecht, § 12 Rn. 96.

სება მიეცა, რაც თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ წმინდა ნაციონალური გაგება დანაშაულისა შენგენი II-ის 54-ე მუხლთან მიმართებაში შორს ვერ წაგვიყვანს და ვერ სცემს პასუხს კითხვაზე, ერთ თუ ორ დანაშაულთან გვაქვს საქმე. აქედან გამომდინარე, ევროგაერთიანების სასამართლო საკითხს მატერიალური კუთხით უდგება: თუ სხვადასხვა სახელმწიფოში განხორციელებული ქმედებები (გერმანიიდან „გატანა" და ავსტრიაში „შეტანა") ისეთი ფაქტების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც დროის, სივრცისა და მიზნის თვალსაზრისით ერთმანეთთან უწყვეტად/განუყოფლად არიან დაკავშირებული, მაშინ საქმე გვაქვს „იგივე დანაშაულთან".[1000] მხოლოდ ერთიანი განზრახვის არსებობა დროისა და სივრცის კრიტერიუმების გათვალისწინების გარეშე საკმარისი არ არის.[1001] ყოველივე აქედან გამომდინარე, გერმანიაში ა-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და გასამართლება ეწინააღმდეგება ევროკავშირის ფარგლებში მოქმედ ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპს.

საინტერესოა შემდეგი შემთხვევაც, რომელიც წინა კაზუსის იდენტურია, თუმცა, მხოლოდ რაოდენობაშია სხვაობა: **656**

> ა-მ 2005 წლის 15 აგვისტოს გერმანიიდან ავსტრიაში გადაიტანა კოკაინი, თუმცა, გამოძიების შედეგად მას დაუდგინდა გერმანიის მხრიდან 5 კილო კოკაინის გატანა, ხოლო ავსტრიული მხრიდან კი 1 კილო კოკაინის შეტანა, 4 კილო კი გზაში „გაქრა". ავსტრიაში ა-ს მიესაჯა რამდენიმე წლით თავისუფლების აღკვეთა 1 კილო კოკაინის შეტანის გამო. სასჯელის მოხდის შემდეგ კი გერმანიაში დაბრუნებულ ა-ზე გერმანიაში დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა 5 კილო კოკაინის გატანის გამო. ეწინააღმდეგება თუ არა ეს შენგენი II-ის 54-ე მუხლს?

ევროგაერთიანების სასამართლომ მოცემულ შემთხვევაშიც იგივე პოზიცია დააფიქსირა, როგორც წინა კაზუსთან მიმართებაში და „იგივე დანაშაულად" კვალიფიკაციაზე რაოდენობრივ სხვაობას არანაირი გავლენა არ მოუხდენია.[1002] შესაბამისად, ამ კაზუსშიც გერმანიამ დაარღვია ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი. **657**

ამ პოზიციასთან მიმართებაში იურიდიულ ლიტერატურაში გარკვეული კრიტიკა ისმის, რაც სავსებით სამართლიანიცაა. თუ ნაცვლად 1 კილოგრამის შეტანისა, მეორე სახელმწიფოში პირს მხოლოდ 5 გრამს **658**

[1000] EuGHE 2006, 2333 („van Esbroeck").
[1001] EuGHE 2007, 6619 („Kraaijenbrink").
[1002] EuGHE 2006, 9327 („van Straaten").

აღმოუჩენდნენ და ამ მცირე რაოდენობის გამო მას ლიბერალური კანონმდებლობის მქონე წევრი სახელმწიფო, სადაც ეს 5 გრამი შეიტანეს, დამნაშავეს მხოლოდ სიმბოლური სასჯელით, ფულადი ჯარიმით დასჯიდა, ჩნდება კითხვა, რატომ უნდა გათავისუფლდეს ეს პირი მეორე სახელმწიფოში პასუხისმგებლობისგან, საიდანაც მან 5 კილო გამოიტანა?[1003]

659 **აღსრულების ელემენტი** – შენგენის განხორციელების შესახებ ხელშეკრულების 54-ე მუხლი ორმაგი დასჯის აკრძალვის მესამე წინაპირობად სანქციის აღსრულების ელემენტის გათვალისწინებას ითხოვს. პირველ რიგში სხვა ქვეყანაში დასჯადობა გამოირიცხება, თუ პირველად დაკისრებული სანქცია **უკვე აღსრულდა**, ანუ პირმა დაკისრებული სასჯელი მოიხადა, იქნება ეს თავისუფლების აღკვეთა, პირობითი მსჯავრის ვადის გასვლა თუ ფულადი ჯარიმის გადახდა.[1004]

660 თავიდან დასჯადობა გამოირიცხება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სანქცია ჯერ კიდევ **აღსრულების პროცესშია**. თუ პირს მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა და სასამართლო მას გამოსაცდელ ვადას დაუდგენს, მაშინ ეს პირი თავისუფლების აღკვეთის აღსრულების პროცესში მყოფად ჩაითვლება.[1005]

661 ასევე თუ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო განაჩენის გამომტან სახელმწიფოში უკვე **შეუძლებელია სასჯელის აღსრულება**, პირი მეორე სახელმწიფოში ვერ მიეცემა იმავე დანაშაულისთვის პასუხისგებაში.

662 1944 წელს გერმანიის ჯარების ერთ-ერთმა ოფიცერმა, იტალიაში, კერძოდ ტოსკანაში, პარტიზანების თავდასხმის გამო შურისძიების მიზნით ერთ-ერთ დასახლებაში დარჩენილი ყველა მამაკაცი ჯარისკაცებს ერთ სახლში ჩააკეტინა და შემდეგ ააფეთქებინა. აღსანიშნავია, რომ ამ პირებს პარტიზანებთან არანაირი კავშირი არ ჰქონიათ. 2006 წელს იტალიის სასამართლომ ოფიცერს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა სასჯელი არ აღსრულებულა. მოგვიანებით ოფიცრის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო გერმანიაშიც. დაირღვა თუ არა ევროკავშირში მოქმედი ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი?

663 გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ საკითხის გადა-

1003 Ambos, Int. Strafrecht, 2. Aufl., § 12 Rn. 50.

1004 Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 10 Rn. 69.

1005 Eser, კრებულში: Sieber/Brüner/Satzger/v. Heintschel-Heinegg, Europäisches Strafrecht, § 36 Rn. 73.

საწყვეტად მოიშველია შენგენი II-ის 54-ე მუხლი და დაადგინა, რომ ორმაგი დასჯის აკრძალვის ასამოქმედებლად საჭიროა სამი კომპონენტის გათვალისწინება: იგივე დანაშაული, კანონიერ ძალაში შესული განაჩენი და აღსრულების ელემენტი – სასჯელი უკვე აღსრულებულია, აღსრულების პროცესშია ან აღსრულება შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში სწორედ მესამე პირობა არ იყო მოცემული და შესაბამისად ადგილი არ ჰქონია ორმაგი დასჯის პრინციპის დარღვევას. გერმანიაში ოფიცრის სისხლისსამართლებრივი დევნა არ ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის სამართალს.[1006]

664 აღსრულების ელემენტის საკითხის შეფასებისას გასათვალისწინებელია ამნისტია და შეწყალებაც, რომლებიც უპრობლემოდ შეგვიძლია მოვიაზროთ 54-ე მუხლში. თუ პირს ერთ სახელმწიფოში გაასამართლებენ და მერე შეიწყალებენ, მაშინ მას იგივე დანაშაულის გამო სხვა სახელმწიფოში ვერ მისცემენ პასუხისგებაში.[1007]

665 შენგენის განხორციელების ხელშეკრულების 54-ე მუხლთან ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს 55-ე მუხლიც, რომლის თანახმად ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს გარკვეული წინაპირობების არსებობისას შეუძლია რატიფიკაციის ან ხელშეკრულებისადმი მიერთების დროს განაცხადოს, რომ არ გაითვალისწინებს 54-ე მუხლს, ანუ ევროპული ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპს. ეს წინაპირობა შეიძლება იყოს მაგ. დანაშაულის ჩადენა მთლიანად ან ნაწილობრივ საკუთარ ტერიტორიაზე (ოღონდ ამავდროულად პირველი განაჩენის გამომტანი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენისას ეს დათქმა ვერ იმოქმედებს) ან ჩადენილი დანაშაულის გამო საფრთხის შექმნა სახელმწიფოს უშიშროებისთვის.

666 ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ გაკეთებული დათქმის საფუძველზე ორმაგი დასჯის პრინციპის იგნორირებისას თუ მოხდება პირის მეორეჯერ გასამართლება, მაშინ შენგენის განხორციელების ხელშეკრულების 56-ე მუხლი ამ სახელმწიფოს ავალდებულებს დამნაშავის მიერ უკვე მოხდილი თავისუფლების აღკვეთა წინა განაჩენის გამომტან სახელმწიფოში მეორე სასჯელში ჩაუთვალოს. ხოლო თუ შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ამის საშუალებას იძლევა, უნდა მოხდეს თავისუფლების შემზღუდავი სხვა სანქციების გათვალისწინებაც.

[1006] გადაწყვეტილების მოკლე ტექსტი იხ. საიტზე:http://juris.bundesgerichtshof.de/cgi-bin/rechtsprechung/document.py?Gericht=bgh&Art=en&Datum=Aktuell&nr=53937&linked=pm (ნანახია 3.8.2017); შეად. Eckstein, ZIS 5/2013, 220.

[1007] დაწერ. იხ. Satzger, Int. und Europ. Strafrecht, § 10 Rn. 73.

დასკვნა

667 ევროპული სისხლის სამართლისა და ზოგადად, ევროპული ინტეგრაციის პროცესების განხილვა ნათლად გვიჩვენებს მოცემული დარგის დინამიურობას. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები თითქმის ყოველდღიურად ახალი გამოწვევების წინაშე დგებიან, ვინაიდან წმინდა ნაციონალური სისხლის სამართალი ხშირად ვერ უწყობს ფეხს ერთიანი ევროპული განვითარების პროცესს. ამავდორულად, სისხლის სამართლის ევროპეიზაცია არ ნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფოს ღირებულებებზე უარის თქმას და ნაჩქარევი ცვლილებების მიღებას. გამომდინარე აქედან, ყოველი ახალი ცვლილება უნდა იქნას გააზრებული როგორც ევროკავშირის სამართლის, ასევე შიდასახელმწიფოებრივი თავისებურებების გათვალისწინებით. თუ გადავხედავთ ევროკავშირის ფარგლებში მიმდინარე საკანონმდებლო პროცესებს, დავინახავთ, რომ ამ გაერთიანების გავლენები წევრი სახელმწიფოების ნაციონალურ სისხლის სამართალზე სულ უფრო იზრდება და ის მოიცავს სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ასევე საპროცესო ნაწილებს. ამ პროცესებს კი შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის თეორია და პრაქტიკა მომზადებული უნდა დახვდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულენოვანი:

ბრაიანტი, პიტერ, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სისხლის სამართლის დანაშაულის სასამართლო განხილვა, თბილისი 2008 (ციტირებულია: ***ბრაიანტი,*** ტრეფიკინგი).

გაბელია, ჯემალ, ადამიანის მოტაცების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, თბილისი 2003 (ციტირებულია: ***გაბელია,*** ადამიანის მოტაცება).

გაბისონია, იური, იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკვანძო საკითხები, ჟურნალი ცხოვრება და კანონი (თბილისი), 2/2007, 12-15.

გაბისონია, იური, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო თავისებურებანი, ჟურნალი პროფესია ადვოკატი (თბილისი), 2/2007, 68-81.

გაბრიჩიძე, გაგა, ევროპული კავშირის სამართალი, თბილისი 2012 (ციტირებულია: ***გაბრიჩიძე,*** ევროპული კავშირის სამართალი).

გაბრიჩიძე, ნუგ ზარ, საპროცესო შეთანხმება, ჟურნალი ადამიანი და კონსტიტუცია (თბილისი), 3/2004, 54-63.

გამყრელიძე, ოთარ (რედ.), სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი-დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი 2008 (ციტირებულია: ***გამყრელიძე,*** სასამართლო პრაქტიკის კომენტარი).

გამყრელიძე, ოთარ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება-ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, მეორე გამოცემა, თბილისი 2008 (ციტირებულია: ***გამყრელიძე,*** ზოგადი ნაწილის განმარტება).

დგებუაძე, გიორგი, ამსრულებლობა საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრებულში: ***ტურავა, მერაბ (რედ.),*** სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბილისი 2013, 325-353 (ციტირებულია: ***დგებუაძე,*** კრებულში: ***ტურავა,*** სისხლის სამართლის მეცნიერება).

დელემენჩუკი, ალექსანდრა/გოგოლაძე, ნინო, პრაქტიკული სახელმძღვანელო ტრეფიკინგზე მომუშავე სერვისის მიმწოდებ-

ლებისათვის, თბილისი 2009 (ციტირებულია: ***დელემენჩუკი/გოგოლაძე,*** პრაქტიკული სახელმძღვანელო).

დემეტრაშვილი, ავთანდილ/კოპახიძე, ირაკლი, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი 2010 (ციტირებულია: ***დემეტრაშვილი/კოპახიძე,*** კონსტიტუციური სამართალი).

დვალიძე, ირაკლი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი 2013 (ციტირებულია: ***დვალიძე,*** სასჯელი)

ზატცგერი, ჰელმუტ, ევროპული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ნაკლი, კრებულში: ***ტურავა, მერაბ (რედ.),*** ევროპული სისხლის სამართალი, თბილისი 2010, 517-523 (ციტირებულია: ***ზატცგერი,*** კრებულში: ***ტურავა,*** ევროპული სისხლის სამართალი).

თუმანიშვილი, გიორგი, „გაიდლაინების" მართლმსაჯულების სისტემაში გამოყენების საკითხისათვის, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი (თბილისი), 3/2010, 66-74.

ისაევი მ.მ., სისხლის სამართალი, განსაკუთრებული ნაწილი-ქონებრივი დანაშაული, თბილისი 1940 (ციტირებულია: ***ისაევი,*** ქონებრივი დანაშაული).

ლეკვეიშვილი, მზია/თოდუა, ნონა/მამულაშვილი, გოჩა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი-წიგნი I, მეექვსე გამოცემა, თბილისი 2016 (ციტირებულია: **ავტორთა კოლექტივი,** კერძო ნაწილი I).

ლეკვეიშვილი, მზია/ თოდუა, ნონა/ მამულაშვილი, გოჩა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი-წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბილისი 2017 (ციტირებულია: **ავტორთა კოლექტივი,** კერძო ნაწილი II).

მამულაშვილი, გოჩა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი (თბილისი), 2/2006, 54-61.

მანაგაძე, დავით, საპროცესო შეთანხმება საზღვარგარეთ და საქართველოში, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი (თბილისი), 1/2010, 26-38.

მეიშვილი, ზაზა/ჯორბენაძე, ომარ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი 2007 (ციტირებულია: ***მეიშვილი/ჯორბენაძე,*** სისხლის სამართლის პროცესი).

მენშაგინი, ვ.ი., სისხლის სამართალი, განსაკუთრებული ნაწილი-მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაული, თბილისი 1939 (ციტირებულია: *მენშაგინი,* მმართველობის წესის საწინააღდეგო დანაშაული).

ოხანაშვილი, ანრი, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სამართლის ჟურნალი (თბილისი), 2/2009, 183-208.

პატარაია, თამარ/დანელია, ნინო/საყევარიშვილი, რევაზ, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველოს სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების შესრულება, თბილისი 2009 (ციტირებულია: *პატარაია/დანელია/საყევარიშვილი,* სამეზობლო პოლიტიკა).

საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, საპროცესო შეთანხმება საქართველოში, თბილისი 2010 (ციტირებულია: *საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო,* საპროცესო შეთანხმება).

საქართველოს უზენაესი სასამართლო, სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი 2007 (ციტირებულია: *უზენაესი სასამართლო,* რეკომენდაციები).

ტურავა, მერაბ (რედ.), ევროპული სისხლის სამართალი, თბილისი 2010 (ციტირებულია: *ტურავა,* ევროპული სისხლის სამართალი).

ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი-დანაშაულის მოძღვრება, თბილისი 2011 (ციტირებულია: *ტურავა,* დანაშაულის მოძღვრება).

ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი 2013 (ციტირებულია: *ტურავა,* ზოგადი ნაწილი).

ფალიაშვილი, აპოლონ (რედ.), სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი 2002 (ციტირებულია: *ფალიაშვილი,* სისხლის სამართლის პროცესი).

ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა - ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმის ამოცანების შესრულება, თბილისი 2010 (ციტირებულია: *ღია საზოგადოება საქართველო,* სამოქმედო გეგმის შესრულება).

ფურცხვანიძე, ბორის, საბჭოთა სისხლის სამართალი-განსაკუთრებული ნაწილი, თბილისი 1966 (ციტირებულია: ***ფურცხვანიძე,*** საბჭოთა სისხლის სამართალი).

ცნობილაძე, პაატა, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბილისი 2002 (ციტირებულია: ***ცნობილაძე,*** კონსტიტუციური სამართალი).

ჯიშკარიანი, ბაჩანა, ევროპული სამართალი და მისი გავლენა ნაციონალურ სისხლის სამართალზე, სამართლის ჟურნალი (თბილისი), 1-2/2010, 240-256.

ჯიშკარიანი, ბაჩანა, სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაციის კომპეტენცია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მიხედვით, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი (თბილისი), 3/2011, 102-115.

ჯიშკარიანი, ბაჩანა, სისხლისსამართლებრივი ინტეგრაცია ევროგაერთიანების/ევროკავშირის ფარგლებში (ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მე-3 აბზაცზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით), კრებულში: ***ტურავა (რედ.),*** ევროპული სისხლის სამართალი, 164-194, თბილისი 2010 (ციტირებულია: ***ჯიშკარიანი,*** კრებულში: ***ტურავა,*** ევროპული სისხლის სამართალი).

ჭანტურიძე, გიორგი, საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში, თბილისი 2007 (ციტირებულია: ***ჭანტურიძე,*** საპროცესო შეთანხმება).

წერეთელი, თინათინ/ტყეშელიაძე, გიორგი, საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, ზოგადი ნაწილის კომენტარი, თბილისი 1976 (ციტირებულია: ***წერეთელი/ტყეშელიაძე,*** ზოგადი ნაწილის კომენტარები).

წულაია, ზაურ, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი 2000 (ციტირებულია: ***წულაია,*** დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ).

ჰეგერი, მარტინ, ევროპული სისხლის სამართლის პერსპექტივები ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით, კრებულში: ***ტურავა, მერაბ (რედ.),*** ევროპული სისხლის სამართალი, თბილისი 2010, 140-164 (ციტირებულია: ***ჰეგერი,*** კრებულში: ***ტურავა,*** ევროპული სისხლის სამართალი).

Alberring, Martin, Strafbarkeit von Verbänden de lege lata? Hamburg 2010 (ციტირებულია: ***Alberring***, Strafbarkeit von Verbänden).

Albrecht, Peter-Alexis, Europäischer Strafrechtsraum: Ein Albtraum? ZRP 2004, 1-4.

Altenhain, Karsten/Hagemeier, Ina/Haimerl, Michael, Die Vorschläge zur gesetzlichen Regelung der Urteilsabsprachen im Lichte aktueller rechtsstaatlicher Erkenntnisse, NStZ 2007, 71-79.

Ambos, Kai, Internationales Strafrecht, 2. Aufl., München 2008 (ციტირებულია: ***Ambos***, Int. Strafrecht, 2. Aufl.).

Ambos, Kai, Internationales Strafrecht, 4. Aufl., München 2014 (ციტირებულია: ***Ambos***, Int. Strafrecht).

Arndt, Hans-Wolfgang/Fischer, Kristian/Fetzer, Thomas, Europarecht, 10. Aufl., Heidelberg 2010 (ციტირებულია: ***Arndt/Fischer/Fetzer***, Europarecht).

Bachner-Foregger, Helene (Hrsg.), Strafgesetzbuch, 22. Aufl., Wien 2009 (ციტირებულია: ***Bachner-Foregger***, Strafgesetzbuch).

Bacigalupo, Enrique, Der besondere Teil des Corpus Juris, კრებულში: ***Huber, Barbara*** (Hrsg.), Das Corpus Juris als Grundlage eines Europäischen Strafrechts-Europäisches Kolloquium, Trier, 4.-6. März 1999, Freiburg im Br. 2000, 129-140 (ციტირებულია: ***Bacigalupo***, კრებულში: ***Huber***, Europäisches Kolloquium).

Baumann, Jürgen/Weber, Ulrich/Mitsch, Wolfgang, Strafrecht, Allgemeiner Teil, 11. Aufl., Bielefeld 2003 (ციტირებულია: ***Baumann/Weber/Mitsch***, Strafrecht AT).

Behrens, Martin, Der Verfassungsvertrag in der Ratifikationskrise: Handlungsoptionen, კრებულში: ***Niedobitek, Matthias/Ruth, Simone*** (Hrsg.), Die neue Union, Berlin 2007, 9-26 (ციტირებულია: ***Behrens***, კრებულში: ***Niedobitek/Ruth***, Die neue Union).

Benda, Ernst, Vom Sinn menschlichen Strafens, კრებულში: ***Gareis, Balthasar/Wiesnet, Eugen***(Hrsg.), Hat Strafe Sinn? Freiburg im Breisgau 1974, 16-31 (ციტირებულია: ***Benda***, კრებულში: ***Gareis/Wiesnet***, Strafe).

Bender, Peter, Der EuGH und das Zollstrafrecht, wistra 2006, 41-45.

Bergmann, Jan/Lenz, Christofer (Hrsg.), Der Amsterdamer Vertrag, 1. Aufl.,

Köln 1998 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: ***Bergmann/Lenz***, Der Amsterdamer Vertrag).

Bergmann, Jan, Handlexikon der Europäischen Union, 5. Aufl., Baden-Baden 2015 (ციტირებულია: ***Bergmann***, Handlexikon der Europäischen Union).

Bieber, Roland/Epiney, Astrid/Haag, Marcel, Die Europäische Union, 8. Aufl., Baden-Baden 2009 (ციტირებულია: ***Bieber/Epiney/Haag,*** Die Europäische Union, 8. Aufl.).

Bieber, Roland/Epiney, Astrid/Haag, Marcel, Die Europäische Union, 9. Aufl., Baden-Baden 2011 (ციტირებულია: ***Bieber/Epiney/Haag,*** Die Europäische Union).

Bitzilekis, Nikolaos/Kaiafa-Gbandi, Maria/Symeonidou-Kastanidou, Elisavet, Theorie der genuinen europäischen Rechtsgüter, კრებულში: ***Schünemann, Bernd***, Ein Gesamtkonzept für die europäische Strafrechtspflege, Köln u.a. 2006, 222-232(ციტირებულია: ***Bitzilekis/Kaiafa-Gbandi/Symeonidou-Kastanidou***, krebulSi: ***Schünemann***, Gesamtkonzept).

Bleckmann, Albert, Die Überlagerung des nationalen Strafrechts durch das Europäische Gemeinschaftsrecht, კრებულში: ***Küper, Wilfried/Welp, Jürgen*** (Hrsg.), Beiträge zur Rechtswissenschaft - Festschrift für Walter Stree und Johannes Wessels, Heidelberg 1993, 107-114 (ციტირებულია: ***Bleckmann***, კრებულში: ***Küper/Welp***, Beiträge zur Rechtswissenschaft).

Borchardt, Klaus-Dieter, Die rechtlichen Grundlagen der Europäischen Union, 3. Aufl., Heidelberg 2006 (ციტირებულია: ***Borchardt***, Grundlagen der Europäischen Union).

Böse, Martin, Strafen und Sanktionen im Europäischen Gemeinschaftsrecht, Köln u.a. 1996 (ციტირებულია: ***Böse***, Strafen und Sanktionen).

Braum, Stefan, Europäische Strafgesetzlichkeit, Frankfurt am Main 2003 (ციტირებულია: ***Braum***, Strafgesetzlichkeit).

Brodowski, Dominik, Strafrechtsrelevante Entwicklungen in der Europäischen Union - ein Überblick, ZIS 11/2012, 558-570.

Calliess, Christian/Ruffert, Matthias (Hrsg.), EUV/AEUV, Kommentar, 5. Aufl., München 2016 (ციტირებულია: ***Calliess/Ruffert***, EUV/AEUV).

Calliess, Christian/Ruffert, Matthias (Hrsg.), EUV/EGV, Das Verfassungsrecht der Europäischen Union mit Europäischer Grundrechtecharta-Kommentar, 3. Aufl., München 2007 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებ-

ში: ***Caliess/Ruffert***, EUV/EGV).

Calliess, Christian/Ruffert, Matthias (Hrsg.), Verfassung der Europäischen Union-Kommentar der Grundlagenbestimmungen (Teil I), München 2006 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: ***Calliess/Ruffert***, Verfassung).

Coing, Helmut, Europäisierung der Rechtswissenschaft, NJW 1990, 937-941.

Cuerda Riezu, Antonio, Besitzt die Europäische Gemeinschaft ein ius puniendi? კრებულში: ***Schünemann, Bernd/González, Carlos Suárez***(Hrsg.), Bausteine des europäischen Wirtschaftsstrafrechts-Madrid-Symposium für Klaus Tiedemann, Köln u.a. 1994, 367-377 (ციტირებულია: ***Cuerda***, კრებულში: ***Schünemann/González***, Bausteine).

Dannecker, Gerhard, Zur Notwendigkeit der Einführung kriminalrechtlicher Sanktionen gegen Verbände, GA 2001, 101-130.

Dannecker, Gerhard, Das materielle Strafrecht im Spannungsfeld des Rechts der Europäischen Union (Teil I), JURA 2006, 95-102.

Dannecker, Gerhard, Das materielle Strafrecht im Spannungsfeld des Rechts der Europäischen Union (Teil II), JURA 2006, 173-177.

Dannecker, Gerhard, Der zeitliche Geltungsbereich von Strafgesetzen und der Vorrang des Gemeinschaftsrechts, ZIS 7/2006, 309-317.

Dannecker, Gerhard, Strafrecht der Europäischen Gemeinschaft, კრებულში: ***Eser, Albin/Huber, Barbara*** (Hrsg.), Strafrechtsentwicklung in Europa Bd. 4.3., Freiburg im Breisgau 1995, 1965-1989 (ციტირებულია: ***Dannecker***, კრებულში: ***Eser/Huber***, Strafrechtsentwicklung, Bd. 4.3.).

Dannecker, Gerhard, Strafrechtlicher Schutz der Finanzinteressen der Europäischen Gemeinschaft gegen Täuschung, ZStW 108 (1996), 577-608.

Delmas-Marty, Mireille (Hrsg.): Corpus Juris der strafrechtlichen Regelungen zum Schutz der finanziellen Interessen der Europäischen Union, Köln u.a. 1998 (ციტირებულია: ***Delmas-Marty***, Corpus Juris).

Diehm, Dirk, Die „safe-harbor"-Verordnung und das Urteil des EuGH zum Rahmenbeschluss über den Schutz der Umwelt durch das Strafrecht, wistra 2006, 366-370.

Dölling, Dieter/Duttge, Gunnar/Rössner, Dieter (Hrsg.), Gesamtes Strafrecht, StGB/ StPO/Nebengesetze, Handkommentar, 2. Aufl., Baden-Baden 2011

(ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: ***Dölling/Duttge/Rössner***, Gesamtes Strafrecht).

Eckstein, Ken, Im Netz des Unionsrechts – Anmerkungen zum Fransson-Urteil des EuGH, ZIS 5/2013, 220-225.

Eisele, Jörg, Einflussnahme auf nationales Strafrecht durch Richtliniengebung der Europäischen Gemeinschaft, JZ 2001, 1157-1165.

Enderle, Bettina: Blankettstrafgesetze, Verfassungs- und strafrechtliche Probleme von Wirtschaftsstraftatbeständen, Frankfurt am Main 2000 (ციტირებულია: ***Enderle***, Blankettstrafgesetze).

Epiney, Astrid/Rieder, Andreas/Danckelmann, Ira von, Europarecht I-*Das institutionelle Recht der Europäischen Union,* Bern 2004 (ციტირებულია: ***Epiney/Rieder/Danckelmann***, Europarecht I).

Esser, Robert, Europäisches und Internationales Strafrecht, München 2014 (ციტირებულია: Esser, Europäisches und Internationales Strafrecht).

Fijnaut, Cyrille, Organisierte Kriminalität in Nordwesteuropa, კრებულში: ***Sieber, Ulrich*** (Hrsg.), Internationale organisierte Kriminalität-Herausforderungen und Lösungen für ein Europa offener Grenzen, Köln u.a. 1997, 3-41 (ციტირებულია: ***Fijnaut***, კრებულში: ***Sieber***, Int. org. Kriminalität).

Fischer, Klemens H., Der Vertrag von Lissabon, 2. Aufl., Baden-Baden 2010 (ციტირებულია: ***Fischer***, Der Vertrag von Lissabon).

Fischer, Thomas, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 61. Aufl., München 2014 (ციტირებულია: ***Fischer***, Strafgesetzbuch).

Foffani, Luigi, Schutz des Kredit-, Börsen- und Finanzwesens, კრებულში: ***Tiedemann, Klaus*** (Hrsg.), Wirtschaftsstrafrecht in der Europäischen Union-Freiburg-Symposium, Köln u.a. 2002, 335-352 (ციტირებულია: ***Foffani***, კრებულში: ***Tiedemann***, Wirtschaftsstrafrecht).

Frenz, Walter/Wübbenhorst, Hendrik J.C., Die Europäisierung nach der Lissabon-Entscheidung des BVerfG, wistra 2009, 449-452.

Frowein, Jochen/Peukert, Wolfgang, Europäische Menschenrechtskonvention-EMRK-Kommentar, 3. Aufl., Kehl am Rhein 2009 (ციტირებულია: ***Frowein/Peukert,*** Menschenrechtskonvention).

Gärditz, Klaus Ferdinand, Der Strafprozess unter dem Einfluss europäischer Richtlinien, wistra 1999, 293-296.

Geiger, Rudolph, EUV/EGV, Vertag über die Europäische Union und Vertrag zur Gründung der Europäischen Gemeinschaft, 4. Aufl., München 2004 (ციტირებულია: ***Geiger***, EUV/EGV).

Gentzik, Daniel, Die Europäisierung des deutschen und englischen Geldwäschestrafrechts, Berlin 2002 (ციტირებულია: ***Gentzik***, Geldwäschestrafrecht).

Going, Helmut, Europäisierung der Rechtswissenschaft, NJW 1990, 937-941.

Gössel, Karl Heinz, Zur Zulässigkeit von Absprachen im Strafverfahren in der Rechtsprechung, კრებულში: ***Schöch, Heinz/Helgerth, Roland/Dölling, Dieter/König, Peter***(Hrsg.), Recht gestalten-dem Recht dienen - Festschrift für Reinhard Böttcher, Berlin 2007, 79-92 (ციტირებულია: ***Gössel***, კრებულში: ***Schöch/Helgerth/Dölling/König***, Festschrift für Böttcher).

Grabitz, Eberhard/Hilf, Meinhard/Nettesheim, Martin, Das Recht der Europäischen Union: EUV/AEUV, 60. Ergänzungslieferung, München 2016 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: Grabitz/Hilf/Nettesheim, Das Recht der Europäischen Union).

Graf, Jürgen Peter (Hrsg.), Strafprozessordnung mit Gerichtsverfassungsgesetz und Nebengesetzen, Kommentar, München 2010 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: ***Graf***, Strafprozessordnung).

Gröblinghoff, Stefan, Die Verpflichtung des deutschen Gesetzgebers zum Schutz der Interessen der Europäischen Gemeinschaften, Heidelberg 1996 (ციტირებულია: ***Gröblinghoff***, Verpflichtung).

Gropp, Walter/Huber, Barbara (Hrsg.), Rechtliche Initiativen gegen organisierte Kriminalität, Freiburg in Breisgau 2001 (ციტირებულია: ავტორი, კრებულში: ***Gropp/Huber***, Initiativen).

Hakenberg, Waltraud, Europarecht, 5. Aufl., München 2010 (ციტირებულია: ***Hackenberg***, Europarecht).

Hakenberg, Waltraud, Grundzüge des Europäischen Gemeinschaftsrechts, 3. Aufl., München 2003 (ციტირებულია: ***Hackenberg***, Grundzüge).

Hannich, Rolf, Karlsruher Kommentar zur Strafprozessordnung mit GVG, EGGVG und EMRK, 6. Aufl., München 2008 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: ***Hannich***, Karlsruher Kommentar).

Haratsch, Andreas/Koenig, Christian/Pechstein, Matthias, Europarecht, 7. Aufl., Tübingen 2010 (ციტირებულია: ***Haratsch/Koenig/Rechstein***, Euro-

parecht).

Hartmann, Arthur/Schmidt, Rolf, Strafprozessrecht, Grundzüge des Strafverfahrens, 3. Aufl., 2010 (ციტირებულია: ***Hartmann/Schmidt***, Strafprozessrecht).

Hatje, Armin, Die institutionelle Reform der Europäischen Union, Der Vertrag von Nizza auf dem Prüfstand, EuR 2001, 143-184.

Hecker, Bernd, Strafbare Produktwerbung im Lichte des Gemeinschaftsrechts, Tübingen 2001 (ციტირებულია: ***Hecker***, Produktwerbung).

Hecker, Bernd, Die Strafbarkeit grenzüberschreitender Luftverunreinigungen im deutschen und europäischen Umweltstrafrecht, ZStW 115 (2003), 880-905.

Hecker, Bernd, Europäisches Strafrecht als Antwort auf transnationale Kriminalität? JA 2002, 723-730.

Hecker, Bernd, Europäisches Strafrecht, 2. Aufl., Berlin u.a. 2007 (ციტირებულია: ***Hecker***, Europ. Strafrecht, 2. Aufl.).

Hecker, Bernd, Europäisches Strafrecht, 3. Aufl., Berlin u.a., 2010 (ციტირებულია: ***Hecker***, Europ. Strafrecht).

Hecker, Bernd/Zöller, Mark A., Fallsammlung zum Europäischen und Internationalen Strafrecht, 2. Aufl., Berlin u.a. 2017 (ციტირებულია: Hecker/Zöller, Fallsammlung).

Hefendehl, Roland, Europäischer Umweltschutz: Demokratiespritze für Europa oder Brüsseler Putsch? ZIS 4/2006, 161-167.

Heger, Martin, Anmerkung, JZ 2006, 310-313.

Heger, Martin, Perspektiven des Europäischen Strafrechts nach dem Vertrag von Lissabon, Eine Durchsicht des (wohl) kommenden EU-Primärrechts vor dem Hintergrund des Lissabon-Urteils des BVerfG vom 30.06.2009., ZIS 8/2009, 406-417.

Heine, Günter, Zur Rolle des strafrechtlichen Umweltschutzes, ZStW 101 (1989), 722-755.

Heinrich, Bernd, Strafrecht, Allgemeiner Teil, 2. Aufl., Stuttgart 2010 (ციტირებულია: ***Heinrich***, Strafrecht AT).

Heitzer, Anne, Punitive Sanktionen im Europäischen Gemeinschaftsrecht, Heidelberg 1997 (ციტირებულია: ***Heitzer***, Punitive Sanktionen).

Hellmann, Uwe, Europäisierung des Strafrechts, კრებულში: ***Nierhaus, Michael*** (Hrsg.), Europäische Union und nationales Recht, Potsdam 1999, 39-51 (ციტირებულია: ***Hellmann***, კრებულში: ***Nierhaus***, Europäische Union).

Herdegen, Matthias, Europarecht, 16. Aufl., München 2014 (ციტირებულია: ***Herdegen***, Europarecht).

Herrmann, Christoph, Richtlinienumsetzung durch die Rechtsprechung, Berlin 2003 (ციტირებულია: ***Herrmann***, Richtlinienumsetzung).

Herrmann, Christoph, Der Vertrag von Lissabon-Ein Überblick, JURA 2010, 161-167.

Herz, Dietmar/Jetzlsperger, Christian, Die europäische Union, 2. Aufl., München, 2008 (ციტირებულია: ***Herz/Jetzlsperger***, Union).

Heselhaus, F. Sebastian M./Nowak, Carsten(Hrsg.), Handbuch der Europäischen Grundrechte, München 2006 (ციტირებულია: ავტორი, კრებულში: ***Heselhaus/Nowak***, Grundrechte).

Hetzer, Wolfgang, Korruptionsbekämpfung in Europa, NJW 2004, 3746-3750.

Hetzer, Wolfgang, Schuldlose Sanktionssubjekte? - Unternehmenskriminalität und Verbandsstrafe, wistra 1999, 361-367.

Hirsch, Hans Joachim, Strafrechtliche Verantwortlichkeit von Unternehmen, ZStW 107 (1995), 285-323.

Hobe, Stephan, Europarecht, 6. Aufl., Köln u.a. 2011 (ციტირებულია: ***Hobe***, Europarecht).

Höpfel, Frank, Kommentar zu Fragen des Allgemeinen Teils des Corpus Juris aus österreichischem Blickwinkel, კრებულში: ***Huber, Barbara*** (Hrsg.), Das Corpus Juris als Grundlage eines Europäischen Strafrechts-Europäisches Kolloquium, Trier, 4.-6. März 1999, Freiburg im Breisgau 2000, 83-89 (ციტირებულია: ***Höpfel***, კრებულში: ***Huber***, Europäisches Kolloquium).

Huber, Peter M., Recht der Europäischen Integration, München 2002 (ციტირებულია: ***Huber***, Integration).

Hufen, Friedhelm, Staatsrecht II, Grundrechte, 2. Aufl., München 2009 (ციტირებულია: ***Hufen***, Staatsrecht II).

Hugger, Heiner, Strafrechtliche Anweisungen der Europäischen Gemeinschaft, Baden-Baden 2000 (ციტირებულია: ***Hugger***, Strafrechtliche Anweisungen).

Ipsen, Hans-Peter, Europäisches Gemeinschaftsrecht, Tübingen, 1972 (ციტირებულია: ***Ipsen***, Gemeinschaftsrecht).

Jagla, Susanne Fee, Auf dem Weg zu einem zwischenstaatlichen ne bis in idem im Rahmen der Europäischen Union, Frankfurt am Main u.a. 2007 (ციტირებულია: ***Jagla***, ne bis in idem).

Jarass, Hans D., Voraussetzungen der innerstaatlichen Wirkung des EG-Rechts, NJW 1990, 2420-2425.

Jähnke, Burkhard/Schramm, Edward, Europäisches Strafrecht, Berlin u.a. 2017 (ციტირებულია: Jähnke/Schramm, Europäisches Strafrecht).

Jens, Andreas, Der nationale Strafrechtsanwender unter dem Einfluss des Europäischen Gemeinschaftsrechts-Eine Systematisierung der Einflüsse des Anwendungsvorrangs des Gemeinschaftsrechts und der gemeinschaftsrechtskonformen Auslegung im deutschen materiellen Strafrecht, Berlin 2006 (ციტირებულია: ***Jens***, Strafrechtsanwender).

Jescheck, Hans-Heinrich, Die Strafgewalt übernationaler Gemeinschaften, ZStW 65 (1953), 496-518.

Jescheck, Hans-Heinrich, Gegenstand und neueste Entwicklung des internationalen Strafrechts, კრებულში: ***Schröder, Friedrich-Christian/Zipf, Heinz*** (Hrsg.)-Festschrift für Reinhart Maurach zum 70. Geburtstag, Karlsruhe 1972, 579-594 (ციტირებულია: ***Jescheck***, კრებულში: ***Schröder/Zipf***, Festschrift für Maurach).

Jescheck, Hans-Heinrich/Weigend, Thomas, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5. Aufl., Berlin 1996 (ციტირებულია: ***Jescheck/Weigend***, Strafrecht AT).

Joecks, Wolfgang/Miebach, Klaus(Hrsg.), Münchener Kommentar zum Strafgesetzbuch, Band 4, München 2006 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: ***Joecks/Miebach***, Münchener Kommentar, Bd. 4).

Jokisch, Jens, Gemeinschaftsrecht und Strafverfahren, Berlin 2000 (ციტირებულია: ***Jokisch***, Gemeinschaftsrecht).

Jishkariani, Bachana/Waßmer, Martin Paul(Hrsg.), Die Europäisierung des georgischen Wirtschaftsstrafrechts, Tbilissi, 2017 (ციტირებულია: ავტორი, კრებულში: ***Jishkariani/Waßmer***, Die Europäisierung des georgischen Wirtschaftsstrafrechts).

Jung, Heike/Schroth, Hans-Jürgen, Das Strafrecht als Gegenstand der Rechtsangleichung in Europa, GA 1983, 241-272.

Kaiafa-Gbandi, Maria, Das Corpus Juris und die Typisierung des Strafphänomens im Bereich der europäischen Union, კრებულში: ***Huber, Barbara*** (Hrsg.), Das Corpus Juris als Grundlage eines Europäischen Strafrechts-Europäisches Kolloquium, Trier, 4.-6. März 1999, Freiburg im Breisgau 2000, 91-114 (ციტირებულია: ***Kaiafa-Gbandi***, კრებულში: ***Huber***, Europäisches Kolloquium).

Kaiser, Günther, Kriminologie, 3. Aufl., Heidelberg 1996 (ციტირებულია: ***Kaiser***, Kriminologie).

Kasiske, Peter, Strafrecht I: Grundlagen und allgemeiner Teil, 2. Aufl., Stuttgart, 2016 (ციტირებულია: ***Kasiske***, Strafrecht I).

Kewenig, Wilhelm A., Niederlassungsfreiheit, Freiheit des Dienstleistungsverkehrs und Inländerdiskriminierung, JZ 1990, 20-24.

Kindhäuser, Urs, Strafrecht, Allgemeiner Teil, 5. Aufl., Baden-Baden 2011 (ციტირებულია: Kindhäuser, Strafrecht AT).

Kindhäuser, Urs/Neumann, Ulfrid/Paeffgen, Hans-Ullrich (Hrsg.), Strafgesetzbuch, Band 1, 3. Aufl., Baden-Baden 2010 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: ***Kindhäuser/Neumann/Paeffgen***, Strafgesetzbuch, Bd. 1).

Kirch-Heim, Claudio, Sanktionen gegen Unternehmen-Rechtsinstrumente zur Bekämpfung unternehmensbezogener Straftaten, Berlin 2007 (ციტირებულია: ***Kirch-Heim***, Sanktionen gegen Unternehmen).

Kischel, Uwe, Zur Dogmatik des Gleichheitssatzes in der Europäischen Union, EuGRZ 1997, 1-11.

Knaut, Silke: Die Europäisierung des Umweltstrafrechts-Von uneinheitlichen nationalen Regelungen über einheitliche europäische Mindeststandards hin zur Optimierung der Umweltstrafrechtsordnungen, Herbolzheim 2005 (ციტირებულია: ***Knaut***, Umweltstrafrecht).

Krekeler, Wilhelm/Löffelmann, Markus/Sommer, Ulrich (Hrsg.), AnwaltKommentar StPO, 2. Aufl., Bonn 2010 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: ***Krekeler/Löffelmann/Sommer***, StPO).

Kreß, Klaus, Das Strafrecht auf der Schwelle zum europäischen Verfassungsvertrag, ZStW 116 (2004), 445-474.

Kubiciel, Michael, Grund und Grenzen strafrechtlicher Anweisungskompetenz der Europäischen Gemeinschaft, NStZ 136-141.

Kühl, Kristian, Europäisierung der Strafrechtswissenschaft, ZStW 109 (1997), 777-807.

Lackner, Karl/Kühl, Kristian, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., München 2014 (ციტირებულია: ***Lackner/Kühl***, Strafgesetzbuch).

Leibholz, Gerhard/Rinck, Hans-Justus, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland-Kommentar an Hand der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, 4. Aufl., Köln-Marienburg 1971 (ციტირებულია: ***Leibholz/Rinck***, Grundgesetz).

Lenz, Carl-Otto/Borchardt, Klaus-Dieter, EU-Verträge, Kommentar nach dem Vertrag von Lissabon, 5. Aufl., Köln 2010 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: ***Lenz/Borchardt***, EU-Verträge).

Manacorda, Stefano, Die „Neutralisierung" staatlicher Strafnormen durch das Recht der Europäischen Gemeinschaften: ein theoretisches Bild aus italienischer Sicht, კრებულში: ***Sieber, Ulrich/Dannecker, Gerhard/Kindhäuser, Urs/Vogel, Joachim/Walter, Tonio*** (Hrsg.), Strafrecht und Wirtschaftsstrafrecht-Festschrift für Klaus Tiedemann, Köln u.a. 2008, 1385-1398 (ციტირებულია: ***Manacorda***, კრებულში: ***Sieber/Dannecker/Kindhäuser/Vogel/Walter***, Strafrecht und Wirtschaftsstrafrecht).

Manssen, Gerrit, Staatsrecht II, Grundrechte, 5. Aufl., München 2007 (ციტირებულია: ***Manssen***, Staatsrecht II).

Mayer, Franz, Der Vertrag von Lissabon im Überblick, JuS 2010, 189-195.

Merkel, Reinhard, Ne bis in idem in der Europäischen Union - zum Streit um das „Vollstreckungselement", ZIS 5/2012, 206-213.

Meyer, Frank, Demokratieprinzip und Europäisches Strafrecht-Zu den Anforderungen des Demokratieprinzips an Strafrechtsetzung im Mehrebenensystem der Europäischen Union, 1. Aufl., Baden-Baden 2009 (ციტირებულია: ***Meyer***, Demokratieprinzip).

Meyer-Goßner, Lutz, Domestikation der Absprachen im Strafprozess, კრებულში: ***Hefendehl, Roland*** (Hrsg.), Empirische und dogmatische Fundamente, kriminalpolitischer Impetus-Symposium für Bernd Schünemann zum 60. Geburtstag, Köln u.a. 2005, 235-243 (ციტირებულია: ***Meyer-Goßner***, კრებულში: ***Hefendehl***, Symposium).

Meyer-Goßner, Lutz, Strafprozessordnung mit GVG und Nebengesetzen, 57. Aufl., München 2014 (ციტირებულია: ***Mayer-Goßner***, StPO).

Meyer-Goßner, Lutz, Was nicht Gesetz werden solltel Eine Bemerkung zum Gesetzentwurf der Bundesregierung zum Verständigung im Strafverfahren, ZRP 2009, 107-109.

Meyer-Ladewig, Jens/Petzold, Herbert, 50 Jahre Europäischer Gerichtshof für Menschenrechte, NJW 2009, 3749.

Mickel, Wolfgang M. (Hrsg.), Handlexikon der Europäischen Union, 2. Aufl., Köln 1998 (ციტირებულია: ***Mickel,*** Handlexikon).

Möstl, Markus, Verfassung für Europa, Einführung und Kommentierung mit vollständigem Verfassungstext, München 2005 (ციტირებულია: ***Möstl,*** Verfassung).

Müller-Härlin, Maximilian, Nation und Europa in Parlamentsdebatten zur Europäischen Integration, 1. Aufl., Baden-Baden 2008 (ციტირებულია: ***Müller-Härlin***, Nation und Europa).

Nalewajko, Pawel, Der Europäische Haftbefehl: aktuelle Entwicklungen in Polen, ZIS 3/2007, 113-117.

Navarro, Alicia González, Absprachen im spanischen Strafverfahren-mit besonderer Berücksichtigung des beschleunigten Verfahrens, ZStW 123 (2011), 163-178.

Neumann, Ulrich, Das Corpus Juris im Streit um ein europäisches Strafrecht, კრებულში: ***Huber, Barbara*** (Hrsg.), Das Corpus Juris als Grundlage eines Europäischen Strafrechts-Europäisches Kolloquium, Trier, 4.-6. März 1999, Freiburg im Breisgau 2000, 67-81 (ციტირებულია: ***Neumann***, კრებულში: ***Huber***, Europäisches Kolloquium).

Niemöller, Martin/Schlothauer, Reinhold/Weider, Hans-Joachim, Gesetz zur Verständigung im Strafverfahren, München 2010 (ციტირებულია: ***Niemöller/Schlothauer/Weider***, Verständigung).

Oppermann, Thomas, Konzeption und Struktur des Verfassungsentwurfs des Europäischen Konvents-unter Berücksichtigung der Regierungskonferenz 2003, კრებულში: ***Schwarze, Jürgen*** (Hrsg.), Verfassungsentwurf des Europäischen Konvents, 1. Aufl., Baden-Baden 2004, 23-42 (ციტირებულია: ***Oppermann***, კრებულში: ***Schwarze***, Verfassungsentwurf).

Oppermann, Thomas, Vom Nizza-Vertrag zum Europäischen Verfassungskonvent, კრებულში: ***Beckmann, Klaus/Dieringer, Jürgen/Hufeld, Ulrich*** (Hrsg.), Eine Verfassung für Europa, *Tübingen 2004, 191-208)*ციტი-

რებულია: ***Oppermann***, კრებულში: ***Beckmann/Dieringer/Hufeld***, Verfassung).

Oppermann, Thomas/Classen, Claus Dieter/Nettesheim, Martin, Europarecht, 7. Aufl., München 2016 (ციტირებულია: ***Oppermann/Classen/Nettesheim***, Europarecht).

Otto, Harro, Anmerkungen zu den Tatbeständen des besonderen Teils des Corpus Juris, კრებულში: ***Huber, Barbara*** (Hrsg.), Das Corpus Juris als Grundlage eines Europäischen Strafrechts-Europäisches Kolloquium, Trier, 4.-6. März 1999, Freiburg im Breisgau 2000, 141-162 (ციტირებულია: ***Otto***, კრებულში: ***Huber***, Europäisches Kolloquium).

Otto, Harro, Anmerkungen zum strafrechtlichen Schutz des Finanzwesens und der Handelsgesellschaften (Art. 49-56), კრებულში: ***Tiedemann, Klaus*** (Hrsg.), Wirtschaftsstrafrecht in der Europäischen Union-*Freiburg-Symposium*, Köln u.a. 2002, 353-367 (ციტირებულია: ***Otto***, კრებულში: ***Tiedemann***, Wirtschaftsstrafrecht).

Pernice, Ingolf, Der Verfassungsentwurf als gemeineuropäisches Verfassungsrecht, კრებულში: ***Institut für Europäische Verfassungswissenschaften*** (Hrsg.), Die Europäische Union als Verfassungsordnung, Berlin 2004, 111-133 (ციტირებულია: ***Pernice***, კრებულში: ***Institut für Europäische Verfassungswissenschaften*** (Hrsg.)).

Pfetsch, Frank R., Die Europäische Union, München 1997 (ციტირებულია: ***Pfetsch***, Union).

Pradel, Jean, Leitgedanken zum Kapitel „Umweltstrafrecht", კრებულში: ***Tiedemann, Klaus*** (Hrsg.), Wirtschaftsstrafrecht in der Europäischen Union-Freiburg-Symposium, Köln u.a. 2002, 295-299 (ციტირებულია: ***Pradel***, კრებულში: ***Tiedemann***, Wirtschaftsstrafrecht).

Rack, Reinhard/Fraiss, Daniela, Eine Verfassung für Europa-*Verlauf und Ergebnisse der Arbeiten des Konvents über die Zukunft Europas 2002/3*, Graz 2003 (ციტირებულია: ***Rack/Fraiss***, Eine Verfassung für Europa).

Rasner, Andreas, Erforderlichkeit, Legitimität und Umsetzbarkeit des Corpus Juris Florenz, Berlin 2005 (ციტირებულია: ***Rasner***, Corpus Juris Florenz).

Reiling, Katharina/Reschke, Dennis, Die Auswirkungen der Lissabon-Entscheidung auf die Europäisierung des Umweltstrafrechts, wistra 2010, 47-52.

Rengier, Rudolph, Strafrecht, Allgemeiner Teil, 2. Aufl., München 2010 (ციტი-

რებულია: ***Rengier***, Strafrecht AT).

Rengeling, Hans-Werner/Middeke, Andreas/Gellermann, Martin, Handbuch des Rechtsschutzes in der Europäischen Union, 3. Aufl., München 2014 (ციტირებულია: ავტორი, სახელმძღვანელოში: ***Rengeling/Middeke/Gellermann***, Handbuch des Rechtsschutzes

Röttinger, Moritz/Weyringer, Claudia (Hrsg.), Handbuch der Europäischen Integration, Wien 1991 (ციტირებულია: ***Röttinger/Weyringer***, Integration).

Roxin, Claus, Strafrecht Allgemeiner Teil, Band 1-Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 4. Aufl., München 2006 (ციტირებულია: ***Roxin***, Strafrecht AT, Bd. 1).

Safferling, Christoph, Internationales Strafrecht, Strafanwendungsrecht, Völkerstrafrecht, Europäisches Strafrecht, Berlin, Heidelberg 2011 (ციტირებულია: ***Safferling***, Int. Strafrecht).

Satzger, Helmut, Der Mangel an Europäischer Kriminalpolitik-Anlass für das Manifest der internationalen Wissenschaftlergruppe - European Criminal Policy Initiative", ZIS 12/2009, 691-694.

Satzger, Helmut, Internationales und Europäisches Strafrecht, 7. Aufl., Baden-Baden, 2016 (zitiert: **Satzger**, Int. und Europ. Strafrecht, 6. Aufl.).

Satzger, Helmut, Welche Veränderungen bräche ein Beitritt der Schweiz zur Europäischen Union für die Anwendung des schweizerischen Strafrechts? ZStrR 2001, 95-112.

Satzger, Helmut/Schluckebier, Wilhelm/Widmaier, Gunter (Hrsg.), Strafgesetzbuch, Kommentar, 3. Aufl., Köln 2016 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: ***Satzger/Schluckebier/Widmaier***, Strafgesetzbuch).

Satzger, Helmut: Die Europäisierung des Strafrechts-Eine Untersuchung zum Einfluß des Europäischen Gemeinschaftsrechts auf das deutsche Strafrecht, Köln u.a. 2001 (ციტირებულია: ***Satzger***, Europäisierung).

Satzger, Helmut: Europäische Autopsie-eine Untersuchung der rechtsstaatlichen Leichen im Fundament der europäischen Strafrechtspflege, კრებულში: ***Hefendehl, Roland*** (Hrsg.), Empirische und dogmatische Fundamente, kriminalpolitischer Impetus-Symposium für Bernd Schünemann zum 60. Geburtstag, Köln u.a. 2005 (ციტირებულია: ***Satzger***, კრებულში: ***Hefendehl***, Symposium).

Sauer, Heiko, „Solange" geht in Altersteilzeit, NJW 1134.

Schmidt, Rolf, Strafrecht Allgemeiner Teil-Grundlagen der Strafbarkeit, Methodik der Fallbearbeitung, 9. Aufl., Grasberg bei Bremen 2010 (ციტირებულია: ***Schmidt***, Strafrecht AT).

Schmitt, Bertram, Zu Rechtsprechung und Rechtswirklichkeit verfahrensbeendender Absprachen im Strafprozess, GA 2001, 411-426.

Schnabl, Andrea, Strafbarkeit des Hacking-Begriff und Meinungsstand, wistra 2004, 211-216.

Schönke, Adolf/Schröder, Horst (Hrsg.), Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., München 2010 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: ***Schönke/Schröder***, StGB).

Schröder, Christian, Europäische Richtlinien und deutsches Strafrecht-Eine Untersuchung über den Einfluss europäischer Richtlinien gemäß Art. 249 Abs. 3 EGV auf das deutsche Strafrecht, Berlin 2002 (ციტირებულია: ***Schröder***, Europäische Richtlinien).

Schroeder, Werner, Die Auslegung des EU-Rechts, JuS 2004, 180-186.

Schroeder, Werner, Grundkurs Europarecht, 5. Aufl., München 2017 (ციტირებულია: ***Schröder***, Grundkurs Europarecht).

Schübel-Pfister, Isabel/Kaiser, Karen, Das Lissabon-Urteil des BVerfG vom 30.6. 2009-Ein Leitfaden für Ausbildung und Praxis, JuS 2009, 767-772.

Schulze, Reiner/Zuleeg, Manfred (Hrsg.), Europarecht, Handbuch für die deutsche Rechtspraxis, Baden-Baden, 2006 (ციტირებულია: ავტორი, კრებულში: ***Schulze/Zuleeg,*** Europarecht).

Schünemann, Bernd, Die Strafbarkeit der juristischen Person aus deutscher und europäischer Sicht, კრებულში: ***Schünemann/González*** (Hrsg.), Bausteine des europäischen Wirtschaftsrechts-Madrid-Symposium für Klaus Tiedemann, Köln u.a. 1994, 265-295 (ციტირებულია: ***Schünemann***, კრებულში: ***Schünemann/González***, Bausteine).

Schünemann, Bernd, Europäischer Haftbefehl und EU-Verfassungsentwurf auf schiefer Ebene, ZRP 2003, 185-189.

Schünemann, Bernd, Fortschritte und Fehltritte in der Strafrechtspflege der EU, GA 2004, 193-209.

Schünemann, Bernd, Wetterzeichen von Untergang der deutschen Rechtskul-

tur, Berlin 2005 (ციტირებულია: ***Schünemann***, Rechtskultur).

Schünemann, Bernd: Mindestnormen oder sektorales Europastrafrecht? კრებულში: ***Schünemann, Bernd*** (Hrsg.), Alternativentwurf europäische Strafverfolgung, Köln u.a. 2004, 75-81 (ციტირებულია: ***Schünemann***, კრებულში: ***Schünemann***, Alternativentwurf).

Schwarze, Jürgen (Hrsg.), EU-Kommentar, 1. Aufl., Baden-Baden 2000 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: ***Schwarze***, EU-Kommentar, 1. Aufl.).

Schwarze, Jürgen (Hrsg.), EU-Kommentar, 2. Aufl., Baden-Baden 2009 (ციტირებულია: ავტორი, კრებულში: ***Schwarze***, EU-Kommentar).

Schweitzer, Michael/Fixson, Oliver, Subsidiarität und Regionalismus in der Europäischen Gemeinschaft, JURA 1992, 579-586.

Schweitzer, Michael/Hummer, Waldemar, Europarecht, Neuwied u.a. 1996 (ციტირებულია: ***Schweitzer/ Hummer***, Europarecht).

Sieber, Ulrich, Auf dem Weg zu einem europäischen Strafrecht-Einführung zum Corpus Juris der strafrechtlichen Regelungen zum Schutz der finanziellen Interessen der EU, კრებულში: ***Delmas-Marty, Mireille*** (Hrsg.): Corpus Juris der strafrechtlichen Regelungen zum Schutz der finanziellen Interessen der Europäischen Union, Köln u.a. 1998, 1-10 (ციტირებულია: ***Sieber***, კრებულში: ***Delmas-Marty***, Corpus Juris).

Sieber, Ulrich, Eröffnungsansprache, კრებულში: ***Huber, Barbara*** (Hrsg.), Das Corpus Juris als Grundlage eines Europäischen Strafrechts-Europäisches Kolloquium, Trier, 4.-6. März 1999, Freiburg im Br. 2000, 13-20 (ციტირებულია: ***Sieber***, კრებულში: ***Huber***, Europäisches Kolloquium).

Sieber, Ulrich, Europäische Einigung und Europäisches Strafrecht ZStW 103 (1991), 957-979.

Sieber, Ulrich, Memorandum für ein Europäisches Modellstrafgesetzbuch, JZ 1997, 369-381.

Sieber, Ulrich/Brüner, Franz-Hermann/Satzger, Helmut/von Heintschel-Heinegg, Bernd (Hrsg.), Europäisches Strafrecht, München 2011 (ციტირებულია: ავტორი, კრებულში: ***Sieber/Brüner/Satzger/v.Heintschel-Heinegg***, Europäisches Strafrecht).

Sieber,Ulrich, Die Zukunft des Europäischen Strafrechts-Ein neuer Ansatz zu den Zielen und Modellen des europäischen Strafrechtsystems, ZStW 121 (2009), 1-67.

Stein, Torsten/Buttlar, Christian von, Völkerrecht, 12. Aufl., Köln u.a. 2009 (ციტირებულია: ***Stein/Buttlar***, Völkerrecht).

Streinz, Rudolf (Hrsg.), EUV/EGV Vertrag über die Europäische Union und Vertrag zur Gründung der europäischen Gemeinschaft, München 2003 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: ***Streinz***, EUV/EGV).

Streinz, Rudolf, Europarecht, 8. Aufl., Heidelberg 2008 (ციტირებულია: ***Streinz***, Europarecht).

Streinz, Rudolf/Ohler, Christoph/Hermann, Christoph, Der Vertrag von Lissabon zur Reform der EU, Einführung mit Synopse, 3. Aufl., München 2010 (ციტირებულია: ***Streinz/Ohler/Hermann***, Vertrag von Lissabon).

Streinz, Rudolf/Ohler, Christoph/Hermann, Christoph, Die neue Verfassung für Europa, 1. Aufl., München 2005 (ციტირებულია: ***Streinz/Ohler/Hermann***, Die neue Verfassung).

Thiele, Alexander, Europarecht, 6. Aufl., Altenberge 2008 (ციტირებულია: ***Thiele***, Europarecht).

Thomas, Sven, Die Anwendung europäischen materiellen Rechts im Strafverfahren, NJW 1991, 2233-2238.

Tiedemann, Klaus, Der Strafschutz der Finanzinteressen der Europäischen Gemeinschaft, NJW 1990, 2226-2233.

Tiedemann, Klaus, Die Europäisierung des Strafrechts, კრებულში: ***Kreuzer, Karl F./Scheuing, Dieter H./Sieber, Ulrich*** (Hrsg.), Die Europäisierung der mitgliedstaatlichen Rechtsordnungen in der Europäischen Union, 1. Aufl., Baden-Baden 1997, 133-148 (ციტირებულია: ***Tiedemann***, კრებულში: ***Kreuzer/Scheuing/Sieber***, Europäisierung der Rechtsordnungen).

Tiedemann, Klaus, Europäisches Gemeinschaftsrecht und Strafrecht, NJW 1993, 23-31.

Tiedemann, Klaus, Re-Europäisierung des Strafrechts versus Nationalismus der (deutschen) Strafrechtslehre, GA 1998, 107-110.

Tiedemann, Klaus, Tatbestandsfunktionen im Nebenstrafrecht, Tübingen, 1969 (ციტირებულია: ***Tiedemann***, Tatbestandsfunktionen).

Tiegs, Heiko W.A., Betrugsbekämpfung in der Europäischen Gemeinschaft-Eine Bestandsaufnahme des englischen und deutschen Strafrechts zum Schutz der EG-Finanzinteressen, Berlin 2006 (ციტირებულია: ***Tiegs***, Betrugsbe-

kämpfung).

Ungerer, Werner/Monar, Joerg, Die Europäischen Gemeinschaften auf dem Weg zur Europäischen Union-Entwicklung und Institutionen, კრებულში: ***Lenz, Carl Otto*** (Hrsg.), EG-Handbuch, Recht im Binnenmarkt, 2. Aufl., Herne u.a. 1994, 1-50 (ციტირებულია: ***Ungerer/Monar***, კრებულში: ***Lenz***, EG-Handbuch).

Vadillo, Enique Ruiz, Die strafrechtliche Verantwortlichkeit juristischer Personen im europäischen Rechtsgedanken-aus spanischer und rechtsvergleichender Sicht, კრებულში: ***Schünemann/González*** (Hrsg.), Bausteine des europäischen Wirtschaftsrechts-Madrid-Symposium für Klaus Tiedemann, Köln u.a. 1994, 297-304 (ციტირებულია: ***Vadillo***, კრებულში: ***Schünemann/González***, Bausteine).

Vedder, Christoph/Heintschel von Heinegg, Wolff (Hrsg.), Europäischer Verfassungsvertrag, Baden-Baden 2007 (ციტირებულია: ავტორი, კომენტარებში: ***Vedder/Heintschel von Heinegg***, Verfassungsvertrag).

Vitzthum, Wolfgang Graf (Hrsg.), Völkerrecht, 4. Aufl., Berlin 2007 (ციტირებულია: ავტორი, კრებულში: ***Vitzthum***, Völkerrecht).

Vogel, Joachim, Harmonisierung des Strafrechts in der Europäischen Union, GA 2003, 314-334.

Volk, Klaus, Grundkurs StPO, 7. Aufl., München 2010 (ციტირებულია: ***Volk***, Grundkurs StPO).

Vormbaum, Moritz: Schutz der Rechtsgüter von EU-Staaten durch das deutsche Strafrecht-Zur europarechtskonformen Gestaltung und Auslegung von deutschen Straftatbeständen, Münster 2005)ციტირებულია: ***Vormbaum***, Rechtsgüter).

Walter, Tonio, Inwieweit erlaubt die Europäische Verfassung ein europäisches Strafgesetz? ZStW 117 (2005), 912-933.

Walzel, Daisy/Becker, Thomas, Grundzüge der Richtlinienrechtsprechung der EuGH, JURA 2007, 633-661.

Weber, Albrecht, Zur Verfassungsstruktur der Europäischen Gemeinschaft nach Maastricht, კრებულში: ***Hrbek, Rudolph*** (Hrsg.), Der Vertrag von Maastricht in der wissenschaftlichen Kontrovers, 1. Aufl., Baden-Baden 1993, 121-132 (ციტირებულია: ***Weber***, კრებულში: ***Hrbek***, Vertrag von Maastricht).

Weigend, Thomas, Der Entwurf einer Europäischen Verfassung und das Stra-

frecht, ZStW 116 (2004), 275-303.

Werle, Gerhard, Völkerstrafrecht, 3. Aufl., Tübingen 2012 (ციტირებულია: ***Werle***, Völkerstrafrecht).

Wessels, Johannes/Beulke, Werner, Strafrecht, Allgemeiner Teil-Die Straftat und ihr Aufbau, 41. Aufl., Heidelberg 2011 (ციტირებულია: ***Wessels/Beulke***, Strafrecht AT).

Wessels, Wolfgang, Das politische System der Europäischen Union, 1. Aufl., Wiesbaden 2008 (ციტირებულია: ***Wessels***, Das politische System).

Wiedmann, Thomas, Der Vertrag von Nizza, Genesis einer Reform, EuR 2001, 185-215.

Wolf, Sebastian, Die Modernisierung des deutschen Antikorruptionsstrafrechts durch internationale Vorgaben, NJW 2006, 2735-2738.

Zieschang, Frank, Der Einfluss der Europäischen Union auf das deutsche Strafrecht, კრებულში: ***Sieber, Ulrich/Dannecker, Gerhard/Kindhäuser, Urs/Vogel, Joachim/Walter, Tonio*** (Hrsg.), Strafrecht und Wirtschaftsstrafrecht-Festschrift für Klaus Tiedemann, Köln u.a. 2008, 1303-1319 (ციტირებულია: ***Zieschang***, კრებულში: ***Sieber/Dannecker/Kindhäuser/Vogel/Walter***, Strafrecht und Wirtschaftsstrafrecht).

Zimmermann, Frank, Die Auslegung künftiger EU-Strafrechtskompetenzen nach dem Lissabon-Urteil des Bundesverfassungsgerichts, JURA 2009, 844-851.

Zimmermann, Frank, Wann ist der Einsatz von Strafrecht auf europäischer Ebene sinnvoll? ZRP 2009, 74-77.

Zöller, Mark A., Europäische Strafgesetzgebung, ZIS 7/2009, 340-349.

Zuleeg, Manfred, Der Beitrag des Strafrechts zur europäischen Integration, JZ 1992, 761-769.

ავტორის შესახებ

ბაჩანა ჯიშკარიანმა 2007 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2008-2009 წლებში გაიარა სამაგისტრო კურსი გერმანული სამართლის საფუძვლებში მიუნხენის უნივერსიტეტში, 2012 წელს კი იქვე მოიპოვა სამართლის დოქტორის ხარისხი გერმანული სისხლის სამართლის, საერთაშორისო და ევროპული სისხლის სამართლის კათედრაზე. სხვადასხვა დროს იყო გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის, რუსთაველის, ფრიდრიხ ნაუმანის სახელობის ფონდებისა და მაქს-პლანკის საზოგადოების სტიპენდიანტი. მუშაობდა იურიდიულ ფირმა Becker Büttner Held München-ში და ასევე ხელმძღვანელობდა სასემინარო ჯგუფებს მიუნხენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ამჟამად არის საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი და სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი, ასევე, ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის დამფუძნებელი. კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უნივერსიტეტებში, მათ შორის თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას უნივერსიტეტში. გამოქვეყნებული აქვს სტატიები და სახელმძღვანელოები ქართული, საერთაშორისო და ევროპული სისხლის სამართლის თემატიკაზე.


გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას ქ. №75

ტელ: (+995 032)238 35 99; (+995)557 51 51 34

ვებ-გვერდი: www.law.ge

ელ-ფოსტა: Info@law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers